5. Kereselidze, D., and others, 2023. Commentary on the Labour Code of Georgia, Article 3. Tbilisi. [Online] available at: [შრომის კოდექსის კომენტარი.pdf](https://www.ilo.org/publications/platform-work-developing-economies-can-digitalisation-drive-structural) [Accessed 10.05.2024]. (in Georgian)
6. Labeledzka, A., 2018. The European Union and shaping of its neighbourhood: in pursuit of stability, security and prosperity. Doctoral thesis, City University of London. [Online] avail-

- able at: <https://openaccess.city.ac.uk/id/eprint/22196/>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
7. McGowan, R., 2018. Judge v robot? Artificial intelligence and judicial decision-making. 41(4) UNSW Law Journal, 1114. [Online] available at: [https://www.judcom.nsw.gov.au/publications/benchbks/judicial\\_officers/judge\\_v\\_robot.html#ftn.d5e24770](https://www.judcom.nsw.gov.au/publications/benchbks/judicial_officers/judge_v_robot.html#ftn.d5e24770)> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  8. R.Miller, M., 2015. Getting Paid in the Naked Economy. Touro Law Center Legal Studies Research Paper Series No.16-13. (in English)
  9. Scherer, M., 2022. Artificial Intelligence and Legal Decision Making. The Wide Open Journal, 041119. (in English)
  10. Shvelidze, Z. and others, 2017. Georgian Labor Law and International Labor Standards. International Labour Organization. [Online] available at: [https://tsu.ge/data/file\\_db/faculty\\_law/shromis%20sam.pdf](https://tsu.ge/data/file_db/faculty_law/shromis%20sam.pdf)> [Accessed 10.05.2024]. (in Georgian)
  11. Sturua, N., 2018. Dissertation: Comparative legal analysis of Georgian labor regulations with Western standards. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law. [Online] available at: [http://press.tsu.ge/data/image\\_db/innova/nata-sturua-sadoqtoro-nashromi.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db/innova/nata-sturua-sadoqtoro-nashromi.pdf)> [Accessed 10.05.2024]. (in Georgian)
  12. Smirnova, E., Okhrimenko, I., and Zakharova, A., 2022. Review of Best Practices in Self-Employment Taxation. Public Organization Review 24 (1). (in English)
  13. Stropoli, R., 2024. Which workers will benefit from AI? Chicago Book Review. (in English) [Online] available at: <https://www.chicagobooth.edu/review/which-workers-will-benefit-ai>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
- available at: [https://eur-lex.europa.eu/eli/agree\\_internation/2014/494/oj](https://eur-lex.europa.eu/eli/agree_internation/2014/494/oj)> [Accessed 10.05.2024]. (in English)
3. Proposal for a Council and Commission Decision on the conclusion of a Protocol to the Partnership and Cooperation Agreement between the European Communities and their Member States, of the one part, and the Russian Federation, of the other part (presented by the Commission). [Online] available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31999D0515>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  4. Civil Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/en/document/view/31702?publication=129>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  5. Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/en/document/view/5230186?publication=6>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  6. Treaty on the Functioning of the European Union (TFEU) Consolidated Version. 2012. [Online] available at: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:12012E/TXT:en:PDF>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  7. Regulation (EU) 2018/1724 of the European Parliament and of the Council of 2 October 2018. [Online] available at: <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2018/1724>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  8. Directive 2010/41/EU of The European Parliament and of The Council On the application of the principle of equal treatment between men and women engaged in an activity in a self-employed capacity and repealing Council Directive 86/613/EEC. [Online] available at: <https://www.eumonitor.eu/9353000/1/j9vvik7m1c3gyxp/vihmxwf27tyd>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  9. Directive 2012/30/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 on coordination of safeguards which, for the protection of the interests of members and others, are required by Member States of companies within the meaning of the second paragraph of Article 54 of the Treaty on the Functioning of the European Union, in respect of the formation of public limited liability companies

### Normative Materials:

1. Constitution of Georgia. [Online] available at <https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=36>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
2. Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part. Official Journal of the European Union. [Online]

- and the maintenance and alteration of their capital, with a view to making such safeguards equivalent. [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:315:0074:0097:EN:PDF>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
10. Directive 2014/52/EU of The European Parliament and of The Council, of 16 April 2014. Amending Directive 2011/92/EU on the assessment of the effects of certain public and private projects on the environment. [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32014L0052>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  11. Directive (EU) 2019/1152 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on transparent and predictable working conditions in the European Union. Official Journal of the European Union. [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  12. Directive (EU) 2016/1148 of the European Parliament and of the Council of 6 July 2016 concerning measures for a high common level of security of network and information systems across the Union. Official Journal of the European Union. [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2016/1148/oj>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  13. The rules on rates of value-added tax (VAT) as currently set out in Council Directive 2006/112/EC (the VAT Directive). [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32006L0112>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  14. Council Directive 2003/49/EC of 3 June 2003 on a common system of taxation applicable to interest and royalty payments made between associated companies of different Member States. [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32003L0049&from=FI>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  15. Council Directive 2000/43/EC of 29 June 2000 implementing the principle of equal treatment between persons irrespective of racial or ethnic origin. Official Journal L180,19/07/2000 [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  16. Council Directive 2000/78/EC of 27 November 2000 establishing a general framework for equal treatment in employment and occupation. Official Journal L 303,02/12/2000 [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31999D0515>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  17. Council Directive 2008/8/EC of 12 February 2008 amending Directive 2006/112/EC as regards the place of supply of services. Official journal of the European Union. [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32008L0008>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  18. Directive 89/391/EEC – OSH "Framework Directive" of 12 June 1989 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work – "Framework Directive" Latest update: 03/05/2021. [Online] available at: <<https://osha.europa.eu/en/legislation/directives/the-osh-framework-directive/>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  19. Directive (EU) 2015/2366 (Payment Service Directive 2 - PSD 2). [Online] available at: <[https://www.eumonitor.eu/9353000/1/j4nvk6yhcbpeywk\\_j9vvik7m1c3gyxp/vk0vn25mntsj#:~:text=Directive%20\(EU\)%202015%2F2366%20](https://www.eumonitor.eu/9353000/1/j4nvk6yhcbpeywk_j9vvik7m1c3gyxp/vk0vn25mntsj#:~:text=Directive%20(EU)%202015%2F2366%20)> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  20. Green Paper. 2006. Modernising labour law to meet the challenges of the 21st century. Commission of The European Communities. Brussels. COM(2006)-708 final. [Online] available at: <[https://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004\\_2009/documents/com/com\\_com\(2006\)0708\\_/com\\_com\(2006\)0708\\_en.pdf](https://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004_2009/documents/com/com_com(2006)0708_/com_com(2006)0708_en.pdf)> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  21. World Migration. 2023. General Section. An overview of international Migration. [Online] available at: <[https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr\\_2003\\_1.pdf](https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2003_1.pdf)> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  22. The ILO's Decent Work Agenda [Online] available at: <<https://www.ilo.org/topics/decent-work>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
  23. International Labour Organization (ILO) Organization for Economic Co-operation and Development (OECD). Ensuring better social protection for self-employed workers. 2020. [Online] available at: <<https://www.ilo.org>>

- [org/media/282626/download](https://www.ilo.org/media/282626/download)> [Accessed 10.05.2024]. (in English)
24. International Labour Organization. Non-standard forms of employment. Disguised-employment-dependent-self-employment. [Online] available at: <<https://www.ilo.org/resource/other/disguised-employment-dependent-self-employment>> [Accessed 10.05.2024]. (in English)

### Judicial Practice:

1. The decision of the Supreme Court of Georgia, 17 February 2017 (case №as-1132-1088-2016). [Online] available at: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/shromiti-xelshekrulebis-shewyveta.pdf>> [Accessed: 10.05.2024]. (in Georgian)
2. The decision of the Supreme Court of Georgia 29 June 2016 (case №as – 951-901-2015). [Online] available at: <<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/58857/1>> [Accessed 10.05.2024]. (in Georgian)
3. The decision of the Supreme Court of Georgia, 10 October 2011 (case №as – 1129-1156-2011). [Online] available at: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201211.pdf>> [Accessed: 10.05.2024]. (in Georgian)

# Acquis communautaire-ის კონცეფცია და მისი მნიშვნელობა ევროპის კავშირის სამართალში

## ირაკლი პაპავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ რეგიონული წარმომადგენელი გურიაში

ელ.ფოსტა: [iraklipapav@gmail.com](mailto:iraklipapav@gmail.com)

ირაკლი პაპავა

## აბსტრაქტი

სტატია ეხება ევროპის კავშირის (EU) სამართლის ერთ-ერთ საკვანძო კონცეფციას – *acquis communautaire*-ს, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ევროკავშირის მართლწესრიგის ერთიანობის უზრუნველყოფის საქმეში; იგი საკუთარ თავში ითავსებს EU-ს ყველა სამართლებრივ და პოლიტიკურ მიღწევას მისი არსებობის ისტორიის მანძილზე. სტატიაში განხილულია *acquis communautaire*-ის კონცეფციის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და მნიშვნელობის საკითხები EU-ს განვითარებისა და გაფართოების საქმეში, ნაჩვენებია მისი მოცულობისა და შინაარსის ევოლუციის დინამიური ბუნება ევროკავშირის პოლიტიკის მიზნების შესაბამისად, ხაზგასმულია მისი, როგორც ევროპის კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის, გამორჩეული როლი. საგულისხმოა, რომ ევროკავშირის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში დღემდე არ არსებობს ერთიანი მიდგომა აღნიშნული ცნების ფარგლებისა და შინაარსისადმი. ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ *acquis communautaire*, სამართლებრივ კატეგორიაზე მეტად, კომპლექსური ხასიათის ცნებაა, რომელიც მოიცავს EU-ს პირველად და მეორად სამართალს, ასევე „არანორმატიულ“ წყაროებს და მუდმივად ვითარდება. ამასთან, *acquis communautaire*-ის უნივერსალური ბუნება განაპირობებს მისი თითოეული ელემენტის შინაარსის დაზუსტების აუცილებლობას ამ ცნების გამოყენების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. შესაბამისად, *acquis communautaire*-ის გამოყენების შიდა სფეროში, EU-ს ინსტიტუტები მიზნად ისახავენ ევროკავშირის განვითარებას მისი პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და კულტურული მემკვიდრეობის საფუძველზე; საგარეო გამოყენების სფეროში კი მიზანი ევროკავშირის ღირებულებებისა და პრინციპების მის საზღვრებს მიღმა „ექსპორტი“, კანდიდატი ქვეყნების ევროკავშირში გასაწევრიანებლად სათანადო მომზადება და შესამე სახელმწიფოებთან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ თანამშრომლობაში საკუთარი მონაწილე მიღწევების დანერგვა და ადაპტირებაა. ავტორი მიიჩნევს, რომ *acquis communautaire*-ის შინაარსი და ფარგლები იცვლება მისი გამოყენების მიზნების შესაბამისად.

**საკვანძო სიტყვები:** ევროპული ინტეგრაცია, ევროკავშირის პოლიტიკა, გაძლიერებული თანამშრომლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები

# CONCEPT OF THE ACQUIS COMMUNAUTAIRE AND ITS IMPORTANCE IN LAW OF THE EUROPEAN UNION

**Irakli Papava**

*Master of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, International Law Expert,  
Regional representative of the “Information Center on NATO and EU” in the Guria region*

Email: [iraklipapav@gmail.com](mailto:iraklipapav@gmail.com)

## ABSTRACT

This article concerns one of the key concepts of the law of the European Union (EU) – *acquis communautaire*, which plays an important role in ensuring the unity of the EU legal order. It reflects all the legal and political achievements of the EU in the entire history of its existence. The article discusses the issues of the origin, formation and importance of the concept of *acquis communautaire* in the development and enlargement of the European Union, shows the dynamic nature of the evolution of its scope and content depending on the objectives of EU policy, emphasizes its outstanding role as an instrument of EU internal and external policy. It should be said, that in the science and practice of EU law, yet there has not been formed an unified approach to understanding the scope and content of this concept. The author comes to the conclusion that the *acquis communautaire* is not so much a legal category as a concept of a complex nature, which includes EU primary and secondary law, as well as “non-normative” sources and is constantly evolving. At the same time, the universal nature of the *acquis communautaire* makes it necessary to specify the content of each of its elements in each specific case of using this concept. Accordingly, in the domestic field of application of the *acquis communautaire* by the institutions of the European Union, the main goal is to develop the EU based on its political, legal, economic and cultural heritage. In the external field of application, the goal is to “export” the values and principles of the European Union beyond its borders, to properly prepare the candidate countries to join the EU and to introduce and adapt its own advanced achievements in economic, political and legal cooperation with third countries. The author expresses the opinion that the content and scope of the *acquis communautaire* changes in accordance with the objectives of its application.

**KEYWORDS:** European integration, EU politics, enhanced cooperation, international agreements



## შესავალი

მე-20 საუკუნის ბოლოს ევროპულ სამართლებრივ ლექსიკონში გაჩნდა სრულიად ახალი კატეგორია, რომელიც მანამდე არსად ფიგურირებდა, – *acquis communautaire*. ასე ერქვა ევროპარლამენტის მიერ 1984 წელს მიღებული ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების პროექტის<sup>1</sup> (ცნობილია „სპინელის პროექტის“ სახელით) მე-7 მუხლს. ფრანგულ ვერსიაში ეს ტერმინი სიტყვასიტყვით ნიშნავდა „გაერთიანების მიღწევას“, „იმას, რაც გაერთიანების ფარგლებშია მიღწეული“.

ნიშანდობლივია, რომ *acquis communautaire*-ის ცნების წევრი ქვეყნების სხვა ენებზე ზუსტი და ერთგვაროვანი თარგმნის მცდელობა ყოველთვის სირთულეებს იწვევდა, ევროპის კავშირის (შემდეგში – „EU“, „კავშირი“, „ევროკავშირი“) სახელმწიფოებს შორის კომუნიკაციის ერთიანი ოფიციალური ენის არარსებობის გამო. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მისმა სხვა ენებზე თარგმნის მცდელობებმა სხვადასხვა, ხშირად არაიდენტური მნიშვნელობის ფორმულირებები წარმოშვა: „გაერთიანების მემკვიდრეობა“

– ინგლისურ ვერსიაში,<sup>2</sup> „წესების ერთობლიობა“ – ფინურ ვარიანტში, „გაერთიანების მოქმედი სამართალი“ – დანიურ ენაზე, „ნორმატიული მემკვიდრეობა“ – შვედურ რედაქციაში, „ნორმების აკუმულაცია“ – ესპანურსა და პორტუგალიურში, „გაერთიანების საკუთრება“ – ბერძნულ და გერმანულენოვან ვერსიებში.<sup>3</sup> *Acquis communautaire*-ის ცნების მნიშვნელობათა ასეთმა კალეიდოსკოპმა და მისი თარგმანის ერთიანი ვარიანტის არარსებობამ დროთა განმავლობაში ფრანგულ ენაზე მისი უნივერსალური გამოყენება განაპირობა: ოფიციალურ დოკუმენტებსა და თეორიულ ნაშრომებში ის, როგორც წესი, არ ითარგმნება და, ჩვეულებრივ, ფრანგული ტრანსკრიპციით გამოიყენება.

*Acquis communautaire*-ის კონცეფციას EU-ს სამართალში განსაკუთრებული ადგილი უკავია. თეორიაში იგი მიიჩნევა ევროკავშირის მართლწესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კონცეფციად, გამორჩეულ დოქტრინად, EU-ს მმართველობის არსად,<sup>4</sup> მისი გაფართოების შეუცვლელ პირობად.<sup>5</sup> „*Acquis communautaire*, არსებითად, გადმოსცემს იდეას, რომ ევროპის გაერთიანების (კავშირის) ინსტიტუციური

1 Projet de traite instituant l'Union Europeenne. Bulletin des Communautés européennes 2, Fevrier 1984, გვ. 8-26.

2 იმავე „სპინელის პროექტის“ ინგლისურენოვან რედაქციაში მე-7 მუხლს „გაერთიანების მემკვიდრეობა“ („Community patrimony“) ერქვა და ადგენდა, რომ „კავშირი საკუთარ თავზე იღებს გაერთიანების მემკვიდრეობას“ (ინგლ.: „The Union shall take over the Community patrimony“).

3 *Acquis communautaire*-ის EU-ს წევრი ქვეყნების ენებზე თარგმანის სხვადასხვა ვარიანტების დეტალური ანალიზი იხ. Gialdino, C., 1995. Some Reflection on the *acquis communautaire*. *Common Market Law Review*, 32, გვ. 1089-1121. აქვე საგულისხმოა, რომ ევროპის კავშირის შესახებ მასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულების (სადაც აღნიშნულმა ტერმინმა პირველად შეიძინა ნორმატიული სტატუსი) ინგლისურ, ირლანდიურ, იტალიურ და ნიდერლანდურ ვერსიებში ტერმინი „*acquis communautaire*“ ფრანგულენოვანი ორიგინალი ვარიანტითაა წარმოდგენილი, ხოლო უშუალოდ ტერმინის თარგმანები მოცემულია დანიურ (gældende Fællesskabsret), ფინურ (yhteisön säännöstöä), ბერძნულ (κοινοτικό κερτμήνο), პორტუგალიურ (acervo comunitário), ესპანურ (acervo comunitario), შვედურ (gemenskapens regelverk) და გერმანულ (gemeinschaftlicher Besitzstand) რედაქციებში.

4 შეადარე. Jorgensen, K.E., 1999. The social construction of the *acquis communautaire*: a cornerstone of the European edifice. *European Integration Online Papers*, 3 (5), გვ. 3.

5 იქვე. გვ. 9.

სტრუქტურა, ფარგლები, პოლიტიკა და წესები განხილულ უნდა იქნეს როგორც „მოცემულობა“ და არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ან არსობრივად შეიცვალოს ახალი სახელმწიფოების მიერ მათი გაწევრებისას“.<sup>6</sup>

ფაქტობრივად, *acquis communautaire*-ის კონცეფცია შემუშავებულ იქნა EU-ს პირველი ექვსი წევრის მიერ კავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს მისი პოლიტიკური და სამართლებრივი წესრიგის უნიკალურ მიღწევებს,<sup>7</sup> რაც ევროკავშირში იქნა დაგროვილი და სავალდებულო შენარჩუნებას ექვემდებარება მისი საქმიანობისა და შემდგომი განვითარების პროცესში.

სწორედ *acquis communautaire*-ის კონცეფციისა და მასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების შესწავლა და დეტალური ანალიზი შეადგენს წინამდებარე სტატიის კვლევის საგანს. ამასთან, ევროპის კავშირის მართლწესრიგისთვის ამ კონცეფციის უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის წარმოჩენის მიზნით, სტატიაში განხილულია მისი წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და გამოყენების საკითხები EU-ს განვითარებისა და გაფართოების კონტექსტში, ნაჩვენებია მისი მოცულობისა და შინაარსის ევოლუციის დინამიური ბუნება კავშირის პოლიტიკის მიზნების შესაბამისად, ხაზგასმულია მისი, როგორც ევროკავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის, გამორჩეული როლი, მოცემულია EU-ს სამართლებრივ სისტემაზე ამ კონცეფციის ყველაზე აქტიური ზეგავლენის შემთხვევათა სისტემატიზაცია და შემოთავაზებულია *acquis communautaire*-ის ცნების ავტორისეული განმარტება.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში *acquis communautaire*, როგორც კონცეფცია და როგორც ფენომენი, თითქმის არაა სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული; მეტიც, მის შესახებ ქართულ ენაზე არანაირი სპეციალური კვლევა თუ ნაშრომი არაა ხელმისაწვდომი. სწორედ ამ „ხარვეზის“ გამოსწორების ერთგვარი მოკრძალებული მცდელობაა წინამდებარე სტატია, რომელიც მოწოდებულია, საფუძველი ჩაუყაროს თემის გარშემო დისკუსიის გახსნასა და მის აქტიურ განხილვას ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.

## 1. „ACQUIS COMMUNAUTAIRE“-ის ცნების წარმოშობის ისტორია

*Acquis communautaire*-ის ცნების წარმოშობა მჭიდროდაა დაკავშირებული ევროკავშირის გაფართოების პროცესთან. მკვლევართა უმეტესობა მის გაჩენას 1960-იან წლებს მიაწერს და მას ევროპის გაერთიანებებში (რომლებიც იმჟამად 6 ქვეყანას აერთიანებდა) გაწევრების თაობაზე დიდ ბრიტანეთთან, ირლანდიასთან, ნორვეგიასა და დანიასთან მოლაპარაკებების დაწყებას უკავშირებს. ევროპის გაერთიანებაში ახალი წევრების მიღების პირობების შესათანხმებლად ჰააგაში გამართულ სამიტზე წევრი ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა განაცხადეს, რომ მოლაპარაკებები შეიძლება დაიწყოს „*მხოლოდ იმ პირობით, თუ ახალგასაწევრებელი ქვეყნები ხელშეკრულებების დებულებებსა და პოლი-*

6 Goebel, R.J., 1995. The European Union grows: The constitutional impact of the accession of Austria, Finland and Sweden. *Fordham International Law Journal*, 18, გვ. 1095.

7 შეადარე. Magen, A., 2007. Transformative Engagement through Law: The *Acquis Communautaire* as an Instrument of EU External Influence. *European Journal of Law Reform*, 9, გვ. 376.

ტიკურ მიზნებს მიიღებენ“.<sup>8</sup> მკვლევართა აზრით, სწორედ ასე ჩამოყალიბდა *acquis communautaire*-ის პრინციპი პირველი და ყველა შემდგომი გაფართოებისთვის.<sup>9</sup> ფუძემდებელი ხელშეკრულებების დებულებების გარდა, წევრობის კანდიდატმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გაერთიანების შიდა აქტები და საერთაშორისო შეთანხმებები მესამე ქვეყნებთან, აგრეთვე გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებათა პერიოდში ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ამრიგად, EU-ს დამფუძნებლები ახალი წევრების მიღებისა და ადაპტაციის პრობლემის გადაწყვეტას ხელდავდნენ არა არსებული წესების შეცვლაში, არამედ გარდამავალ ღონისძიებათა შეთანხმებაში (მოქმედების ფიქსირებული ვადით). ახალ წევრთა მიღების შესახებ მოლაპარაკებები 19 თვეს გაგრძელდა და მათი შედეგი სრულად ასახავდა *acquis communautaire*-ის არჩეულ პრინციპს. მრავალი გარდამავალი ღონისძიების დადგენის მიუხედავად (რომელთა მოქმედების საშუალო ვადა 5 წელს არ აღემატებოდა), ისინი არ ცვლიდნენ გაერთიანების არსებულ ნორმებს.<sup>10</sup>

რამდენიმე წლის შემდეგ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ აღიარა არსებობა წესებისა, რომლებიც მოიცავენ ყველაფერს, რასაც „გაერთიანებამ მიღწია ბაზრის ერთიანობისთვის“.<sup>11</sup> ამას მოჰ-

ყვა 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტი, რომლის პირველი მუხლის მე-3 აბზაცში ნახსენებია „პროცედურები, რომლებიც შეთანხმებულ იქნა ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მეთაურების ლუქსემბურგის (1970), კოპენჰაგენის (1973), ლონდონის (1981) სამიტებზე, „ევროპის კავშირის შესახებ საზეიმო დეკლარაციაში“ (1983) და პრაქტიკები, რომლებიც თანმიმდევრულად იქმნებოდა წევრ ქვეყნებს შორის“.<sup>12</sup> ევროპის კავშირის შესახებ მასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებაში კი ტერმინმა „*acquis communautaire*“ პირველად შეიძინა ნორმატიული, ანუ „კონსტიტუციური“ სტატუსი.<sup>13</sup> მაგალითად, მასტრიხტის ხელშეკრულების ორიგინალი რედაქციის „B“ მუხლის მე-5 აბზაცი და „C“ მუხლი ითვალისწინებს *acquis communautaire*-ის დაცვას, როგორც EU-ს ერთ-ერთ მთავარ მიზანს. კერძოდ, B მუხლის მე-5 აბზაცის თანახმად, კავშირი თავის ერთ-ერთ ამოცანად ისახავს „...სრულად შეინარჩუნოს *acquis communautaire* და განავითაროს იგი, რათა, N(2) მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად, შესწავლილ იქნეს საკითხი, თუ რამდენად შეიძლება საჭიროებდეს გადასინჯვას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პოლიტიკის სფეროები და თანამშრომლობის ფორმები, გაერთიანების მექანიზმებისა და

8 Final Communique of the Conference of Heads of Government or State on 1–2 December 1969 at the Hague. Third General Report on the activities of the Community. European Yearbook, Volume 17. The Hague, 1969. გვ. 489.

9 შეადარე. Goebel, R.J., 1995. The European Union grows: The constitutional impact of the accession of Austria, Finland and Sweden. Fordham International Law Journal, 18, გვ. 1142.

10 Commission of the European Communities, Fifth General Report on the activities of the Community. 1971. European Yearbook, Volume 19. The Hague, 1971. გვ. 355–508.

11 შეადარე. Judgement of the European Court of Justice, Commissionnaires Reunis v. Ramel, 20/04/1978, Joined Cases 80 and 81/77.

12 ერთიანი ევროპული აქტის ოფიციალური სრული ტექსტის სანახავად იხ. Official Journal of the European Communities, L 169, 29 June 1987.

13 შეადარე. Jorgensen, K.E., 1999. The social construction of the *acquis communautaire*: a cornerstone of the European edifice. European Integration Online Papers, 3 (5), გვ. 12.

ინსტიტუტების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით“.<sup>14</sup>

მაასტრიხტის ხელშეკრულების მეორე საკვანძო C(1) მუხლში კი საუბარია *acquis communautaire*-ის, როგორც EU-ს მთლიანი ინსტიტუციური სისტემის საფუძვლის, მნიშვნელობაზე: „კავშირს გააჩნია ერთიანი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მისი მიზნების მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებების თანმიმდევრულობასა და უწყვეტობას, *acquis communautaire*-ის დაცვითა და მისი შემდგომი განვითარებით“.

ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულების შედეგად, ტერმინი „*acquis communautaire*“ გამოჩნდა ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების ტექსტში „უფრო მჭიდრო თანამშრომლობის“ პროცედურის შემოღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, K.15 მუხლის პირველი პუნქტის (e) ქვეპუნქტი ადგენს, რომ წევრ ქვეყნებს, რომლებსაც განზრახული აქვთ ურთიერთმორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება, შეუძლიათ გამოიყენონ ამ ხელშეკრულებითა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსტიტუტები, პროცედურები და მექანიზმები, ოღონდ იმ პირობით, რომ ასეთი თანამშრომლობა „არ უნდა ხელყოფდეს *acquis communautaire*-ს და ხსენებული

ხელშეკრულებების სხვა დებულებების შესაბამისად მიღებულ ღონისძიებებს“.<sup>15</sup> აქვე საუბარია იმაზე, რომ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ამსტერდამის ხელშეკრულების მუხლები არ უნდა იქნეს გამოყენებული ევროკავშირის სტრუქტურაში „შენგენის *acquis*“ – ის ინტეგრაციის შესახებ ოქმის დებულებების საზიანოდ.<sup>16</sup> ეს ოქმი ამსტერდამის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და იგი შეიცავს დანართს, რომელიც აკონკრეტებს ტერმინის „Schengen *acquis*“ შინაარსს.<sup>17</sup>

ნიცის 2002 წლის ხელშეკრულება, რომელმაც ტერმინი „უფრო მჭიდრო თანამშრომლობა“ „გაძლიერებული თანამშრომლობით“ ჩაანაცვლა და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, ადგენს, რომ ასეთი თანამშრომლობა „კატივს უნდა სცემდეს *acquis communautaire*-ს“, ხოლო სახელმწიფოების მიერ გაძლიერებული თანამშრომლობის პროცედურის ფარგლებში მიღებული აქტები და გადაწყვეტილებები არ უნდა იყოს „კავშირის *acquis*“-ის ნაწილი.<sup>18</sup> ამან საფუძველი მისცა ზოგიერთ ავტორს, რომ წამოეჭრა საკითხი შინაარსით განსხვავებული „*acquis communautaire*“-ისა (ანუ გაერთიანების *acquis*-ის) და „კავშირის *acquis*“-ის თანაარსებობის შესახებ.<sup>19</sup>

EU-ს 2004 წლის კონსტიტუციური ხელშეკრულების პროექტში იყო მცდელობა,

14 მაასტრიხტის ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ, 1992 წლის 7 თებერვლის რედაქციით. – Official Journal of the European Communities, C. 191, 29 July 1992.

15 შეადარე. Official Journal of the European Communities, C 340, 10 November 1997.

16 შეადარე. მუხლი K.12, პუნქტი 5, ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ (ამსტერდამის ხელშეკრულების რედაქციით).

17 აღნიშნული ტერმინის ქვეშ იგულისხმება შენგენის 1985 წლის 14 ივნისის შეთანხმება და შენგენის 1990 წლის 19 ივნისის კონვენცია, მათთან შეერთების ოქმები და შეთანხმებები, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დეკლარაციები, ასევე აღმასრულებელი კომიტეტის მიერ უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებულ აქტები (შეადარე. Annex to the Protocol integrating the Schengen *acquis* into the framework of the European Union. Official Journal of the European Communities, C 340/93, 10 November 1997).

18 შეადარე. Official Journal of the European Communities, 2001/C 80/01, 10 March 2001.

19 შეადარე. Delcourt, C., 2001. The *acquis communautaire*: has the concept had its day? Common Market Law Review, 38, გვ. 832.

ნორმატიულ დონეზე მოწესრიგებულიყო *acquis communautaire*-ის ფარგლები და მომხდარიყო მისი ყველა ელემენტის სისტემატიზაცია. კერძოდ, ერთიანი ევროპის კონსტიტუციის პროექტის IV-438 მუხლის („სამართალმემკვიდრეობა და სამართლებრივი უწყვეტობა“) მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი იყო *acquis communautaire*-ის ელემენტები, რომლებიც მოიცავს: ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებებს; ამ ხელშეკრულებების საფუძველზე EU-ს ინსტიტუტების, ორგანოებისა და სხვა დაწესებულებების მიერ მიღებულ აქტებს; შეთანხმებებს ინსტიტუტებს შორის; გადაწყვეტილებებსა და შეთანხმებებს მიღებულს წევრი ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლების მიერ საბჭოს სხდომების დროს; წევრი სახელმწიფოების მიერ დადებულ შეთანხმებებს კავშირის ან გაერთიანების ფუნქციონირების საკითხებზე ან კავშირის (გაერთიანების) საქმიანობასთან დაკავშირებით; დეკლარაციებს, მათ შორის სამთავრობოთაშორისო კონფერენციებისას მიღებულ დეკლარაციებს; ევროპული საბჭოს ან ევროკავშირის საბჭოს მიერ, წევრი ქვეყნების საერთო თანხმობის პროცედურის საფუძველზე, მიღებულ რეზოლუციებს და პოზიციებს.<sup>20</sup> ფაქტობრივად, ევროპის კონსტიტუციური ხელშეკრულების პროექტში *acquis communautaire*-ის ცნება EU-ს სამართალთან ასოცირდებოდა და გამოიყენებოდა როგორც სამართლებრივი კატეგორია, რომელიც მოიცავს ევროპის კავშირის ინსტიტუტების როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო ხასიათის აქტებს.

ობიექტური პოლიტიკური მიზეზების გამო, ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულება (რომელმაც ძირეული ცვლილებები შეიტანა კავშირის საბაზისო აქტებ-

ში) EU-ს დამფუძნებელი დოკუმენტების ტექსტებში აღარ ითვალისწინებს *acquis communautaire*-ის ელემენტების სისტემატიზაციის მიზანს. ამასთან, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკავშირის მიზნებისა და ამოცანების აღმწერ მუხლებში მითითებები *acquis communautaire*-ზე გაქრა. შესაბამისად, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ EU-ს მიზნებს შორის აღარ ფიგურირებს „*acquis communautaire*-ის სრულად შენარჩუნებისა და მისი განვითარების“ მიზანი. მართალია, ლისაბონის ხელშეკრულება *acquis communautaire*-ს მხოლოდ რამდენიმე ადგილას ახსენებს, თუმცა, ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვან ფორმულირებებს იყენებს. მაგალითად, გაძლიერებული თანამშრომლობის პროცედურასთან მიმართებით ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-20 (4) მუხლის ტექსტი (ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე კონსოლიდირებული რედაქციით) შემდეგნაირად გამოიყურება: „*გაძლიერებული თანამშრომლობის ფარგლებში მიღებულ სამართლებრივ აქტებს სავალდებულო ძალა გააჩნია მხოლოდ მასში მონაწილე წევრი ქვეყნებისთვის. ისინი არ განიხილება *acquis*-ის შემადგენელ ნაწილად, რომლებიც გაზიარებულ უნდა იქნეს კავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოების მიერ.*“<sup>21</sup>

გარდა ამისა, ტერმინი „*acquis*“ გამოყენებულია შენგენის *acquis*-ის შესახებ ოქმის ტექსტში, რომელიც ინკორპორირებულია EU-ს სტრუქტურაში. ეს ოქმი ლისაბონის ხელშეკრულების შესაბამისად კონსოლიდირებული ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და შეიცავს მისი ხელმომწერი

20 შუადარე. Treaty establishing a Constitution for Europe. Official Journal of the European Union, C 310, 16 December 2004.

21 Official Journal of the European Union, C 115, 09 May 2008.

ქვეყნების ვალდებულებებს, შეასრულონ და განავითარონ შენგენის შეთანხმებათა ფარგლებში მიღებული ნორმების მთლიანი კრებული. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ ოქმის მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც, „ევროპის კავშირში ახალი წევრი ქვეყნების მიღების შესახებ მოლაპარაკებების მიზნებისთვის შენგენის acquis და ინსტიტუტების მიერ მათ ფარგლებში მიღებული სხვა ღონისძიებები განხილულ უნდა იქნეს როგორც acquis, რომლებიც სრულად უნდა იქნეს გაზიარებული წევრობის კანდიდატი ყველა სახელმწიფოს მიერ“.<sup>22</sup>

აქ საგულისხმოა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: პირველი, დამფუძნებელი ხელშეკრულებების დონეზე პირველად იქნა გაცხადებული გასაწევრებელი ქვეყნების ვალდებულება, სრულად „მიიღონ acquis“ (თუმცა კვლავ არაა ახსნილი, რა უნდა იქნეს გაგებული აღნიშნული ცნების ქვეშ); მეორე, აშკარაა acquis-ის რთული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ასევე შენგენის acquis-ს, როგორც საკუთარ განუყოფელ და განსაკუთრებულ ნაწილს; მესამე (და ყველაზე მნიშვნელოვანი), ლისაბონის ხელშეკრულება საუბრობს არა acquis communautaire-ის (როგორც მასტრიხტის და ამსტერდამის ხელშეკრულებები) ან/და „კავშირის acquis“-ის (როგორც, მაგალითად, ნიცის ხელშეკრულება), არამედ უბრალოდ „acquis“-ის შესახებ. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ, EU-ს სამი „საყრდენის“ სტრუქტურის გაუქმებით, acquis-ის კონცეფციამ დასრულებული მთლიანობის სახე მიიღო და სრულად ვრცელდება მთელ ევროპის კავშირზე.

## 2. „ACQUIS COMMUNAUTAIRE“-ის ცნების შინაარსის ფარგლები

Acquis communautaire-ის ცნების ფარგლები და კონკრეტული შინაარსი, მნიშვნელოვანწილად, ბუნდოვანია, ვინაიდან არ არსებობს მისი, მეტნაკლებად, ჩამოყალიბებული და მისაღები განმარტება, მათ შორის ნორმატიული დეფინიცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი სტრუქტურისა და შინაარსის გამოვლენასა და იდენტიფიცირებაზე მუშაობა, უმეტესად, სამეცნიერო წრეებში მიმდინარეობს. ამასთან, ავტორთა უმრავლესობა acquis-ის სტრუქტურის არაერთგვაროვნობას, მისი შინაარსის იმ კონკრეტულ სიტუაციაზე დამოკიდებულებას უსვამს ხაზს, რომელშიც ეს ტერმინი იქნა გამოყენებული. ამ კუთხით acquis ცვალებადი შინაარსის მქონე ცნებაა, რომელიც განსხვავებულია (ვარიანტებს) კონტექსტიდან და სიტუაციიდან გამომდინარე;<sup>23</sup> იგი დინამურად განვითარებადი კონცეფციაა და ასახავს იმ გარემო პირობებს, რომელშიც ევროკავშირს უწევს ფუნქციონირება. შესაბამისად, რთულია acquis-ის რეალური შინაარსის ზუსტად განსაზღვრა, თავად acquis-ის მუდმივად ცვალებადი ბუნებისა და (ასევე) იმ დოკუმენტების მრავალფეროვნების გამო, რომლებშიც ტერმინი „acquis“ გამოიყენება.

ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ავტორთაგანი, რომელიც შეეცადა, მეტნაკლებად, მკაფიოდ განემარტა acquis communautaire-ის შინაარსი, არის ევროკავშირის სამართლის ცენტრის დამფუძნებელი, ფორდამის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (მანჰეტენი, აშშ) პროფესორი როჯერ გობელი, რომელმაც მასში შემავალი კომპონენტები შემდეგ-

22 Official Journal of the European Union, C 83/292, 30 March 2010.

23 შეადარე. Delcourt, C., 2001. The acquis communautaire: has the concept had its day? Common Market Law Review, 38, გვ. 835.

ნაირად დააჯგუფა: 1) ევროკავშირის ხელშეკრულებები; 2) EU-ს ინსტიტუციური სტრუქტურა; 3) ევროპის კავშირის (გაერთიანების) საკანონმდებლო და სხვა აქტები; 4) ევროკავშირის საერთაშორისო შეთანხმებები; 5) მოლაპარაკებების პროცესში მიღებული EU-ს საკანონმდებლო და სხვა აქტები; 6) „ხელშეკრულებების „პოლიტიკური მიზნების“, გარკვეულწილად, ბუნდოვანი კონცეფცია“; 7) EU-ს სამართლის ფუნდამენტური დოქტრინები (როგორებიცაა: პირდაპირი მოქმედება, კავშირის სამართლის უზენაესობა, ერთგვაროვანი ახსნა-განმარტება).<sup>24</sup> ორჰუსის უნივერსიტეტის (დანია) პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი კნუდ ერიკ იორგენსენი აქვე ასახელებს „ადამიანის უფლებათა პატივისცემის დემოკრატიულ პრინციპებს“.<sup>25</sup>

ევროკავშირი მუდმივად ხაზს უსვამს *acquis*-ის განვითარებად ბუნებას. მის ოფიციალურ ვებგვერდზე შესაძლებელია სრული ინფორმაციის ხილვა *acquis*-ის შესახებ, რომლის თანახმადაც, ამ კატეგორიას მიეკუთვნება:

- ხელშეკრულებების შინაარსი, პრინციპები და პოლიტიკური მიზნები, რომლებზეც დაფუძნებულია ევროკავშირი;
- ამ ხელშეკრულებების გამოყენების

მიზნით, მიღებული ნებისმიერი კანონმდებლობა და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ შემუშავებული პრეცედენტული სამართალი;

- EU-ს მიერ მიღებული დეკლარაციები და რეზოლუციები;
- ღონისძიებები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, ასევე მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროებში;
- ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების საერთაშორისო შეთანხმებები კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებით.<sup>26</sup>

საგულისხმოა, რომ EU-ს ინსტიტუტები *acquis communautaire*-ის ცნებას, უმეტესწილად, იყენებენ როგორც სამართლებრივ კატეგორიას, ასევე, როგორც ტერმინს „ევროპის კავშირის კანონმდებლობა“ – სინონიმს.<sup>27</sup> მსგავსი მიდგომა შეინიშნებოდა ევროკავშირის კონსტიტუციური ხელშეკრულების პროექტშიც, სადაც ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „*acquis communautaire*“ და „ევროკავშირის სამართლებრივი სისტემა“, ხშირად ავსებენ და ანაცვლებენ ერთმანეთს.<sup>28</sup>

თუმცა ბევრი დასავლეთევროპელი მეცნიერი არ ეთანხმება და საკმაოდ ხდის აღნიშნული ცნების მხოლოდ სამა-

24 შეადარე. Goebel, R.J., 1995. The European Union grows: The constitutional impact of the accession of Austria, Finland and Sweden. *Fordham International Law Journal*, 18, გვ. 1143–1144.

25 შეადარე. Jorgensen, K.E., 1999. The social construction of the *acquis communautaire*: a cornerstone of the European edifice. *European Integration Online Papers*, 3 (5), გვ. 9.

26 Eur-Lex – the official website of European Union law. Glossary of summaries: *Acquis*. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/acquis.html>> [წვდომის თარიღი 23.04.2024].

27 შეადარე, მაგალითად, *Towards the Enlarged Union – Strategy Paper and Report of the European Commission on the progress towards accession by each of the candidate countries*. Brussels, 9.10.2002 (COM (2002) 700 final); ასევე *Enlargement strategy and main challenges 2008-2009*. Communication from the Commission to the Council and the European Parliament. COM (2008) 674 final, 5 November 2008.

28 შეადარე. Article IV-438 (3-4), *Treaty establishing a Constitution for Europe*. *Official Journal of the European Union*, C 310, 16 December 2004.

რთლებრივ კატეგორიად გამოყენებას. ერთ-ერთი ასეთი მიდგომის თანახმად, *acquis*-ის ცნება სცილდება ევროკავშირის სამართლის ფარგლებს და მოიცავს „ყველა სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც წესრიგდება *EU*-ს დამფუძნებელი ხელშეკრულებებით, მათ შორის მეორადი კანონმდებლობისა და ევროპის კავშირის სასამართლო პრაქტიკის ჩათვლით“.<sup>29</sup> სხვა მიდგომის მიხედვით, ტერმინი *acquis communautaire* აღნიშნავს „ცნებას, რომელიც არა მარტო *EU*-ს სამართლებრივი სისტემისთვის არის დამახასიათებელი, არამედ უფრო ფართო კატეგორიისთვის, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება დამატებულ ან გადახედულ იქნეს წევრი ქვეყნების მიერ“.<sup>30</sup>

ევროკავშირის ოფიციალური მტკიცებით, *acquis communautaire*-ის მოცულობა დაახლოებით 80.000 გვერდია. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2001 წელს ევროპის კომისიის მაშინდელმა პრეზიდენტმა რომანო პროდიმ გაზეთ „Financial Times“-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ასეთი

მოცულობა მიუღებელია და იგი უნდა შემცირდეს 30-35.000 გვერდამდე, თუმცა არ დაუკონკრეტებია, როგორ ან რა გზით.<sup>31</sup> ფაქტია, რომ ამ მიმართულებით სიტუაცია არ გაუმჯობესებულა. მეტიც, ევროპული კვლევითი ცენტრის „Open Europe“-ის<sup>32</sup> შეფასებით, *acquis*-ის მოცულობა სულაც არაა 80 000 გვერდი. ევროკავშირის სამართლებრივი ბაზის Eur-Lex-ის მიხედვით, 1957 წლიდან დღემდე გამოცემული *EU*-ს ყველა აქტის 26% ისევ ძალაშია. აღნიშნულიდან გამომდინარე, „Open Europe“ *acquis communautaire*-ის მოცულობას 170 000 გვერდად აფასებს, საიდანაც 100 000 გვერდი ბოლო 10 წლის განმავლობაში შეიქმნა. მათი გათვლებით, თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, მალე *acquis*-ის მოცულობამ შეიძლება 351 000 გვერდს მიაღწიოს.<sup>33</sup>

ასეა თუ ისე, *acquis communautaire*-ის „80 000-ზე მეტი გვერდი და ამ გვერდების მულტიპლად მზარდი რაოდენობა (რომელიც, ფაქტობრივად, ყველაფერს მოიცავს – კვების პროდუქტების უსაფრთხო-

29 Lasok, K., 2001. Law & Institutions of the European Union. London: Butterworths, გვ. 32. ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი ა. ტოტი (A. Toth) კი *acquis communautaire*-ს განმარტავს როგორც „ევროპის გაერთიანების სამართლებრივ მემკვიდრეობას: წესების, პრინციპების, შეთანხმებების, დეკლარაციების, ხელშეკრულების, პოზიციების, მოსახიბების, მიზნების და პრაქტიკის სისტემას, რომლებიც ევროკავშირის გაერთიანებასთან დაკავშირებული და აღიახებულ იქნა ევროპის გაერთიანების ინსტიტუტებისა და წევრი ქვეყნების მიერ, მათი იუხიდიური ძარის მიუხედავად“ (Toth, A.G., 1990. Oxford Encyclopedia of European Community Law. Oxford: Clarendon Press, vol. 1, გვ. 9).

30 Mortelmans, K., 1996. Community Law: More than a Functional Area of Law, Less than a Legal System. Legal Issues of European Integration. 1(23), გვ. 27.

31 შეადარე. გაზეთი Financial Times, 2001 წლის 26 ივლისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.ft.com>> [წვდომის თარიღი 23 აპრილი 2024].

32 კვლევითი ცენტრი Open Europe. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.openeurope.org.uk>> [წვდომის თარიღი 23.04.2024].

33 თვალსაჩინოებისთვის Open Europe-ას ასეთი მაგალითი მოჰყავს: თუ ავიღებთ *EU*-ს მთელ სამართლებრივ ბაზას 1957 წლიდან, მაშინ, უხეში გამოთვლებით, ის იქნება დაახლოებით 200 კილომეტრი სიგრძის, 44 მეტრი სიმაღლის და ტონაზე მეტი წონის. ასევე შთამბეჭდავია მოქმედი აქტების პარამეტრებიც: შესაბამისად, 50 კილომეტრზე მეტი, 11 მეტრი და 300 კილოგრამი. – შეადარე. Виноградов, А., 2010. Особенности происхождения и содержание правовой категории «acquis communautaire» в праве Европейского Союза. Интернет-журнал «Вся Европа», 6 (45). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://alleuropa.ru/?p=2518>> [წვდომის თარიღი 23.04.2024].



ბიდან დაწყებული ფინანსურ სექტორში კორპორატიულ მმართველობამდე) მოცულობითი მასშტაბის ნორმათა სამართლებრივი და ინსტიტუციური კრებულია, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აფართოებს თავის სრულ გამოყენებას<sup>34</sup>.

Acquis communautaire-ის კონცეფციის შინაარსის ზემოაღნიშნული ანალიზი საშუალებას იძლევა, იგი განსაზღვრულ იქნეს როგორც სამართლებრივი და პოლიტიკური კატეგორია, რომელიც ეფუძნება ევროპის კავშირის არსებობის პროცესში დაგროვილი ნორმების, პრინციპებისა და წესების ერთობლიობის ღირებულების გააზრებას, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს EU-ს კონსტიტუციის მთლიანობას. ტერმინის მკაფიო დეფინიციის არარსებობის მიუხედავად, ეს კონცეფცია ევროკავშირის მართლწესრიგის ქვაკუთხედი, რაც დასტურდება არა მარტო ფუძემდებელ სამართლებრივ აქტებში მისი ასახვით, არამედ იმ ფაქტითაც, რომ პრაქტიკაში ყოველ ჯერზე სწორედ მას მიმართავენ, როდესაც დგება საკითხი კავშირის რაოდენობრივი ან ხარისხობრივი ტრანსფორმაციის შესახებ. ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს კატეგორია არც საჭიროებს მკაფიო ფორმულირებებს, მისი არამდგრადი ხასიათის, ევროპის კავშირში მოქმედი დინამიურად ცვალებადი ნორმებისა და პრინციპების ფართო სპექტრის მოცვის აუცილებლობის გამო.<sup>35</sup> Acquis communautaire-ის კონცეფციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ფაქტობრივად, მისი დაარსების მომენტიდანვე და, სავარაუდოდ, მომავალშიც განაგრძობს ტრანსფორმაციას EU-ს სამართლის განვითარების კვალდაკვალ.

პრაქტიკაში *acquis communautaire*-ის კონცეფცია ძირითადად გამოიყენება:

- 1) ევროკავშირის შიდა სტრუქტურის შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებლობის კონტექსტში როგორც EU-ში ახალი წევრების მიღებისას, ისე თავად კავშირის შიგნით გაძლიერებული თანამშრომლობის შემთხვევაში;
- 2) EU-ს მესამე სახელმწიფოებთან ურთიერთქმედების კონტექსტში.

### 3. ACQUIS COMMUNAUTAIRE-ის კონცეფციის გამოყენების შიდა განზომილება

#### 3.1. Acquis Communautaire ევროპის კავშირში ახალი წევრების მიღებისას

ყველაზე უშუალო გავლენას *acquis*-ის კონცეფციაზე ახდენდა და დღემდე ახდენს ევროკავშირის გაფართოება. როგორც აღინიშნა, მისი გაჩენა უკავშირდება ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ქვეყნების სურვილს, შეინარჩუნონ და დაიცვან ინტეგრაციის მიღწეული ღონე. შესაბამისად, EU-ს გაფართოების კონტექსტში, *acquis communautaire*-ის ცნება მოიცავს მთელ რიგ ნორმებს, პოლიტიკურ პრინციპებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელთა სრული და უპირობო მიღება ევროპის კავშირში გაწევრებისას ახალი წევრების პირდაპირი ვალდებულებაა. ასეთ ვითარებაში კავშირის ახალი წევრები შებოჭილნი არიან ევროკავშირის ყველა ფუძემდებელი ხელშეკრულებით, მათი პრინციპებით, აგრეთვე EU-ს დაარსების მომენტიდან შექმნილი მეორადი სამართლის ნორმებით, რომლებიც

34 Magen, A., 2007. Transformative Engagement through Law: The Acquis Communautaire as an Instrument of EU External Influence. *European Journal of Law Reform*, 9, გვ. 388.

35 შეადარე. იქვე. გვ. 372, ასევე Jorgensen, K.E., 1999. The social construction of the *acquis communautaire*: a cornerstone of the European edifice. *European Integration Online Papers*, 3 (5), გვ. 16.

მათ, ფაქტობრივად, ადრე განწევრებულ ქვეყნებთან ათანაბრებს. გადახვევები ამ ზოგადი წესიდან დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს პირდაპირაა მითითებული ევროკავშირში შესაბამისი სახელმწიფოების განწევრების შესახებ აქტებში.<sup>36</sup> მაგალითად, ევროპის კავშირში ნორვეგიის, ავსტრიის, ფინეთისა და შვედეთის განწევრების პირობების შესახებ აქტი შეიცავს მითითებებს, რომ *acquis communautaire*-ის ზოგიერთი დებულებები არ გავრცელდება შესაბამის ქვეყნებზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში.<sup>37</sup>

*Acquis*-ის კონცეფციის სწორედ ამგვარ გამოყენებაზე საუბრობს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო Hurd-ის საქმეზე მიღებულ თავის ცნობილ გადაწყვეტილებაში: [დიდი ბრიტანეთის] „განწევრების შესახებ ხელშეკრულების მე-3(3) მუხლი *acquis communautaire*-ს, რომელიც ახალმა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გაერთიანებებში მათი განწევრების ძალით, ავრცელებს ყველა დეკლარაციასა თუ რეზოლუციასზე, ან სხვა პოზიციასზე, [...] რომლებიც ევროპის გაერთიანებებს ეხება და წევრი ქვეყნების საერთო თანხმობითაა მიღებული“.<sup>38</sup>

რაც შეეხება *acquis communautaire*-ის რიგებში უშუალოდ სასამართლო გადაწყვეტილებების („სასამართლო *acquis*“-ის) ჩართვის საკითხს, მათ რიცხვს სასამართლოს ნებისმიერი კი არა, მხოლოდ ის გადაწყვეტილებები შეიძლება მიეკუთვნოს, რომლებიც EU-ს მართლწესრიგის საფუძვლებს ეხება და რომელთა აღიარებაზე უარის თქმა ევროპის კავშირის კონსტიტუციისთვის ძირის გამოთხრა იქნებოდა.<sup>39</sup> ერთმანეთისაგან განასხვავებენ სასამართლო *acquis*-ის ორ ქვესახეს – „მატერიალურს“, რომელიც ევროკავშირის ფუნდამენტურ მახასიათებლებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს აერთიანებს და „სტრუქტურულს“, რომელიც გამოიხატება გადაწყვეტილებებში, სადაც სასამართლო გამოთქვამს თავის აზრს ევროპის კავშირის სოციალური და ეკონომიკური წესრიგის თაობაზე.<sup>40</sup>

ზოგიერთი ავტორი სვამს საკითხს *acquis*-ის სტრუქტურაში სპეციალური „სფეროების“ გამოყოფის შესახებ, რომელთაგან თითოეული EU-ს პოლიტიკის ამა თუ იმ მიმართულებას ეხება (როგორებიცაა, კერძოდ, განათლება, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა და მონეტარული

- 36 შუადარე. Gialdino, C., 1995. Some Reflection on the *acquis communautaire*. Common Market Law Review, #32, გვ. 1091. შედეგად, ევროკავშირში განწევრების სტრატეგია პირდაპირ ითვალისწინებს ე.წ. „*acquis*-ის კრიტერიუმს“; კანდიდატი ქვეყნის კავშირში განწევრებამდე სავალდებულოა მის მიერ *acquis communautaire*-ის სრული განხორციელება. მაგალითად, „მოქმედების გეგმა 2000“-ში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ „კანდიდატმა ქვეყნებმა ევროპის კავშირში გაწევრებამდე მაქსიმალურად სიღრმად უნდა განახორციელონ *acquis*.“ (Agenda 2000 – For a stronger and wider Union. Document drawn up on the basis of COM (97) 2000 final, 13 July 1997. Bulletin of the European Union, Supplement 5/97 [European Commission – COM Document], გვ. 44).
- 37 შუადარე. Art. 32, 69, 84, 112. Act concerning the conditions of accession of the Kingdom of Norway, the Republic of Austria, the Republic of Finland and the Kingdom of Sweden and the adjustments to the Treaties on which the European Union is founded. Official Journal of the European Communities, C 241, 29 August 1994.
- 38 Judgement of the European Court of Justice, Hurd v. Jones, 15/01/1986, Case 44/84, § 29.
- 39 შუადარე. Gialdino, C., 1995. Some Reflection on the *acquis communautaire*. Common Market Law Review, 32, გვ. 1098.
- 40 Pescatore, P., 1981. Aspects judiciaires de l'*acquis communautaire*. Revue Trimestrielle de Droit Europeen, 1, გვ. 619–621.

რეგულირება, შიდა ბაზარი, კონკურენცია, გარემო და ა.შ.).<sup>41</sup> მაგალითად, ევროკავშირის შემადგენლობაში აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ახალი ქვეყნების გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოების მეტი მოხერხებულობისთვის *acquis communautaire* დაყოფილ იქნა თავებად (31 თავად). მოგვიანებით EU-ს რიგებში თურქეთისა და ხორვატიის მიღების შესაძლებლობის შესახებ მოლაპარაკებებისას, თავების რაოდენობა 35-მდე გაიზარდა;<sup>42</sup> ამასთან, საგულისხმოა, რომ კავშირში დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნ-

ბის ინტეგრაციის კონტექსტში, ევროპის კომისიის მიერ 2020 წლის 5 თებერვალს წარდგენილი ე.წ. გაფართოების ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, მოლაპარაკებათა პროცესისთვის მეტი დინამიურობის მინიჭების მოტივით, *acquis*-ის ეს თავები ექვს თემატურ ბლოკში (კლასტერში) იქნა დაჯგუფებული.<sup>43</sup> ფაქტობრივად, კავშირის ყოველი ახალი გაფართოება ზრდის *acquis*-ის მოცულობას და მას სულ უფრო მეტად ფორმალისებულ სახეს აძლევს.

*Acquis*-ის კონცეფციაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ინსტიტუციურ (ანუ

41 შეადარე. Jorgensen, K.E., 1999. The social construction of the *acquis communautaire*: a cornerstone of the European edifice. *European Integration Online Papers*, 3 (5), გვ. 11.

42 თავი 1: საქონლის თავისუფალი გადაადგილება; თავი 2: მუშახელის გადაადგილების თავისუფლება; თავი 3: მომსახურების შექმნისა და მისი მიწოდების თავისუფლების უფლება; თავი 4: კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა; თავი 5: სახელმწიფო შესყიდვები; თავი 6: კორპორაციული სამართალი; თავი 7: ინტელექტუალური საკუთრების სამართალი; თავი 8: ანტიმონოპოლიური პოლიტიკა; თავი 9: ფინანსური მომსახურება; თავი 10: საინფორმაციო საზოგადოება და მედია; თავი 11: სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება; თავი 12: სურსათის უვნებლობა, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა; თავი 13: მეთევზეობა; თავი 14: სატრანსპორტო პოლიტიკა; თავი 15: ენერგეტიკა; თავი 16: დაბეგვრა; თავი 17: ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა; თავი 18: სტატისტიკა; თავი 19: სოციალური პოლიტიკა და დასაქმება; თავი 20: მეწარმეობა და სამრეწველო პოლიტიკა; თავი 21: ტრანსევროპული ქსელები; თავი 22: რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია; თავი 23: სასამართლო სისტემა და ძირითადი უფლებები; თავი 24: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება; თავი 25: მეცნიერება და კვლევა; თავი 26: განათლება და კულტურა; თავი 27: გარემო; თავი 28: მომხმარებელთა უფლებები და ჯანმრთელობის დაცვა; თავი 29: საბაჟო კავშირი; თავი 30: საგარეო ურთიერთობები; თავი 31: საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა; თავი 32: ფინანსური კონტროლი; თავი 33: ფინანსური და საბიუჯეტო დებულებები; თავი 34: ინსტიტუტები; თავი 35: სხვა საკითხები (*European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations. Chapters of the acquis.* [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/conditions-membership/chapters-acquis\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/conditions-membership/chapters-acquis_en)> [წვდომის თარიღი 23.04.2024]).

43 კერძოდ, ესენია: 1. ფუნდამენტური საფუძვლები; 2. შიდა ბაზარი; 3. კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა; 4. მწვანე (გარემოსდაცვითი) დღის წესრიგი და მდგრადი კავშირები; 5. რესურსები, სოფლის მეურნეობა და გათანაბრება; 6. საგარეო ურთიერთობები. ამ მხრივ, გამონაკლისია თავი 34 „ინსტიტუტები“ და თავი 35 „სხვა საკითხები“, რომელთა განხილვა ცალკე ხდება (უფრო ვრცლად იხ. *Enhancing the accession process – A credible EU perspective for the Western Balkans*, Communication from The Commission to The European Parliament, The Council, The European Economic and Social Committee and The Committee of The Regions, Brussels, 5 February 2020. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enhancing-accession-process-credible-eu-perspective-western-balkans\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enhancing-accession-process-credible-eu-perspective-western-balkans_en)> [წვდომის თარიღი 23.04.2024]).

ფუნდამენტურ) *acquis*-ს, რომელიც მხოლოდ ევროკავშირის შიდა სტრუქტურას ეხება და მიზნად ისახავს მისი მექანიზმების შენარჩუნებას იმ სახით, როგორც ისინი განმტკიცებულია EU-ს ფუძემდებელ აქტებში, რათა გამოირიცხოს მათი არსებითი ცვლილება წევრი ქვეყნების შემდგომი ქმედებების/გადაწყვეტილებების შედეგად. სწორედ ამ მნიშვნელობით იქნა გამოყენებული ტერმინი „*acquis communautaire*“ მასტრიხტის ხელშეკრულების საბაზისო დებულებებში.

შეიძლება ითქვას, რომ ფუნდამენტური *acquis*: (1) ევროგაერთიანებას ახასიათებს, როგორც წევრი ქვეყნების ეროვნული მართლწესრიგისა და საერთაშორისო სამართლის სხვა ფორმებისგან განსხვავებულ სამართლებრივ წესრიგს; (2) შეიცავს ფუნდამენტურ პრინციპებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსაზღვრავენ გაერთიანების მართლწესრიგის ბუნებას, სტრუქტურასა და მეთოდს; (3) გამოირჩევა კონსტიტუციური სტატუსით, რომელიც განამტკიცებს გაერთიანების ინტეგრაციის უნიკალურ მიღწევებს; (4) არის ხელშეუხებელი და უდაო შინაგანი ბირთვი, რომლის გარეშე თვით ევროპული გაერთიანების ცნება კარგავს თავის ნამდვილად დამოუკიდებელ მნიშვნელობას; (5) ნებისმიერ ფასად უნდა იქნეს დაცული და შენარჩუნებული.<sup>44</sup>

ნიშანდობლივია, რომ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში გადაჭრით აღნიშნავს, რომ „*acquis communautaire*-ის ნებისმიერმა ხელყოფამ ბაზრის ერთიანობის სფეროში [...] შეიძლება დეზინტეგრაციის მექანიზმების ამოქმედების რისკი გამოიწვიოს“.<sup>45</sup>

### 3.2 *Acquis communautaire* გაძლიერებული თანამშრომლობის შემთხვევაში

აღბათ უპრიანია, ამავე კონტექსტში იქნეს განხილული *acquis communautaire*-ის კონცეფციის გამოყენება გაძლიერებული თანამშრომლობის მექანიზმის ფარგლებში. პირველად აღნიშნული მექანიზმი (მაშინ ჯერ კიდევ ტერმინი – „უფრო მჭიდრო თანამშრომლობა“ – გამოიყენებოდა) შემოღებულ იქნა ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებით და იგი ითვალისწინებდა კავშირის რამდენიმე (და არა ყველა) ქვეყნის მიერ ღონისძიებათა გატარებას თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, თუმცა კი ევროკავშირის ფარგლებში და მისი ინსტიტუტების გამოყენებით. ეს მექანიზმი, პირველ რიგში, განიხილებოდა როგორც ერთ-ერთი მიმზიდველი საშუალება ევროპის კავშირისთვის გარკვეული მოქნილობის მისანიჭებლად, რაც განსაკუთრებით აუცილებელი ხდება ჩიხური სიტუაციების დასაძლევად, როდესაც არ არსებობს გამოსავალი, რომელიც EU-ს ყველა წევრისთვის იქნება მისაღები. ამგვარი დიფერენცირებული ინტეგრაციის იდეას ბევრი მომხრე ჰყავდა, რომლებმაც წამოაყენეს სხვადასხვა („ორი სიჩქარის ევროპის“, „ცვალებადი გეომეტრიის ინტეგრაციის“, „კონცენტრირებული წრეების ევროპის“) კონცეფცია, რომლებიც ეფუძნებოდა, ევროკავშირის ფარგლებში ურთიერთშორის ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით, რიგი ქვეყნებისთვის უფრო შორს წასვლის შესაძლებლობის ან სულაც აუცილებლობის შეთავაზებას, – იმის დალოდების გარეშე, თუ როდის შეძლე-

44 შეადარე. Pescatore, P., 1981. Aspects judiciaires de l'acquis communautaire. *Revue Trimestrielle de Droit Europeen*, 1, გვ. 620-621.

45 Judgement of the European Court of Justice, *Commissionnaires Reunis v. Ramel*, 20/04/1978, Joined Cases 80 and 81/77. *European Court Reports* 1978 – 00927, გვ. 947.

ბენ კავშირის დანარჩენი წევრები ერთდროულად და სრულად ან ნაწილობრივ და მოგვიანებით შეერთებას.<sup>46</sup>

ამ იდეების სასარგებლოდ მეტყველებდა ისიც, რომ დე ფაქტო ასეთი თანამშრომლობა უკვე არსებობდა, მათ შორის მასტრიხტის ხელშეკრულების ფარგლებშიც. ყველაზე ცნობილი მაგალითი იყო აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთიან ვალუტაზე გადასვლის მექანიზმი, რომელიც გულისხმობდა არა ყველა ქვეყნის, არამედ მხოლოდ მათი ნაწილის მონაწილეობას (რაც, საბოლოოდ, მოხდა კიდევ 1999 წელს, როდესაც ევროს ზონაში კავშირის 15 წევრიდან 12 მათგანი შევიდა). სხვა მაგალითებად შეიძლება დასახელდეს შენგენის მექანიზმი, რომელშიც, ასევე, EU-ს არა ყველა წევრი ქვეყანა შევიდა, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის უარი სოციალური პოლიტიკის შესახებ ოქმსა და შეთანხმებაში მონაწილეობაზე. ცხადი იყო, რომ ამგვარი მიდგომა გარკვეულ რისკებსაც შეიცავდა კავშირის შესაძლო ფრაგმენტაციის კუთხით. ამიტომაც წევრმა ქვეყნებმა უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა მრავალი სავალდებულო პირობით შემოფარგლეს. ამსტერდამის ხელშეკრულებით კვლავ შემოღებული ევროპის კავშირის შესახებ მასტრიხტის ხელშეკრულების K.15 მუხლი ამგვარი პირობების გრძელ ჩამონათვალს შეიცავდა, რომელთა შორის იყო მოთხოვნაც – „არ ხელყოს *acquis communautaire*“. მოცემულ შემთხვევაში *acquis communautaire* განიხილებოდა როგორც „ინტერესების სხვადასხვა ჯგუფებად“ ევროპის ფრაგმენტაციის ერთგვარი შემზღვეველი.

ნიცის ხელშეკრულებამ ხსენებული მექანიზმის სახელი „გადლიერებული თანამშრომლობით“ შეცვალა და, ამასთან,

ის გარემოებაც გაითვალისწინა, რომ ეს მექანიზმი არცერთხელ არავის მიერ არ გამოყენებულა; შესაბამისად, იგი გაძლიერებული თანამშრომლობის დასაწყებად აუცილებელი ზემოაღნიშნული პირობების შემსუბუქებაზე წავიდა. კერძოდ, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების 43-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, ადრე არსებული მოთხოვნა – „არ ხელყოს *acquis communautaire*“ – შეცვლილ იქნა მოთხოვნით – „პატივი სცეს *acquis communautaire*-ს“. იმისათვის, რათა მოხსნილიყო შესაძლო შიშები გაღრმავებული ინტეგრაციის იმ სახელმწიფოებისთვის თავს მოხვევასთან დაკავშირებით, რომლებიც ჯერჯერობით თავს იკავებენ გაძლიერებულ თანამშრომლობაში მონაწილეობისგან, განსაკუთრებით იქნა დათქმული და შეთანხმებული, რომ გაძლიერებული თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები არ იქნებოდა კავშირის *acquis*-ის ნაწილი. საუბარია მხოლოდ ევროკავშირის რამდენიმე (მაგრამ არა ყველა) ქვეყნის მიერ, გამონაკლისის წესით, უკიდურესი ღონისძიების სახით მიღებულ აქტებზე, როდესაც გაცხადებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია EU-ს ყველა სახელმწიფოს მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელი ხდება ის მიზეზები, რომელთა გამოც ისინი არ განეკუთვნება *acquis*-ს, როგორც ევროპის გაერთიანებისა და კავშირის მიერ დაგროვილ მონაპოვარს, რომელიც რევიზიას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

ლისაბონის ხელშეკრულების რედაქციაში გაძლიერებულ თანამშრომლობას ეძღვნება ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-20 მუხლი და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 326–334-ე მუხლები. გაძლიერებული თანამშრომლობის სამართლებრივ ჩა-

46 შეადარე. Usher, J., 1997. Variable geometry of concentric circles: Patterns for EU. *International and Comparative Law Quarterly*, 46 (2), გვ. 243.

რჩოზე საუბრისას, EU-ს ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 326-ე მუხლი ადგენს, რომ ნებისმიერი „გაძლიერებული თანამშრომლობა უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებებსა და კავშირის სამართალს“.<sup>47</sup> ამსტერდამისა და ნიცის ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, გამოტოვებულია ყოველგვარი მითითება გაერთიანების ან კავშირის acquis-ზე, როგორც გაძლიერებული თანამშრომლობის შესაძლო შემზღვეველზე. მხოლოდ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-20 (4) მუხლი იმეორებს ფორმულას ნიცის ხელშეკრულებიდან იმის თაობაზე, რომ გაძლიერებული თანამშრომლობის პროცედურის ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტები არ არის acquis-ის შემადგენელი ნაწილი; ამით გამორიცხულ იქნა ყოველგვარი შიში გაძლიერებული თანამშრომლობის მექანიზმის მეშვეობით EU-ს შესაძლო ფრაგმენტაციის შესახებ. ფაქტობრივად, ლისაბონის ხელშეკრულება გამიზნულად წავიდა გაძლიერებული თანამშრომლობის დაწყებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების შერბილებაზე, – პირველ რიგში, იმიტომ, რომ ევროკავშირის ფარგლებში რამდენიმე ქვეყნის უფრო მჭიდრო ინტეგრაციის იდეა ძალზე მიმზიდველია. შეიძლება უბრალოდ დამთხვევა იყოს, მაგრამ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე გამოქვეყნდა ცნობა, რომ EU-ს 10 ქვეყანას სურდა, სწორედ გაძლიერებული თანამშრომლობის ფარგლებში მიეღო რეგლამენტი განქორწინებების თაობაზე, რომელიც ტრანსსასაზღვრო განქორწინებებისას გამოსაყენებელი სამართლის შესახებ მთელი კავშირისთვის

ერთიან ფორმულას გაითვალისწინებდა. ამ რეგლამენტის მიღება ევროკავშირის დონეზე შვედეთის მიერ იქნა დაბლოკილი. ამის შემდეგ 10-მა ქვეყანამ განაცხადა, რომ აღნიშნული რეგლამენტის მიღება გაძლიერებული თანამშრომლობის მექანიზმის მეშვეობით სურდათ, რის გამოც, ნებართვის მისაღებად EU-ს საბჭოსა და ევროპარლამენტს მიმართეს, როგორც ამას ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება ითხოვს.<sup>48</sup> საბოლოო ჯამში, ევროკავშირის საბჭოს მიერ 2010 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა რეგლამენტი, რომელიც ადგენს გაძლიერებულ თანამშრომლობას განქორწინებისა და მეუღლეთა სასამართლო წესით გაყრისას გამოსაყენებელი სამართლის სფეროში.<sup>49</sup> ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა EU-ს არსებობის ისტორიაში გაძლიერებული თანამშრომლობის პროცედურა იქნა განხორციელებული.

#### 4. ACQUIS COMMUNAUTAIRE მესამე სახელმწიფოებთან ევროპის კავშირის ურთიერთობებში

ევროკავშირის ტრანსფორმაციული მისწრაფებები, რომლებიც მიმართულია EU-ს არაწევრ სახელმწიფოებზე და გამოხატულია ორმხრივ, ასევე რეგიონულ სტრუქტურებთან შეთანხმებებში, მოიცავს ამ (მესამე) ქვეყნებთან ოფიციალური ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებას, აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს რეგულირების განვითარებისთვის თვა-

47 Official Journal of the European Union, C 83, 30 March 2010, გვ. 189.

48 შეადარე. European Commission. Press Release, IP/10/347. European Commission goes ahead with 10 countries to bring legal certainty to children and parents in cross-border marriages. Brussels, 24 June 2010.

49 Council Regulation (EU) N1259/2010 of 20 December 2010 implementing enhanced cooperation in the area of the law applicable to divorce and legal separation. Official Journal of the European Union, L 343, 29.12.2010, გვ. 10–16.

ლყურის მიღვენებას, ამ სახელმწიფოებზე ეკონომიკის, პოლიტიკისა და სოციალური ურთიერთობების საკითხებში EU-ს გავლენის დასადგენად. მაგალითად შეიძლება დასახელდეს მრავალრიცხოვანი მოლაპარაკებები მესამე ქვეყნებთან ევროპის კავშირის შეთანხმებების, მათ შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის, ასევე სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებების შემუშავების თაობაზე;<sup>50</sup> შეთანხმებები, რომლებიც კანდიდატი ქვეყნების მიერ EU-ში მოქმედი მოდელის ეტაპობრივ მიღებას ითვალისწინებენ.

თუმცა *acquis communautaire*-ის განსახილველი ნაირსახეობა სცილდება იმ პროცედურების ფარგლებს, რომლებიც ევროკავშირის შემადგენლობაში ახალი ქვეყნების მიღებას უსწრებს წინ. არცთუ იშვიათად კავშირი დაინტერესებულია მის ფარგლებში შემუშავებული მოდელების (განვითარებული დემოკრატია, დია ბაზარი, მმართველობის სტრუქტურები და უსაფრთხოების მექანიზმები) სულ უფრო ფართო „ექსპანსიით“ იმ სახელმწიფოებში, რომლებიც უახლოეს მომავალში არ აპირებენ კავშირის შემადგენლობის შევსებას.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს ევროკავშირის ურთიერთობათა მაგალითები კვიპროსთან, მალტასთან (მათ მიერ EU-ს წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებამდე), აფრიკის სახელმწიფოებთან, კარიბის აუზის ქვეყნებთან, თურქეთთან, ასევე სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ამ ტიპის *acquis communautaire* აქტიურად გამოიყენება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში, რადგან იგი ისეთ საკითხთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც სრულად და განხილვის გარეშე უნდა იქნას მიღებული და გაზიარებული მესამე სახელმწიფოების მიერ, თუკი მათ ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევა სურთ.

*Acquis communautaire*-ის ასეთი საგარეო მიმართულების საფუძველი და მიზეზები შეიძლება შემდეგი ფაქტორებით აიხსნას: პირველი, ესაა ევროკავშირის სურვილი, გაატაროს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები და ხელი შეუწყოს მათ მიღწევას ევროპის კავშირში მიღებული წესრიგის ზომიერი „თავსმოხვევის“ მეშვეობით; მეორე კი, EU-ს ფარგ-

50 ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ EU-სა და მესამე ქვეყნებს შორის ასოცირებისა და პარტნიორობის შესახებ შეთანხმებათა უმეტესობა შეიცავს ე.წ. „დებულებებს კანონმდებლობის დაახლოების შესახებ“, რომლებიც პირდაპირ ითვალისწინებს მესამე ქვეყნების კანონმდებლობის დაახლოებას *acquis communautaire*-სთან. მაგალითად, ევროკავშირსა და ბალკანეთის ქვეყნებს შორის გაფორმებულ სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებებში (ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მსგავსი შეთანხმება დაიდო 2008 წლის 16 ივნისს, ხორვატიასთან – 2001 წლის 29 ოქტომბერს (გაუქმდა, როდესაც ეს უკანასკნელი 2013 წელს EU-ს წევრი გახდა), ჩრდილოეთ მაკედონიასთან – 2004 წლის 9 აპრილს, ალბანეთთან – 2006 წლის 12 ივნისს)) „დებულებები კანონმდებლობის დაახლოების შესახებ“ ითვალისწინებს კანონმდებლობის დაახლოების ორეტაპიან პროცესს. ამ პროცესის პირველი ეტაპი მიზნად ისახავს ბალკანეთის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას EU-ს „შიდა ბაზრისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში *acquis*-ის გარკვეულ ფუნდამენტურ ელემენტებთან“ (იხ. სტაბილიზაციისა და ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროპის კავშირსა და ჩრდილოეთ მაკედონიას შორის, მუხ. 68). მოცემულ შემთხვევაში *acquis*-ის წარმატებული „ნებაყოფლობითი“ განხორციელება არის ბალკანეთის ქვეყნებიდან ევროკავშირში საქონლისა და სერვისების ხელმისაწვდომობის ლიბერალიზაციის საკვანძო წინაპირობა (შეადარე. Cremona, M., 1998. The European Union as an international actor: The issues of flexibility and linkage. *European Foreign Affairs Review*, 3, გვ. 86).

ლებში შექმნილი და მოქმედი სქემების გავრცელება მესამე ქვეყნებზე, კავშირის შიგნით მათი წარმატებული ფუნქციონირების წყალობით, როგორც ერთგვარი სტანდარტისა, რომლის დაცვაც აუცილებელია, როგორც მისაბაძი ეფექტიანი მაგალითისა.

მსგავსი მიდგომის ყველაზე ცნობილი მაგალითია 1992 წელს პორტოში ევროპის ეკონომიკური სივრცის (შემდგომში – „EEP“) შექმნის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც დაიღო, ერთი მხრივ, ევროპის გაერთიანებასა და მის 12 წევრ ქვეყანას და, მეორე მხრივ, ავსტრიას, ფინეთს, ისლანდიას, ლიხტენშტეინს, ნორვეგიას, შვედეთსა და შვეიცარიას – იმ მომენტისთვის ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (შემდგომში – „EFTA“) წევრებს – შორის.

ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის მიზნით, EFTA-ს წევრი ქვეყნები დათანხმდნენ, თავიანთი კანონმდებლობა, ყოველგვარი დათქმისა თუ პირობების გარეშე, შესაბამისობაში მოეყვანათ გაერთიანების ნორმებსა და წესებთან. ამიტომაც, რომ EEP-ის შესახებ შეთანხმების ბევრი დებულება იმეორებს ევროპის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების პირობებს საქონლის, მუშახელის, კაპიტალის და მომსახურების გადაადგილების თავისუფლებისა და კონკურენციის რეგულირებასთან დაკავშირებით.<sup>51</sup> EU-ს „მეორად“ სამართალთან მიმართებით ისინი შეიცავენ მითითებებს მრავალრიცხოვან ოქმებსა და შეთანხმების დანართებზე; – საუბარია გაერთიანების დაახლოებით 1500 ნორმატიულ აქტზე (არა

მარტო ერთიანი ბაზრის, არამედ მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ასევე სოციალური პოლიტიკის გარემოსდაცვითი მიმართულების სფეროში), რომლებზეც უნდა იყვნენ ორიენტირებული EFTA-ს წევრი ქვეყნები და სათანადო ცვლილებები შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში. შეთანხმება უფრო შორს წავიდა და დაადგინა, რომ მისი ნორმები, თუ ისინი არსებითად ევროპის გაერთიანების შესაბამისი წესების იდენტურია, განმარტებულ უნდა იქნეს ამ წესებთან დაკავშირებულ დავებზე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ EEP-ის შესახებ შეთანხმების დადებამდე მიღებული გადაწყვეტილებების ანალოგიურად.<sup>52</sup> ფაქტობრივად, „EEP-ის შექმნის შესახებ უკიდურესად რთულმა შეთანხმებამ, არსებითად, დააფიქსირა EFTA-ს წევრი ქვეყნების აბსორბცია გაერთიანების შიდა ბაზარში [...] და დაახლოვა ის, რომ EFTA-ს წევრი ქვეყნები გაერთიანების წევრებად ექცია ხმის უფლების გარეშე“.<sup>53</sup> ისევე, როგორც EU-ს გაფართოების შემთხვევაში, კავშირის საკვანძო ნორმებისა და წესების, ასევე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის ფაქტობრივი გადმოღება უნდა იყოს სრული და უპირობო. „მაშინაც კი, როცა გამოთქმა „*acquis communautaire*“ შეთანხმების არცერთ დებულებაში არ გვხვდება, EFTA-ს წევრი ქვეყნების მიერ ამ *acquis*-ის მიღების იდეა შექმნილი მატერიალური და ინსტიტუციური სისტემის გულია“.<sup>54</sup> ამასთან, თავად ტერმინს მაინც შეიძლება წავაწყდეთ მუალედურ შეთანხმებებში, რომლებიც, და-

51 შეადარე. Gialdino, C., 1995. Some Reflection on the *acquis communautaire*. *Common Market Law Review*, 32, გვ. 1103.

52 შეადარე. Goebel, R.J., 1995. The European Union grows: The constitutional impact of the accession of Austria, Finland and Sweden. *Fordham International Law Journal*, #18, გვ. 1107.

53 იქვე. გვ. 1107.

54 Delcourt, C., 2001. The *acquis communautaire*: has the concept had its day? *Common Market Law Review*, #38, გვ. 849.



ლაში შესვლის მომზადების მიზნით, დადებულია წერილების გაცვლის ფორმით, სადაც საუბარია „გაერთიანების *acquis*-ის შესწავლაზე EEP-ის შესახებ შეთანხმების კონტექსტში“.<sup>55</sup>

*Acquis*-ის კონცეფციის საგარეოპოლიტიკური გამოყენების კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ხელშეკრულება ენერგეტიკული თანამეგობრობის (შემდეგში – „EC“) შექმნის შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა ათენში 2005 წლის 25 ოქტომბერს, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და, მეორე მხრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს (ალბანეთი, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი) შორის. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლში პირდაპირაა გაცხადებული, რომ ენერგეტიკული თანამეგობრობის საქმიანობა მოიცავს „ხელშეკრული მხარეების მიერ *acquis communautaire*-ის დანერგვას ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, კონკურენციისა და განახლებადი ენერჯის წყაროების სფეროებში“.<sup>56</sup> ხელშეკრულების მე-2 კარი კი ზუსტად განსაზღვრავს კავშირის რომელი სამართლებრივი აქტების იმპლემენტაციას მოახდენენ მხარეები, დასახული მიზნების მისაღწევად და ჩამოთვლილია EU-ს კონკრეტული რეგლამენტები და დირექტივები, რომლებიც მიეკუთვნება *acquis*-ს ენერგეტიკის სფეროში და ხელშეკრულებაში ნახსენებ *acquis*-ის სხვა სახეებს: *acquis*-ს გარემოსდაცვით სფეროში, *acquis*-ს კონკურენციის საკითხებთან მიმართებით, *acquis*-ს განახლებადი ენერჯის წყაროებთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ კონკურენციის სფეროში *acquis*-ის ქვეშ გაგებულია არა მარტო ევროპის გაერთიანების შექმნის შესახებ ხელშეკრულების შესა-

ბამისი დებულებები (მუხ. 81-82 და 87), არამედ მათი გამოყენების პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმებიც (იხ. ხელშეკრულება EC-ის შექმნის შესახებ, მუხ. 18, პუნქტი 2). EC-ის შექმნის შესახებ ხელშეკრულების 94-ე მუხლი ცალსახად ადგენს, რომ ენერგეტიკული თანამეგობრობის ინსტიტუტები ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ნებისმიერ ტერმინს ან კონცეფციას, რომელიც ევროპის გაერთიანების სამართლიდან გამომდინარეობს, განმარტავენ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. თუ ასეთი სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს, მაშინ გაერთიანების მინისტრთა საბჭომ უნდა გასცეს შესაბამისი მითითებები ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, მაგრამ მათ „არ შეიძლება წინასწარ გადაწყვიტონ *acquis communautaire*-ის ნებისმიერი ინტერპრეტაცია, რომელიც შემდგომში ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთდება“.

დაბოლოს, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკისა და, ზოგადად, „EU-სთვის *acquis communautaire* დიდი უპირატესობაა, როგორც ინსტრუმენტი, რომლის მასშტაბი, ტრაექტორია და ინტერპრეტაცია მთლიანად და ექსკლუზიურად ევროკავშირის ხელში რჩება“.<sup>57</sup>

55 შეადარე. Official Journal of the European Communities, L 1/546–547, 3 January 1994.

56 შეადარე. Official Journal of the European Union, L 198/18, 20 July 2006.

57 Magen, A., 2007. Transformative Engagement through Law: The *Acquis Communautaire* as an Instrument of EU External Influence. *European Journal of Law Reform*, 9, გვ. 387.

## 5. ტერმინის „AQUIS“ გამოყენება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ

ბოლო პერიოდში შეინიშნება ტერმინის „acquis“ გამოყენების საინტერესო ტენდენცია, რაც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ ევროკავშირთან) ოფიციალურ დოკუმენტებში მის გამოყენებაში გამოიხატება. მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (შემდეგში – „OECD“) თავის „სტრატეგიაში გაფართოებისა და მზარდი დაფარვის შესახებ“ აქტიურად იყენებს ტერმინს „OECD acquis“, აღნიშნულ ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების პირობებთან მიმართებით; ამასთან, ხსენებული ტერმინის ქვეშ მოიაზრება კანდიდატი სახელმწიფოების მზადყოფნა, მიიღონ ამ ორგანიზაციის შიდა აქტების მთელი კომპლექსი.<sup>58</sup>

ოღნავ განსხვავებული აქცენტი აქვს მინიჭებული ტერმინს „acquis“ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (შემდეგში – „WTO“) სააპელაციო ორგანოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც „GATT-WTO acquis“ განიხილება როგორც ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმებისა (შემდეგში – „GATT“) და WTO-ს სამართლის სფეროში დაგროვებული ნორმების ერთობლიობა, ასევე „GATT-WTO-ს სისტემის ფარგლებში არსებული სამართლებრივი ისტორია და გამოცდი-

ლება“, სახელმწიფოებს შორის სავაჭრო დავებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ჩათვლით.<sup>59</sup>

აღნიშნულ ტერმინს იყენებს ასევე ევროპის საბჭოც (საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც არაა დაკავშირებული ევროკავშირთან) და ეს ტერმინი ამ შემთხვევაში გამოყენებულია უშუალოდ ევროპის საბჭოს მიღწევების აღსაწერად: „ევროპის საბჭოს *acquis* დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროებში სტანდარტების დადგენის საქმიანობაში განხილულ უნდა იქნეს როგორც მნიშვნელოვანი ეტაპები ევროპული პოლიტიკური პროექტის რეალიზაციის გზაზე, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი აღიარებულ უნდა იქნეს ნებისმიერი მომავალი არქიტექტურის საკვანძო სასამართლო ელემენტად“.<sup>60</sup>

ფაქტობრივად, მომსწრენი ვართ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონკრეტული ტერმინის „სესხებისა“, რომელიც EU-ს წიაღში იშვა და დიდი ხნის განმავლობაში ექსკლუზიურად სწორედ მასთან ასოცირდებოდა. შესაბამისად, „acquis“ საზოგადო ტერმინად იმკვიდრებს თავს საერთაშორისო სამართალსა და პრაქტიკაში და, როგორც წესი, გულისხმობს, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ან სახელმწიფოთა მიერ ერთობლივად წარმოებული პოლიტიკის ფარგლებში დაგროვილი ნორმების, პოლიტიკური პრინციპებისა და სასამართლო გადაწყვე-

58 შეადარე. The Organization for Economic Co-operation and Development (OECD) (2004). A Strategy for Enlargement and Outreach. Report by the Chair of the Heads of Delegation Working Group on the Enlargement Strategy and Outreach, Ambassador Seiichiro Noboru. OECD, 13 May 2004.

59 შეადარე. The World Trade Organization (WTO) Appellate Body Report, Japan – Taxes on Alcoholic Beverages (“Japan – Alcoholic Beverages II”), WT/DS8/AB/R, WT/DS10/AB/R, WT/DS11/AB/R, adopted 1 November 1996, Dispute Settlement Reports 1996:I, 97.

60 Section 12, Parliamentary Assembly of the Council of Europe Resolution 1290 (2002) – Future co-operation between European institutions. Text adopted by the Parliamentary Assembly on 26 June 2002 (21st Sitting).

ტილებების ერთობლიობას, რომლის შენარჩუნება-განვითარება საჭიროა ამ ორგანიზაციის ან ამ პოლიტიკის მიზნების მიღწევის ინტერესებისთვის.

## დასკვნა

Acquis communautaire-ის კონცეფცია EU-ს მომავალთან, მის გაფართოებასა და გაღრმავებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების განუყოფელ ნაწილად იქცა. იგი კავშირის პოლიტიკური და სამართლებრივი წესრიგის არსსა და უნიკალურ მიღწევებს აღნიშნავს და წარმოადგენს სხვადასხვა პრინციპების, წესებისა და ნორმების, მათ შორის „არანორმატიული“ წყაროების ერთობლიობას, რომლებიც დაგროვილია ევროკავშირში და ექვემდებარება სავალდებულო შენარჩუნებას მისი საქმიანობისა და შემდგომი განვითარების პროცესში. Acquis-ის კონცეფცია აქტიურად და ეფექტიანად გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

1) მოლაპარაკებებისა და ევროპის გაერთიანებების (კავშირის) გაფართოების პროცესისას, რაც დაწყებულ იქნა 1972 წელს დიდი ბრიტანეთის, ირლანდიისა და დანიის ევროგაერთიანებაში გაწევრებით, როდესაც პირველად იქნა აღიარებული acquis communautaire-ის როლი, ხოლო მისი აქტუალურობა განსაკუთრებით ევროპის კავშირის 27 წევრამდე მკვეთრი გაფართოების შემდეგ გაიზარდა;

2) ევროკავშირში მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებებისას (ასეთი იყო, მაგალითად, მაასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებით დაწყებული ევროპული გაერთიანებების ტრანსფორმაცია ევროპის კავშირად). სწორედ ამას უკავშირდება acquis communautaire-ის გაჩენა მაასტრიხტის ხელშეკრულების რამდენიმე ფუნდამენტურ მუხლში, სადაც acquis-ის ერთ-ერთი ძირითადი ამო-

ცანა ევროპის გაერთიანებიდან ევროპის კავშირზე მწყობრი გადასვლის უზრუნველყოფა იყო, ინტეგრაციის მიღწეული ღონის შენარჩუნებით;

3) EU-ს წევრი ქვეყნების ჯგუფის მიერ გაძლიერებული თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენებისას, როცა ისინი ატარებენ ღონისძიებებს, რომლებსაც ევროკავშირის დანარჩენი წევრები არ ეთანხმებიან ან არ არიან მზად მათ მისაღებად. ამ შემთხვევაში acquis გამოიყენება კავშირის უფრო განვითარებულ და ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებად ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად;

4) მესამე სახელმწიფოებთან ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისას, როდესაც კავშირის ამა თუ იმ acquis-ის სავალდებულო და სრული იმპლემენტაცია EU-ს პარტნიორი ქვეყნების მიერ ამ სახელმწიფოებთან ევროკავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთ მთავარ პირობად ცხადდება. Acquis-ის კონცეფციის ამგვარი გამოყენების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია შეთანხმება ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ და ხელშეკრულება ენერგეტიკული თანამეგობრობის შექმნის შესახებ.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ acquis communautaire-ის ცნება ორი განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება და ორ განსხვავებულ მიზანს ემსახურება: პირველი მიმართულია EU-ს „შიდა წესრიგისადმი“, რომელიც ევროპის გაერთიანებებისგან მემკვიდრეობით მიღებულ მონაპოვარს წარმოადგენს და მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ევროინტეგრაციის შიდა გენეტიკური კოდის შენარჩუნებას; მეორე კი უკავშირდება მესამე ქვეყნებთან „ტრანსფორმაციული ურთიერთქმედების“ კონცეფციას, რომლის მიზანია EU-ს საგარეო ნორმების შემუშავება და მისი ინტერესების ხელშეწყობა საზღვარგარეთ.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე, ლ., 2010. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი: საგამომცემლო სახლი ინოვაცია.
2. გაბრიჩიძე, გ., 2023. ევროპის კავშირის სამართალი. მეორე გამოცემა. თბილისი: ნიუ ვიკენ უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. მირიანაშვილი, გ., 2022. ევროპის კავშირის სამართალი. პირველი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი.
4. ოპერმანი, თ., კლასენი, კ. დ. და ნუთესჰაიმი, მ., 2020. ევროპული სამართალი: სასწავლო სახელმძღვანელო. მე-8, განახლებული გამოცემა, 2018, თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).
5. ჰაჰვა, ი., 2017. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები. თბილისი.
6. Cagiano de Azevedo, R., Paparusso, A. and Vaccaro, M., 2013. Sovereignty and *acquis communautaire*: the new borders of the European Union. *L'Europe en Formation*, 2 (368), გვ. 189-195.
7. Fjølstul, J. C., 2019. The evolution of European Union law: A new data set on the *Acquis Communautaire*, *European Union Politics*, 20 (4), გვ. 670-691.
8. Grabbe, H., 2002. European Union Conditionality and the “*Acquis Communautaire*”. *International Political Science Review*, 23 (3), გვ. 249-268.
9. Miller, V., 2011. The EU's *Acquis Communautaire*. House of Commons Library Standard Note SN/IA/5944. 26 April 2011. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/SN05944/SN05944.pdf>> [წვდომის თარიღი 23.04.2024].
10. Stephen, J. S. and Sampson, A. B., 2003. *Acquis Communautaire and European Exceptionalism: A Genealogy*. ACES Working Paper 2003. 1 July 2003. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://aei.pitt.edu/8961/1/2003.1.pdf>> [წვდომის თარიღი 23.04.2024].
11. Барциц, В. И., 2019. Право Европейского союза и “*acquis communautaire*”. Государственная служба, 2, გვ. 81–86.
12. Петров Р. А., 2011. Транспозиция “*acquis*” Европейского Союза в правовые системы третьих стран: Монография. Киев: Издательство “Истина”.
13. Исполинов, А.С., 2010. Концепция *acquis communautaire* в праве Европейского Союза. Вестник Московского университета, Серия 11: Право, 5, гв. 68-88.
14. Кашкин, С. Ю., “Ред.,” 2016. Право Европейского Союза: В 2 томах. Т. 1: Общая часть: Учебник для бакалавриата и магистратуры. М.: Юрайт .
15. Хартли, Т. К., 1998. Основы права Европейского Сообщества. Введение в конституционное и административное право Европейского Сообщества (перевод с англ. и научная редакция В. Г. Бенды). М.: ЮНИТИ, Закон и право, Будапешт.

### ნორმატიული მასალა:

1. Projet de traite instituant l'Union Europeenne. Bulletin des Communautés européennes #2, Février 1984, გვ. 8-26.
2. Final Communique of the Conference of Heads of Government or State on 1–2 December 1969 at the Hague. Third General Report on the activities of the Community. *European Yearbook*, Volume 17. The Hague, 1969.
3. Commission of the European Communities, Fifth General Report on the activities of the Community. 1971. *European Yearbook*, Volume 19. The Hague, 1971, გვ. 355–508.
4. Single European Act, signed at Luxembourg on 17 February 1986. *Official Journal of the European Communities*, L 169, 29 June 1987.
5. Treaty on European Union, signed at Maastricht on 7 February 1992. *Official Journal of the European Communities*, C. 191, 29 July 1992.
6. Treaty of Amsterdam amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts. *Official Journal of the European Communities*, C 340, 10 November 1997.
7. Annex to the Protocol integrating the Schengen *acquis* into the framework of the European

- Union. Official Journal of the European Communities, C 340/93, 10 November 1997.
8. Treaty of Nice amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts, signed at Nice, 26 February 2001. Official Journal of the European Communities, 2001/C 80/01, 10 March 2001.
  9. Treaty establishing a Constitution for Europe. Official Journal of the European Union, C 310, 16 December 2004.
  10. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, signed at Lisbon, 13 December 2007. Official Journal of the European Union, C 306, 17 December 2007.
  11. Eur-Lex – the official website of European Union law. Glossary of summaries: Acquis. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/acquis.html>> [წვდომის თარიღი 23.04.2024]
  12. Towards the Enlarged Union – Strategy Paper and Report of the European Commission on the progress towards accession by each of the candidate countries. Brussels, 9.10.2002 (COM (2002) 700 final).
  13. Enlargement strategy and main challenges 2008-2009. Communication from the Commission to the Council and the European Parliament. COM (2008) 674 final, 5 November 2008.
  14. Agenda 2000 – For a stronger and wider Union. Document drawn up on the basis of COM (97) 2000 final, 13 July 1997. Bulletin of the European Union, Supplement 5/97 [European Commission – COM Document].
  15. Act concerning the conditions of accession of the Kingdom of Norway, the Republic of Austria, the Republic of Finland and the Kingdom of Sweden and the adjustments to the Treaties on which the European Union is founded. Official Journal of the European Communities, C 241, 29 August 1994.
  16. European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations. Chapters of the acquis. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/conditions-membership/chapters-acquis\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/conditions-membership/chapters-acquis_en)> [წვდომის თარიღი 23.04.2024]
  17. Council Regulation (EU) N1259/2010 of 20 December 2010 implementing enhanced co-operation in the area of the law applicable to divorce and legal separation. Official Journal of the European Union, L 343, 29.12.2010, გვ. 10–16.
  18. The Energy Community Treaty, signed at Athens, 25 October 2005. Official Journal of the European Union, L 198/18, 20 July 2006.
  19. The Organization for Economic Co-operation and Development (OECD) (2004). A Strategy for Enlargement and Outreach. Report by the Chair of the Heads of Delegation Working Group on the Enlargement Strategy and Outreach, Ambassador Seiichiro Noboru. OECD, 13 May 2004.
  20. Section 12, Parliamentary Assembly of the Council of Europe Resolution 1290 (2002) – Future co-operation between European institutions. Text adopted by the Parliamentary Assembly on 26 June 2002 (21<sup>st</sup> Sitting).

#### სასამართლო პრაქტიკა:

1. Judgement of the European Court of Justice, *Commissionaires Reunis v. Ramel*, 20/04/1978, Joined Cases 80 and 81/77. European Court Reports 1978 – 00927.
2. Judgement of the European Court of Justice, *Hurd v. Jones*, 15/01/1986, *Case 44/84*.
3. The World Trade Organization (WTO) Appellate Body Report, *Japan – Taxes on Alcoholic Beverages (“Japan – Alcoholic Beverages II”)*, WT/DS8/AB/R, WT/DS10/AB/R, WT/DS11/AB/R, adopted 1 November 1996, Dispute Settlement Reports 1996:I, 97.

**BIBLIOGRAPHY:****Used Literature:**

1. Aleksidze, L., 2010. Modern International Law. Tbilisi: Publishing House Innovation". (in Georgian)
2. Gabrichidze, G., 2012. European Union Law. Second edition. Tbilisi: New Vision University Publishing House. (in Georgian)
3. Mirianashvili, G., 2022. European Union Law. First Part. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
4. Oppermann, Th., Classen, C. D. and Nettesheim, M., 2020. European Law: A Textbook. 8th, updated edition, 2018, Tbilisi. (in Georgian)
5. Papava, I., 2017. Legal Basis of the Functioning of the European Union: Fundamental Acts and Comments. Tbilisi. (in Georgian)
6. Cagiano de Azevedo, R., Paparusso, A., Vaccaro, M., 2013. Sovereignty and *acquis communautaire*: the new borders of the European Union. *L'Europe en Formation*, 2 (368), pp. 189-195. (in English)
7. Fjelstul, J. C., 2019. The evolution of European Union law: A new data set on the *Acquis Communautaire*, *European Union Politics*, 20 (4), pp. 670-691. (in English)
8. Grabbe, H., 2002. European Union Conditionality and the "*Acquis Communautaire*". *International Political Science Review*, 23 (3), pp. 249-268. (in English)
9. Miller, V., 2011. The EU's *Acquis Communautaire*. House of Commons Library Standard Note SN/IA/5944. 26 April 2011. [Online] available at: <https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/SN05944/SN05944.pdf> [Accessed 23.04.2024]. (in English)
10. Stephen, J. S. and Sampson, A. B., 2003. *Acquis Communautaire* and European Exceptionalism: A Genealogy. ACES Working Paper 2003. 1 July 2003. [Online] available at: <https://aei.pitt.edu/8961/1/2003.1.pdf> [Accessed 23.04.2024]. (in English)
11. Bartsits, V.I., 2019. European Union law and "*acquis communautaire*". *Gosudarstvennaya sluzhba*, 2, pp. 81-86. (in Russian)
12. Ispolinov, A.S., 2010. Concept of the *acquis communautaire* in law of the European Union. Moscow: University Bulletin. Series 11: Law, 5, pp. 68-88. (in Russian)
13. Kashkin, S. Y., "Ed.", 2016. Law of the European Union: In 2 volumes. Volume 1: General part: Textbook for Undergraduate and Graduate Courses. Moscow: Yurayt Publishing House. (in Russian)
14. Petrov, R.A., 2011. Transposition "*Acquis*" of the European Union into the Legal Systems of Third Countries. Kiev: Publishing house Istina. (in Russian)
15. Hartley, T. K., 1998. The Foundations of European Community Law: An Introduction to the Constitutional and Administrative Law of the European Community. Moscow-Budapest. (in Russian)

**Normative Materials:**

1. Draft treaty establishing the European Union. Bulletin of the European Communities N2, February 1984, pp. 8-26. (in French)
2. Final Communiqué of the Conference of Heads of Government or State on 1-2 December 1969 at the Hague. Third General Report on the activities of the Community. *European Yearbook*, Volume 17. The Hague, 1969. (in English)
3. Commission of the European Communities, Fifth General Report on the activities of the Community. 1971. *European Yearbook*, Volume 19. The Hague, 1971. pp. 355-508. (in English)
4. Single European Act, signed at Luxembourg on 17 February 1986. *Official Journal of the European Communities*, L 169, 29 June 1987. (in English)
5. Treaty on European Union, signed at Maastricht on 7 February 1992. *Official Journal of the European Communities*, C. 191, 29 July 1992. (in English)
6. Treaty of Amsterdam amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts. *Official Journal of the European Communities*, C 340, 10 November 1997. (in English)
7. Annex to the Protocol integrating the Schengen *acquis* into the framework of the European Union. *Official Journal of the European Communities*, C 340/93, 10 November 1997. (in English)

8. Treaty of Nice amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts, signed at Nice, 26 February 2001. Official Journal of the European Communities, 2001/C 80/01, 10 March 2001. (in English)
9. Treaty establishing a Constitution for Europe. Official Journal of the European Union, C 310, 16 December 2004. (in English)
10. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, signed at Lisbon, 13 December 2007. Official Journal of the European Union, C 306, 17 December 2007. (in English)
11. Eur-Lex – the official website of European Union law. Glossary of summaries: Acquis. [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/acquis.html>> [Accessed 23.04.2024]. (in English)
12. Towards the Enlarged Union – Strategy Paper and Report of the European Commission on the progress towards accession by each of the candidate countries. Brussels, 9.10.2002 (COM (2002) 700 final) (in English)
13. Enlargement strategy and main challenges 2008-2009. Communication from the Commission to the Council and the European Parliament. COM (2008) 674 final, 5 November 2008. (in English)
14. Agenda 2000 – For a stronger and wider Union. Document drawn up on the basis of COM (97) 2000 final, 13 July 1997. Bulletin of the European Union, Supplement 5/97 [European Commission – COM Document]. (in English)
15. Act concerning the conditions of accession of the Kingdom of Norway, the Republic of Austria, the Republic of Finland and the Kingdom of Sweden and the adjustments to the Treaties on which the European Union is founded. Official Journal of the European Communities, C 241, 29 August 1994. (in English)
16. European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations. Chapters of the acquis. [Online] available at: <[https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/conditions-membership/chapters-acquis\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/conditions-membership/chapters-acquis_en)> [Accessed 23.04.2024]. (in English)
17. Council Regulation (EU) N1259/2010 of 20 December 2010 implementing enhanced co-operation in the area of the law applicable to divorce and legal separation. Official Journal of the European Union, L 343, 29.12.2010, pp. 10–16. (in English)
18. The Energy Community Treaty, signed at Athens, 25 October 2005. Official Journal of the European Union, L 198/18, 20 July 2006. (in English)
19. The Organization for Economic Co-operation and Development (OECD) (2004). A Strategy for Enlargement and Outreach. Report by the Chair of the Heads of Delegation Working Group on the Enlargement Strategy and Outreach, Ambassador Seiichiro Noboru. OECD, 13 May 2004. (in English)
20. Section 12, Parliamentary Assembly of the Council of Europe Resolution 1290 (2002) – Future co-operation between European institutions. Text adopted by the Parliamentary Assembly on 26 June 2002 (21st Sitting). (in English)

#### Judicial Practice:

1. Judgement of the European Court of Justice, *Commissionnaires Reunis v. Ramel*, 20/04/1978, Joined Cases 80 and 81/77. European Court Reports 1978 – 00927. (in English)
2. Judgement of the European Court of Justice, *Hurd v. Jones*, 15/01/1986, *Case 44/84*. (in English)
3. The World Trade Organization (WTO) Appellate Body Report, *Japan – Taxes on Alcoholic Beverages (“Japan – Alcoholic Beverages II”)*, WT/DS8/AB/R, WT/DS10/AB/R, WT/DS11/AB/R, adopted 1 November 1996, Dispute Settlement Reports 1996:I, 97. (in English)

# კანონის აღიქვამის როლი მედიის დაცვასა და შეზღუდვაში

## ია მახარაძე

ფილოსოფიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ასოცირებული პროფესორი (საქართველო)

ელ.ფოსტა: [ia.makharadze@gmail.com](mailto:ia.makharadze@gmail.com)

### აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია დაეყრდნობა დასავლური მედიის პრაქტიკას: თანამედროვე დემოკრატიული მმართველობის პირობებში მედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა შემდეგი რა ძირითადი ფაქტორებია განპირობებული. სტატიაში განხილული და გამოკვლეულია საკანონმდებლო აქტების, წესებისა და რეგულირების არსებობა; საბაზრო ურთიერთობის პირობებში მედიის მართვა; მედიის მწარმოებელთა პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა. თანამედროვე საზოგადოებაში პოსტიდუსტრიალიზაციამ, ახალმა ტექნოლოგიებმა და გლობალიზაციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა როგორ შესძინეს მედიის წარმოების სამართლებრივ საჭიროებებს. სტატიის მიზანია ქართული და საერთაშორისო სამართლის გამოყენებით გამოკვლევით და გავიშვით: როგორც არ არსებობს აბსოლუტური თავისუფლება შეზღუდვების გარეშე, ასევე პასუხისმგებლობის არსებობა შეუძლებელია თავისუფლების გარეშე. ამ ნაშრომში, სადაც მედიის სამართლებრივ და ეთიკურ კატეგორიებზე ვიმსჯელებთ, კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს ინტერდისციპლინარული სამეცნიერო წყაროები და ლიტერატურა წარმოადგენს. შევისწავლეთ დისკუსიები მედიის მხრიდან იურიდიულ დარღვევებზე, ჟურნალისტების უფლებების დაცვის ფაქტებსა და მათი მუშაობის სიმართლისა და სამართლიანობის პრინციპით წარმართვაზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სტატიაში წარმოდგენილი პრობლემის წარმოქმნის უნარი იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტს შეეხება. დამოუკიდებელ, თავისუფალ მედიას ესაჭიროება სახელმწიფოსა და მედია მფლობელის მხრიდან ჩაურევლობა. მედიაში სიტყვის თავისუფლებამ დემოკრატიულობის მაღალი შედეგი აჩვენა, ისევე, როგორც თავისუფალმა მედიამ შეუმჩნევლად გაათავოთ უფლებათა სამართალი, რომელიც დარწმუნების უფლებასაც მოიცავს. სტატიაში წარმოდგენილი კვლევის შედეგები შეიძლება ქართულ მედიაში პროდუქციის წარმოების ხარისხის მსაზღვრელი იყოს. თანამედროვე მედიისთვის სამართლებრივი უზრუნველყოფა საიმედო საფუძველია მისი განვითარებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** სიტყვის ძალა, მედიის დაცვის საზღვრები, თავისუფალი აზრი, პასუხის უფლება



# ADEQUACY OF LAW IN MEDIA PROTECTION AND RESTRICTION

Ia Makharadze

*Doctor of Philosophy, Associate Professor of the Faculty of Humanities Educational Bachelor's (Program of Journalism) at Georgian National University SEU (Georgia)*

Email: [ia.makharadze@gmail.com](mailto:ia.makharadze@gmail.com)

Ia Makharadze

## Abstract

This article is based on the practice of Western media: the following main factors determine the freedom and independence of the media under the modern democratic governance: the existence of legislative acts, rules and regulations is discussed and explored in the article; the management of the media under market conditions; the professionalism and responsibility of media producers. In modern society, post-industrialization, new technologies and globalization have given particular importance to how the legal needs of media production are addressed. The purpose of the article is to highlight and reiterate on the bases of Georgian and international law: just as there is no absolute freedom without restrictions, so there is no responsibility without freedom. In this paper, where we discuss the legal and ethical categories of media, the methodological basis of the research is provided by interdisciplinary scientific sources and literature. We've studied the discussions about the violation of the law from the media, the facts of protecting journalists' rights and the principles of truth and fairness in their work. The results of the study showed that the problem-solving ability of the article is so pervasive that it affects almost every aspect of the professional activities of journalists. An independent, free media needs to be free from the involvement of the state and media owners. Freedom of speech in the media has demonstrated a high democratic score, just as a free media has unmistakably expanded the range of rights, which includes the right to believe. The results of the research presented in the article can be a benchmark for the quality of production in the Georgian media. For the modern media, the rule of law is a reliable foundation for its development.

**KEYWORDS:** The power of speech, Limits on media protection, Free speech, Right to reply

## შესავალი

**თემის აქტუალობა:** მედიის თავისუფლების სამართლებრივი ნორმატიული განზომილება ციფრულ ეპოქაში ისე ჩანს, თითქოსდა ამ სფეროდან სერიოზული სამართლებრივი საკითხები გამოძვებულია. რასაც შეიძლება მედიის საჯარო ცხოვრების მორალური გამოფიტვა ეწოდოს. ეს პრესის ძველი იდეაა, რომ გამონათქვამის თავისუფლების დოქტრინას მიაკუთვნებენ ყველაზე დაცულ იურიდიულ კატეგორიას, რომელსაც გარკვეული აკრძალვები არ ეხება. ეს ტენდენცია ავითარებს მედიის თავისუფლების კონცეფციის ისტორიის შესწავლის თეორიულ პერსპექტივას და ბუნებრივ მორალურ პრინციპებს ეფუძნება. როგორ შეიძლება მორალი წარმატებულად მოერგოს ჩვენი დროის მედიის წინააღმდეგობრივ სამართლებრივ გამოწვევებს? ციფრულ ხანაში მედიის ველზე აზრის გამონათქვამის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით. მედიას ნორმატიური ფუნქციონირებისთვის ორი პირობა ესაჭიროება: აზრის გამონათქვამისა და ინფორმაციის მისაწვდომლობის თავისუფლება. მათი უზრუნველყოფა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, ესენია: კომერციული, სამართლებრივი, ეთიკური და პოლიტიკური.

**მეცნიერული სიახლე:** ნაშრომში ტერმინი „მედიის თავისუფლება“ ასახავს იდეას, რომლის მიხედვითაც მედიის თავისუფლება ისეთივე ავტონომიური არაა, როგორც მედიის თეორიებში უნდა ვეძიოთ. სხვადასხვა პოლიტიკურ რეჟიმებში მუდმივად ემორჩილება პოლიტიკას, რელიგიასა და სოციალურ ურთიერთობებს. გადაცემათა შინაარსის პოლიტიკური კონტროლი მის თავისუფლებას ახშობს. ეს მედიის ტრადიციული ფუნქციაა, როგორც პროპაგანდაა. პროპაგანდა მედიამკვ-

ლევრების შეფასებით ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს და მისი, როგორც „მეოთხე ხელისუფლების“ მოხსენიება დიდწილად ამითაა განპირობებული. ავტორიტარულ რეჟიმებში პროპაგანდა ერთი მიმართულებით წარმართება წამყვანი იდეოლოგიის დამკვიდრებისთვის. ნაშრომის მეცნიერული სიახლე ნათელ წარმოდგენას შექმნის, რომ მედიის თავისუფლება საზოგადოების სუვერენიტეტის აუცილებელი შედეგია, პოლიტიკურ მოვლენებსა და ადამიანის ყველა აზრზე გავლენას ახდენს.

**კვლევის საგანი:** სიტყვის თავისუფლებისა და ინფორმაციის მობილიზების ისტორიის კვლევაა, რომელიც ძველი ეპოქების ხანიდან ხასიათდება, ვიდრე ციფრული მედია იმ სტანდარტებს დაადგენდა, რომლებიც ინფორმაციის მოპოვებისა და სანდოობის კონკრეტულ ნორმატივებს განსაზღვრავენ. დემოკრატიულ სისტემებში მრავალი მიმართულებისა და მიზნის შემცველია. გარდა ზემოხსენებულისა, სიტყვის თავისუფლება მასმედიაში ისეთი მნიშვნელოვანი როლითაა გამორჩეული, როგორცაა – განათლება. მედიის დახმარებით მოსახლეობა იძენს ცოდნას მისთვის უცნობ ან ნაკლებად ცნობილ მოვლენებსა თუ საკითხებზე. მედია მოწოდებულია, მომხმარებელს ინფორმაცია მიაწოდოს მიმდინარე და საზოგადოდ საინტერესო საკითხებზე: პოლიტიკაზე, მეცნიერებაზე, კულტურის სფეროებზე, ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაზე. დღეს ხალხს მედიის პლატფორმებზე საჯარო კრიტიკისა და მსჯელობის ფართო საშუალება როგორ მიეცა და დისკუსიები უფრო აქტიური გახადა. მაგრამ, ამავე დროს, გაზარდა მედიის მიერ ფაქტების დამახინჯების, მცდარი ინფორმაციის გავრცელების, მანიპულაციისა და თავისუფალი მედიის სხვა ფუნქციების არასწორად შესრულების საფრთხეები.

**კვლევის მიზნები და ამოცანები: სტატიამი განვიხილავთ შემდეგ დამკვიდრებულ მიდგომებს მედიის თავისუფლებასა და სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე:**

- სიტყვისა და მედიის თავისუფლების ძირეულ საფუძველს ინფორმაციის ღიაობა და თავისუფლება წარმოადგენს;
- თავისუფლების სამართლებრივი ნორმების დაცვის წინაპირობის განსაზღვრა როგორც ზრდის მედიის ღირებულებას;
- დემოკრატიულ ქვეყნებში ფორმალური სამართლებრივი ჟურნალისტური განათლება ხელს როგორ უწყობს გამოკვეთილი პროფესიული იდენტობის დამკვიდრებას;
- მედიის პროფესიული კულტურის განვითარების პროცესზე ჟურნალისტური ორგანიზაციებისა და ანგარიშვალდებულების სისტემების თვითრეგულირებამ დიდი გავლენა როგორ მოახდინა.

**კვლევის მეთოდები:** სტატიამი გამოყენებულია აღწერილი მეთოდი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ანტიკურ ეპოქასა და გლობალურ საზოგადოებაში გასაცნობად სტრუქტურულ და ფუნქციონალურ მიდგომებთან კავშირში. გამოყენებულია პრაგმატული მიდგომა, კონკრეტულად სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრებებისა და მიდგომების კომბინაცია საკუთარი მოსაზრების ფორმირების პროცესში. ამ კონტექსტში საჭიროა გამოკვეთოთ და გავითვალისწინოთ მედიაში სამართლებრივი რეგულაციების შესწავლის ძირითადი კატეგორიები, როგორცაა: 1. მკვლევრების მიერ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული თეორიები; 2. კვლევის აპრობირებული, დახვეწილი მეთოდები; 3. ახალი მიგნებები, რომელთა შედეგებით მკვლევრები იძუ-

ლებული ხდებოდნენ, თავიანთი თეორიები შეეცვალათ ან სულაც უარი ეთქვათ საკუთარი კვლევის იდეასა და ანალიზზე; 4. ზოგადად მედიის კვლევებმა მასობრივ კომუნიკაციებში სამართლებრივი პროცესის, მედიაპროდუქტის წარმოებასა და საზოგადოებაზე გავლენის თანამედროვე გაგებაში დიდი წვლილი შეიტანეს. შედეგად, ყოველდღიურ ჟურნალისტურ პრაქტიკაში გამოიყენება სამართლებრივი მრავალი თეორია თუ კონცეფცია, რომლებიც ერთმანეთთან ცოცხალ კავშირშია და გამუდმებით განიცდის ურთიერთგავლენას. ბოლო პერიოდის კვლევით დგინდება, რომ ჟურნალისტური პრაქტიკის განზოგადებული შედეგები თეორიის ორგანული ნაწილი ხდება და ამავე დროს ახალ მიმდინარეობას ქმნის. მედიაში სამართლებრივი რეგულაციის გავლენის ემპირიული კვლევა თავად მედიის განვითარებას ბევრად ჩამორჩება.

## 1. ჟურნალისტიკის კანონის მნიშვნელობა და დანიშნულება

მედიის წარმოება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივ და ეთიკურ რეგულაციებს. ამ რეგულაციების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია პიროვნებებისა და მათი უფლებების დაცვა. მედიის ნდობის კრიზისი, რომელიც დამახასიათებელია მთელი გლობალური საზოგადოებისთვის, აიძულებს მედიას, შექმნან საზოგადოებრივი ჟურნალისტიკა. ეს წარმოადგენს მცდელობას, ყურადღება მიაპყრონ და თავად შექმნან ინტერესი ამა თუ იმ აქტუალური პრობლემის მიმართ, მოახდინონ მოქალაქეების დარაზმვა განსაზღვრული საკითხის გადასაწყვეტად. ნდობის კრიზისთან დაკავშირებით, მედიის ყოველდღიურ საქმიანობაში სულ უფრო მეტ მნიშვნელო-

ბას იძენს ისეთი კატეგორია, როგორცაა: სამართალი და ეთიკა. ამ დარგების მედიის საქმიანობაში ჩართვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჟურნალისტებისთვის, არამედ აგრეთვე მომხმარებლებისთვის. აუდიტორია მეტად მგრძობიარეა, როდესაც ეთიკა და სამართალი ირღვევა. მით უფრო, გასათვალისწინებელია, რომ ხშირად მედია – პროდუქციის წარმოებისას ეთიკა და სამართალი გადაჯაჭვულია ადამიანის უფლებების დაცვასთან. ჟურნალისტური ფუნქციიდან გადახვევის საფრთხეების დაცვისთვის განსაზღვრული სამართლებრივი სისტემაა მიღებული მედიის ეფექტიანი რეგულირებისთვის.

შვედეთი პირველი ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, რომელმაც საჯაროობისა და პრესის თავისუფლების პრინციპები ჩამოაყალიბა. 1978 წლის შვედეთის კონსტიტუცია ცნობს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლებასა და მედიის თავისუფლებას. შვედეთის ისტორიის გარკვეულ პერიოდებში ეს პრინციპები უგულებელყოფილი იყო. თუმცა ისტორიის განმავლობაში უმეტესწილად შვედეთი მოძრაობდა სამართლებრივი სისტემისკენ, რომელიც უპირატესობას პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეების მონაწილეობას ანიჭებდა. ინფორმაციის თავისუფლებას ამ მიზნის მიღწევის მნიშვნელოვან ღირებულებად მიიჩნევდა, რაც მედიის განვითარების ხელსაყრელ წინაპირობას ქმნიდა. მედიის თავისუფლებას ჩრდილოეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც შედარებით ადრე ჩაეყარა საფუძველი: ნორვეგიაში – 1814 წლიდან, ნიდერლანდებში – 1815 წლიდან, დანიაში – 1848 წლიდან. ბელგიამ პრესის თავისუფლება 1831 წლის კონსტიტუციით აღიარა და 1848 წელს ბრი-

ტანეთზე მცირე ხნით ადრე, ე.წ. ცოდნის გადასახადი გააუქმა. 1867 წელს პრესის თავისუფლებამ ავსტრიამდე და გერმანიამდე მიაღწია. ამ ქვეყნებში კონფლიქტი პრესასა და სახელმწიფო ცენზურას შორის 1874 წლამდე ჩვეული პრაქტიკა იყო: ბისმარკის დროს Reichspressegesetz-მა (პრესის იმპერიული კანონი) ადრეული ცენზურა გააუქმა და ნაციონალური გაზეთების შექმნა შესაძლებელი გახდა. ამ საკანონმდებლო ცვლილებებმა პრესის მზარდი ტენდენცია განავითარა. აღსანიშნავია, რომ გაზეთების ტირაჟების ზრდა საბაზრო ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ნაციონალური სახელმწიფოს დამსახურებაც იყო. პირველი გამოცემა CORANTOS-ი თანამედროვე გაზეთების წინამორბედები ურბანულ ზონებში დაფუძნდა და გავრცელდა. ამსტერდამი პირველი ქალაქი იყო, სადაც ასეთი „კორანტო“<sup>1</sup> 1602 წელს გამოიცა. შემდგომ ეს კიოლნი, ფრანფურტსა და ანტვერპენშიც გავრცელდა. ეს ქალაქები ევროპის მთავარი სავაჭრო გზების სარტყელში მდებარეობდნენ და საზოგადოებების მოთხოვნა არა მარტო ეკონომიკურ და კომერციულ ინფორმაციაზე იყო მაღალი, არამედ პოლიტიკურზეც, რადგან პოლიტიკას შეეძლო ვაჭრობაზე დიდი გავლენა მოეხდინა. გერმანიაში პირველი პერიოდიკა, ანუ Messrelationen მეთექვსმეტე საუკუნეში დაფუძნდა. მასში იმ დროის უმნიშვნელოვანესი მოვლენები იყო მიმოხილული. თუმცა პირველი რეგულარული გამოცემა 1609 წელს ვოფენბულტელსა Aviso და სტრასბურგში Relation – იყო.<sup>2</sup>

- 1 პირველი საინფორმაციო ბიულეტენი ინგლისურ ენაზე 1620 წელს, ამსტერდამში დაიბეჭდა და ინგლისში გაიგზავნა.
- 2 ჰელინი, დ. და მანჩინი, ა., 2015. მედიის სისტემების შედარება. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 191.

## 2. თავისუფალი სიტყვა კერძო და საჯარო სფეროში

21-ე საუკუნის დასაწყისში ჩვენ წინაშე მდგარი მედიის სამართლებრივი საკითხების მოხაზულობა დიდად განსხვავდება იმათგან, რომლის პირისპირაც ლიბერალური მოაზროვნეები ორი საუკუნის წინ იდგნენ. მაგალითად, ადრინდელი ლიბერალი მოაზროვნეებისთვის პირადი და გამომხატვის თავისუფლებისთვის მთავრი გამოწვევა სახელმწიფოსგან მომავალი საფრთხე იყო: ადამიანის უფლება სახელმწიფო ძალაუფლების გადამეტებული გამოყენებისგან დაცული იყო. ადრეულმა ლიბერალმა მოაზროვნეებმა ნაგულისხმევად მიიჩნიეს, კერძო მედიის მეწარმობა აზრის გამომხატვის თავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა. მათი მოსაზრებით, აზრისა და შეხედულებების თავისუფალი გამოთქმა პრაქტიკულად შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მედიის ინსტიტუციები სახელმწიფოსგან დამოუკიდებლები იქნებოდნენ და განთავსებული იქნებოდნენ კერძო სფეროში, სადაც მინიმალურად შეუზღუდებოდათ ქმედება: ტრადიციული ლიბერალური თეორიით, თვითდინებაზე მიშვების მიდგომა ეკონომიკურ აქტივობაზე აზრისა და გამომხატვის პირადი თავისუფლების ბუნებრივი დანამატი იყო.<sup>3</sup> ადრეული ლიბერალი მოაზროვნეების ხედვით, მოდერნული დემოკრატიული საზოგადოებისთვის სუვერენიტეტისა და ანგარიშვალდებულებების ბუნებრივი ჩარჩო ტერიტორიულად მოსაზღვრული

ერი-სახელმწიფოთი განისაზღვრებოდა.<sup>4</sup> სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერები ანგარიშვალდებულები იყვნენ საკუთარი მოქალაქეების წინაშე, სახელმწიფო უზენაესი და დამოუკიდებელი ხელისუფალი იურისდიქციის ტერიტორიაზე იყო.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის და ამ ძალაუფლების ერთადერთი წყარო ხალხია.<sup>5</sup> ადამიანის უფლებები მუდმივ კავშირშია მედიის განვითარებასთან, სიტყვის თავისუფლებასთან<sup>6</sup>. ინდუსტრიულ დემოკრატიათა უმეტესობაში იდეოლოგიის საწყისები ანტიკური ეპოქის ებრაულ და ბერძნულ ცივილიზაციებში უნდა ვეძებოთ. იგი სახელმწიფო მმართველობის გარკვეული ფორმაა. ანტიკურ ათენში ადამიანებმა შექმნეს პოლიტიკური სისტემა, რომელიც დღემდე ერთ-ერთ სამაგალითო ფორმადაა აღიარებული.

დიდგვაროვანმა რეფორმატორმა კლისტენემ ძვ.წ. 508/7 წლებში დაადგინა პირდაპირი მმართველობის ფორმა. ამ მმართველობამ თითქმის ორას წელს გასტანა. ალექსანდრე მაკედონელმა ათენი 338 წელს დაიპყრო და ეს პოლიტიკური წყობაც დაამხო. დღეს დამკვიდრებული საპარლამენტო დემოკრატიისგან (არაპირდაპირი) განსხვავებით, სადაც ამომრჩეველი თავის წარმომადგენელს პარლამენტში გზავნის საკანონმდებლო ინიციატივების წარსადგენად, ანტიკური ათენური „პირდაპირი“ დემოკრატიის პირობებში ხალხი თვითონ განაგებდა საკუთარ თავს. საკრებულოს (ekklesia) წინაშე ინიციატივის წარდგენა მოქმედ (athenaion ho boulomenos – „არააკრძალულ“ ათე-

3 Bourdieu, P., 1990. The Logic of Practice. Cambridge: Polity Press. გვ. 53.

4 Clifford, G., 1983. Local Knowledge: Further Essays in Interpretive Anthropology USA: New York: Basic Books, გვ. 20.

5 ჭორბენაძე, ს., ბახტაძე, უ. და მაჭარაძე, ზ., 2014. მედიასამართალი. თბილისი: ქოლორი, გვ. 52.

6 მახარაძე, ი., 2004. მასმედია და ადამიანის უფლებები. კრიტიკური, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 11-12, გვ. 129.

ნელს) მოქალაქესაც შეეძლო. ეს სტატუსი გულისხმობდა მორალური ღირებულებების მატარებელ ადამიანს. ის მხილებული არ უნდა ყოფილიყო: სამხედრო კანონის დარღვევაში, მემკვიდრეობით მიღებული ქონების გაფლანგვაში, მშობლებისადმი უპატივცემულობაში, სხეულით ვაჭრობაში.<sup>7</sup> კანონი რიგით ათენელს სახელმწიფო მმართველაში მონაწილეობის მიღებას არ ავალდებულებდა. დემოკრატიის იდეოლოგია მოქალაქეთა პოლიტიკურ აქტიურობას მოითხოვდა. საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ ათენის პოლიტიკურ ველზე ორატორობაში გაწვრთვნილი უმცირესობა დომინირებდა. პოლიტიკური უმრავლესობა ორატორისთვის განკუთვნილ ტრიბუნაზე არასოდეს ადიოდა. ათენის მოქალაქეები პოლიტიკური აქტივობის კონტექსტში სამ ჯგუფად იყოფოდნენ: პირველი კატეგორია – პასიური მოქალაქეები – სცენაზე არასოდეს ჩანდნენ და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობას არ იღებდნენ; მეორე – მოქალაქეთა დაწინაურებული ფენა – საკრებულოს სხდომებს ესწრებოდა, გამომსვლელებს უსმენდა და კენჭისყრაში მონაწილეობდა; მესამე – პოლიტიკურად აქტიურ ჯგუფი – ათენელთა მცირე წარმომადგენლობით. მათ იდეები შემოჰქონდათ, დებატებში განიხილავდნენ და ადგენდნენ საკანონმდებლო აქტებს. საზოგადოების ეს კატეგორია ათენის „პოლიტიკურ ელიტას“ ეკუთვნოდა. დებატებში განიხილავდა საკანონმდებლო აქტებს.<sup>8</sup>

დღეს ეს დამკვიდრებული თავისთავად ნაგულისხმევ თეზისებად არ უნდა მივიღოთ. მედიაორგანიზაციების მსხვილმასშტაბიან კომერციულ კონცერნებად გადაქცევა

გამონატვის თავისუფლებას სულ უფრო მძაფრად შეუქმნა ახალი საფრთხე: საფრთხე, რომელიც მომდინარეობს არა სახელმწიფო ძალაუფლების გადაჭარბებიდან, არამედ მედიაორგანიზაციების, როგორც კომერციული კონცერნების, შეუზღუდავი ზრდიდან. მედიაკვლევარ ჯონ თოპსონის შეფასებით: „ეკონომიკურ აქტივობაზე თვითდინებაზე მიშვებული მიდგომა არ გახლავთ გამონატვის თავისუფლების საუკეთესო გარანტი, რაკი არარეგულირებული ბაზარი შესაძლოა იმგვარად განვითარდეს, რაც სინამდვილეში ამცირებს მრავალფეროვნებას და ზრუდავს ადამიანთა უმრავლესობის უნარს, ხმამაღლა განაცხადონ საკუთარი თვალსაზრისი“. დასავლეთის ქვეყნებში საგაზეთო ინდუსტრიის ისტორია მრავალფეროვნების კლების ამ წესის საკმაო თვალსაჩინოობას გვაწდის. მაგალითად, ბრიტანეთში მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში სრული ტირაჟის ზრდას გამოცემული დასახელებების რიცხვის შემცირება მოჰყვა და სულ უფრო მეტმა რესურსმა მსხვილი მედიაკონგლომერატების ხელში მოიყარა თავი. 1950 – იანი წლებიდან საერთო ტირაჟის კლების კვალდაკვალ უფრო ინტენსიური გახდა კონკურენცია დარჩენილ გაზეთებს შორის. ამის შედეგად ბაზრიდან გაქრა დასახელებები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ საკმარისად დიდ ტირაჟს ან საკმარის შემოსავალს გამოცემის ხარჯების დასაფარად. თვითდინებაზე მიშვებული ბაზარი ყოველთვის ვერ აძლიერებს მრავალფეროვნებასა და პლურალიზმს კომუნიკაციის სფეროში. ინდუსტრიის სხვა სფეროების მსგავსად, მედიაინდუსტრიაც უმეტესად

7 Makharadze, I., 2023. Freedom of Speech, and Expression in Ancient Times and in a Global Society. Batumi: Jean Monnet Chair “The European Union’s fundamental values: Democracy, Rule of Law and Protection of Human Rights”. Democracy, Rule of Law, and Protection of Human Rights in the European Union, გვ. 107.

8 ჰარტი, ჰ. ლ. ა., 2010. ამორალობა და ღალატი. თბილისი: სამართლის ფილოსოფია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 94.

შემოსავლიანობისა და კაპიტალის დაგროვების ლოგიკით წარმართება, ხოლო შემოსავლიანობის ლოგიკისა და მრავალფეროვნების კულტივაციას შორის არაა აუცილებელი კორელაცია არსებობდეს.<sup>9</sup>

შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორება „სიტყვის თავისუფლების გარანტიას იძლევა“, მაგრამ იმას, რა ტიპის სიტყვაა დაცული ამ შესწორებით, ბოლო 200 წლის განმავლობაში სასამართლოები წყვეტენ და ეს პრაქტიკა დღესაც ასეა დამკვიდრებული. დოქტრინის თანახმად, კომერციული სიტყვა, სიტყვის სხვა ფორმებისგან განსხვავებით, პირველი შესწორებით არაა დაცული. მთავრობას შეუძლია თავის მარეგულირებელ ზედამხედველობას დაუქვემდებაროს პროდუქტებისა და მომსახურების: 1. ყალბი; 2. დამაბნეველი; 3. შენიღბული; 4. უკანონო პოპულარიზაცია. სასამართლოებმა ასევე დაადგინეს, რომ საინფორმაციო ბიულეტენები, ბროშურები და პოპულარიზაციის სხვა საშუალებები, რომლებიც პროდუქტის ან მომსახურების გაყიდვას ისახავს მიზნად, სწორედ კომერციული სიტყვაა. სხვა სფეროს განეკუთნება სიტყვა, რომელიც კორპორაციულ სიტყვად იწოდება. რობერტ კერი – ცნობილი წიგნის ავტორი – „კორპორაციული სიტყვის უფლებები: „მობილ-ოილი“ და დიდ ბიზნესის ხმის სამართლებრივი განვითარება“ – განმარტავს კორპორაციულ სიტყვას, როგორც „კორპორაციების მედიააქტივობას პოლიტიკურ შედეგებზე ან სოციალურ კლიმატზე ზეგავლენის მოსახდენად, რაც სრულიად განსხვავდება კომერციული პროდუქტებისა და მომსახურების პოპულარიზაციის მიზნისგან“. სასამართლოებმა უმეტესწილად ცნეს კორპორაციებისა და სხვა ორგანიზაციების უფლება, გამოთ-

ქვან საკუთარი შეხედულება საჯარო პოლიტიკაზე, წარმოდგენილ კანონპროექტსა და ბევრ სხვა საკითხზე, რომლებიც საზოგადოებას ან კორპორაციას ეხება. ორგანიზაციები ხშირად გამოთქვამენ საკუთარ აზრს საგაზეთო სვეტში, გამომცემლისადმი მიწერილ წერილებში, ვებგვერდებზე გამოქვეყნებულ მასალებსა და საინფორმაციო ბიულეტენებში. უზენაეს სასამართლოში განხილულმა რამდენიმე საგულისხმო შემთხვევამ ხელი შეუწყო თავისუფალი კორპორაციული სიტყვის ცნების დამკვიდრებას. მაგალითად, 1978 წელს სასამართლომ აღკვეთა მასაჩუსეტსის შტატის იმ კანონის მოქმედება, რომელიც უკრძალავდა კორპორაციებს, გამოეთქვათ საკუთარი აზრი ფარული კენჭისყრის საკითხებზე. 1980 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ ნიუ-იორკის კომუნალური მომსახურების საწარმოთა კომისიის დადგენილება, რომელიც კომუნალური მომსახურების საწარმოებს უკრძალავდა გამოეთქვათ საკუთარი შეხედულება საჯარო პოლიტიკაზე წინააღმდეგობრივი და არაკონსტიტუციური იყო. 6 წლის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ კალიფორნიის კომუნალური მომსახურების საწარმოთა კომისიას არ ჰქონდა უფლება, „ფი-ჯი-ენდ-ისგან“ (PG&E) მომხმარებლებთან მიმოწერაში აქტივისტ მომხმარებელთა ჯგუფებისგან მიღებული შეტყობინების ჩართვა მოეთხოვა. საწარმოს განცხადებით, ასეთი შეტყობინების მიმოწერაში ჩართვა (თანდართული რეკლამა) ზღუდავს კომპანიის უფლებას, საკუთარი შეტყობინებების გამოყენებით დაამყაროს ურთიერთობა მომხმარებელთან.<sup>10</sup>

ჟურნალისტიკა მუშაობს ინდუსტრიაში, სადაც მასობრივი წარმოება ნორმაა. უმეტეს შემთხვევაში ჟურნალისტები არ

9 თოპსონი, ბ. ჯონი., 2014. მედია და მოდერნულობა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 299.

10 უილკოქსი, დ. ლ. და კამერონი, გ. ტ., 2011. საზოგადოებასთან ურთიერთობა. თბილისი: დიოგენე, გვ. 324.

ფლობენ წარმოების საკუთარ საშუალებებს, არამედ დიდი კორპორაციების მიერ დაქირავებული თანამშრომლები არიან. გარკვეული თვალსაზრისით ჟურნალისტიკის პროფესიონალიზაცია სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც ამ სივრცეში დაქირავებული ჟურნალისტი შემოვიდა და ჟურნალისტიკის პროფესია გამომცემლის ან პოლიტიკოსის/მფლობელის ცნებებს გამოეყო. ჟურნალისტებს იშვიათად უცდიათ და თითქმის არასოდეს მიუღწევიათ მედია ორგანიზაციების სრული კონტროლის უფლებისთვის. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ჟურნალისტები წარმატებით აღწევდნენ შედარებით ავტონომიას ორგანიზაციაში:

1. ჟურნალისტიკაში სამუშაო პროცესის კონტროლი კოლეგიურ ხასიათს ატარებს და ჟურნალისტებზე გავლენა დიდწილად კოლეგა ჟურნალისტების დამოუკიდებლობით განისაზღვრება (ავტონომიურობაში ინდივიდუალური ჟურნალისტიკის დამოუკიდებლობა კი არა, ჟურნალისტური კორპუსის, როგორც ერთი მთლიანის, ავტონომიურობა იგულისხმება).

2. განსაზღვრული პროფესიული ნორმები, რომლებიც ცხოვრების გარკვეულ წესთან, ეთიკის კოდექსებთან, პიროვნების გაცნობიერებულ იდენტობასთან და გარე ბარიერებთან მიმართებაში ჰორიზონტალურადაა ორგანიზებული.<sup>11</sup> ჰორიზონტალური ორგანიზების მნიშვნელოვანი შემადგენელია პროფესიისთვის დამახასიათებელი განსაზღვრული ნორმების არსებობა, რომელთაც პროფესიის შიგნით იზიარებენ. მაგალითად, ციფრულ ხანაში აშშ-ის თანამედროვე, პროგრესული მედია ორგანიზაციები მხარს უჭერენ დაქირავებულ ჟურნალისტთა სიტყვის თავისუფლებას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. დამქი-

რავებლების ეს ტენდენციები მქდავანდება მედიაპროდუქციის მომზადებისა და გაშუქებისას კომენტარის გაკეთებასა და მათ მიერ კრიტიკული აზრის გამოთქმამდე კი. დაქირავებულ თანამშრომელთა გაზეთებისა და ელექტრონული ბიულეტენების ბევრი საბჭო გამომცემლებს აწვდის დაქირავებულთა წერილებს, რათა დამკვიდრდეს ორმხრივი კომუნიკაციის ჯანსაღი ატმოსფერო და კომპანიის პუბლიკაციები უფრო დამაჯერებელი იყოს. ციფრული კომუნიკაციისა და გახშირებული სასამართლო დავების ხანაში ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად აკვირდებიან და ითვალისწინებენ იმას, რასაც მათი დაქირავებული თანამშრომლები ამბობენ ონლაინ ფორმატით.<sup>12</sup>

3. მედიის უნივერსალური კანონები და თანამედროვე ცენზურა ინფორმაციის თავისუფლების ბევრი პრობლემა, რომლებიც ახლად შექმნილ დემოკრატიულ ქვეყნებში დგება, ხშირად განპირობებულია არა იმდენად მთავრობის მეცდომებით, როგორც თვით მედიის წარმომადგენლების დაბალი კვალიფიკაციითა და შესაძლებლობებით. ხშირია ფაქტები, როდესაც ჟურნალისტები გამოთქვამენ და ავრცელებენ უპასუხისმგებლო იდეებს, რომლებიც სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს ართულებს. ამ პროცესში სასარგებლოა ჟურნალისტების რესურსცენტრების შექმნა, სემინარებისა და სხვა მსგავსი შეხვედრების მოწყობა, რომელთა მიზანია, ასწავლოს ჟურნალისტებს, ოფიციალურ პირებსა და პოლიტიკოსებს ის, თუ როგორ ითანამშრომლონ და რა კავშირები, მიმართებები დაამყარონ ერთმანეთთან. მაგალითად, აშშ-ში შექმნილია ამ მოდელის მედია ორგანიზაციებში წარმოებული რესურსცენტრების არქივები. არქივებში შენახულ ბევრ ამბავში

11 ჰელინი, დ. და მანჩინი, პ., 2015. მედიასისტემების შედარება. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 21.

12 იქვე. გვ. 325.



ჩართულია მონაცემთა ბაზის ანალიზი, როგორც ინფორმაციის მოპოვების ძირითადი ნაწილი. ეს ხაზს უსვამს საჯარო პოლიტიკის მიღების, განხორციელებისა და მონიტორინგის პერიოდში ჟურნალისტების ჩართულობას და მათ მიერ მონაცემების გამოყენებას ეფექტიანი, პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად. შედეგად, კარგად ინფორმირებულ და აქტიურ საზოგადოებას შეუძლია გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შესთავაზოს რეალური ალტერნატივები, ინიციატივები პრობლემების მოსაგვარებლად და გახადოს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა გამჭვირვალე, ინკლუზიური და ფაქტებზე დაფუძნებული.<sup>13</sup>

საზოგადოება, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებას ცხოვრების აუცილებელ პირობად მიიჩნევს, ხოლო ხელისუფლება ამ პირობას თავისი საქმიანობის სავალდებულო ნაწილად განიხილავს, დაცულია ისეთი პოლიტიკური თუ სოციალური კატაკლიზმებისაგან, როგორებიცაა: ძალაუფლების უზურპაცია, დიქტატურა, სოციალური ქაოსი. მთავრობის უფლებამოსილება, შეზღუდოს მოქალაქეთა თავისუფლება, რათა თავიდან აირიდოს საზიანო შედეგები, არ გულისხმობს უფლებამოსილებას, აკონტროლოს ხალხის საინფორმაციო წყაროები, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი არ მიემხრობიან

გარკვეულ პოზიციას. ეს საკმაოდ დიდ ნაბიჯია იმ უფლებებისკენ, რომელიც ყოველთვის ირღვევა, როგორც კი ვინმეს ერთმევა. ინფორმაცია აუცილებელია მისთვის, რათა საკუთარი გადაწყვეტილება მიეღო გარკვეულ საკითხებზე, რომელიც მას აინტერესებს. არსებობს ნათელი შემთხვევები, როდესაც პიროვნებას უფლება აქვს, ინფორმაცია მიიღოს, რათა მასზე დაყრდნობით არჩევანი გააკეთოს და ეს უფლება მოსთხოვოს მთავრობას. ეს ჭეშმარიტია პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც ეს უფლება მომდინარეობს დემოკრატიულ მთავრობასა და მის მოქალაქეებს შორის არსებული ურთიერთობების გარკვეული კონცეფციიდან.<sup>14</sup> ამ სახის უფლება აშკარად განამტკიცებდა ჯონ სტიუარტ მილის<sup>15</sup> თავისუფლების პრინციპს, რომელიც გულისხმობს: „ინდივიდის თავისუფლებას, იფიქროს, თქვას და გააკეთოს ის, რაც მას სურს მანამ, სანამ ვინმეს ზიანს მიაყენებს“. მილი უპირობოდ აღიარებს, რომ ის არაა ამ იდეის მთავარი ავტორი: საფრანგეთის დიდი რევოლუციის საფუძველიც იგივე იყო, მაგრამ მილმა ნამრომის იდეა „თავისუფლების შესახებ“ 1854 წელს ჩაიფიქრა. ტექსტი მხოლოდ 4 წლის შემდეგ 1859წ. გამოქვეყნდა და ბევრად უფრო ვრცლად დაიბეჭდა. მილი წერს, რომ მართალია, მის

13 მახარაძე, ი., 2019. ინფორმაციის ელექტრონული ბაზებით მოპოვების საშუალებები. თბილისი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი, 9, გვ. 213.

14 სკალინი, თ., 2010. აზრის თავისუფლების გამოხატვის თეორია. თბილისი: სამართლის ფილოსოფია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 199.

15 მილი, ჯონ სტიუარტ – (John Stewart Mill) ბრიტანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე, მე-19 საუკუნის ინგლისურენოვანი სამყაროს გავლენიანი მოაზროვნე, ლიბერალიზმისა და პოლიტიკური ფილოსოფიის გამორჩეული დამცველი და განმავითარებელი. მილს საგანგებო წვლილი მიუძღვის უტილიტარისტული ეთიკის, მეცნიერების ემპირისტული ფილოსოფიის, ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარებასა და პოპულარიზებაში. მილმა თავისი პუბლიცისტური და პოლიტიკური (1865-1868 წლებში ის პარლამენტის წევრი იყო) საქმიანობითაც დიდი გავლენა იქონია იმ ეპოქის ბრიტანეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

სხვა პრობებზეც დიდი ზეგავლენა ჰქონდა ჰარიეტ ტეილორის მნიშვნელობა და მოსაზრებებს, მაგრამ მედიაშედეგები „თავისუფლების შესახებ“, ყველაზე მეტად თვლიან მათ ერთობლივ ნაშრომად. მისივე განმარტებით, „ნაშრომი იმაზეა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და საზოგადოებისთვის ხასიათების მრავალფეროვნებას. ადამიანების სრულ თავისუფლებას იმისა, რომ, თავიანთი არჩევანის მიხედვით, უამრავი სხვადასხვა და კონფლიქტური მიმართულებით განავითარონ თავიანთი ბუნება“. მართლაც, მილისეული პრინციპის არგუმენტი უფლებებზე შემდეგი სახით ვითარდება – ინდივიდუალურობისა და მრავალფეროვნების განსაკუთრებული ღირებულება და კონფორმიზმთან დაპირისპირება. სწორედ ინდივიდუალურობის ღირებულების ამ აღიარებას ეფუძნება მილის ძირითადი თეზისი, რომ ინდივიდის თავისუფლების შეზღუდვა ყოველთვის და ყველა კონტექსტში ბოროტებაა იმ შემთხვევების გარდა, როცა ეს აუცილებელი არაა სხვა ინდივიდთა ანალოგიური თავისუფლების დაცვისთვის.<sup>16</sup>

გამოხატვის თავისუფლება ინფორმაციისა და იდეების მოძიებაა, მიღება და გავრცელება. გამოხატვის თავისუფლება შეიძლება იყოს დაცული და შეზღუდული რეგულაციებით ან წესდებით. მედიის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ჩარჩოებმა უნდა უზრუნველყოს მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობა

და ოპერატიული ავტონომია, კონფიდენციალურობის უფლებები და მონაცემთა დაცვა. იურისდიქციის მიხედვით, ფარის კანონები ჟურნალისტებს აძლევს სრულ ან კვალიფიციურ პრივილეგიას დაიცვან თავიანთი წყაროები როგორც ადამიანები, ისე დოკუმენტები. „პროფესიული საილუმოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არა აქვს უფლება მოითხოვოს ამ ინფორმაციის გამხელა“ – მითითებულია საქართველოს კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.<sup>17</sup> ჟურნალისტი უფლებამოსილი არაა ინფორმაციის წყარო გააცხადოს – პოლიციის, პროკურატურისა და უშიშროების სამსახურის მოთხოვნით.<sup>18</sup> ინფორმაციის წყაროს დაცვის ინსტიტუტს სოლიდური საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა აქვს. იუნესკოს 1997 წლის სოფიის დეკლარაცია აღგენს: „ჟურნალისტი არ შეიძლება აიძულოს, გაამჟღავნოს ინფორმაციის წყარო.“ ეს პრინციპი განმტკიცებულია ეროვნული კანონმდებლობის დონეზეც.<sup>19</sup>

არსებობს პოზიტიური ვალდებულებები ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (დაწვრილებით ამის შესახებ უსაფრთხოების თემის გვერდებზე). ევროპის საბჭოს ქვეყნებში იურისპრუდენცია გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან კავშირში ვითარდებოდა ტექნოლოგიური ევოლუციისა და პლატფორმის ეკონომიკის აღზევების ფონზე, სადაც სოციალური მედია და საძიებო კომპანიები საკვანძო მოთამაშე-

16 სკალინი, თ., 2010. აზრის თავისუფლების გამოხატვის თეორია, სამართლის ფილოსოფია. რონალდ დვორკინის რედაქციით, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 241.

17 მუხლი 15, საქართველოს კანონი, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=7>> [წვდომის თარიღი 18.05.2024].

18 ალფაიძე, თ., 2008. მედიასამართალი. თბილისი: პოლიგრაფი, გვ. 189. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/444092/1/Media\\_Samartali\\_2008.pdf](https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/444092/1/Media_Samartali_2008.pdf)> [წვდომის თარიღი 20.05.2024].

19 იქვე. გვ. 190.

ბი გახდნენ გამოხატვის თავისუფლების ეკოსისტემაში, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე.<sup>20</sup>

საერთაშორისო დონეზე UDHR<sup>21</sup>-ი (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია), მე-19 მუხლის გარდა, ადამიანის უფლებათა რამდენიმე საერთაშორისო და რეგიონული დოკუმენტი იცავს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებს: ICCPR<sup>22</sup> ECHR<sup>23</sup> ACHR<sup>24</sup> და FCNM<sup>25</sup> UDHR-ის თანახმად : „ყველა ადამიანს აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.“<sup>26</sup> წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, „ხელი შეუწყონ ყველა სახის ინფორმაციის თავისუფალ და ფა-

რთო გავრცელებას, ასევე ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას და ინფორმაციის სხვა ქვეყნებთან გაცვლას.“<sup>27</sup>

თანამედროვე ეპოქაში კონსტიტუციური ნორმები კანონებზე უზენაესია და ადამიანის ქმედების ფარგლებს კონსტიტუციური ნორმების ჩარჩოში აქცევს. კონსტიტუციური ნორმა ნაგულისხმევია, რომ თითოეულ პირზე აბსოლუტურობის შესაძლებლობის მიმნიჭებელი არაა. დემოკრატიული ქვეყნების ყოველი კონსტიტუციური ნორმა უპირველესად, კონსტიტუციის სამართლებრივ მიზნებს ემსახურება. აღნიშნულის საფუძველზე ხორციელდება სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვა და, შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამ მიზნის მნიშვნელობაზე დაყრდნობით, მისი შეზღუდვის შესაძლებლობაც განსაზღვრულია. ამ კონტექსტში

20 Freedom of Expression. 2014. Briefing Note Series, Canada. Centre for Law and Democracy (CLD). International Media Support (IMS). გვ. 4.

21 მუხლი, 19. UDHR – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights>>. [წვდომის თარიღი 14.05.2024].

22 მუხლი 19, ICCPR – საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].

23 მუხლი 10, ECHR – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.eods.eu/library/CoE\\_European%20Convention%20for%20the%20Protection%20of%20Human%20Rights%20and%20Fundamental%20Freedoms\\_1950\\_EN.pdf](https://www.eods.eu/library/CoE_European%20Convention%20for%20the%20Protection%20of%20Human%20Rights%20and%20Fundamental%20Freedoms_1950_EN.pdf)> [წვდომის თარიღი 14.05.2024].

24 მუხლი 7, ACHR – ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.oas.org/dil/treaties\\_b-32\\_american\\_convention\\_on\\_human\\_rights.pdf](https://www.oas.org/dil/treaties_b-32_american_convention_on_human_rights.pdf)> [წვდომის თარიღი 15.05.2024]. მუხლი 13, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია. ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული კომისიის მიერ 2000 წლის ოქტომბერში დამტკიცებული პრინციპები გამოხატვის თავისუფლების შესახებ მოიცავს უფრო დეტალურ განმარტებებს ამერიკული კონვენციის მე-13 მუხლის ინტერპრეტაციის თაობაზე.

25 მუხლი 7, FCNM, – ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/16800c130b>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].

26 გვ. 100.

27 ჰელსინკი 1975, „ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობა.“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.csce.gov/helsinki-process-and-osce/>> [წვდომის თარიღი 15.05.2024].

კონსტიტუცია ქვეყნის დემოკრატიული პოლიტიკური მოწყობის ერთგულების გამონათქვამია. აღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, კონსტიტუცია აწესებს ფარგლებს, რომლებიც სხვა სახის ქვეყნის წესთან ერთად ძირითად უფლებებსაც ეხება. ძირითადი უფლებების კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფლების შეზღუდვით, შესაძლებელია ადამიანის მოქმედების ნამდვილი თავისუფლების გამოვლინება, რომლის ფარგლებშიც ამ უკანასკნელს თვითრეალიზაციის საშუალება კანონის ფარგლებში მიეცემა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაშია დასაშვებია, თუმცა მისი უკანონო შეზღუდვა – დაუშვებელია.

მედია სივრცეში სიტყვის თავისუფლება ფუნდამენტური უფლებაა, რომლის მიხედვით, დაცულია მათი დამოუკიდებელი საქმიანობის განხორციელების უფლება. მისი უკანონო შეზღუდვა ცენზურის შემთხვევად განიხილება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვის თავისუფლება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიაში შემავალ ძირითად უფლებას არ წარმოადგენს. მისი შეზღუდვა საერთაშორისო კონვენციებით, საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით შეზღუდულია. ეს შეზღუდვა განსაზღვრულია სხვა უფლებების დაცვის მიზნით. დემოკრატიული სისტემის მოდელები ძირითად უფლებებში ჩარევას შემოსაზღვრავს შემდეგი პრინციპების დაცვით: 1.კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში; 2.საზოგადოებრივი და სხვა პირების უფლებების დაცვისთვის შეზღუდვის კანონიერი საფუძველი უნდა არსებობდეს; 3.დემოკ-

რატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე.<sup>28</sup> სახელმწიფოს მასმედიის წინაშე პასუხისმგებლობა აკისრია. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს გამონათქვამისა და პრესის თავისუფლება კანონმდებლობით, ფორმალურადაც და რეალურადაც. ჟურნალისტებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ ინფორმაციის მოპოვებისა და მისი გავრცელების უფლება. ამავე დროს, სახელმწიფოს ვალდებულება უფრო ფართოა. დემოკრატიისა და მოქალაქეების მომსახურების პროცესში, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას და უზრუნველყოს ინფორმაციისა და პრესის ისეთი სისტემა, რომელიც მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოსაზრებებს უწყობს ხელს.<sup>29</sup>

აღნიშნული ნაშრომის მიზანია არა ამომწურავად მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების სრული ანალიზი, რაც შეიძლება მოიცავდეს ჟურნალისტის საქმიანობისა და ადამიანის უფლებათა ჟურნალისტის კას და ა.შ., არამედ უფრო კონცენტრირებულია სწორედ მედიის სამართლებრივ და ეთიკურ რეგულირებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, რათა ქართულ-დასავლური მედიასამართლის დიალოგის ფარგლებში შესაძლებელი გახდეს ზოგადი სურათის წარმოჩენა. საქართველოში კანონი, რომელიც ცენზურის შესაძლებლობას უშვებს, მიღებული არაა. შესაბამისად, თუ დაისმება საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა აიკრძალოს რაიმე ინფორმაციის გაშვება ან გავრცელებამდე მისი მედიასამუალებიდან ამოღება, პასუხი ცალსახაა – არა. იმ შემთხვევებშიც კი, როცა წინასწარ ცნობილია მასობრივი

28 ჭორბენაძე, ს., ბახტაძე, უ. და მაჭარაძე, ზ., 2014. მედიასამართალი. თბილისი: ქოლორი, გვ. 81.

29 Gustafsson, K. E., Henrik, O. and Levy, D. A. L., 1980. Press Subsidies and Local News: The Swedish Case. Newspapers and Democracy. Working Paper. England, London: University of Oxford. Reuters Institute for the Study of Journalism, გვ. 7.

ინფორმაციის საშუალების მიერ აკრძალული ინფორმაციის გამოქვეყნების შესაძლებლობა, დაუშვებელია წინასწარი შეზღუდვები ინფორმაციის გავრცელებაზე. მედიისთვის სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგაა შესაძლებელი კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს გამოიხატება პირის სისხლის ან სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობაში. აქვე საყურადღებოა, ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთ დონისძიებად გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვას ასახელებს. შესაძლებელია, ამ ნორმის იმგვარი ინტერპრეტაცია, თითქოს სასამართლოს შეუძლია, პირს აუკრძალოს რაიმე ინფორმაციის გავრცელება. ამ ნორმის ამგვარი განმარტების სისწორეზე მსჯელობა საკმაოდ რთულია, რადგანაც პრაქტიკაში ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ნათქვამია: „ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები ყოველგვარი საშუალებით, მიუხედავად საზღვრებისა“.<sup>30</sup>

სიტყვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვა ცენზურის განხორციელებ

ის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნა, სიტყვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიაში შემავალ ძირითად უფლებას. კანონით განსაზღვრულია მისი შეზღუდვა, რაც უპირველეს ყოვლისა, სხვა უფლების დაცვის მიზნით უნდა იქნეს განპირობებული. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი იარსებებს, თუ ამ მოქმედების განუხორციელებლობით სხვათა უფლებები უკანონოდ შეიზღუდება<sup>31</sup>.

ჟურნალისტი უფლებამოსილია მოიპოვოს და გაავრცელოს ნებისმიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ინფორმაცია. თანამდებობის არც ერთ პირს ან უწყებას არ შეუძლია შეზღუდოს ჟურნალისტის თავისუფლება.<sup>32</sup> ერთ-ერთი ყველაზე ბაზისური და ხელშეუხებელი თავისუფლება ბრიტანელი ფილოსოფოსისთვის ჯონ სტიუარტ მილისთვის შეხედულების ქონისა და მისი გამოხატვის თავისუფლებაა.<sup>33</sup> საზოგადოება არც ერთ შემთხვევაში არაა უფლებამოსილი, აუკრძალოს მის რომელიმე წევრს მცდარი შეხედულების აღიარება და გამოხატვა. შეხედულების დევნა, ამტკიცებს მილი, ყველა შემთხვევაში ბოროტებაა, თან ისეთი ბოროტება, რომელიც მხოლოდ მას კი არ აზარალებს, ვის შეხედულებასაც დევნიან, არამედ აზარალებს მთელ კაცობრიობას – არა მხოლოდ თანამედროვედ, არამედ მომავალ თაობებსაც. აზრის გამოხატვის თავისუფლების დოქტრინას ზოგადად მიაკუთვნებენ „დაცულ ქმედებათა“ კლასს, რომელსაც

30 მუხლი 19, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights>> [წვდომის თარიღი 20.05.2024].

31 ბურდიე, პ., 2021. ტელევიზიის შესახებ. თბილისი: Carpe diem. გვ. 242.

32 მახარაძე, ი., 2004. დეონტოლოგია და ჟურნალისტიკა. კრიტერიუმი, რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 9, გვ. 64.

33 მილი, ჯ, ს., 2017. თავისუფლების შესახებ, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 364.

არ ეხება გარკვეული აკრძალვები, როგორც ეს სხვა ქმედებების შემთხვევებშია. კერძოდ, ამ დოქტრინის ყველაზე მყარი ვერსიის პირობებშიც კი შესაძლოა იყოს ისეთი შემთხვევები, როცა ხორციელდება დაცული ქმედებანი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შესაძლოა საზიანო შედეგი მოჰყვეს, რაც, როგორც წესი, სრულიად საკმარისია იურიდიული სანქციების დაწესების გამართლებისთვის. სწორედ ასეთი შემთხვევები განაპირობებენ აზრის გამოხატვის თავისუფლების დოქტრინის დიდ მნიშვნელობას და ასეთი პოზიციიდან გამომდინარე, მის თვისობრივ არალოგიკურობას. ეს უკანასკნელი თვალსაჩინოდ ვლინდება ოლივერ უენდელ ჰოლმსის მსჯელობაში: „შევიწროვება აზრის გამოხატვის გამო სრულიად ლოგიკურად მიჩვენება. თუ თქვენ ეჭვი არ გეპარებათ საკუთარ მოსაზრებებსა თუ შესაძლებლობებში და მთელი გულით გსურთ გარკვეული შედეგის მიღწევა, ბუნებრივად გამოხატეთ საკუთარი სურვილები კანონის ფარგლებში და გააბათილეთ ყველა წინააღმდეგობა. სიტყვიერი შეწინააღმდეგება, ერთი შეხედვით, თითქოს იმაზე მეტყველებს, რომ არ გჯერათ სიტყვის ძალის ისევე, როგორც კაცის, რომელიც ამბობს, რომ შეუძლებელი გააკეთა, ან სინამდვილეში არ გაძლებთ შედეგი, ან ეჭვი გეპარებათ თქვენს მოსაზრებებსა და შესაძლებლობებში“.<sup>34</sup> ევროკავშირი დღემდე ხაზს უსვამს, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვა კვლავ რჩება მის პრიორიტეტულ მიზნად, როგორც ეს განსაზღვრულია 75 წლის წინ მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში. მე-18 მუხლი<sup>35</sup> სამართლიანი ადმინისტრაციული წარ-

მოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თავითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები. მედიასამართალთან მიმართებით საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით მოწესრიგებულია მედია საშუალების წარმომადგენელთა საქმიანობის სამართლებრივი წინაპირობები. აღნიშნულის უმთავრეს საფუძველს ნორმის სამართლებრივი მოქმედების წინაპირობა წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, ადამიანის თავისუფლების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. თავის მხრივ, ფიზიკურ პირებს შეიძლება მედია საშუალების თანამშრომლები წარმოადგენდნენ, რომელთაც სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება შეეზღუდოთ, მაგალითად, კონკრეტულ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა აშკარა დარღვევის საფუძველზე განხორციელებული ჩარევით. საქართველოში სხვა ქვეყნებთან მიმართებით, გამოხატვის თავისუფლების შესახებ ნორმები მხოლოდ ერთ რომელიმე საკანონმდებლო აქტში არაა წარმოდგენილი. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების გარანტიები მოცემულია კონსტიტუციით, საერთაშორისო დოკუმენტებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით. განვიხილავთ ყველზე უფრო მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც ქართული მედიის თავისუფლებას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას არეგულირებს. **საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“**, ეს კანონი მასმედიის სფეროს მარეგულირებელ სპეციალურ საკანონ-

34 Dissenting in *Abrams v. 1919. U.S. United States*, გვ.248. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://constitutioncenter.org/the-constitution/supreme-court-case-library/abrams-v-united-states?gad\\_source=1&gclid=EAIaIQobChMllem59fKNhgMVSQgGAB2\\_Hgx7EAAYASAAEgLiovD\\_BwE](https://constitutioncenter.org/the-constitution/supreme-court-case-library/abrams-v-united-states?gad_source=1&gclid=EAIaIQobChMllem59fKNhgMVSQgGAB2_Hgx7EAAYASAAEgLiovD_BwE)> [წვდომის თარიღი 14.05.2024].

35 მუხლი 18, საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [წვდომის თარიღი 13.05.2024]. იქვე.

მდებლო აქტს წარმოადგენს, რომელიც 1991 წლის 10 აგვისტოსაა მიღებული. 1994 წლის 28 ოქტომბრის, 1997 წლის 28 ოქტომბრისა და 1997 წლის 25 ნოემბრის შესწორებების საფუძველზე, აღნიშნულმა კანონმა უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა. **სამოქალაქო კოდექსი**<sup>36</sup> 1997 წელსაა მიღებული და სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთ უმთავრეს მონაპოვარს წარმოადგენს. ეს საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფორმებს ინფორმაციისათვის, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს, ლახავს პატივსა და ღირსებას. კოდექსი ასევე ითვალისწინებს ასეთი ინფორმაციის გავრცელების შედეგად მიღებული ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს. **სისხლის სამართლის კოდექსი**<sup>37</sup> მიღებულია 1999 წლის ივნისში. ის ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას კანონით აკრძალული ზოგიერთი ინფორმაციის გავრცელებისათვის, კერძოდ: ცილისწამებისათვის; სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნებისათვის; ომის პროპაგანდისათვის, ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებისათვის და ა.შ., **საქართველოს კანონი „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“**<sup>38</sup> 2001 წლის 28 სექტემბერსაა მიღებული. იგი მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა დაცვას იმ მავნე ზეგავლენი-

საგან, რომელიც კინო, ვიდეო, ტელევიზიების ჩვენებას და ნაბეჭდ პროდუქციას უკავშირდება. **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი**<sup>39</sup> კოდექსი მიღებულია 1998 წლის აპრილში და მის ძირითად ამოცანას სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა არ წარმოადგენს. ეს კოდექსი მედიისა და ჟურნალისტებისთვის იმითაა საყურადღებო, რომ იგი წყაროს კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ დებულებებს შეიცავს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ჟურნალისტი არაა ვალდებული, იყოს მოწმე პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციაზე. (მუხლი 50. ნაწილი 1) შესაბამისად, ჟურნალისტს წყაროს გამჟღავნების ვალდებულება არ აქვს. სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ჟურნალისტების გამოკითხვაზე გახშირებული დაბარება თვითცენზურის დამკვიდრების საფრთხეს შეიცავს. შედეგად მედიის წარმომადგენლებმა შესაძლოა სამომავლოდ თავი აარიდონ მნიშვნელოვან თემებზე მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საკითხების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. მეორე მხრივ, წყაროს იდენტიფიცირების მიმართ გამოძიების მომეტებული ინტერესი საშიშროებასაც აჩენს, რომ წყაროებმა სამომავლოდ ჟურნალისტებთან აღარ ითანამშრომლონ და არ მიაწოდონ ინფორმაცია. ამ

36 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702%23%21?publication=130>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].

37 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=15#!>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].

38 საქართველოს კანონი. მავნე ზეგავლენისაგან დაცვის შესახებ. მიღების თარიღი: 23/12/2004. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32878?publication=0>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].

39 მუხლი 50, ნაწილი 1, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. **პირი, რომელიც არ არის ვალდებული იყოს მოწმე**. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=124>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].

კონტექსტში გასათვალისწინებელია აშშ-ის მედია პრაქტიკა. მაგალითად, წიგნის ავტორი და გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ თანამშრომელი ბობ ვუდვორდი, რომელიც ბოლო სამი ათეული წლის ყველაზე წარმატებული და სახელგანთქმული ჟურნალიტი-გამომძიებელია, მის მიერ წყაროების ანონიმურობის გამოყენების პრაქტიკა დელიკატურ სიტუაციებში მუდმივი განხილვის საგანია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მისი ანონიმური წყარო, სახელად, Deep Throat-ის სახელით ცნობილი ანონიმური წყარო თანამშრომლობდა. ის დღემდე მედიის ისტორიაში ყველაზე ცნობილ ანონიმურ წყაროდ მიიჩნევა. უოტერგეიტის გამოძიების დროს სინამდვილეში გამოძიების ფედერალური ბიუროს მაღალჩინოსანი იყო. გამომძიებელი ჟურნალიტი წყაროს გაუთქმელობით ჟურნალისტურ პროტოკოლს იცავდა. ანონიმურ წყაროსთან პირობის შესრულებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სხვა ჟურნალისტებისადმი წყაროების ნდობის მოპოვებაზე.

**საქართველოს კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“**<sup>40</sup> კანონი 1999 წლის 23 ივლისსაა მიღებული და საყურადღებოა იმით, რომ აწესრიგებს სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემის, შეჩერებისა და გაუქმების წესსა და პირობებს. **საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“**<sup>41</sup> კანონი მიღებულია 1998 წლის 18 თებერვალს. ის აწესრიგებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში რეკლამის განთავსების საკითხებს, რეკლამის განთავსების სინშირესა და პერიოდულ-

ბას ადგენს; მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წინაშე რეკლამა თავის მოთხოვნებს აყენებს. არასათანადო რეკლამის განთავსებას კრძალავს; კანონმდებლობის დარღვევით რეკლამის გავრცელებისათვის პასუხისმგებლობას აწესებს. **საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** მიღებულია 1999 წელს და მის უმთავრესს მიზანს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა წარმოადგენს. კანონში 2005 წელს ცვლილებები და დამატებები შეიტანეს.<sup>42</sup> ჟურნალისტებისთვის საყურადღებოა, რომ გარდა ამ კანონისა, ამ სფეროში არსებულ დარღვევებს და პასუხისმგებლობის ზომებს ასევე ითვალისწინებს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. ჩვენი ქვეყანა ასევე მიერთებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებულ ყველა ძირითად საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას: 1866 წლის „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციას“, 1961 წლის „შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა უფლებების დაცვის შესახებ რომის კონვენციას“. მედიის სფეროს წარმომადგენლებისთვის საავტორო სამართლის განხილვა, როგორც მისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტისა, უმნიშვნელოვანესია. ყოველი სახელმწიფოს ამოცანაა, იურისპრუდენციის ამ სფეროში სამართლებრივი უფლებების

40 საქართველოს კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ. მიღების თარიღი: 28/06/2000. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/17152?publication=0>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].

41 საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31840?publication=32>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].

42 მუხლი 1, საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31138?publication=0>> [წვდომის თარიღი 15.05.2024].



მოწესრიგებით ხელი შეუწყოს საავტორო ინტელექტუალურ საკუთრებასა და ინტელექტუალურ შემოქმედებით შრომას. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ამ სფეროსთან დაკავშირებულია მრავალი სასამართლო საქმეები. იურიდიულ წრეებში საავტორო ერთ-ერთ ურთულეს განსახილველ პროცესად ითვლება. ავტორს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა საშუალებას აძლევს, აკონტროლოს, თავის ნაწარმოებს როგორ შეაფასებს საზოგადოება, განსაზღვროს მისი გამოყენების საშუალებები და ფარგლები.<sup>43</sup>

საქართველო 1999 წელს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა გახდა. ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებას – ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შეუერთდა. ევროპული კონვენციის გამოყენების ფორმებმა გავლენა მოახდინა არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, ასევე განსაკუთრებით სასამართლო პრაქტიკაზე გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. განსაკუთრებით, მედიის თავისუფლების, ჟურნალისტების უფლებათა, ვალდებულებათა და ადამიანის ჟურნალისტთა უფლებათა და თავისუფლებათა სისტემაში. სწორედ ეს კაცობრიობის ფუნდამენტური ღირებულებები განაპირობებს სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომაც, გამონათვის თავისუფლება განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს. შესაბამისად, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, საერთა-

შორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი საქართველოს კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება, შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს. საქართველოს რატიფიცირებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები, როგორებიცაა: 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1950 წლის ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენცია, 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ფაქტი. ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის რატიფიცირების შედეგად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ყველა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის ამოწურვის შემდეგ, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს, თუ საქართველოში ამ კონვენციით გარანტირებული რომელიმე უფლება, მათ შორის სიტყვის თავისუფლება, დაირღვევა. კონვენციით გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლება დაცულია იმ მოცულობით, როგორც ეს განმარტებულია სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკით.

## დასკვნა

ამ ნაშრომში განხილული საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა მედიას, ჟურნალისტებსა და იურიდიულ მრჩევლებს შორის თანამშრომლობა და ურთიერთგაგება. მედია ორგანიზაციის პერსონალი: მედიამენეჯერები, ჟურნალისტები, ოპერატორები, რეჟისორები, პროდიუსერები უნდა ერკვეოდნენ სა-

43 საჯაია, ლ., 2014. სადოქტორო დისერტაცია: ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები. ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გვ. 7.

მართლებრივ ცნებებსა და მარეგულირებელ წესებში, უნდა იღებდნენ კონსულტაციას იურიდიული წრეებისგან. სასამართლოში მედია დავები პრაქტიკის მნიშვნელოვანი სფეროა. ნაშრომი სთავაზობს ერთგვარ მზა მონახაზს ჟურნალისტიკის ამ სფეროთი დაინტერესებულ მკითხველს.

არაერთი გამოწვევა არსებობს იმისა, რომ მედიის წარმომადგენლები სასამართლო პროცესში ჩართული ან სამთავრობო მარეგულირებელი სააგენტოს მიერ დადანიშნული ადმოჩნდნენ. მათ შეიძლება დაეკისროთ სამართლებრივი პასუხისმგებლობაც, თუ ისინი უკანონო ქმედებას ჩაიდნენ.

ციფრულ ხანაში პროფესიული მედიის უპირველესი მისია სიტყვისა და კომუნიკაციის თავისუფლების გამოყენებაა, რათა აუდიტორიამ მიიღოს მართალი ინფორმაცია გარე სამყაროზე საკუთარი დაკვირვებების შესახებ. სწორედ ციფრულ მედიაველზე სიტყვისა და აზრის თავისუფლებაა ერთ-ერთი იმ რამდენიმე ფუნდამენტურ უფლებას შორის, რომლის საჭიროებას ხალხისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

თანამედროვე დასავლურ მედიაში ჟურნალისტების მხრიდან ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა და დაცვა ჟურნალისტიკის ისტორიის ფასეული მონაპოვარია და დემოკრატიული სახელმწიფოების უმთავრესი ღირებულებაა.

სამართლებრივი ნორმების რეგულაცია და ცოდნა ჟურნალისტის პროფესიულ მუშაობაში აუცილებელია. საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ, რასაც ეწოდება პირველი – ჟურნალისტის სამართლებრივი დევნა: სამართლის ნორმები გამოიყენება ანგარიშსწორებისთვის მედიის არასასურველი ჟურნალისტების მიმართ; მეორე – ჟურნალისტის პროფესიონალური მუშაობის საქმიანობის პროცესში სამართლებრივი შეზღუდვა: იურიდიული ნორმა, კანონი, რომელიც ჟურნალისტმა აუცილებლად უნდა დაიცვას.

ჟურნალისტის მუშაობის „სამართლებრივი ჩარჩო“ კონსტიტუციში, კანონებსა და საერთაშორისო იურიდიულ ნორმატივებშია გაწერილი. ასევე საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობების შესახებ მუხლები საქართველომაც შეიტანა საკონსტიტუციო კანონში. ყველა ჟურნალისტმა აუცილებლად უნდა იცოდეს: კონსტიტუციაში შეტანილი კანონები „პოლიციაზე“, „პროკურატურაზე“, „მოსამართლის სტატუსზე“, „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობაზე“, „უსაფრთხოების სამსახურზე“, „სახელმწიფო საიდუმლოებაზე“;

მედიის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ საზოგადოებრივი სიმშვიდის შესანარჩუნებლად.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალფაიძე, თ., 2008. მედია სამართალი. თბილისი: პოლიგრაფი.
2. ბურდიე, პ., 2021. ტელევიზიის შესახებ, მთარგმნელი: გიორგი ბარამიძე, თბილისი, Carpe diem.
3. თოპსონი, ბ. ჯონი., 2014. მედია და მოდერნულობა. მთარგმნელი: ნინო ბარძიმიძე-ლი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. მილი, ჯ, ს., 2017. თავისუფლების შესახებ, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. მანარაძე, ი., 2004. მასმედია და ადამიანის უფლებები. კრიტერიუმი, 11-12, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 129.
6. მანარაძე, ი., 2019. ინფორმაციის ელექტრონული ბაზებით მოპოვების საშუალებები. თბილისი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი, 9.
7. მანარაძე, ი., 2004. დეონტოლოგია და ჟურნალისტიკა. კრიტერიუმი, 9, რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
8. კინჭურაშვილი, თ., „რედ.“ 2003. ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები. თბილისი.
9. სკალინი, თ., 2010. აზრის თავისუფლების გამოხატვის თეორია. სამართლის ფილოსოფია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
10. საჯაია, ლ., 2014. სადოქტორო დისერტაცია: ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი.
11. უილკოქსი, დენის ლ., 2011. კამერონი გლენ ტ. საზოგადოებასთან ურთიერთობა. თბილისი: დიოგენე.
12. ჯორბენაძე, ს., ბახტაძე, უ. და მაჭარაძე, ზ., 2014. მედიასამართალი. თბილისი: ქოლორი.
13. ჰარტი, ჰ. ლ. ა., 2010. ამორალობა და დელატი. სამართლის ფილოსოფია, ილიას, სახელმწიფო უნივერსიტეტი.
14. ჰელინი, დ., და მანჩინი, პ., 2015. მედია-სისტემების შედარება. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
15. Bourdieu, P., 1990. The Logic of Practice. Cambridge: Polity Press.
16. Clifford, G., 1983. Local Knowledge: Further Essays in Interpretive Anthropology USA: New York: Basic Books.
17. Gustafsson, K. E., Henrik, O. and Levy, D. A. L., 2009. Press Subsidies and Local News: The Swedish Case. Newspapers and Democracy. Working Paper. England, London: University of Oxford. Reuters Institute for the Study of Journalism.
18. Makharadze, I., 2023. Freedom of Speech, and Expression in Ancient Times and in a Global Society. Batumi: Jean Monnet Chair “The European Union’s fundamental values: Democracy, Rule of Law and Protection of Human Rights”. Democracy, Rule of Law, and Protection of Human Rights in the European Union.
19. Freedom of Expression. 2014. Briefing Note Series, Canada. Centre for Law and Democracy (CLD). International Media Support (IMS).

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [წვდომის თარიღი 13.05.2024].
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702%23%21?publication=130https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702%23%21?publication=130>> {წვდომის თარიღი 14.05.2024}.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=15#%20!>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].
4. საქართველოს კანონი მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32878?publication=0>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/>

- [view/90034?publication=124](#)> [წვდომის თარიღი 14.05.2024].
6. საქართველოს კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ. მიღების თარიღი: 28/06/2000. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/17152?publication=0>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].
  7. საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31840?publication=32>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].
  8. საქართველოს კანონის ავტორობის დამოუკიდებელი უფლებების შესახებ. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31138?publication=0>> [წვდომის თარიღი 15.05.2024].
  9. საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=7>> [წვდომის თარიღი 21.05.2024].
  10. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].
  11. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://ccprcentre.org/files/media/DIGITAL\\_VF\\_F\\_5\\_The\\_International\\_Covenant\\_on\\_Civil\\_and\\_Political\\_Rights\\_V3.pdf](https://ccprcentre.org/files/media/DIGITAL_VF_F_5_The_International_Covenant_on_Civil_and_Political_Rights_V3.pdf)> [წვდომის თარიღი 14.05.2024].
  12. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.eods.eu/library/CoE\\_European%20Convention%20for%20the%20Protection%20of%20Human%20Rights%20and%20Fundamental%20Freedoms\\_1950\\_EN.pdf](https://www.eods.eu/library/CoE_European%20Convention%20for%20the%20Protection%20of%20Human%20Rights%20and%20Fundamental%20Freedoms_1950_EN.pdf)> [წვდომის თარიღი 14.05.2024].
  13. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.oas.org/dil/treaties\\_b-32\\_american\\_convention\\_on\\_human\\_rights.pdf](https://www.oas.org/dil/treaties_b-32_american_convention_on_human_rights.pdf)> [წვდომის თარიღი 15.05.2024].
  14. ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/16800c130b>> [წვდომის თარიღი 14.05.2024].
  15. ჰელსინკი 1975, „ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობა.“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.csce.gov/helsinki-process-and-osce/>> [წვდომის თარიღი 15.05.2024].

## BIBLIOGRAPHY:

### Used Literature:

1. Alfidze, T., 2008. Media law. Tbilisi: Polygraph. (in Georgian)
2. Bourdieu, P., 2021. About television. Carpe diem. (in Georgian)
3. Bourdieu, P., 1990. The Logic of Practice. Cambridge: Polity Press. Targmneli: Richard Nice. 53. (in English)
4. Clifford, G., 1983. Local Knowledge: Further Essays in Interpretive Anthropology USA: New York: Basic Books. (in English)
5. Freedom of Expression. 2014. Briefing Note Series, Canada. Centre for Law and Democracy (CLD). International Media Support (IMS). (in English)
6. Gustafsson, K. E., Henrik O. and Levy, D. A. L., 2009. Press Subsidies and Local News: The Swedish Case. Newspapers and Democracy. Working Paper. England, London: University of Oxford. Reuters Institute for the Study of Journalism. (in English)
7. Hart, H. L. A., 2010. Immorality and Treason. Philosophy of Law. Iliia State University. (in Georgian)
8. Helin, D., and Mancini, P., 2015. Comparing Media Systems. Tbilisi: Iliia State University. (in Georgian)
9. Jorbenadze, S., Bakhtadze, U. and Macharadze, Z., 2014. Media Law. Tbilisi: Davit Batonishvili Law Institute Publishing House. (in Georgian)
10. Kintsurashvili, T., “ed.”, 2003. Journalistic ethics and self-regulation mechanisms. Tbilisi. (in Georgian).

11. Makharadze, I., 2004. Massmedia and human rights. Criterion. Institute of Georgian Literature named after Shota Rustaveli, 129. (in Georgian)
12. Makharadze, I., 2019. Means of obtaining information through electronic databases. Tbilisi: Scientific Journal of the National University of Georgia, 9. (in Georgian)
13. Makharadze, I., 2023. Freedom of Speech, and Expression in Ancient Times and in a Global Society. Batumi: Jean Monnet Chair "The European Union's fundamental values: Democracy, Rule of Law and Protection of Human Rights". Democracy, Rule of Law, and Protection of Human Rights in the European Union. (in English)
14. Makharadze, I., 2004. Deontology and Journalism, Criterion, 9, Rustaveli Institute of Georgian Literature. (in Georgian)
15. Milli, J, S., 2017. About Freedom, Introduction to Modern Thought. Ilia State University Publishing House. (in Georgian)
16. Skalini, T., 2010. The Theory of Freedom of Expression. Philosophy of Law, edited by Ronald Dworkin. Ilia State University Publishing House. (in Georgian)
17. Sajaya, L., 2014. Author's Personal Non-Property Rights. Doctoral thesis. Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law. (in Georgian)
18. Thopson, B. John, 2014. Media and Modernity. Translator: Nino Bardzimishvili. Ilia state university. p. 299. (in Georgian)
19. Wilcox, D. L. and Cameron, G. T., 2011. Public relations. Tbilisi: Diogenes. (in Georgian)
5. Criminal Procedure Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=124> [Accessed 14.05.2024]. (in Georgian)
6. Law of Georgia About communication and mail. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/17152?publication=0> [Accessed 14.05.2024]. (in Georgian)
7. Law of Georgia About advertising. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31840?publication=32> [Accessed 14.05.2024]. (in Georgian)
8. Law of Georgia About copyright and related rights. [Online] available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31138?publication=0> [Accessed 15.05.2024.]. (in Georgian)
9. Law of Georgia on Freedom of Speech and Expression. [Online] available at <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=7> [Accessed 21.05.2024]. (in Georgian)
10. Universal Declaration of Human Rights. [Online] Available at: <https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights> [Accessed 14.05.2024]. (in English)
11. International Covenant on Civil and Political Rights. [Online] available at: [https://ccprcentre.org/files/media/DIGITAL\\_VF\\_F\\_5\\_The\\_International\\_Covenant\\_on\\_Civil\\_and\\_Political\\_Rights\\_V3.pdf](https://ccprcentre.org/files/media/DIGITAL_VF_F_5_The_International_Covenant_on_Civil_and_Political_Rights_V3.pdf) [Accessed 14.05.2024]. (in English)
12. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. [Online] available at [https://www.eods.eu/library/CoE\\_European%20Convention%20for%20the%20Protection%20of%20Human%20Rights%20and%20Fundamental%20Freedoms\\_1950\\_EN.pdf](https://www.eods.eu/library/CoE_European%20Convention%20for%20the%20Protection%20of%20Human%20Rights%20and%20Fundamental%20Freedoms_1950_EN.pdf) [Accessed 14.05.2024].

### Normative Materials:

1. Constitution of Georgia. [Online] available: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Accessed 13.05.2024]. (in Georgian)
2. Civil Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130> [Accessed 14.05.2024]. (in Georgian)
3. Criminal Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=261> [Accessed 14.05.2024]. (in Georgian)
4. Law of Georgia About protection from harmful effects. [Online]. available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/15652?publication=5> [Accessed 14.05.2024]. (in Georgian)
13. American Convention on Human Rights. [Online] available at: [https://www.oas.org/dil/treaties\\_b-32\\_american\\_convention\\_on\\_human\\_rights.pdf](https://www.oas.org/dil/treaties_b-32_american_convention_on_human_rights.pdf) [Accessed 15.05.2024]. (in English)
14. Framework Convention on the Protection of National Minorities. [Online] available at: <https://rm.coe.int/16800c130b> [Accessed 14.05.2024]. (in English)
15. Helsinki 1975, "Cooperation in Humanitarian and Other Fields." [Online] available at: <https://www.csce.gov/helsinki-process-and-osce> [Accessed 15.05.2024]. (in English)

# არაპირდაპირი განზრახვის თავსებადობის საკითხი ფორმალურ დანაშაულებში (თავისუფლების უკანონო აღკვეთის განხილვის მაგალითზე)

## გიორგი გამხიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მონწილე ლექტორი, ადვოკატი (საქართველო)

ელ.ფოსტა: [ggamkhitashvili2@gmail.com](mailto:ggamkhitashvili2@gmail.com)

## აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში განხილულია არაპირდაპირი განზრახვის თავსებადობის სამართლებრივი შესაძლებლობა ფორმალური სახის დანაშაულებში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალში არაპირდაპირი განზრახვა, თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციის გათვალისწინებით, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ დროს დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და ასევე მისგან გამომდინარე ალბათობის მაღალი ხარისხით მოსალოდნელი იმ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, რომელიც მას რეალურად არ სურს, თუმცა, გარკვეულ გარემოებათა გამო, შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაპირდაპირი განზრახვის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის შემადგენლობაში გათვალისწინებული შედეგისადმი დამნაშავეს სუბიექტური დამოკიდებულების დადგენას. შესაბამისად, არაპირდაპირი განზრახვის სამართლებრივი რეალიზება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მატერიალურ (შედეგიან) დანაშაულებში. ამდენად, საინტერესოა არაპირდაპირი განზრახვის თავსებადობის საკითხი ფორმალურ (შედეგარეშე) დანაშაულებში, ვინაიდან ამ დროს შედეგი არ წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიაში, არაპირდაპირი განზრახვისა და ფორმალური დანაშაულების იურიდიული ბუნების გაანალიზების საფუძველზე, განხილულია მათი სამართლებრივი ურთიერთმიმართების შესაძლებლობის საკითხი.

**საკვანძო სიტყვები:** გაცნობიერება, ქმედება, გულგრილობა, დაშვება, შედეგი

# THE ISSUE OF THE COMPATIBILITY OF INDIRECT INTENT IN FORMAL CRIMES (ON THE EXAMPLE OF THE ILLEGAL DEPRIVATION OF LIBERTY)

**Giorgi Gamkhitashvili**

*PhD student of the Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Invited lecturer of the Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Attorney (Georgia)*

Email: [ggamkhitashvili2@gmail.com](mailto:ggamkhitashvili2@gmail.com)

Giorgi Gamkhitashvili

## Abstract

The present article discusses the legal possibility of the compatibility of indirect intent in formal types of crimes. In this regard it should be noted, that the indirect intent in criminal law, considering its legal construction, is characterized by certain peculiarities, which is manifested in the fact that the time the criminal is aware of the illegal nature of his action and also the possibility of the expected illegal result arising from it with a high degree of probability, that he does not really want to, however, due to certain circumstances, he consciously allows or is indifferent to its occurrence.

Based on the abovementioned, determining the subjective attitude of the offender to the result provided for in the composition of the crime is of essential importance for determining the indirect intent. Accordingly, legal realization of indirect intent can be implemented only in material (consequential) crimes. Thus, the question of the compatibility of indirect intent in formal (unsuccessful) crimes is interesting, since at this time the result is not a sign of the composition of the crime.

According to the abovementioned, based on the analysis of the legal nature of indirect intent and formal crimes, the issue of the possibility of their legal relationship is discussed in this article.

**KEYWORDS:** Conscience, Action, indifference, Allowance, Result

## შესავალი

წინამდებარე სტატიაში განხილულია არაპირდაპირი განზრახვის თავსებადობის საკითხი ფორმალური სახის დანაშაულებში. როგორც ცნობილია, სისხლის სამართალში არაპირდაპირი განზრახვა ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, რის გამოც დღემდე სადავოა განზრახვის აღნიშნული ფორმით დაუმთავრებელი (მცდელობის სტადია) თუ გარკვეული სახის დამთავრებული ფორმალური დანაშაულების ჩადენის საკითხი. წინამდებარე სტატიის დანიშნულებიდან გამომდინარე, არაპირდაპირ განზრახვას განვიხილავთ მხოლოდ ფორმალურ დანაშაულებთან ურთიერთმიმართების ქრილში. პირველ რიგში, მოკლედ უნდა აღინიშნოს, რომ არაპირდაპირი განზრახვის დასადგენად აუცილებელია, კუმულაციურად შეფასდეს მისი ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნები. იმის გათვალისწინებით, რომ ინტელექტუალური ნიშნებით არაპირდაპირი განზრახვა ემსგავსება პირდაპირ განზრახვას, მათი განსხვავებისთვის უმნიშვნელოვანესია სწორედ ნებელობითი ელემენტის განსაზღვრა, რომელიც, თავის მხრივ, ფასდება სწორედ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულებიდან გამომდინარე. ამდენად, ქმედების განხორციელებისას არაპირდაპირი განზრახვის დადგენა ყოველთვის პრობლემურია მაშინ, როდესაც სახეზე არ არის ის საკანონმდებლო ნიშანი მართლსაწინააღმდეგო შედეგის სახით, რომელთან უშუალო მიმართებითაც დგინდება ნებელობითი ელემენტის არსებობის/არარსებობის ფაქტი.

ამდენად, ამ ასპექტში საინტერესოა არაპირდაპირი განზრახვის თავსებადობის საკითხის განხილვა ფორმალური და-

ნაშაულების ქრილში, ვინაიდან ამ დროს შედეგი არ წარმოადგენს ობიექტური შემადგენლობის ნიშანს. სწორედ აქედან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებით, არაპირდაპირი განზრახვით შეუძლებელია ფორმალური დანაშაულების ჩადენა, თუმცა ბოლო პერიოდში იურიდიულ დოგმატიკაში გაჩნდა მოსაზრება არაპირდაპირი განზრახვით ფორმალური დანაშაულების ჩადენის შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში გაანალიზებულია არაპირდაპირი განზრახვისა და ფორმალური დანაშაულის იურიდიული ბუნება, კერძოდ, ის საკვანძო საკანონმდებლო ელემენტები, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია არაპირდაპირი განზრახვისა და ფორმალური დანაშაულების თავსებადობის საკითხის დასადგენად.

## არაპირდაპირი განზრახვისა და ფორმალური დანაშაულების სამართლებრივი ურთიერთმიმართების საკითხი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად უკიდებოდა მის დადგომას.“<sup>1</sup> როგორც ამ საკანონმდებლო ფორმულიდან ჩანს, არაპირდაპირი განზრახვაც მოი-

1 მუხლი მე-9, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.“ პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, #2287.



ცავს ინტელექტუალური და ნებელობითი ულემენტების კომბინაციას. კერძოდ, პირს აქაც (პირდაპირი განზრახვის მსგავსად – ხაზგასმა ჩემია – გ. გ.) გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა განსხვავებით პირდაპირი განზრახვისას, აქ ნებელობითი ულემენტი ნეგატიურადაა წარმოჩენილი (“არ სურდა”, „შეგნებულად უშვებდა”, „გულგრილად ეკიდებოდა”).<sup>2</sup>

იურიდიულ დოგმატიკაში არაპირდაპირ განზრახვაში ნებელობით მომენტთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმად, „არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს დესკრიფციულ-ფსიქოლოგიურად არ სურს შედეგის დადგომა, მაგრამ ნორმატიულ-შერაცხვითი მნიშვნელობით აქვს შედეგის დადგომის სურვილი.“<sup>3</sup> „ზემოაღნიშნული მოსაზრება ცალსახად განიცდის გერმანული დოგმატიკის გავლენას, რადგან“,<sup>4</sup> გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ, თუ პირი შედეგის განხორციელების ცოდნას ფლობს და მაინც მოქმედებს, მაშინ მას ამ შედეგის დადგომა სურს კიდევ, ამიტომაც გერმანული კრიმინალისტიკა ევენტუალური განზრახვის სუსტი ვოლუნტატიური ულემენტის არსებობაზე მიუთითებენ. გერმანულ სისხლის

სამართალში განზრახვის საკანონმდებლო განმარტება არ არსებობს და ევენტუალური განზრახვის ამდაგვარი გაგება დოგმატიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ დასაშვებია.<sup>5</sup> „ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრება, რომ პირს არ სურს შედეგის დადგომა, ერთმნიშვნელოვნად უნდა იქნეს გაგებული, ესაა კანონმდებლის ნება. ასე რომ არ ნდომოდა, არც გაითვალისწინებდა“.<sup>6</sup> ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად: „არაპირდაპირ განზრახვაში შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება გულისხმობს ამ ცნებაში ნებელობითი მომენტის აღიარებას. თუმცა ასეთ შემთხვევაში, ისევე, როგორც მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, ნებელობა განმარტებული უნდა იქნეს ნორმატიულ-შერაცხვითი გაგებით“.<sup>7</sup>

„აღნიშნული მოსაზრება საკამათოა, ვინაიდან ევენტუალური განზრახვის დროს პირს სურს ძირითადი მიზნის განხორციელება, ხოლო სავარაუდო თანმდევი შედეგის მიმართ კი გააჩნია გულგრილი დამოკიდებულება. აქ მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ევენტუალური განზრახვისას, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, გვერდითი შედეგი არის სავარაუდო და არა გარდაუვალი. შესაბამისად, შესაძლო გვერდითი შე-

2 თოდუა, ნ. და სხვები, 2024. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეხუთე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 290.  
 3 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 130.  
 4 გამხიტაშვილი, გ., 2021. განზრახვისა და გაუფრთხილებლობის თავსებადობის საკითხი საფრთხის დელიქტებში. სამართლის მაცნე, 3, გვ. 153.  
 5 მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., 2010. კაზუსის ამოხსნის მეთოდისა სისხლის სამართალში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 90.  
 6 გეგელია, თ., 2018. სადოქტორო დისერტაცია: დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. კავკასიის უნივერსიტეტი, გვ. 111.  
 7 მაღლაკელიძე, ლ., 2012. სადოქტორო დისერტაცია: განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, გვ. 169.

დეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება და შედეგის გარდაუვლად დადგომასთან შეგუება არსებითად განსხვავებული ცნებებია და მათი ერთმანეთთან გაიგივება დაუშვებელია”.<sup>8</sup> „არაპირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრებაში კანონმდებელი ერთმანეთისგან გამოყოფს არაპირდაპირი განზრახვის ორ შემთხვევას: ერთი, როცა მოქმედი პირი შეგნებულად უშვებს შედეგის დადგომას და მეორე, როცა გულგრილად ეკიდება შედეგის განხორციელებას. ორივე შემთხვევაში არ არსებობს შედეგის გამოწვევის სურვილი. შედეგის შეგნებულად დაშვება და გულგრილი დამოკიდებულება შედეგისადმი ნიშნავს იმას, რომ მოქმედი პირი ერთნაირად უშვებს შედეგის როგორც დადგომას, ისე მის თავიდან აცილებას”.<sup>9</sup> აღნიშნული საკითხის სხვაგვარად განმარტების შემთხვევაში გამოვა, რომ „თითქოს ამგვარი დანაწესით კანონმდებელმა გვითხრა: „უფლებას გაძლევთ, სადაც მე ვიტყვი „არ სურდა“, იქ სამართალშემფარებელმა იგულისხმოს, „სურდა“; სადაც მე ვიტყვი „არას“, იქ სამართალშემფარებელმა იგულისხმოს „კი“; სადაც მე დავსვამ მინუსს (-), იქ სამართალშემფარებელმა დასვას პლუსი (+)“.<sup>10</sup>

„ინგლისის სისხლის სამართლის დოგმატიკაშიც, ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა დაფიქსირებული იმის თაობაზე, რომ არაპირდაპირი განზრახვისას შედეგი არ არის სასურველი. ამ დროს ბრალდებული შესაძლოა მოწადინებულიც კი ყოფილიყო, რომ არ დამდგარი-

ყო ის მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომელიც რეალურად დადგა, თუმცა ამის მიუხედავად, იგი მაინც ახორციელებს საზიანო ქმედებას. ეს მიდგომა უბიძგებს ინგლისის მეცნიერებს იმისაკენ, რომ მსგავსება დაინახონ არაპირდაპირ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის, სწორედ მართლსაწინააღმდეგო შედეგის არ დადგომის სურვილის ასპექტში”.<sup>11</sup>

არაპირდაპირი განზრახვის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, საინტერესოა მისი თავსებადობის საკითხი ფორმალურ დანაშაულებთან მიმართებით. ამდენად, არაპირდაპირი განზრახვის მიმოხილვის შემდეგ, მიზანშეწონილია მოკლედ განვიხილოთ ფორმალური დანაშაულის იურიდიული ბუნება და მისი თავისებურებები: „ზოგჯერ სისხლის სამართლის კანონით დანაშაული დამთავრებულად ითვლება აკრძალული ქმედების ჩადენისთანავე და არ მიუთითებს შემდგომ შედეგებზე, როგორც მის აუცილებელ ელემენტზე. ასეთ დანაშაულს სისხლის სამართალში უწოდებენ ფორმალურ დანაშაულს”.<sup>12</sup> იურიდიულ დოგმატიკაში გამოყოფენ ფორმალური დანაშაულების საკანონმდებლო შემადგენლობების შექმნის რამდენიმე საფუძველს. კერძოდ, „ფორმალურ, შედეგარეშე შემადგენლობებს კანონმდებელი მაშინ აყალიბებს, როდესაც: ა) როდესაც შედეგი გარდაუვლად ხორციელდება განსაზღვრული მოქმედების შესრულებასთან ერთად და ამიტომ მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა შეუძლებელია. ასეთია, მაგალითად: თა-

8 გამხიტაშვილი, გ., 2021. განზრახვისა და გაუფრთხილებლობის თავსებადობის საკითხი საფრთხის დელიქტებში. სამართლის მაცნე, 3, გვ. 153.

9 ცქიტიშვილი, თ. და სხვები, 2021. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, კომენტარი. პირველი ტომი, თბილისი: კალმოსანი. გვ. 160.

10 თოდუა, ნ. და სხვები, 2024. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეხუთე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 292.

11 გამხიტაშვილი, გ., 2021. განზრახვისა და გაუფრთხილებლობის თავსებადობის საკითხი საფრთხის დელიქტებში. სამართლის მაცნე, 3, გვ. 154.

12 გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო. თბილისი: მერიდიანი, გვ. 121.

ვისუფლების უკანონო აღკვეთა, დეზერტირობა; ბ) როდესაც განსაზღვრულმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა დანაშაულებრივი შედეგი და ამის გამო მათი კონკრეტიზაცია კანონში დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული; გ) კანონით დასაცავი სიკეთე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი შეუძლებლად თვლის დანაშაულის დამთავრება ნამდვილი ზიანის დადგომას დაუკავშიროს. მაგალითად, ბანდიტიზმი<sup>13</sup>. „იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით არაპირდაპირი განზრახვით შეუძლებელია ფორმალური (შედეგარეშე) დანაშაულის ჩადენა. არსებობს ცალკეული მოსაზრება არაპირდაპირი განზრახვით ფორმალური დანაშაულის (მაგ., თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის – 143-ე მ.) ჩადენის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ ამ მოსაზრებას აკლია დოგმატური დასაბუთება“<sup>14</sup>. ამდენად, მნიშვნელოვანია არაპირდაპირი განზრახვის ფორმალურ დანაშაულებში თავსებადობის საკითხი განვიხილოთ სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან – თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან მიმართებით.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, თავისუფლების უკანონო აღკვეთის ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით<sup>15</sup>. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო პერიოდში, ცალკეულ ავტორთა მიერ გამოითქვა შეხედულება, არაპირდაპირი განზრახვით თავისუფლების უკანონო აღკვეთის ჩადენის შესაძ-

ლებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული პოზიციის თანახმად: „სრულიად შესაძლებელია, რომ პირს არ სურდეს სხვა პირისთვის თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ იგი გარკვეული მიზეზით შეგნებულად უშვებდეს აღნიშნულს ან გულგრილად უკიდებოდეს სხვა პირის თავისუფლების აღკვეთის ფაქტს. ასეთ შემთხვევაში, ქმედების კვალიფიკაციისთვის პირდაპირი განზრახვის არსებობის მოთხოვნა დაუსაბუთებლად გამოიწვევდა პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, რადგან სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობს გაუფრთხილებლობით თავისუფლების უკანონო აღკვეთის შესაძლებლობას. შესაბამისად, არაპირდაპირი განზრახვის უარყოფა ავტომატურად იწვევს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ქმედების დასჯადობის ხარვეზს.“<sup>16</sup>

აღნიშნული შემთხვევის საილუსტრაციოდ მოყვანილია შემდეგი მაგალითი, კერძოდ, ერთ-ერთი საწარმოს ხელმძღვანელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ საწარმოს მთავარი კარი ჩაკეტა და სახლისაკენ გაემართა, საწარმოს ხელმძღვანელი უშვებდა იმას, რომ საწარმოში რომელიმე თანამშრომელი იქნებოდა და იგი მომდევნო სამუშაო დღემდე ვერ გამოაღწევდა კარის გადაკეტვის გამო, მას ნამდვილად არ სურდა თანამშრომლების საწარმოში გამომწყვდევა, მაგრამ ვინაიდან მას ძალიან ეჩქარებოდა სახლში, არ დაბრუნდა საწარმოს გადასამოწმებლად. მართლაც, საწარმოში ჩაკეტილ მდგომარეობაში დარჩა ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელსაც იქ ყოფნა მოუწია

13 იქვე. გვ. 121.

14 თოდუა, ნ. და სხვები, 2024. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეხუთე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 294.

15 იქვე, გვ. 294.

16 დვალიძე, ი., ხარანაული, ლ., თუმანიშვილი, გ. და ნიქარიშვილი, კ., 2019. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 72.

მომდევნო სამუშაო დღემდე. ავტორის შეფასებით, საწარმოს ხელმძღვანელი პასუხისმგებელი უნდა მიეცეს, არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთის გამო.<sup>17</sup>

აღნიშნული მოსაზრება არაა გასაზიარებელი შემდეგ გარემოებათა გამო: როგორც უკვე აღინიშნა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა მიეკუთვნება ფორმალურ დანაშაულთა კატეგორიას, რომლის გამოც იგი იურიდიულად დამთავრებულია ქმედების განხორციელების, კერძოდ, პირისათვის თავისუფალი გადაადგილების ფაქტობრივად შეზღუდვის მომენტიდან. ე.ი. ქმედების განხორციელება იმთავითვე ქმნის დანაშაულის შემადგენლობას. რის გამოც, იურიდიული თვალსაზრისით, აღარ რჩება სამართლებრივი სივრცე პირის მიერ განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის, ვინაიდან ისინი იურიდიული კუთხით ორგანულად შერწყმულია ერთმანეთთან.

როდესაც პირი განზრახ, გაცნობიერებულად, სჩადის იმგვარი ხასიათის ქმედებას, რომელიც იმთავითვე წარმოადგენს დანაშაულს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას სურს კიდევ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა ან სულ მინიმუმ, იშვიათ შემთხვევებში, შინაგანად არ სურს ამგვარი ქმედების განხორციელება – პირისათვის თავისუფლების აღკვეთა, თუმცა მას მაინც სჩადის გარკვეული მოტივით და იცის, რომ ამ ქმედების განხორციელებით (მაგალითად, კარების დაკეტვით) პირს გარდუვალად, უკანონოდ უზღუდება თავისუფალი გადაადგილების უფლება (მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა).

რაც შეეხება არაპირდაპირ განზრახვას, იგი, თავისი საკანონმდებლო კონსტ-

რუქციიდან გამომდინარე, გათვლილია შედეგიან დანაშაულებზე, ვინაიდან ევენტუალური განზრახვის დროს დგინდება სწორედ პირის გულგრილი თუ შეგნებული დამოკიდებულება, ალბათობის მნიშვნელოვანი ხარისხით მოსალოდნელ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან მიმართებით (და არა ქმედებასთან მიმართებით). ფორმალურ დანაშაულებში კი ადგილი აღარ რჩება შედეგისადმი გულგრილობისათვის ან შეგნებული დამოკიდებულებისათვის, ვინაიდან შედეგი იმთავითვე არსებითად შერწყმულია იმ ქმედებასთან, რომელსაც პირი შეგნებულად, გაცნობიერებულად სჩადის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არაპირდაპირი განზრახვისას პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირი კი არ ვარაუდობს, არამედ ზუსტად აქვს შეგნებული ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში პირს არ ჰქონდა გაცნობიერებული, ვინაიდან მან ზუსტად არ იცოდა საწარმოში ნამდვილად იმყოფებოდა თუ არა დასაქმებული, იგი მხოლოდ ეჭვობდა ამას. ამდენად, აქ სახეზე არ არის არაპირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ნიშანი – მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება, ამასთანავე, ზემოთ აღნიშნულ მაგალითში შეგნებულად დაშვება მიმართულია არა სამომავლო, მაღალი ალბათობით მოსალოდნელ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან, არამედ ქმედებასთან მიმართებით, რაც დაუშვებელია. შეგნებულად დაშვება ან გულგრილი დამოკიდებულების გამოჩენა მიემართება მხოლოდ მოსალოდნელ შედეგს და არა ქმედებას. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მართებული

17 დვალაძე, ი., ხარანაული, ლ., თუმანიშვილი, გ. და ნიქარიშვილი, კ., 2019. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 72.

მოსაზრების თანახმად, „სიტყვა „უშვებს“ არ უნდა იყოს ნახშირი ინტელექტუალური მნიშვნელობით, როგორც წარმოდგენა გარკვეული ნიშნების შესაძლებლობის არსებობისა. დაშვება ზუსტი იურიდიული მნიშვნელობის და სრულიად გარკვეული ფსიქოლოგიური შინაარსით დატვირთული ტერმინია. იგი გამოიყენება ადამიანის ნებელობითი დამოკიდებულების გამოსახატავად მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი“. <sup>18</sup> „სიტყვა „დაშვება“, მართლაც, სხვა მნიშვნელობის მქონეა და მისი გამოყენება უფრო მეტად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ან კონკრეტული საფრთხის მიმართ ხდება.“ <sup>19</sup>

ზემოთ მოყვანილი მაგალითი კი წარმოადგენს არა არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედების კლასიკურ კაზუსს, არამედ იგი უფრო მეტად შეესაბამება გაუფრთხილებლობის ერთ-ერთ სახეს, კერძოდ, თვითიმედოვნებას, რადგან, არაპირდაპირი განზრახვისას პირს ზუსტად აქვს გაცნობიერებული მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და მისგან მომდინარე „კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა,“ <sup>20</sup> რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა მოცემულ მომენტში ობიექტურად, თვალნათლივ, არსებულ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს. განსახილველ მაგალითში კი, ამგვარი ფაქტობრივი გარემოებები არ გვხვდება. კერძოდ, ხელმძღვანელმა საწარმო დაკეტა სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, მას ზუსტად კი არ ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა (საწარმოში დარჩენილი პირი-

სათვის თავისუფლების აღკვეთა), არამედ მხოლოდ უშვებდა/ვარაუდობდა ამას, აღნიშნული კი ცალსახად არ შეესაბამება არაპირდაპირი განზრახვის ინტელექტუალურ ნიშანს. ამ მაგალითიდან უფრო მეტად გამომდინარეობს ის გარემოება, რომ საწარმოს ხელმძღვანელი კონკრეტული თანამშრომლის დარჩენას კი არ უშვებდა, არამედ იგი ზოგადად აცნობიერებდა (და არა ალბათობის მაღალი ხარისხით მოელოდა), რომელიმე და არა სახელდებით კონკრეტული თანამშრომლის საწარმოს ტერიტორიაზე დარჩენის ფაქტს, თუმცა იმედს ამყარებდა იმ გარემოებაზე, რომ სამუშაო საათები უკვე დასრულებული იყო და წესით იქ არავინ აღარ უნდა ყოფილიყო, რის გამოც მან აღარ გადაამოწმა საწარმო.

ამ შემთხვევაში კაზუსის ფაბულიდან არ გამოკვეთილა ის კონკრეტული გარემოებანი, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ საწარმოს ხელმძღვანელს ნამდვილად ჰქონდა გაცნობიერებული კონკრეტული თანამშრომლის საწარმოში ყოფნის ფაქტი, თუმცა ამის მიუხედავად, იგი გულგრილად ეკიდებოდა ან შეგნებულად უშვებდა მისთვის თავისუფალი გადაადგილების უფლების უკანონოდ შეზღუდვას. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ხელმძღვანელს ნამდვილად გაცნობიერებული ჰქონდა საწარმოში კონკრეტული დასაქმებულის ყოფნის ფაქტი, რომლის თავისუფლების აღკვეთაც არ სურდა, თუმცა ვინაიდან ეჩქარებოდა, მან მაინც შეგნებულად დაკეტა საწარმოს კარები, ამ შემთხვევაში სახეზე იქნება მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა, რამეთუ საწარმოს ხელმძღვანელს გაცნობიერე-

18 უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 16.  
 19 ცქიტიშვილი, თ. 2014. სადოქტორო დისერტაცია: ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 133.  
 20 გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო. თბილისი: მერიდიანი, გვ. 136.

ბული ჰქონდა, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედება, საწარმოს მთავარი კარის ჩაკეტვა, გარდუვალად გამოიწვევდა დასაქმებულის თავისუფლების უკანონო აღკვეთას. „მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვასა და არაპირდაპირ განზრახვას შორის მსგავსება იმაშია, რომ ორივე შემთხვევაში პირს გაცნობიერებული აქვს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობა. მათ შორის განსხვავება კი ისაა, რომ მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისას პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდაუვალობას, ხოლო არაპირდაპირი განზრახვისას, ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის მხოლოდ შესაძლებლობას. შეუძლებელია, არაპირდაპირი განზრახვისას პირს გათვალისწინებული ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდაუვალობა – ასეთ შემთხვევაში იგი დანაშაულს სჩადის მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით“.<sup>21</sup> ამდენად, განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ხელმძღვანელი საწარმოს მთავარი კარის ჩაკეტვის დროს, უშვებდა საწარმოში დარჩენილი დასაქმებულის თავისუფლების უკანონო აღკვეთის შესაძლებლობას, ვინაიდან კარის ჩაკეტვით იმთავითვე მოესპო დასაქმებულს საწარმოდან გამოღწევის ფიზიკური შესაძლებლობა.

არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედების ჩადენის დროს შედეგი ჯერ კიდევ არაა დამდგარი და პირი სწორედ მისი მაღალი ალბათობით დადგომის ფაქტს ეკიდება გულგრილად ან უშვებს შეგნებულად, რაც გამორიცხებულია თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის დროს, რადგან აქ ქმედების განხორციელებით, კერძოდ, საწარმოს კარის ჩაკეტვით, იმთავითვე ფაქტობრივად უკვე აღკვეთა პირს თავისუფალი გადაადგი-

ლების შესაძლებლობა და დანაშაულიც იურიდიულად დამთავრდა. **გარდა ამისა**, მოცემული მაგალითით ხელოვნურად ერთმანეთისაგან გაყოფილია ქმედების განხორციელება და პირისათვის თავისუფლების აღკვეთის ფაქტი – როგორც შედეგი, რაც დაუშვებელია, რადგან ისინი წარმოადგენენ ერთ ლოგიკურ მთლიანობას და მათ შორის რაიმე სამართლებრივი ხასიათის სივრცის გამოყოფა დაუშვებელია. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს ხელმძღვანელის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საერთოდ გამოირიცხება, რადგან იგი მოქმედებდა გაუფრთხილებლობით.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალურ დანაშაულებში, ნაკლოვანი ობიექტური შემადგენლობიდან გამომდინარე, განზრახვის კომპონენტები შესაძლოა მიემართებოდეს მხოლოდ უშუალოდ ქმედებას, ვინაიდან მხოლოდ მის ჩადენა/არჩადენაზეა დამოკიდებული დანაშაულის იურიდიულად დამთავრების საკითხი. ამდენად, ფორმალურ დანაშაულებში განზრახვის სახის დასადგენად უმნიშვნელოვანესია, რომ მისი ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტები სრულად იყვნენ რეალიზებულნი და ჰქონდეთ პირდაპირი სამართლებრივი კავშირი ფორმალური დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებთან. არაპირდაპირი განზრახვა კი სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ფორმალური სახის დანაშაულებში, ვინაიდან, ამ დროს, იურიდიული თვალსაზრისით, შეუძლებელია ნებელობითი ელემენტის მისადაგება ფორმალური დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშანთან, რადგან ნებელობითი ნიშანი არსებითად და უშუალოდ მიმართულია შედეგთან, რომელიც არ გვხვდება ფორმალური სახის დანაშაულებში. ამდენად, არაპირდაპირი განზრ-

21 თოდუა, ნ. და სხვები, 2024. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეხუთე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 291.

ხვის ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნების სრული რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ მატერიალურ (შედეგიან) დანაშაულებში, რამეთუ არაპირდაპირი განზრახვის არსებობის შესაფასებლად კონსტიტუციურ ნიშანს წარმოადგენს დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულების დადგენა სწორედ შედეგთან და არა ქმედებასთან მიმართებით. არაპირდაპირი განზრახვით ფორმალური დანაშაულების ჩადენის აღიარების შემთხვევაში ვიღებთ ურთიერთსაწინააღმდეგო მოცემულობას, კერძოდ, პირი, ერთი მხრივ, აცნობიერებს მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას, რაც იმთავითვე დანაშაულს წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ კი, მას არ სურს იმ შედეგის დადგომა, რომელიც თავის მხრივ უკვე შერწყმულია მის მიერ განხორციელებულ ქმედებასთან და იურიდიული თვალსაზრისით ირელევანტურია, ვინაიდან, ცალკე, როგორც სამართლებრივი მოცემულობა, არ არსებობს.

ფორმალური დანაშაულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ განხორციელებული ქმედებით უკვე იქმნება საზოგადოებისათვის საშიშროების შემცველი მოცემულობა იმ ხარისხამდე, რაც უკვე საკმარისია ქმედების დანაშაულად მიჩნევისთვის. ამდენად, ამ შემთხვევაში განხორციელებულ ქმედებაში ორგანულად შერწყმულია ის საზოგადოებრივად მავნე ფაქტობრივი მოცემულობა, რომელიც ქმნის დანაშაულის შემადგენლობას. აღნიშნული საკანონმდებლო კონსტრუქცია შეუსაბამოა არაპირდაპირი განზრახვის სამართლებრივ ბუნებასთან, რადგან ამ დროს დამნაშავე გულგრილ ან შეგნებულ დამოკიდებულებას ავლენს მის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე იმ არასასურველი შედეგის მიმართ, რომელიც ალბათობის

მნიშვნელოვანი ხარისხით დადგება, ესე იგი, ამ შემთხვევაში არსებობს გარკვეული „მოლოდინის რეჟიმი“, თუ რამდენად მოჰყვება განხორციელებულ ქმედებას მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომელსაც დამნაშავე შეგნებულად უშვებს ან იჩენს გულგრილობას მოსალოდნელ შედეგთან მიმართებით. აღნიშნული მოცემულობა კი ობიექტურად შეუძლებელია ფორმალურ დანაშაულებში, ვინაიდან, ამ დროს ქმედება იმთავითვე, გარდუვალად ქმნის საზიანო მოცემულობის შემცველ ვითარებას. ამდენად, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დადგინდება, რომ პირს შინაგანად არ სურდა კონკრეტული შედეგის დადგომა, თუმცა მან მაინც განახორციელა ქმედება, ამ დროს შესაძლოა სახეზე იყოს მხოლოდ მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა.

*„შეუძლებელია თავისუფლების უკანონო აღკვეთის, როგორც ფორმალური შემადგენლობის, ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით, რადგან ასეთი დაშვების შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ შემდეგი: პირს გაცნობიერებული ჰქონდა მის მიერ ჩადენილი ქმედების (მაგ. იმის, რომ ჩაკეტა შენობის კარი) მართლწინააღმდეგობა, ამასთან ითვალისწინებდა ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის შესაძლებლობას (ანუ არ იყო დარწმუნებული, რომ სხალიდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას), ამასთან, არ სურდა მისი ჩადენა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა მის ჩადენას ან გულგრილი იყო მისი ჩადენის მიმართ. განსახილველ შემთხვევაში, მივიღეთ იურიდიული ნონსენსი“.*<sup>22</sup>

აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ პირი, რომელსაც, ერთი მხრივ, გაცნობიერებული აქვს ამგვარი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ესე იგი, მასთან ორგანულად დაკავშირებუ-

22 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი გ. და თოდუა ნ., 2023. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. წიგნი პირველი, ნაწილი პირველი. მე-8 გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 349.

ლი საზიანო თვისებები და ამის მიუხედავად, მაინც სჩადის ამ ქმედებას, მას იმავდროულად არ სურს და გულგრილად უყურებს ამ ქმედებიდან გამომდინარე იმ საზიანო მოცემულობის სამომავლოდ მნიშვნელოვანი ალბათობით დადგომის შესაძლებლობას, რომელიც მის მიერ შეგნებულად ჩადენილი ქმედებით იმთავითვე უკვე სახეზეა.

## დასკვნა

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ არაპირდაპირი განზრახვა ინტელექტუალური ნიშნების – მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისა და მისგან მომდინარე სავარაუდო შედეგის დადგომის გათვალისწინების ასპექტში სრულ თანხვედრაშია პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვასთან, ხოლო მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისგან კი, განსხვავდება მოსალოდნელი შედეგის დადგომის გარდუვალობის ასპექტში. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს არ გააჩნია მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილი, პირიქით, მას არ სურს იგი, თუმცა მის მიმართ იჩენს გულგრილ დამოკიდებულებას ან შეგნებულად უშვებს მის დადგომას. ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაში ინტელექტუალური ნიშნის, ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერების ფაქტის, არსებობა ეჭვს არ იწვევს, პირს ზუსტად აქვს გაცნობიერებული ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, შეგნებულად დაშვება ან/და გულგრილი დამოკიდებულება კი, როგორც ნებელობითი ელემენტი, უშუალოდ დგინდება სწორედ მნიშვნელოვანი ალბათობით მოსალოდნელ შედეგთან და არა ქმედებასთან მიმართებით. არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს

დამოკიდებულება დგინდება მნიშვნელოვანი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელ და არა გარდუვალად განხორციელებად შედეგთან მიმართებით.

იმის დასადგენად დანაშაული ჩადენილია თუ არა არაპირდაპირი განზრახვით, აუცილებელია მისი ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნების ზუსტი განსაზღვრა და ურთიერთმიმართება კონკრეტული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნებთან. რაც გულისხმობს იმას, რომ დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში სამართლებრივად შესაძლებელი უნდა იყოს არაპირდაპირი განზრახვის ნიშნების სრულყოფილად წარმოდგენა. ამგვარი სახის დანაშაულებს კი მიეკუთვნება მატერიალური (შედეგიანი) დანაშაულები, ვინაიდან მათთვის შედეგის არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ელემენტს. არაპირდაპირი განზრახვის დასადგენად კი უმნიშვნელოვანესია დამნაშავეს სუბიექტური დამოკიდებულების განსაზღვრა სწორედ მნიშვნელოვანი ალბათობით მოსალოდნელ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან მიმართებით. არაპირდაპირი განზრახვის ნებელობითი ელემენტის სამართლებრივი კავშირი შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში შემავალ ნიშნებთან მიმართებით. ამდენად, აღნიშნული კავშირის დადგენა იურიდიულად შეუძლებელია ფორმალურ დანაშაულებში, ვინაიდან მათი შემადგენლობა შემოიფარგლება მხოლოდ ქმედებით, ხოლო შედეგი კი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის მიღმაა. ამდენად, სამართლებრივად შეუძლებელია დანაშაულში განზრახვის დადგენა მისი საკანონმდებლო ელემენტების დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ფარგლებს გარეთ მოქცეულ ნიშნებთან (შედეგთან) მისადაგების საშუალებით. იქიდან გამომ-



მდინარე, რომ ფორმალური დანაშაული დამთავრებულია ქმედების განხორციელების მომენტიდან, ხოლო შედეგს არ ენიჭება სამართლებრივი მნიშვნელობა, განზრახვის დადგენისას განხილულ უნდა იქნეს მისი ურთიერთმიმართება უშუალოდ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ნიშანთან – ქმედებასთან და არა სამართლებრივად ირელევანტურ ელემენტთან – შედეგთან მიმართებით.

აქედან გამომდინარე, ფორმალურ დანაშაულებში არ რჩება სამართლებრივი სივრცე განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის დამნაშავის დამოკიდებულების დასადგენად. ფორმალური დანაშაულები შესაძლებელია ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, კერძოდ, მისი ორივე სახით, პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიანი, ა. და სხვები. 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო. თბილისი: მერიდიანი.
2. გამხიტავილი, გ., 2021. განზრახვისა და გაუფრთხილებლობის თავსებადობის საკითხი საფრთხის დელიქტებში. სამართლის მაცნე, 3.
3. გეგელია, თ., 2018. სადოქტორო დისერტაცია: დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. კავკასიის უნივერსიტეტი.
4. დვალაძე, ი., ხარანაული, ლ., თუმანიშვილი, გ. და წიქარიშვილი, კ., 2019. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბილისი: იურისტების სამყარო.
5. თოდუა, ნ. და სხვები, 2024. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეხუთე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი.
6. ლეკვიშვილი, მ., მამულაშვილი გ. და თოდუა ნ., 2023. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. წიგნი პირველი, ნაწილი პირველი. მე-8 გამოცემა. თბილისი: მერიდიანი.
7. მალაქაიძე, ლ., 2012. სადოქტორო დისერტაცია: განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
8. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., 2010. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში. თბილისი: მერიდიანი.
9. ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი.
10. უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
11. ცქიტიშვილი, თ. და სხვები, 2021. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, კომენტარი. პირველი ტომი, თბილისი: კალმოსანი.
12. ცქიტიშვილი, თ. 2014. სადოქტორო დისერტაცია: ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999, # 2287.

## BIBLIOGRAPHY:

### Used Literature:

1. Dvalidze, I., Kharanauli, L., Tumanishvili, G., and Tsikarishvili, K., 2019. Crimes against human rights and freedoms according to the Criminal Code of Georgia (Commentary). Tbilisi: World of lawyers. (in Georgian)
2. Gabiani, A., and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
3. Gamkhitashvili, G., 2021. The Issue of the Compatibility of Intent and Negligence in Torts of Danger. Herald of Law, 3. (in Georgian)
4. Gegelia, T., 2018. Doctoral dissertation: The problems of unaccomplished crimes. Caucasus University. (in Georgian)
5. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2023. The Special Part of Criminal Law, crime against the human. Book first, part first, eighth edition. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
6. Maghlakelidze, L., 2012. Doctoral dissertation: Intention and consciousness of misconduct according to the criminal law of Georgia and Germany. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. (in Georgian)
7. Mchedlishvili-Hedrikhi, K., 2010. Methods of Solving Special Case in Criminal Law. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
8. Tskitishvili, T., and others. 2021. Criminal law, general part, commentary. first tome, Tbilisi: Kalmosani. (in Georgian)
9. Tskitishvili, T., 2018. Doctoral dissertation: The Hazard Delicts Against Human Life and Health. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. (in Georgian)
10. Todua, N., and others. 2024. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
11. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth edition. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
12. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university. (in Georgian)

### Normative Materials:

1. Criminal Code of Georgia. Parliamentary Gazette, 22/07/1999, #2287. (in Georgian)

# ქართული სამეწარმეო სამართალი: წარმოშობა და განვითარება

## როინ მიგრიაული

სამართლის დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი (საქართველო)

როინ მიგრიაული

### აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ქართული სამეწარმეო სამართლის წარმოშობის ისტორია და მისი 30-წლიანი განვითარების ეტაპები. ქართული სამეწარმეო სამართალი, როგორც სამართლის დარგი, დამოუკიდებელ საქართველოში წარმოიშვა 1991 წელს და მისი განვითარების ეტაპი დასრულდა 2021 წელს.

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მიღებით 1991 წელს საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ახალ სამართლებრივ ტრადიციას, რომლითაც სამეწარმეო სამართალი სამართლის დამოუკიდებელ დარგად მოგვევლინა.

სტატიაში აღწერილია სახელმწიფო სანარმოებიდან სხვა კერძო სამეწარმეო საზოგადოებებზე გადასვლის თანამიმდევრობა და აუცილებლობა. 90-იანი წლების დასაწყისში ქართულ კერძო სამართალში უკვე ჩნდებოდა სახელმწიფო სანარმოსაგან განსხვავებული სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო სუბიექტები.

სტატიაში განხილულია „მეწარმეთა შესახებ“ პირველი ევროპული ტიპის კანონის მიღების ისტორიული განვითარება და მისი აქტორები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში თანამედროვე ევროპული სამეწარმეო სამართლის შემოღებაში.

სტატიაში ერთმანეთთან ასევე შედარებულია ორი, ერთი და იმავე სახელწოდების – 1994 წლის და 2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ – კანონების პრინციპები, ურთიერთმიმართება იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებს შორის.

**საკვანძო სიტყვები:** სამეწარმეო საქმიანობა, სამეწარმეოსამართლებრივი აქტი, იმპერატიული ნორმები, დისპოზიციური ნორმები, ნორმათა ბალანსი, წესდება

# ENTREPRENEURIAL LAW OF GEORGIA: BIRTH AND DEVELOPMENT

Roin Migriauli

*PhD in Law, Professor at The Faculty of Law at  
Caucasus International University, Attorney (Georgia)*

## Abstract

The Article discusses the history of the origin of Georgian entrepreneurial law and the stages of its 30-year development. Georgian entrepreneurial law, as a field of law, originated in independent Georgia in 1991 and its development stage has ended in 2021.

The adoption of the Law "On Fundamentals of Entrepreneurial Activity" in 1991 laid the foundation for a new legal tradition in Georgia, which established entrepreneurial law as an independent branch of law.

The Article describes the sequence and necessity of transition from state enterprises to other private companies. At the beginning of the 90s, business entities with a different legal form from the state enterprises, already start to appear in Georgian private law.

The Article discusses the historical development of the adoption of the first European-style law „On Entrepreneurs“ and the actors, who made a significant contribution to the introduction of modern European entrepreneurial law in Georgia.

The Article also compares the principles of two laws of the same name – laws "On Entrepreneurs" of 1994 and 2021 – and the correlation between imperative and dispositive norms.

**KEYWORDS:** entrepreneurial activity, entrepreneurial legal act, imperative norms, dispositive norms, balance of norms, charter

## შესავალი

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიღო კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც 2022წ. 01 იანვრიდან ამოქმედდა.<sup>1</sup> აღნიშნული კანონის მიღებით გაგრძელდა ის სამართლებრივი ტრადიცია, რომელსაც დამოუკიდებელ საქართველოში საფუძველი ჯერ კიდევ წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა. ქართული სამართლის ტრადიციად დამკვიდრდა ის, რომ სამეწარმეოსამართლებრივი აქტი ცალკე კანონად იქნა მიღებული, ხოლო სამეწარმეო სამართალი კი სამართლის ცალკე დარგად განვითარდა. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ სამეწარმეო საქმიანობისა და მისი სუბიექტების ცალკე ნორმატიულ აქტში მოწესრიგების მცდელობა მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში საბჭოთა პერიოდის საქართველოშიც ჰქონდათ.<sup>2</sup>

დამოუკიდებელ საქართველოში ზემოაღნიშნულ ტრადიციას საფუძველი 1991 წლის 25 ივლისს ჩაეყარა, როდესაც მიღებული იქნა კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“. აღნიშნული კანონი გახდა სამეწარმეოსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებელი პირველი აქტი. კანონში

პირდაპირ იყო მითითებული მისი გავრცელების არეალი, რომელიც „მეწარმეობის ყველა სუბიექტს“<sup>3</sup> მოიცავდა და იგი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებით. ამდენად, 1991 წლის კანონმა დაასრულა საქართველოში „სახელმწიფო საწარმოების“ ჰეგემონია,<sup>4</sup> რომლებიც წარმოადგენდნენ საბჭოთა ეკონომიკის გადმონამუბებს და საფუძველი ჩაუყარა მეწარმეობის განმახორციელებელი სხვა – კერძოსამართლებრივი – სუბიექტების წარმოშობას.

მართალია, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში სამართლებრივად მოწესრიგდა „კოოპერატივის“ სახით ერთადერთი კერძო საწარმოს სამართლებრივი ფორმა<sup>5</sup> და კოოპერატივები გარდაქმნის პერიოდში სახელმწიფო საწარმოებთან ერთად თანაარსებობდნენ,<sup>6</sup> მაგრამ კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით მოქმედ კერძო საწარმოებს უმნიშვნელო ადგილი ეკავათ ქვეყნის ეკონომიკაში და ისინი ვერ უწევდნენ კონკურენციას სახელმწიფო საწარმოებს, რომლებიც, სოფლის მეურნეობის გარდა, საქმიანობდნენ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და სხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ სფეროებში.

1 კანონი „მეწარმეთა შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=8>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

2 შეადარე. ჭანტურია, ლ., 1996. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. წიგნში: სერგო ჯორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული, 1996, გვ. 34.

3 პრეამბულა, აბზ. 2, კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ (1991). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5583697?publication=1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).

4 შეადარე. როინ მიგრიაული, 2023. „ვალაუვალობის ქართული სამართალი – გზა არაშემძლეობიდან გაკოტრებამდე და გაკოტრებიდან გადახდისუნარობამდე“, 1-ლი ნაწილი, ჩემი ადვოკატი, X. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.gba.ge/ka/ჟურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართალი.html>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

5 საქართველოს სსრ-ში 1989 წელს მიღებული იქნა კანონი „კოოპერაციის შესახებ“, რომელიც გადმოღებული იქნა 1988 წლის სსრკ-ის ანალოგიური დასახელების კანონიდან.

6 მიგრიაული, რ., 2021. სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. გვ. 29.

1991 წლის კანონის მიხედვით, კერძო სუბიექტებს შეეძლოთ შეერჩიათ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმა. კერძოდ, კანონმა მეწარმეობის მსურველ პირებს შესთავაზა სამეწარმეო საზოგადოების 10-ზე მეტი სამართლებრივი ფორმა.<sup>7</sup> შედეგად, საქართველოში, კოოპერატივებისა და სახელმწიფო საწარმოების გარდა, გაჩნდნენ ისეთი კერძო სამეწარმეო სუბიექტები, როგორებიცაა: სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება, სრული და შერეული სამეურნეო ამხანაგობები, ერთი პირის საწარმო, ადგილობრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმოები.<sup>8</sup>

მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლის კანონი დამოუკიდებელ საქართველოში პირველი სამეწარმეოსამართლებრივი აქტი იყო,<sup>9</sup> რომელმაც ზოგადი სახით განამტკიცა სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, ზოგიერთი მეცნიერი მას, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, მაინც დაბალი დონის კანონად მიიჩნევდა, რადგანაც მას პრეტენზია ჰქონდა მთლიანად მოქვეყნებინა სამეწარმეო საქმიანობა, კერძოდ, ერთ კანონში კონსტიტუციურსამართლებრივი, ადმინისტრაციულსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების თავმოყრით.<sup>10</sup>

შესაბამისად, დღის წესრიგში დადგას ისეთი კანონის მიღების აუცილებლობა, რომელიც განთავისუფლებოდა სხვა სამართლის (განსაკუთრებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის) მარწუხებისაგან და მიმართული იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის, მისი მონაწილეებისა და სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმების მოწესრიგებაზე. ასე მომწიფდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღების იდეა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამეწარმეო სამართლის განვითარების მეორე ეტაპს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეწარმეო სამართლის განვითარების მეორე ეტაპი უშუალოდ უკავშირდება 90-იანი წლების დასაწყისში გერმანიის სახელმწიფოს გააქტიურებას, რომელმაც უკვე დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოს შესთავაზა კერძო სამართლის რეფორმის განხორციელება. კერძო სამართლის რეფორმა ხორციელდებოდა გერმანიის მთავრობასთან აქტიური სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში, რომელიც 1991 წელს დაიწყო და რამდენიმე ათეული წელი გასტანა. სამართლებრივი თანამშრომლობის მხარეები იყვნენ გერმანიის მხრიდან – გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი ორგანიზაცია – შპს „გერმანიის ტექნიკური თანამშრომლო-

7 შეადარე. იქვე. გვ. 30.

8 მუხლი 11, კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ (1991). ხელმისაწვდომია. [ინტერნეტი] ხემისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5583697?publication=1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).

9 საბჭოთა კავშირის პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1925 წლიდან ისწავლებოდა „სავაჭრო სამართალი“ („სამეწარმეო სამართლის“ წინამორბედი), თუმცა ჩემთვის უცნობია, ეფუძნებოდა თუ არა აღნიშნული სალექციო კურსი შესაბამის ცალკე ნორმატიულ აქტს (მაგალ., „სავაჭრო კოდექსი“) თუ სხვა სამართალში (მაგალ., სამოქალაქო კოდექსში) ინტეგრირებულ ინსტიტუტს.

10 შეადარე. ქანტურია ლ., 1996. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, წიგნში: სერგო ჯორბენაძე – 70. საიუბილეო კრებული, 1996. გვ. 33.

ბის საზოგადოება“ (GTZ GmbH),<sup>11</sup> ხოლო ქართული მხარე წარმოდგენილი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროთი და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრით, რომელიც, თავის მხრივ, გახდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელი კომისიის ბირთვი.

გერმანიის სახელმწიფოს მხრიდან თანამშრომლობა გამოიხატებოდა არა მხოლოდ გერმანიის მთავრობის ფინანსურ ხელშეწყობაში, არამედ – ტექნიკური ხასიათის დახმარებაშიც (გერმანელი ექსპერტების მოვლინება საქართველოში, ქართველი მეცნიერებისათვის ტრენინგების ორგანიზება გერმანიაში, კანონპროექტების თარგმანების ორგანიზება, სამეცნიერო გამოცემები და ა.შ.). აღნიშნული ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, 1992-1996 წლებში საქართველოში განხორციელდა კერძო სამართლის სრული რეფორმა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის გარდა, მიღებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორებიცაა: „სამოქალაქო კოდექსი“, კანონი „ჩეკის შესახებ“, კანონი „თამასუქის შესახებ“ და კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“. ამით საქართველომ საბოლოოდ უარი თქვა რუსული (საბჭოური)

სამართლის რეცეფციაზე და მთლიანად გადაეწყო ევროპული, განსაკუთრებით, გერმანული სამართლის მოდელზე.<sup>12</sup>

მითითებულ პერიოდში მიღებული კანონებიდან, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც 1994 წლის 28 ოქტომბერს, როგორც სამეწარმეოსამართლებრივი აქტი, ასევე ცალკე კანონის სახით იქნა მიღებული (ამოქმედდა 1995წ. 1-ელ მარტს).<sup>13</sup>

1994 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონი დაეფუძნა გერმანული ადვოკატის, დოქტ. ჰარტმუთ ფრომის (Dr. Hartmut Fromm) მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს, სახელწოდებით „კომერციული მეწარმეების შესახებ“ (გერმ. Entwurf eines Gesetzes über die gewerblichen Unternehmer). 1993-1994 წლებში აღნიშნული კანონპროექტის განხილვები აქტიურად მიმდინარეობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო კათედრაზე და მასში აქტიურად იყვნენ ჩართულები უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ბატონები: სერგო ჯორბენაძე, ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, ზურაბ ახვლედიანი და სხვები.<sup>14</sup> გერმანელი ექსპერტები (დოქტ. როლოფ კნიპერი და ჰარტმუთ ფრომი) ასევე ავითარებდნენ მოსაზრებას, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი შესაბამეობდა კონტინენტურ-ევროპულ ტრადიციას, რომ კომერციული მეწარმეების მომწესრიგებელი სამართალი ერთიან

11 მოგვიანებით აღნიშნულმა გერმანულმა საზოგადოებამ შეიცვალა სახელი და ეწოდა შპს „საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება“ (GIZ).

12 მიგრიული, რ., 2023. ვალაუვალობის ქართული სამართალი – გზა არაშემძლეობიდან გაკოტრებამდე და გაკოტრებიდან გადახდისუნარობამდე. მე-2 ნაწილი, ჩემი ადვოკატი, #XI. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <<https://www.gba.ge/ka/ჟურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართალი.html-1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).

13 კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (1994) [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=70>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).

14 „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის სათარგმნელად, დოქტ. ჰარტმუთ ფრომის ინიციატივით, 1993 წლის ზაფხულში, მის საადვოკატო ბიუროში „ფრომი და პარტნიორები“, რომელიც გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში მდებარეობდა, ბატონ ლადო ჭანტურიასთან ერთად, მეც ვიყავი მიწვეული.

საერთო კანონში ყოფილიყო აკინძული (in einem einheitlichen Gesetz zu bündeln).<sup>15</sup>

ქართველ სპეციალისტთა ნაწილი, თავდაპირველად, ემხრობოდა მოსაზრებას, რომ სამეწარმეო სამართალი სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ნაწილი ყოფილიყო და იგი სამოქალაქო სამართლის პროექტის ფარგლებში განეხილათ. გერმანელი ექსპერტები (პროფესორი როლფ კნიპერი და ადვოკატი ჰარტმუტ ფრომი), პირიქით, მხარს უჭერდნენ მოსაზრებას, რომ, ნაცვლად სავაჭრო კოდექსისა, კომერციული იურიდიული პირების შესახებ ცალკე, ერთიანი კანონი შემუშავებულიყო.<sup>16</sup> საბოლოოდ, გაზიარებული იქნა გერმანელი ექსპერტების მოსაზრება და „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ცალკე იქნა მიღებული. აღნიშნული კანონის „თვითმყოფადობა“ იმითაც დასაბუთდა, რომ იმ პერიოდისათვის, გაცხადებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, „სამეწარმეო ურთიერთობანი გადაუდებელ მოწესრიგებას საჭიროებდა, ხოლო სამოქალაქო კოდექსის შემუშავება კი საკმაოდ დროს მოითხოვდა“.<sup>17</sup> შედეგად არ დააყოვნა: „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღებამ (1994 წელს) დაასწრო სამოქალაქო კოდექსის მიღებას (1997 წელს). პროფესორ სერგო ჯორბენაძის შეფასებით, „გერმანულ კოლეგებთან ერთად

შემუშავებული ეს უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტი დასავლეთის არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობას არ იმეორებს, თუმცა კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის საერთო სივრცის ტენდენციას შეესაბამება“.<sup>18</sup> მართალია, მას „გერმანულ კანონად“ მოიხსენიებდნენ, მაგრამ ქართველმა მეცნიერებმა ცალსახად დაგმეს აღნიშნული ტერმინი, გამომდინარე იქიდან, რომ არც გერმანიაში და არც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყანაში არ არსებობს სამეწარმეო საქმიანობისა და მისი მონაწილეების – სამეწარმეო სუბიექტების – მომწესრიგებელი ერთიანი აქტი. ამიტომ უწოდეს მას ქართველმა მეცნიერებმა (პროფესორებმა თელო ნინიძემ, ლადო ჭანტურია და სხვ.) გერმანულ მეცნიერებთან თანამშრომლობით შექმნილი „ქართული კანონი“, რომელშიც გამოყენებულია გერმანიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ცოდნა-გამოცდილება და ემყარება კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ტრადიციას და მის ძირითად პრინციპებს.<sup>19</sup>

ქართველ მეცნიერებს შორის დიდი დისკუსია გაიმართა კანონის სახელწოდებასთან დაკავშირებითაც. გერმანელი ადვოკატის, დოქტ. ჰარტმუტ ფრომის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის დასახელება გერმანულად ასე ჟღერდა:

- 15 აღნიშნული მოსაზრება მითითებულ გერმანულ ექსპერტებს განვითარებული ჰქონდათ კანონპროექტის შესავალში, იხ. Dr. Rolf Knieper, Hartmut Fromm, Einführung zum Entwurf eines Gesetzes über die Unternehmen der Republik Georgien, Bremen und Frankfurt, August 1994, გვ. 1.
- 16 შეადარე. ჭანტურია, ლ., წინათქმა, წიგნში: ჭანტურია, ლ. და ნინიძე, თ., 1996. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, 1-ლი გამოცემა, გვ.5.; ასევე, ჭანტურია, ლ., 1996. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, წიგნში: სერგო ჯორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული. გვ. 33.
- 17 შეადარე. ზოიძე, ბ., 1995. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბილისი: გვ. 183.
- 18 ჯორბენაძე, ს., „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სამენოვანი (ქართული, რუსული, გერმანული) გამოცემის წინათქმა. გვ. 5.
- 19 შეადარე. ჭანტურია ლ., წინათქმა, წიგნში: ჭანტურია, ლ. და ნინიძე, თ., 1996. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები. 1-ლი გამოცემა, გვ. 5. ასევე, ჭანტურია, ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. წიგნში: სერგო ჯორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული. გვ. 34.



Entwurf eines Gesetzes über die gewerblichen Unternehmer (შემოკლებით GewUntG), რომელიც ქართულად პირდაპირ ასე ითარგმნებოდა: „კანონპროექტი კომერციული მეწარმეების შესახებ“. განხილვების დროს კანონპროექტის სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი იყო შემოთავაზებული: „სამეწარმეო საზოგადოებების შესახებ“, „საწარმოთა შესახებ“, „მეწარმეობის შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი პარლამენტს პირველი მოსმენისათვის წარედგინა სახელწოდებით „საწარმოთა შესახებ“ და ამ დასახელებით მიიღო კიდევ იგი პარლამენტმა. მიუხედავად ამისა, პარლამენტში კვლავ გაგრძელდა დებატები კანონპროექტის სახელწოდებასთან დაკავშირებით, ვიდრე 1994 წლის 28 ოქტომბერს პარლამენტმა საბოლოოდ არ მიიღო კანონი დღეს არსებული სახელწოდებით – „მეწარმეთა შესახებ“. კანონის სახელის შეცვლაში დიდი როლი ითამაშა 1994 წლის 15 ივლისს ქ. ბრემენში (გერმანია) გამართულმა საერთაშორისო იურიდიულ-სამეცნიერო კონფერენციამ, სადაც განიხილეს ასევე ტერმინ „საწარმოს“ სამართლებრივი შინაარსი, იმ თვალსაზრისით, წარმოადგენდა იგი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს თუ სუბიექტს.<sup>20</sup> დღეს არსებული კანონის სახელწოდების სასარგებლოდ

მეტყველებდა ის ფაქტი, რომ გერმანელი ექსპერტის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი სწორედ მეწარმეების, ანუ კომერციულ საქმიანობაში ჩაბმული სუბიექტების მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს აწესრიგებდა.

აღსანიშნავია, რომ გერმანელი ექსპერტების მიერ შემოთავაზებული კანონი წარმოადგენდა ერთგვარ „საკანონმდებლო ჩარჩოს“, რომელიც ამოქმედებისა და პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ უნდა შევსებულიყო დამატებითი – პრაქტიკიდან გამომდინარე – წესებით. მოხდა კი პირიქით: 2008 და 2010 წლებში განხორციელებული ცვლილებებით ერთმანეთში აირია გერმანულ-ევროპული და ამერიკული მოდელები, რამაც კიდევ უფრო დიდი დაბნეულობა გამოიწვია კანონის მომხმარებლებში (ძირითადად საზოგადოების პარტნიორებში). კანონიდან ამოღებული იქნა არაერთი იმპერატიული წესი და, თითქოსდა, გამარტივების შედეგად, გარკვეული ურთიერთობების მოწესრიგება წესდებას მიენდო. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონმა ძირითადი გეზი ამერიკულისაკენ აიღო.<sup>21</sup> იურიდიულ ლიტერატურაში დაიწყეს მსჯელობა „საწესდებო ავტონომიასა“<sup>22</sup> და მის „გაფართოებასთან“ დაკავშირებით.<sup>23</sup> კანონის ასეთმა „გამარტივებამ“ კორპორატიული მმართველობის მნიშ-

20 ქანტურია, ლ., 1996. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. წიგნში: სერგო ჯორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული. გვ. 34-35.

21 შეადარე. ბურდული, ი., 2012. თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა), წიგნში: რომან შენგელია, 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები. გვ. 227

22 იხ. ქანტურია, ლ., 2010. საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში. კრებული: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი 1, 2010, გვ. 560-570. ასევე: ბურდული, ი., 2012. თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა), წიგნში: რომან შენგელია, 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, გვ. 224.

23 შეადარე. ლაზარაშვილი, ლ., 2013. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და ქართული საკორპორაციო სამართლის თანამედროვე საკანონმდებლო მოწესრიგების პრობლემები. წიგნში: ბესარიონ ზოიძე, 60, საიუბილეო კრებული, 2013, მე-2 სქოლიო, გვ. 528.

ვნელოვანი საკითხებიც მოწესრიგების მიღმა დატოვა.<sup>24</sup> ამდენად, 2008 და 2010 წლებში განხორციელებული ცვლილებები ქართველმა მეცნიერებმა ნეგატიურად შეაფასეს, როგორც გაუგებარი, უსისტემო, ზედმეტად ლიბერალური და საერთო კორპორაციულ-სამართლებრივი კონტექსტიდან ამოვარდნილი.<sup>25</sup>

გამომდინარე იქიდან, რომ 1994 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონში იმპერატიული ნორმები შემცირდა და მან ადგილი თანდათან დისპოციზიურ ნორმებს დაუთმო, ამან გამოიწვია ბალანსის დარღვევა იმპერატიულ და დისპოციზიურ ნორმებს შორის. ამან კი სამეწარმეო და სასამართლო პრაქტიკაში სერიოზული პრობლემები წარმოშვა.

დღის წესრიგში დადგა შემდეგი საკითხი: ან არსებული კანონი სრულად უნდა განახლებულიყო, ანდა მიღებულიყო სრულიად ახალი კანონი. აღნიშნულზე ზრუნვა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ითავა. შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. ახალ კანონზე მუშაობა მიმდინარეობდა მრავალი წლის განმავლობაში, თუმცა მისი შედეგებით დაჩქარებული ტემპით შემუშავება ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის მოთხოვნებიდანაც გამომდინარეობდა.<sup>26</sup>

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, იმავე

სახელწოდებით – „მეწარმეთა შესახებ“. ახალი კანონი 2022 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც დაახლ. 30 წლიანი ინტერვალით საქართველოში მიღებული იქნა ერთი და იმავე დასახელების კანონი. ახალი კანონის შეფარდებისას გასათვალისწინებელია, რომ მათი მომხმარებლების მიერ – იქნებიან ესენი მოსამართლეები, ადვოკატები, მეცნიერები თუ სხვები – ზუსტად მოხდეს მათი იდენტიფიცირება, რათა იგი არ იქნას გაიგივებული 1994 წლის კანონთან.

ერთი და იმავე დასახელების კანონების იდენტიფიცირების საუკეთესო საშუალებაა მიღების თარიღი. ამისათვის საკმარისია მიღების წლის მითითება. ამიტომ 2021წ. 2 აგვისტოს მიღებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონი მოხსენიებული უნდა იქნას, როგორც „2021 წლის კანონი“, ხოლო 1994წ. 28 ოქტომბერს მიღებული კანონი – როგორც „1994 წლის კანონი“.

1994 წლის კანონისაგან განსხვავებით 2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონი თითქმის 4-ჯერ მეტი მუხლისაგან (255 მუხლი) შედგება და მასში სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობები უფრო დეტალურადაა ჩაშლილი. შესაბამისად, 2021 წლის კანონი უფრო დეტალურია, იგი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დეტალური ჩაშლით, კანონმდებლის მიზანი იყო ის, რომ თუკი ცალკეული საკითხები წესდებით არ

24 შეადარე. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. გვ. 1. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

25 შეადარე. ლაზარაშვილი, ლ., 2013. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და ქართული საკორპორაციო სამართლის თანამედროვე საკანონმდებლო მოწესრიგების პრობლემები. წიგნში: ბესარიონ ზოიძე, 60, საიუბილეო კრებული. გვ. 522.

26 გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება, კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მოკლე მიმოხილვა. გვ. 1. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://dvw.ge/wp-content/uploads/2022/02/Geo-Brief-Review-of-Law-of-Enterpreneurs.pdf>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

იქნებოდა მოწესრიგებული, ასეთ შემთხვევაში კანონში იარსებებდა შესაბამისი კონკრეტული ნორმები, რომლებიც თავად მოაწესრიგებდნენ ღიად დარჩენილ და სადავოდ ქცეულ სამეწარმეო-სამართლებრივ ურთიერთობებს. შესაბამისად, კვლავ აღდგებოდა ბალანსი იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებს შორის. ამით კი თავიდან იქნებოდა აცილებული ის საკანონმდებლო ვაკუუმი, რომელიც ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, სამეწარმეოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს – სადავო საკითხების სათანადოდ განხილვასა და გადაწყვეტაში.<sup>27</sup> აღნიშნული ვაკუუმის შევსების გარკვეული ტვირთი სწორედ სასამართლოებმა იკისრეს და შემოგვთავაზეს საკუთარი საინტერესო ხედვები პრაქტიკაში წარმოშობილი სადავო საკითხების გადასაწყვეტად.<sup>28</sup> თუმცა ხშირად გვხვდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებების კრიტიკაც, როდესაც მოსამართლეებს „კანონსგაცდენილ შემოქმედებას“ უწუნებდნენ.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის კანონში გათვალისწინებულია ასოცირების შეთანხმების XXVIII დანართში („საკორპორაციო სამართლის“) მითითებული ევროდირექტივების<sup>29</sup> პოზიციები. კანონი ეფუძნება ევროდირექტივების შესაბამის იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებს,

რაც აშკარად დაახლოვებს ქართულ სამეწარმეო სამართალს ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

შეიძლება ითქვას, რომ ის მიზანი, რომელიც ჰქონდა 1994 წლის „ჩარჩო კანონს“, მიმართული სრულყოფილებისა და პრაქტიკით გამდიდრებისაკენ, აღსრულდა სწორედ 2021 წლის კანონით. „მეწარმეთა შესახებ“ 2021 წლის კანონმა შემოგვთავაზა კანონით დაწესებული იმპერატიული რეგულაციებისა და პარტნიორთა შეთანხმებებსა და წესდებებში გასათვალისწინებელი წესების ერთგვარი ნაზავი. აღნიშნული კანონის მიღებით, ერთი მხრივ, გაიზარდა სამეწარმეო ურთიერთობებში კანონის როლი და აღნიშნულება და, მეორე მხრივ, გამყარდა საწესდებო ავტონომიის პრინციპი.

მართალია, ახალი კანონით ბევრი საკითხის მოწესრიგება ისევ წესდებას მიენდო, მაგრამ კოლიზიის შემთხვევაში კანონმდებელმა მისი ძალიან საინტერესო გადაწყვეტა შემოგვთავაზა: თუ წესდებით არ არის კონკრეტული საკითხი მოწესრიგებული, მაშინ საკითხის გადაწყვეტა ხდება კანონის საფუძველზე, იმპერატიულად დადგენილი ნორმების მიხედვით; ანდა, თუ წესდება გადაუხვევს კანონით დადგენილ ნორმებს, რომლის შინაარსიცა და მიზანიც აშკარად იმპერატიულია, მაშინ იმოქმედებს სწორედ ეს იმპერატიული ნორმები.<sup>30</sup> ხოლო სააქციო საზოგადოება

27 შეადარე. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. გვ. 3. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

28 ამ მხრივ საინტერესოა, მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პარტნიორის კაპიტალშემცვლელ სესხთან დაკავშირებით, როდესაც სასამართლოს მიერ პარტნიორის მიერ გაცემული სესხი შენატანად იქნა აღიარებული, რითაც პარტნიორს მოუსპო მოთხოვნის უფლება საზოგადოებაზე გაცემული სესხის დაბრუნებაზე.

29 კონკრეტული დირექტივების ჩამონათვალი იხ. განმარტებით ბარათში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. გვ. 4. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

30 შეადარე. მუხლი 2 (2,3), „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=8#DOCUMENT:1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

დოების შემთხვევაში, კანონი ცალსახად ადგენს, რომ წესდებითა და პარტნიორთა შეთანხმებით განსხვავებული წესები მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებსა და ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს.<sup>31</sup> ასეთი მიდგომა კი საშუალებას მისცემს სასამართლოებს, სადავო სამეწარმეოსამართლებრივი საკითხები გადაწყვიტონ ჯერ წესდებაზე დაყრდნობით, ხოლო წესდებით მოუწესრიგებლობის შემთხვევაში – კანონის შესაბამისი ნორმების გამოყენებით. აღნიშნული კი, საბოლოოდ, ხარისხიანი და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობა გახდება.

31 იქვე. მუხლი 1(4).

## დასკვნა

დასკვნის სახით, დღეს უკვე შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ 2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონი თანამედროვე სამეწარმეო ურთიერთობებზე მორგებული კანონია, რომლითაც უფრო დეტალურად არის მოწესრიგებული შიდა კორპორატიული ურთიერთობები. აღნიშნული კანონი ძალიან ბევრ სიახლეს გვთავაზობს, რომლებიც მომავალში აუცილებლად გახდება მეცნიერთა მსჯელობის საგანი.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ბურდული, ი., 2012. თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა). წიგნი: რომან შენგელია, 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები.
- ზოიძე, ბ., 2005. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბილისი.
- ლაზარაშვილი, ლ., 2013. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და ქართული საკორპორაციო სამართლის თანამედროვე საკანონმდებლო მოწესრიგების პრობლემები. წიგნი: ბესარიონ ზოიძე, 60, საიუბილეო კრებული.
- „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სამეწარმეო (ქართული, რუსული, გერმანული) გამოცემა, სერგო ჯორბენაძის წინათქმა, 1995.
- მიგრიაული, რ., 2023. ვალაუვალობის ქართული სამართალი – გზა არამემძლეობიდან გაკოტრებამდე და გაკოტრებიდან გადახდისუუნარობამდე. 1-ლი ნაწილი, ჩემი ადვოკატი, X. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.gba.ge/ka/ჟურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართალი.html>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].
- მიგრიაული, რ., 2023. ვალაუვალობის ქართული სამართალი – გზა არამემძლეობიდან გაკოტრებამდე და გაკოტრებიდან გადახდისუუნარობამდე.“ მე-2 ნაწილი. ჩემი ადვოკატი, XI. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.gba.ge/ka/ჟურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართალი.html-1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].
- მიგრიაული, რ., 2021. სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო.
- ჭანტურია, ლ. და ნინიძე, თ., 1996. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები. 1-ლი გამოცემა.
- ჭანტურია, ლ., 1996. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. წიგნი: ჯორბენაძე სერგო, 70, საიუბილეო კრებული, 1996.
- ჭანტურია, ლ., 2010. საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში. კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. წიგნი 1.

**ინტერნეტ რესურსები:**

1. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].
2. გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება, კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მოკლე მიმოხილვა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://dvw.ge/wp-content/uploads/2022/02/Geo-Brief-Review-of-Law-of-Enterpreneurs.pdf>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

**ნორმატიული აქტები:**

1. კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ.“ 1991. [ინტერნეტი]ხე-

ლმისაწვდომია:<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5583697?publication=1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).

2. კანონი „მეწარმეთა შესახებ.“ 1994. ძალადაკარგულია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=70>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).
3. კანონი „მეწარმეთა შესახებ.“ 2021. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=8>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. სსრკ კანონი „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ“ (1988). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1989.

**BIBLIOGRAPHY:****Used Literature:**

1. Burduli, I., 2012. Modern Georgian corporate law (brief review). In the book: Roman Shengelia, 70, jubilee collection, Issues of Law. (in Georgian)
2. Chanturia, L., 1996. The Law on Entrepreneurs and the Origin of Corporate Law in Georgia. In the book: Jorbenadze Sergo, 70th anniversary collection, 1996. (in Georgian)
3. Chanturia, L. and Ninidze, T., 1996. Commentaries on the Law on Entrepreneurs. 1st edition. (in Georgian)
4. Chanturia, L., 2010. Statutory Autonomy in Corporate Law. In the collection: Essays on the History of Law and Political Thought, Book 1. (in Georgian)
5. Lazarashvili, L., 2013. Law of Georgia "On Entrepreneurs" and the Problems of Modern Legislative Regulation of Georgian Corporate Law. In the book: Besarion Zoidze, 60, anniversary collection. (in Georgian)
6. Migriauli, R., 2023. Georgian Insolvency Law – the Path from Insolvency to Bankruptcy and from Bankruptcy to Insolvency. Part 1, Chemi advokati X. [Online] available: <[https://www.gba.ge/ka/ჟურნალი-აღვკატი/ჩემი-](https://www.gba.ge/ka/ჟურნალი-აღვკატი/ჩემი-აღვკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართლი.html)

[აღვკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართლი.html](https://www.gba.ge/ka/ჟურნალი-აღვკატი/ჩემი-აღვკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართლი.html)> [access Date 1.05.2024]. (in Georgian)

7. Migriauli, R., 2023. Georgian Insolvency Law – the Path from Insolvency to Bankruptcy and from Bankruptcy to Insolvency", part 2. Chemi Advokati, XI. [Online] available at: <<https://www.gba.ge/ka/ჟურნალი-აღვკატი/ჩემი-აღვკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართლი.html-1>> [access date 1.05.2024]. (in Georgian)
8. Migriauli, R., 2021. Brief Guide to Entrepreneurial Law. (in Georgian)
9. Trilingual (Georgian, Russian, German) edition of the Law "On Entrepreneurs". foreword by Sergo Jorbenadze, 1995. (in Georgian)
10. Zoidze, B., 2005. Reception of European Private Law in Georgia. Tbilisi. (in Georgian)

**Internet Resources:**

1. Explanatory note on the draft law of Georgia "On Entrepreneurs". [Online] Available at: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>> [access date 1.05.2024]. (in Georgian)
2. German Economic Union, Law "On Entrepreneurs", a Brief Overview. [Online] Available at: <<https://dvw.ge/wp-content/uploads/2022/02/Geo-Brief-Review-of-Law->

[of-Enterpreneurs.pdf](#)> [access date 1.05.2024].  
(in Georgian)

**Normative Materials:**

1. Law "On the Basics of Entrepreneurial Activity." 1991. [Online] available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5583697?publication=1>> [Accessed 1.05.2024]. (in Georgian)
2. Law "On Entrepreneurs" 1994. Invalid. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=70>> [Accessed 1.05.2024]. (in Georgian)
3. Law "On Entrepreneurs" 2021. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=8>> [Accessed 1.05.2024]. (invalid.). (in Georgian)
4. Law of the USSR "On Cooperation in the Union of the USSR" (1988). publishing house "Soviet Georgia", Tbilisi 1989. (in Georgian)

# არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში

## მარიამ მამულაძე

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი,

სსიპ საზოგადოებრივი მუნიციპლის აჭარის ტელევიზია და რადიოს იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი (საქართველო)

ელ.ფოსტა: [Mariam27mamuladze@gmail.com](mailto:Mariam27mamuladze@gmail.com)

მარიამ მამულაძე

## აბსტრაქტი

საქართველოში ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებამ, რომელიც აგებულია ბავშვის უფლებათა კონვენციასა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპზე, განაპირობა არასრულწლოვანთა სრულფასოვან სუბიექტად აღიარება სამართლებრივ ურთიერთობებში, ასევე დაადგინა მექანიზმები, რომლებიც წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე აგებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

ბავშვთა უფლებების რადიკალური ზრდის პარალელურად, სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში იკვეთება რიგი პრობლემური საკითხები, რომლებიც განპირობებულია პრაქტიკული გამოცდილების არქონითა და საკანონმდებლო ხარვეზების არსებობით. არასრულწლოვნის ჯანსაღ გარემოში აღზრდა და მისი სათანადო მატერიალური პირობებით უზრუნველყოფა, მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისათვის. აღნიშნული უფლებების რეალიზება კი დამოკიდებულია სამართალწარმოების პროცესზე, რომელიც აგებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მექანიზმებზე.

ნაშრომში განხილული იქნება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის ძირითადი მახასიათებლები და კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე წარმოდგენილი იქნება არასრულწლოვანთა საქმეებზე ეროვნული და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, შემოთავაზებული იქნება არსებული პრობლემის გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** ბავშვი, სასამართლო, წარმომადგენლობა, გადაწყვეტილება

# PROTECTION OF THE BEST INTERESTS OF MINORS IN CIVIL PROCEEDINGS

## Mariam Mamuladze

*PhD student of the Law school at Davit Agmashenebeli University of Georgia,  
Head of Legal Support Service, Public Broadcaster Adjara Television and Radio (Georgia)*

Email: [Mariam27mamuladze@gmail.com](mailto:Mariam27mamuladze@gmail.com)

### Abstract

The adoption of the code on the rights of the child in Georgia, which is based on the principles of the Convention on the Rights of the Child and the Universal Declaration of Human Rights, led to the recognition of minors as full-fledged subjects in legal relations, as well as established mechanisms, that are the basis for ensuring court decisions based on the best interests of the child.

Along with the radical growth of children's rights, a number of problematic issues are identified in the process of civil litigation, which is due to the lack of practical experience and the existence of legislative gaps. Raising a minor in a healthy environment and providing him/her with appropriate material conditions is important for the child's development and formation as a full-fledged member of society and the realization of this depends on the legal process, which should be built on the mechanisms for protecting the best interests of the child.

The paper will discuss the main features of the protection of the best interests of minors and the criteria that should be considered by the court in the decision-making process. Decisions of the national and European Court of Human Rights on juvenile cases will also be presented, as a way to solve the existing problem and recommendations will be offered.

**KEYWORDS:** child, court, representation, decision



## შესავალი

არასრულწლოვნები საზოგადოების ის ნაწილია, რომელთა უფლებების დაცვაზე სახელმწიფოსა და სოციუმის ინტერესი დღითიდღე იზრდება. ბავშვის ინდივიდუალიზმიდან გამომდინარე, რთულია კონკრეტული მიდგომის შემუშავება, რომელიც სრულყოფილად უზრუნველყოფს მათი საუკეთესო ინტერესების დაცვას, შესაბამისად, ის ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც ბავშვთა უფლებების დასაცავად უნდა გატარდეს სახელმწიფოს, საზოგადოების თუ საერთაშორისო სამართლის დონეზე, მუდამ აქტუალური, განახლებადი და ამოუწურავია.

ბავშვთა უფლებების დაცვა რჩება აქტუალური მიმდინარე და წარმოშობილი გამოწვევების ფონზე, რაც მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას არასრულწლოვანთა უფლებების დასაცავად, მათი განვითარებადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ყველა ბავშვისთვის უსაფრთხო და სამართლიანი გარემოს შესაქმნელად. ბავშვთა არსებული უფლებების რეალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა.

საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებულმა საკანონმდებლო რეფორმებმა, კერძოდ, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიღებამ და საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებებმა, შექმნა მყარი სამართლებრივი საფუძველი არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირებისათვის, თუმცა არსებული კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენებისას თავს იჩენს რიგი პრობლემური საკითხები, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საზოგადო-

ებაში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების აღიარების, პატივისცემისა და დაცვის კულტურის კიდევ უფრო მეტად ჩამოყალიბებაში. მიუხედავად აღნიშნულისა, რჩება საკითხები, რომლებიც მეცნიერულ დონეზე ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დამუშავებული და საჭიროებს დამატებით კვლევას, მაგალითად, სასამართლოში საქმისწარმოების პროცედურების წარმოება არასრულწლოვანთა ინდივიდუალიზმის, მათი განვითარებისა და ასაკის შესაბამისად, კომუნიკაციის სწორი ფორმის შერჩევა, ბავშვის აზრის მოსმენა და გათვალისწინება, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება და სხვა. კვლევის მიზანსაც სწორედ აღნიშნული პრობლემების წარმოჩენა, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენს.

სამეცნიერო ნაშრომში განხილული საკითხები, გამოკვლეული პრობლემები, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების წარმოჩენა და მათი გადაჭრის მეცნიერული გზების შემოთავაზება ფუნდამენტურ როლს ითამაშებს იმ სტანდარტების დანერგვაში, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და ღირებულებების დასაცავად როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

## სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის ძირითადი ასპექტები

საქართველოში არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, რომელიც

მთლიანად აგებულია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, საუკეთესო ინტერესების ცნება კომპლექსურია და უნდა შეფასდეს ინდივიდუალური შემთხვევის მიხედვით, რაც გულისხმობს, რომ არსებული კონცეფცია მოქნილი და ადაპტირებადია,<sup>1</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა უნდა მოხდეს თითოეული ბავშვის კონკრეტული სიტუაციის, მისი პირადი კონტექსტის, მდგომარეობის, ემოციური და ფიზიკური მოთხოვნილებების, უსაფრთხოებისა და სხვა საჭიროებების გათვალისწინებით.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვაზე ზრუნვა იწყება სასამართლოსათვის მიმართვის მომენტიდან. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით დაამტკიცა ბავშვზე მორგებული სარჩელისა და სასამართლო უწყების ფორმები. თუმცა სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მხოლოდ ადაპტირებული სასარჩელო ფორმების შემუშავება არ არის გარანტი არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვისა. ამ მხრივ საინტერესოა ქეისი, როდესაც 2020 წლის 6 ოქტომბერს 7,11 და 17 წლის მოზარდებმა თავიანთი ინტერესების დასაცავად დამოუკიდებლად მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულების წინააღმდეგ. სასამართლომ

მიუთითა, რომ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა სასამართლოს სხვა კოლეგიისათვის მიმართვას. მოგვიანებით არასრულწლოვნებმა კვლავ მიმართეს სასამართლოს სარჩელით. სასამართლომ სარჩელი კვლავ არ მიიღო იმ მოტივით, რომ წარდგენილ სარჩელს თან არ ერთვოდა მშობლების ხელმოწერები.<sup>2</sup> მსგავსი პრაქტიკის ჩამოყალიბება წარმოშობს სასამართლოსადმი ნდობის დაკარგვისა და სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველს, მაშინ, როდესაც ბავშვთა უფლებათა კოდექსის მე-13 მუხლი მიუთითებს: „ბავშვს უფლება აქვს, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და ისარგებლოს მართლმსაჯულების ისეთი სისტემით, რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანამიმდევრული, მისი უფლებებისა და საჭიროებებისთვის მორგებული, ბავშვის ღირსებისა და პირადი ცხოვრების მიმართ პატივისცემის გამომხატველი.“ გარდა ამისა, სასამართლოს მხრიდან ბავშვის სარჩელის მიღებაზე უარის თქმა „ბუნდოვანი სასარჩელო მოთხოვნის“ და განსჯადობის მიზეზით, არ წარმოადგენს 7 და 11 წლის ბავშვისთვის გასაგებ ენას, მსგავსი პასუხის მიღებამ შესაძლოა საერთოდ გადააფიქრებინოს ბავშვებს სასამართლოსადმი მიმართვა.<sup>3</sup>

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარანტია არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა, საქართველოს კანონი „ბავ-

1 UN Committee on the Right of the Child, 2013. General comment (14) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), para. 32.

2 სასამართლომ ბავშვების მიერ მომზადებული სარჩელი ისევ არ მიიღო. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://phr.ge/publication/news/109?lang=geo>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].

3 იქვე.

შვის უფლებათა კოდექსის“ მე-80 მუხლის I პუნქტის თანახმად: „ბავშვის უფლება აქვს, ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან/და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ან მის მიერ არჩეული სხვა საპროცესო წარმომადგენელი“.<sup>4</sup> ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი განმარტავს, რომ ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი არის მშობელი, რომელიც განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე გამოდის ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

საყურადღებოა, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღების შემდგომ, არასრულწლოვანთა უფლებების გაფართოების კვალდაკვალ უფრო და უფრო იზღუდება მშობლის, როგორც კანონიერი წარმომადგენლის, როლი სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში. მაგალითად, მეურვეობასთან დაკავშირებულ დავებზე მშობლებს, როგორც დაინტერესებულ პირებს, უჩერდებათ კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილება და არასრულწლოვანს ენიშნება საპროცესო წარმომადგენელი. მშობლის უფლებამოსილების შეზღუდვის კიდევ ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს საკანონმდებლო ცვლილებები სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 186-ე მუხლებში. აღნიშნულ ცვლილებებამდე გარიგების ნამდვილობა განისაზღვრებოდა მხოლოდ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომა-

დგენლების შეხედულების შესაბამისად და რაიმე კონტროლის მექანიზმი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად შეესაბამებოდა გარიგება ბავშვის საუკეთესო ინტერესს, ვერ ხდებოდა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამგვარი მიდგომა საფრთხეს უქმნიდა არასრულწლოვანის უფლებების სათანადო რეალიზებას. ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღების შედეგად აღნიშნული პრობლემა სრულად მოწესრიგდა, კერძოდ, განისაზღვრა ბავშვის ქონების განკარგვისას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესთან გარიგების შესაბამისობის კვლევის აუცილებლობა.<sup>5</sup> საქართველო სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 186-ე მუხლების ახალი რედაქციის თანახმად, „ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე“,<sup>6</sup> ხოლო „ბავშვის საკუთრებაში არსებული 1 000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად სასამართლოს თანხმობის საფუძველზე“.<sup>7</sup>

სამართალწარმოების პროცესში კანონიერ წარმომადგენელთა როლი პირდაპირ გავლენას ახდენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცესზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლზე, რომელიც მჭიდრო კავშირშია ამავე

4 მუხლი 80, ბავშვის უფლებათა კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].

5 შეადარე. უტიაშვილი, ქ., 2022. არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის თავისებურებანი – არსებული პრაქტიკა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3UhwzdY>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].

6 მუხლი 183, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].

7 იქვე.

კონვენციის მე-12 მუხლთან. მე-5 მუხლი ყურადღებას ამახვილებს მშობელთა და სხვა კანონიერ წარმომადგენელთა პასუხისმგებლობაზე, უფლებებსა და მოვალეობებზე, ბავშვის განვითარებადი უნარების შესაბამისად მართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ არასრულწლოვანს კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელებაში.<sup>8</sup> როგორც მე-5, ისე მე-12 მუხლი უკავშირდება არასრულწლოვანის პიროვნების განვითარებას და ორივე მათგანი ცვალებადი ბუნებისაა ბავშვის განვითარების ეტაპების შესაბამისად<sup>9</sup>. განვითარებადი შესაძლებლობები არ გულისხმობს ბავშვის უფლებების უარყოფას მისი მოუმწიფებლობიდან გამომდინარე, არამედ არასრულწლოვანის მიერ საკუთარი უფლებების დამოუკიდებლად განხორციელება შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს და მოექცეს სხვათა, კერძოდ, მშობლების პასუხისმგებლობის ქვეშ.<sup>10</sup> მე-5 მუხლით გათვალისწინებული მშობელთა პასუხისმგებლობა მე-12 მუხლის კონტექსტში ნიშნავს, რომ არასრულწლოვანის შეხედულებები არ არის უფრო დიდი მნიშვნელობის, ვიდრე მისი მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების, მაგრამ მათი როლი დამოკიდებულია არასრულწლოვანის განვითარებაზე.

აღნიშნული ნიშნავს, რომ არასრულწლოვნებს მინიჭებული აქვთ დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა და მათი უნარების განვითარების შესაბამისად, კლებულობს მშობელთა როლი, ხოლო არასრულწლოვანის მოსაზრებებს ენიჭება მეტი მნიშვნელობა მაშინ, როდესაც შედარებით მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში, საჭიროა მშობლების მოსაზრებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭება.<sup>11</sup> მე-5 მუხლით გათვალისწინებული განვითარებადი უნარების ცნება უზრუნველყოფს ბალანსის დაცვას, ერთი მხრივ, ბავშვის, როგორც უფლებების განხორციელების თვალსაზრისით აქტიურ სუბიექტად აღიარებასა და მეორე მხრივ, მისი მოუმწიფებლობის გათვალისწინებით, შესაბამისი დაცულობით უზრუნველყოფას შორის. შესაბამისად, სწორედ აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას ბავშვისა და მშობლის დაპირისპირებული შეხედულებების დაბალანსებას.<sup>12</sup>

ბავშვის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის აზრის მოსმენა და მისი სათანადოდ გათვალისწინება: ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და მონაწილეო-

- 8 შეადარე. შეყილაძე, ხ., 2019. სადოქტორო დისერტაცია: კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 184.
- 9 შეადარე. Lücker-Babel, M. F., 1995. The Right of the Child to Express Views and to Be Heard: An Attempt to Interpret Article of the UN Convention on the Rights of the Child. The International Journal of Children's Rights, 3 (3-4), გვ. 397.
- 10 შეადარე. Beijer, A. and Liefwaard, T., 2011. A Bermuda Triangle? Balancing Protection, Participation and Proof in Criminal Proceedings Affecting Child Victims and Witnesses. Utrecht Law Review, 7 (3), გვ. 74.
- 11 შეადარე. Rap-Leurs, S. E., 2013. The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe. Utrecht University, გვ. 59.
- 12 შეადარე. Doek, J. E., 2007. The Eighteenth Birthday of the Convention of Rights of the Child: Achievements and Challenges. University of Michigan Journal of Law Reform, 41 (1), გვ. 62-63.

ბაზე განსაზღვრულია კოდექსის მე-8 მუხლით. ბავშვის აზრის მოსმენის უფლებას მივყავართ ბავშვის აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან, თუმცა, მისგან განსხვავებით იგი ემსახურება უფრო ვიწრო, კონკრეტულ მიზანს, კერძოდ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის მონაწილეობას.<sup>13</sup> დაცულია აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, რაც გულისხმობს აზრის როგორც ჩამოყალიბებისას, ისე გამოთქმისას ბავშვის დაცვას ყოველგვარი ზეწოლისგან. ასევე დაცულია უფლების ნეგატიური მხარეც: ბავშვს აქვს უფლება არ გამოთქვას აზრი და დისტანცირდეს მასთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცესისგან. დაუშვებელია ბავშვის იძულება აზრის გამოთქმასა და მონაწილეობაზე.<sup>14</sup>

ბავშვის აზრის ჩამოყალიბებისათვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ იგი იყოს ინფორმირებული გადაწყვეტილებასა და მის სავარაუდო შედეგებზე, ასევე ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელიც შესაძლოა იყოს დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებასთან. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, პირველყოვლისა, აქვს იმ პირს, რომელიც უსმენს ბავშვს, შემდეგში უკვე მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს.

იმისათვის, რომ ბავშვმა აზრი გამოხატოს, უნდა შეეძლოს ამ აზრის ფორმირება. ბავშვის აზრის ფორმირების შესაძლებლობა განისაზღვრება მისი ასაკისა და სიმწიფის ხარისხის შესაბამისად, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფრთხილად უნდა იქნას შეფასებული.<sup>15</sup> მოზარდებთან ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად შესაძლებელია მივმართოთ

რამდენიმე ძირითად სტრატეგიას:

ა) მარტივი ენით გადმოცემა: ცხადია, რომ იურიდიული ცნებები და ტერმინოლოგია რთულად გასაგებია არასრულწლოვნებისთვის. ადვოკატებმა, წარმომადგენლებმა, მოსამართლეებმა და საქმეში ჩართულმა სხვა პირებმა აუცილებელია გამოიყენონ მკაფიო და მარტივი ენა ბავშვთა ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად;

ბ) ვიზუალური დამხმარე საშუალებებისა და რესურსების გამოყენება: ვიზუალური დამხმარე საშუალებები, როგორებიცაა: დიაგრამები, სქემები ან ნახატები, არასრულწლოვნებს დაეხმარება საქმესთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ წარმოდგენის შექმნაში. გარდა ამისა, წერილობითი მასალების მიწოდებამ შესაძლებელია შეავსოს ვერბალური კომუნიკაცია და კიდევ უფრო მეტად ეფექტური გახადოს იგი;

გ) ემპათია და თანაგრძნობა: არასრულწლოვანთა აზრის, პრობლემის მოსმენა და მათდამი ემპათია გამოხატავს პატივისცემას ბავშვების მიმართ. სასამართლო დავაში მონაწილე მხარეებმა უნდა შექმნან მხარდამჭერი გარემო, სადაც არასრულწლოვნები თავს კომფორტულად იგრძნობენ და გამოხატავენ თავიანთ აზრს შიშის გარეშე. თანაგრძნობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეფექტურ კომუნიკაციას და ჩამოაყალიბოს ნდობა ბავშვებსა და საქმეში მონაწილე პირთა შორის.

დ) მორგებული მიდგომა არასრულწლოვნის განვითარების სტადიის შესაბამისად: ვინაიდან სხვადასხვა ასაკისა და

13 შეადარე. კილაძე, ს. და ტურავა, პ., 2021. ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 126.

14 Committee on the Rights of the Child, 2009. General Comment (12), UN Doc CRC/ C/GC/12, para. 25.

15 შეადარე. Krappmann, L., 2010. The Weight of the Child's View. Article (12) of the Convention on the Rights of the Child, 18 International Journal of Children's Rights. გვ. 507.

განვითარების სტადიის მქონე არასრულწლოვნებს განსხვავებული დონის აღქმისა და კომუნიკაციის უნარი გააჩნიათ, საქმისწარმოების პროცესში უფლებამოსილმა პირებმა უნდა უზრუნველყონ მორგებული მიდგომა ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე. მცირეწლოვან ბავშვებს შეუძლიათ ისარგებლონ მარტივი ახსნა-განმარტებითა და კონკრეტული მაგალითებით, ხოლო მოზარდები შეიძლება უფრო ეფექტურად ჩაერთონ ინტერაქტიული დისკუსიებისა და თვითგამონატვის შესაძლებლობების მეშვეობით.

ბავშვის აზრი არა მხოლოდ მოსმენილ უნდა იქნას, არამედ, ასევე, გათვალისწინებულიც. ბავშვის აზრი გათვალისწინებაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ყველა შემთხვევაში ზუსტად იმავე გადაწყვეტილების მიღება, რაც ბავშვს უნდა. კოდექსის მიზანია, ბავშვი მაქსიმალურად ჩაერთოს იმ საკითხებში, რომლებიც მის ინტერესებს ეხება, თუმცა ეს არ ნიშნავს, ზუსტად ისე მოიქცეს სახელმწიფო, ოჯახი თუ სხვა პირი, როგორც ბავშვის სურვილია.<sup>16</sup> აუცილებელია ფრთხილად შეფასდეს ბავშვის აზრი, მისი ასაკისა და გონებრივი სიმწიფის გათვალისწინებით.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის კიდევ ერთ სამართლებრივ გარანტს წარმოადგენს კონფიდენციალურობა: ბავშვები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ აღნიშნული პრინციპი დაცული იქნება მთელი სამართლებრივი პროცესის განმავლობაში. კონფიდენციალურობა უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების შესახებ სენსიტიური ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას და სანდო გარემოს შექმნას. კონფიდენციალურობის დაცვა გარანტია არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და

ღირსების უფლებების დაცვისთვის, ასევე იგი ხელს უწყობს ბავშვთა პოტენციურ სტიგმატიზაციასა და დისკრიმინაციის თავიდან აცილებას.

არასრულწლოვანთა მონაწილეობით სამართლებრივ დავებში კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, შემუშავებულია სპეციალური რეგულაციები და პროცედურები. ეს შეიძლება მოიცავდეს შეზღუდვებს სასამართლოს ჩანაწერებთან წვდომაზე, დახურულ სამართალწარმოებასა და საჯარო დოკუმენტებში ან მოსმენებში რეალური სახელების ნაცვლად ფსევდონიმების ან ინიციალების გამოყენებას. გარდა ამისა, საქმეში ჩართული მხარეები, როგორც წესი, ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალობის ეთიკური ვალდებულებები.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უპირობო საფუძველია საქმის ოპტიმალურ ვადაში დასრულება: საქმის დროული განხილვა და გადაწყვეტილების მიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უპირობო გარანტია, ბავშვები უფრო მეტად სენსიტიურები არიან მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მათი ემოციური და ფსიქოლოგიური ფონიდან გამომდინარე. ხანგრძლივი სასამართლო პროცესების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით მიზაშეწონილია, სასამართლო ახორციელებდეს მუდმივ მონიტორინგს, რაც გულისხმობს მიმდინარე პროცესების ინტენსიურ ზედამხედველობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს არასრულწლოვანთა საჭიროებებისა და საუკეთესო ინტერესების თანმიმდევრული და დროული დაკმაყოფილება, გარემოებების ნებისმიერი ცვლილების შესაბამისად. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის მიზანშეწონილია, შეიქმნას საქმის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტი მო-

16 შეადარე. კილაძე, ს. და ტურავა, პ., 2021. ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 128.

ნიტორინგის განხორციელებას საქმის დაწყებიდან გადაწყვეტილების მიღებამდე. აუცილებელია განისაზღვროს კადრები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან თითოეული საქმის პროგრესზე თვალყურის დევნებაზე, შესაბამის მხარეებთან კომუნიკაციის შენარჩუნებასა და საჭიროების შემთხვევაში სერვისების კოორდინაციაზე. უნდა გაკეთდეს რეგულარული შეფასებები, რომლებიც დაგვეხმარება დროთა განმავლობაში წარმოშობილი ნებისმიერი საჭიროებებისა თუ პრობლემების იდენტიფიცირებაში.

არსებული პრობლემის გადაჭრის კიდევ ერთ ეფექტურ გზად მიიჩნევა სახელმწიფოში სპეციალიზირებული და საოჯახო სასამართლოების არსებობა, რომლებსაც ექნებათ მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის კომპეტენცია. აუცილებელია მოსამართლეებსა და არასრულწლოვანთა საქმეში ჩართულ წარმომადგენლებს გააჩნდეთ სპეციალური ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება არასრულწლოვანებთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორებიცაა: ბავშვის მუერვობა, შვილად აყვანა და სხვა. სპეციალიზირებული მოსამართლის მიერ საქმის განხილვის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მას გააჩნია უფრო მეტი კომპეტენცია, შეაფასოს საქმის ძლიერი და რისკის შემცველი ფაქტორები და სამართალწარმოების პროცესი წარმართოს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების და სხვა ექსპერტების ჩართულობით. ამ მხრივ საინტერესოა აშშ-ის გამოცდილება, არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი პირველი სპეციალიზირებული სასამართლო დაარსდა ქალაქ ჩიკაგოში 1899 წლის 2 ივლისს მიღებული კანონის საფუძველზე, ამავე კანონით განისაზღვრა

არასრულწლოვანთა საქმეების სპეციალიზირებული მოსამართლის მიერ სრულწლოვანთა საქმეებისაგან განცალკევებით განხილვის ვალდებულება.

ყველა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც წინამდებარე თავშია განხილული, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი განტეხილებაა. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების კიდევ უფრო მეტად გაგებისათვის განვიხილოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა:

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, საკაცო სასამართლომ ბავშვზე, რომელიც დედის გვარს ატარებდა, მამის გვარის მინიჭებაზე უარი ბავშვის ინტერესების შესაბამისად მიიჩნია. სასამართლოს არგუმენტის თანახმად, არასრულწლოვნისთვის მამის გვარის მიკუთვნება იმ პირობებში, როდესაც ბავშვს მამასთან ერთი დღეც არ უცხოვრია, არ გამომდინარეობს კანონის მიზნებიდან და არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ეროვნული კანონმდებლობა ბავშვის გვარის შეცვლის შესახებ სარჩელის აღძვრის დისკრეციას ანიჭებს მხოლოდ იმ მოთხოვნას, რომელთანაც იმყოფება ბავშვი საცხოვრებლად. ამასთან, ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნება არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, რადგან ბავშვს გათავისებული აქვს თავისი სახელი და გვარი, რომელიც მისი პიროვნული იდენტიფიკაციის საშუალებაა. ბავშვს დედის გვარით იცნობენ სკოლაში როგორც მასწავლებლები, ასევე თანაკლასელები, მას გაუცხოვება გააჩნია მამასთან და შესაბამისად, ამ უკანასკნელის გვართანაც.<sup>17</sup>

უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც კასატორი (მამა) ასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას, ბავშვების საცხოვრებლად დედის საცხოვრებელი ადგილის განსა-

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 06 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე N245-245-233-2017).

ზღვრას. თუმცა სასამართლომ ჩათვა-  
ლა, რომ ბავშვების დედასთან ერთად  
ცხოვრება მათ საუკეთესო ინტერესს შე-  
საბამებოდა. კერძოდ, სასამართლო და-  
ეყრდნო ფსიქოლოგის დასკვნას, რომ სა-  
რჩელის აღძვრამდე ბავშვები მამასთან  
ცხოვრობდნენ, რა დროსაც დედასთან  
ურთიერთობის დეფიციტი მათზე მატ-  
რამვირებელი იყო, ხოლო დედასთან შე-  
ხვედრის დროს ბავშვები გამოხატავდნენ  
სურვილს მათი შეხვედრა არ დასრულებუ-  
ლიყო. სასამართლომ თავადაც მოუსმინა  
არასრულწლოვან შვილებს პროცესზე და  
დაადგინა ბავშვების დადებითი დამოკი-  
დებულება დედის მიმართ და მათი სუ-  
რვილი, ეცხოვრათ მასთან ერთად.<sup>18</sup>

## არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები და პრაქტიკა

არასრულწლოვანის საუკეთესო ინტე-  
რესების პრიორიტეტულობის პრინცი-  
პის წარმოშობა ისტორიულად საოჯახო  
სამართალს უკავშირდება, შემდგომ კი  
ფართოდ გავრცელდა სამართლის სხვა  
დარგებშიც<sup>19</sup>. ბავშვის უფლებების განვი-  
თარების ისტორიის დასაწყისად მე-18 სა-  
უკუნის შუა წლები მიიჩნევა, ხოლო მე-20  
საუკუნე კი – ბავშვის უფლებების განვი-  
თარების საუკუნედ. ბავშვთა უფლებების  
დასაცავად მსოფლიო საზოგადოების

მნიშვნელოვანი ნაწილი გაერთიანდა,  
რამაც განაპირობა ცნობიერების ამალე-  
ბა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტე-  
რესების დაცვის თვალსაზრისით. შეიქმნა  
ისეთი საერთაშორისო-სამართლებრივი  
ინსტრუმენტები და მექანიზმები, რო-  
გორიცაა: საერთაშორისო კონვენციები,  
დეკლარაციები, უფლებადამცველი ორ-  
განიზაციები და საერთაშორისო სასა-  
მართლოები, რომლებიც საკუთარი საქ-  
მიანობით უზრუნველყოფენ ბავშვთა  
უფლებების დაცვას.<sup>20</sup>

პირველი საერთაშორისო-სამართ-  
ლებრივი აქტი, რომელიც ბავშვის უფლე-  
ბების დაცვას ითვალისწინებდა, ეს იყო  
ერთა ლიგის მიერ 1924 წლის 26 სექტემ-  
ბერს მიღებული ბავშვის უფლებათა დეკ-  
ლარაცია, რომელიც ცნობილია, როგორც  
ჟენევის დეკლარაცია.<sup>21</sup> ჟენევის დეკლარა-  
ციას არ ჰქონდა სამართლებრივი ძალა,  
მისი შინაარსი მხოლოდ სარეკომენდა-  
ციო ხასიათის იყო. ამასთანავე, მოწოდე-  
ბები მიემართებოდა არა სახელმწიფოე-  
ბს, არამედ ინდივიდებს. მასში ასევე არ  
იყო გათვალისწინებული ბავშვთა დაცვის  
არც ერთი მექანიზმი. სხვაგვარად რომ  
ვთქვათ, ჟენევის დეკლარაციამ მოახდინა  
ბავშვთა დაცვის მოძრაობის ფორმალუ-  
რი აღიარება.<sup>22</sup>

1959 წელს მიღებული იქნა გაეროს  
ბავშვთა უფლებების დეკლარაცია, რო-  
მელმაც წარმოადგინა ბავშვთა დაცვის  
სრულიად ახალი კონცეფცია. გარდა  
ფიზიკური, მენტალური და მორალური

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტი-  
ლება (საქმე №ას-735-735-2018).

19 შეყილაძე, ს., 2016. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულო-  
ბის პრინციპის არსი. სამართლის ჟურნალი (2). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:  
<<https://www.researchgate.net/profile/George-Tumanishvili/publication/318014490-ske-sis-genderis-registratsiis-universaluri-sistema/links/5954e830458515bbaa21e0a2/ske-sis-genderis-registratsiis-universaluri-sistema.pdf>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].

20 შეადარე. კილაძე, ს. და ტურავა, პ., 2021. ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმ-  
ძღვანელო კომენტარები. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 26.

21 შეადარე. იქვე, გვ. 29.

22 შეადარე. Black, M., 1986. The Children and the Nations: The Story of UNICEF, გვ. 199.



ასპექტებისა, დაამკვიდრა ბავშვის დაცვის ვალდებულება და, რაც მთავარია, გააფართოვა მოქმედების სფერო. იგი განსაზღვრავს უფლებების ორ მთავარ ჯგუფს: უფლებები, რომლებიც ზრუნავენ ბავშვის ფიზიკურ ინტეგრაციას და ქმნიან საცხოვრებელ სტანდარტებს. ასევე, უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვის ფსიქიკურ და მორალურ განვითარებას.<sup>23</sup>

აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც შეიცავს განსაკუთრებულ მითითებებს ბავშვთა უფლებებთან მიმართებაში: მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ზღუდავს საჯარო განხილვის უფლებას, როდესაც ეს განპირობებულია არასრულწლოვნის ინტერესებით, პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ბავშვის უფლებას განათლებაზე და სახელმწიფოებს ავალდებულებს მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის პატივისცემას მათი შვილების აღზრდის პროცესში. მე-რვე მუხლი განსაზღვრავს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას და სხვა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვა დანარჩენი ზოგადი ჩანაწერები ვრცელდება ყველა ადამიანზე, ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე, მათ შორის, ბავშვებზეც.<sup>24</sup>

ცალკე უნდა აღინიშნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებული „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელმაც შეცვალა ბავშვის მნიშვნელობის არსი და მათდამი დამოკიდებულება. ბავშვის უფლებათა კონვენცია საერთაშორისო

დონეზე ბავშვის უფლებების პირველი კრებულია, რომელიც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ შეთანხმებათა შორის ისტორიაში ყველაზე მეტი ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული.<sup>25</sup> კონვენცია ვრცელდება არა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეობის მქონე ბავშვებზე, არამედ ყველა იმ ბავშვზე, რომელიც იმყოფება წევრი სახელმწიფოს იურისდიქციაში. ის განსაზღვრავს სახელმწიფოთა და მშობელთა ვალდებულებას, აღიარონ და აღასრულონ კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებები. ასევე, ადგენს სახელმწიფო ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მშობლებს საკუთარი მოვალეობების შესრულებაში<sup>26</sup>. კლასიკური უფლებების პარალელურად, კონვენცია უზრუნველყოფს, ასევე, სახელმწიფო დაცვის უფლებებს და ქმნის მთელ რიგ ისეთ სპეციფიურ უფლებებს ბავშვებთან მიმართებით, რასაც არ შეიცავს სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო არაერთი საინტერესო გადაწყვეტილება, ბავშვთა უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი: საქმეზე „გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ არადამაჯერებლად მიიჩნია უზენაესი სასამართლოს დასაბუთება და მიუთითა, რომ საქმეში არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ ბავშვის უკრაინაში, დედასთან დაბრუნება გაამძაფრებდა მის ფსიქოლოგიურ

23 შეადარე. Tobin, J., 2019. The Foundation of Children's Rights in: J Tobin [Ed] The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary, Oxford University Press. გვ. 4.

24 შეადარე. ბობოხიძე, მ., „რედ.“, 2020. ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 8.

25 საქართველო UNICEF. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://uni.cf/3UFnMDU>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].

26 შეადარე. Khalil, G., 2002. Child Rights: The Historical Evolution. Beirut: Chemaly&Chemaly, გვ. 115.

ტრავმას. უზენაესმა სასამართლომ სათანადოდ არ გაითვალისწინა სოციალური მუშაკების/ფსიქოლოგების დასკვნები ბავშვის რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოში, რასაც ის განიცდიდა მშობლებთან (მამა ცხოვრობდა რუსეთში, ხოლო ბავშვი იზრდებოდა მამის მშობლებთან) კონტაქტის არქონის გამო. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ ვერ მოახერხა ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა საქმის სპეციფიკური გარემოებიდან გამომდინარე.<sup>27</sup>

საქმე „ს.ლ. და ჯ.ლ. ხორვატიის წინააღმდეგ“ ეხებოდა შეთანხმებას, ზღვისპირა ვილისა და უფრო ნაკლებად ღირებული ბინის გაცვლის შესახებ. აღნიშნული შეთანხმების თაობაზე სოციალური კეთილდღეობის ცენტრს თანხმობა უნდა გაეცა, ვინაიდან ვილის შესაკუთრე ორი არასრულწლოვანი იყო, რომლებიც ამ საქმეში მომჩივან მხარეს წარმოადგენდნენ. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები ჩიოდნენ, რომ ხორვატიის სახელმწიფომ, სოციალური კეთილდღეობის ცენტრის მეშვეობით, ვერ უზრუნველყო მათი ინტერესების სათანადოდ დაცვა, გამომდინარე იქედან, რომ ვილას მნიშვნელოვნად მეტი ღირებულება ჰქონდა, ვიდრე იმ ბინას, რომელიც მათ სანაცვლოდ მიიღეს. წინამდებარე საქმეზე მთავარი საკითხი მდგომარეობდა შედეგში, საკუთრების გაცვლის თაობაზე შეთანხმების დადასტურებისას გაითვალისწინა თუ არა სახელმწიფომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების საქმეზე ადგილი ჰქო-

ნდა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას, რადგან ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო აუცილებელი ღონისძიებების გატარება, რათა უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულებაში დაეცვა ბავშვთა საკუთრების უფლება, აგრეთვე, მომჩივნებს არ მიეცათ ხელშეკრულების ეფექტურად გასაჩივრების გონივრული შესაძლებლობა.<sup>28</sup>

„მიკული ხორვატიის წინააღმდეგ“<sup>29</sup> საქმე ეხება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს, რომელმაც, მამობის დადგენის მიზნით, სარჩელი აღძრა დედასთან ერთად. მხარე დაობდა, რომ ხორვატიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა კაცების მიერ დნმ-ის ტესტის ჩატარების ვალდებულებას, სასამართლო ბრძანების არსებობის შემთხვევაშიც კი. მხარე დაობს, რომ ეროვნული სასამართლობის მიერ მამის ვინაობის დაუდგენლობამ, პიროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებით გაურკვევლობაში დატოვა. მომჩივანი ასევე დაობდა გაჭიანურებული სასამართლო პროცესის დაჩქარების საშუალებების არარსებობის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის განხილვისას, ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ასევე ხელმისაწვდომი პროცედურა არ იცავდა სამართლიან ბალანსს – მომჩივნის უფლებას – პიროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებით გაურკვევლობა ზედმეტი გაჭიანურების

27 ევროპის სასამართლოს 2015 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე გ. ს. საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი 2361/13.

28 ევროპის სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე ს. ლ. და ჯ. ლ. ხორვატიის წინააღმდეგ, განაცხადი 13712/11.

29 ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მიკული ხორვატიის წინააღმდეგ, განაცხადი 53176/99. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-147986%22>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].

გარეშე აღმოეფხვრა და მისი სავარაუდო მამის უფლებას – დნმ ტესტის ჩატარებაზე უარის თქმას შორის. შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების არაეფექტურობამ მომჩივანი მის პიროვნულ იდენტობასთან დაკავშირებით განგრძობით გაურკვევლობაში დატოვა. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში) და მე-13 მუხლის (ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება) დარღვევას.<sup>30</sup>

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ზემოაღნიშნული მექანიზმები და განხილული სასამართლო პრაქტიკა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ გამართული სამართლებრივი სისტემისა და რეგულაციების არსებობა უპირობო გარანტიაა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვისა და მათი კეთილდღეობის თვალსაზრისით.

## დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად შეიმჩნევა სახელმწიფოთა მისწრაფება ბავშვთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებისა და დაცვისაკენ. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა სახელმწიფო და საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რაზედაც მეტყველებს ის სამართლებრივი რეგულაციები თუ დაცვის მექანიზმები, რომლებიც მიღებული და რატიფიცირებულია სახელმწიფოების მიერ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მა-

რთლმსაჯულების განხორციელება განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომლებშიც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს არასრულწლოვანი, დღემდე ხასიათდება რიგი თავისებურებებითა და სირთულეებით. პრობლემურ საკითხთა შორის საყურადღებოა არასრულწლოვანთა საქმეებზე სასამართლო დავების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც მოიცავს რიგ სპეციფიკურ ელემენტებს ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების, ასაკის, განვითარების დონისა თუ სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. წინამდებარე ნაშრომში განხილული ქეისები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აღნიშნული უფლების არსებობა და რეალიზების შესაძლებლობა უზრუნველყოფს ბავშვის დარღვეული უფლების დროულ, ეფექტურ აღდგენას და არასრულწლოვანის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის სტაბილურობას გრძელვადიან პერიოდში.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, პირველ რიგში, აუცილებელია არასრულწლოვანს სასამართლო სისტემისადმი და უშუალოდ პროცესისადმი შეექმნას სანდო დამოკიდებულება, რისი მიღწევაც შესაძლებელია სწორი კომუნიკაციის შედეგად. საქმის განხილვის პროცესში მნიშვნელოვანია ბავშვის ღიაობა, რაც სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას დადგინდეს არასრულწლოვანის რეალური ნება და შეფასდეს, ხომ არ იკვეთება ზეგავლენის ნიშნები.

სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს სპეციალიზებული საოჯახო ან არასრულწლოვანთა სასამართლოების არსებობა. მსგავსი და-

30 შეადარე. კილაძე, ს. და ტურავა, პ., 2021. ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 79.

წესებულებების შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბავშვის საჭიროებების სისტემურ კონტროლს, საქმეში პროფესიონალი კადრების ჩართულობასა და სასამართლო დავის ოპტიმალურ ვადაში დასრულებას.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში მნიშვნელოვანია ბავშვის სათანადო ინფორმირებულობა, განსაკუთრებით, როცა იგი სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, დამოუკიდებლად მმართველ სასამართლოს თავისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად. აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანია ბავშვისათვის თითოეული პროცედურული საკითხის განმარტება, მისთვის გასაგები ენითა და სპეციფიკური მიდგომებით, რომლებიც თავის მხრივ საჭიროებს კომპეტენტური და პროფესიონალი კადრების ჩართულობას. ასევე საყურადღებოა უშუალოდ სა-

სამართლო გადაწყვეტილებების სტრუქტურაც, რომელიც, ვფიქრობ, მოცემულ შემთხვევებში, უნდა განსხვავდებოდეს სხვა სტანდარტული გადაწყვეტილებებისაგან და იყოს უფრო მეტად გასაგები და აღქმადი არასრულწლოვანთათვის.

პრობლემური საკითხები, რომლებიც იკვეთება არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, რა თქმა უნდა, ამოუწურავია, და კიდევ და კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება პერიოდულად, პრაქტიკის შესაბამისად. თუმცა ის ძირეული საკითხები, რომლებიც ფუნდამენტურ როლს თამაშობს სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად, წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომში და, ვფიქრობ, შემუშავებული რეკომენდაციებისა და მიდგომების გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბავშვთა უფლებების დაცვას ქვეყანაში.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბობოხიძე, მ., „რედ.“, 2020. ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <[https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Handbook\\_rights\\_child\\_KAT](https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Handbook_rights_child_KAT)> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
2. ბობოხიძე, მ., 2020. სადოქტორო დისერტაცია: ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები. საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <https://ug.edu.ge/storage/disertations/December2020/ckH2e40nifT26O4K5dn5.pdf> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
3. კილაძე, ს. და ტურავა, პ., 2021. ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები. თბილისი: იურისტების სამყარო.
4. უტიაშვილი, ქ., 2022, არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის თავისებურებანი – არსებული პრაქტიკა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3UhwzdY>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
5. შეყილაძე, ხ., 2019. სადოქტორო დისერტაცია: კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3wwwxqY>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
6. შეყილაძე, ხ., 2016. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი. სამართლის ჟურნალი, 2.

- [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.researchgate.net/profile/George-Tumanishvili/publication/318014490-skeisgenderis-registratsiis-universaluri-sistema/links/5954e830458515bbaa21e0a2/skeis-genderis-registratsiis-universaluri-sistema.pdf>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
7. Beijer, A. and Liefwaard, T., 2011. A Bermuda Triangle? Balancing Protection, Participation and Proof in Criminal Proceedings Affecting Child Victims and Witnesses. "Utrecht Law Review," 7 (3).
  8. Black, M., 1986. The Children and the Nations: The Story of UNICEF.
  9. Committee on the Rights of the Child, 2009. General Comment No 12, UN Doc CRC/ C/ GC/12, para. 25.
  10. Committee on the Right of the Child, 2013. General comment (14) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration.
  11. Doek, J. E., 2007. The Eighteenth Birthday of the Convention of Rights of the Child: Achievements and Challenges, "University of Michigan Journal of Law Reform," 41 (1).
  12. Fortin, G., 2012. Children's Rights and the Developing Law: Children in court – their welfare, wishes and feelings. Cambridge University Press. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://typeset.io/papers/children-s-rights-and-the-developing-law-children-in-court-15fsw1hhex>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
  13. Khalil, G., 2002. Child Rights: The Historical Evolution. Beirut: Chemaly&Chemaly.
  14. Krappmann, L., 2010. The Weight of the Child's View. Article 12 of the Convention on the Rights of the Child, 18 International Journal of Children's Rights.
  15. Lücker-Babel, M. F., 1995. The Right of the Child to Express Views and to Be Heard: An Attempt to Interpret Article 12 of the UN Convention on the Rights of the Child, The International Journal of Children's Rights, 3 (3-4).
  16. Rap-Leurs, S. E., 2013. The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht University.
  17. Tobin, J., 2019. The Foundation of Children's Rights in: J Tobin [Ed] The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary, Oxford University Press.

### ინტერნეტ რესურსი:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ 2017 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179494>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
2. ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ჰააგის კონვენციის მიხედვით [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3U1Sxwo>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
3. ბავშვის უფლებები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi5.pdf>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
4. გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/konvenciis-me6-muxli.pdf>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
5. საქართველო UNICEF. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://uni.cf/3UFnMDU>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
6. სასამართლომ ბავშვების მიერ მომზადებული სარჩელი ისევ არ მიიღო. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://phr.ge/publication/news/109?lang=geo>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
7. Decisions about Children. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.courts.maine.gov/courts/family/divorce-separation/decisions-children.html>> [წვდომის თარიღი 30.04.2024].

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:

- მია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962%3C?publication=166>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
4. ბავშვის უფლებათა კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
  5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].
  6. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>> [წვდომის თარიღი 19.05.2024].

### სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 06 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-245-233-2017).
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №ას-735-735-2018).
3. ევროპის სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე ს. ლ. და ჯ.ლ. ხორვატიის წინააღმდეგ, განაცხადი 13712/11.
4. ევროპის სასამართლოს 2015 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი 2361/13.

## BIBLIOGRAPHY:

### Used Literature:

1. Bobokhidze, M., „Ed.,“ 2020, Handbook of the European Law of Children's Rights, Sulkhani-Saba Orbelian University Publishing House. [Online] available at: <[https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Handbook\\_rights\\_child\\_KAT](https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Handbook_rights_child_KAT)> [Accessed 19.05.2024]. 19.05.2024]. (in Georgian)
2. Bobokhidze, M., 2020. Doctoral Dissertation: Legal guarantees of the principle of priority of the best interests of the child. University of Georgia School of Law. [Online] available at: <https://ug.edu.ge/storage/disertations/December2020/ckH2e40nifT26O4K5dn5.pdf>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
3. Khalil, G., 2002. Child Rights: The Historical Evolution. Beirut: Chemaly&Chemaly. (in English)
4. Kiladze, S. and Turava, P., 2021. Guidance Commentary on the Code of Rights of the Child. Tbilisi: World of Lawyers. (in Georgian)
5. Utiashvili, St., 2022, Peculiarities of disposal of property owned by minors – current practice. [Online] available at: <<https://bit.ly/3UhwzdY>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
6. Shekiladze, Kh., 2019. Doctoral Dissertation: Prioritizing the best interests of a minor in conflict with the law in the process of juvenile justice (criminal proceedings). Ivane Javakhishvili Tbilisi State University. [Online] available at: <<https://bit.ly/3wwwxqY>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
7. Shekiladze, Kh., 2016. The essence of the principle of prioritizing the best interests of minors. Journal of Law, 2. [Online] available at: <<https://www.researchgate.net/profile/George-Tumanishvili/publication/318014490-skesisgenderis-registratsiis-universaluri-sistema/links/5954e830458515bbaa21e0a2/skesis-genderis-registratsiis-universaluri-sistema.pdf>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
8. Beijer, A., and Liefwaard, T., 2011. A Bermuda Triangle? Balancing Protection, Participation and Proof in Criminal Proceedings Affecting Child Victims and Witnesses. "Utrecht Law Review," 7 (3). (in English)
9. Black, M., 1986. The Children and the Nations: The Story of UNICEF. (in English)
10. Committee on the Rights of the Child, 2009. General Comment No 12, UN Doc CRC/ C/ GC/12, para. 25. (in English)
11. Committee on the Right of the Child, 2013. General comment (14) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration. (in English)

12. Doek, J. E., 2007. The Eighteenth Birthday of the Convention of Rights of the Child: Achievements and Challenges, "University of Michigan Journal of Law Reform," 41 (1), p. 62-63. (in English)
13. Fortin, G., 2012. Children's Rights and the Developing Law: Children in court – their welfare, wishes and feelings. Cambridge University Press. [Online] available at: <<https://typeset.io/papers/children-s-rights-and-the-developing-law-children-in-court-15fsw1hhex>> [Accessed 19.05.2024]. (in English)
14. Krappmann, L., 2010. The Weight of the Child's View. Article 12 of the Convention on the Rights of the Child, 18 International Journal of Children's Rights. (in English)
15. Lücker-Babel, M. F., 1995. The Right of the Child to Express Views and to Be Heard: An Attempt to Interpret Article of the UN Convention on the Rights of the Child, The International Journal of Children's Rights, 3 (3-4). (in English)
16. Rap-Leurs, S. E., 2013. The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht University. (in English)
17. Tobin, J., 2019. The Foundation of Children's Rights in: J Tobin [Ed] The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary, Oxford University Press. (in English)
6. The court again did not accept the lawsuit prepared by the children. [Online] available at: <<https://phr.ge/publication/news/109?lang=geo>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
7. Decisions about Children. [Online] available at: <<https://www.courts.maine.gov/courts/family/divorce-separation/decisions-children.html>> [Accessed 19.05.2024]. (in English)

#### Normative Materials:

1. Constitution of Georgia. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
2. Civil Code of Georgia. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
3. Civil Procedure Code of Georgia. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962%3C?publication=166>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
4. Child Rights Code. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
5. Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
6. Convention on the Rights of the Child. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)

#### Internet Resources:

1. 2017 report on the execution of decisions/judgments issued by the European Court of Human Rights against Georgia. [Online] available at: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179494>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
2. Protection of children's rights in Georgia according to the Hague Convention. [Online] available at: <<https://bit.ly/3UISxwo>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
3. Rights of the child. [Online] available at: <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi5.pdf>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
4. Guiding principles regarding Article 6 of the European Convention on Human Rights. [Online] available at: <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/konvenciis-me6-muxli.pdf>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)
5. Georgia UNICEF. [Online] available at: <<https://uni.cf/3UFnMDU>> [Accessed 19.05.2024]. (in Georgian)

#### Judicial Practice:

1. Decision of the Supreme Court of Georgia (06.06.2017; Case No. AS-245-233-2017). (in Georgian)
2. Decision of the Supreme Court of Georgia (20.02.2020; Case No. AS-735-735-2018). (in Georgian)
3. The decision of the European Court in the case of S.L. and J.L. v. Croatia, 7/05/2015, Application 13712/11. (in Georgian)
4. Decision of the European Court in the case of G.S. against Georgia 21/07/2015, application 2361/13. (in Georgian)

# მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ადგილი უკრაინის, რუმინეთის და სომხეთის სამართლის სისტემაში, შედარება ქართულ რეალობასთან (შედარებითსამართლებრივი ანალიზი)

## გურამ მაჭარაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი (საქართველო)

ელ.ფოსტა: [macharaguram@gmail.com](mailto:macharaguram@gmail.com)

### აბსტრაქტი

სტატია ეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივ მდგომარეობას, მათ სამართლებრივ სტატუსს განვითარებად და ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების (უკრაინა, სომხეთი და რუმინეთი) სამართლის სისტემაში, ამ კუთხით მის შედარებით-სამართლებრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე ქართულ რეალობასთან მიმართებით დახასიათება იძლევა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის მხრივ არსებულ ყველა დადებითი და უარყოფითი ნიშნების გამოვლენის საშუალებას.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არაპრუდენციული რეგულირების მქონე ქვეყნებში (უკრაინა, რუმინეთი, სომხეთი) მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ადგილს, მათი სტატუსის წარმოშობისა და განვითარების პროცესს, მათი ნორმატიული და ფუნქციონალური მეთოდის საფუძველზე შედარებითსამართლებრივ დახასიათებას და საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან მიმართებით საერთო და განმასხვავებელი სამართლებრივი ნიშნების დადგენას.

ავტორს ასევე უყურადღებოდ არ რჩება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არაპრუდენციული რეგულირების სამართლებრივი საშუალებების საფუძველზე მათი ლიცენზირებისა და ლიკვიდაციის მხრივ არსებული სუსტი და ძლიერი მხარეების ჩვენებაც.

სტატიაში სწორედ შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე განალიზებულია განვითარებად და ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნების მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ის ნორმატიული და ფუნქციონალური სამართლებრივი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ისინი აგრძელებენ საქმიანობას.

საქართველოში მოქმედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტატუსთან მიმართებით გამოკვეთილია მათ შორის არსებული განმასხვავებელი-მსგავსი, დადებითი – ძლიერი და სუსტი ნიშნები.

**საკვანძო სიტყვები:** არაპრუდენციული რეგულირება, შედარებითი სამართლებრივი დახასიათება, სამართლებრივი სტატუსი, მარეგულირებელი კანონმდებლობა



# THE ROLE OF MICROFINANCE ORGANIZATIONS IN THE LEGAL SYSTEMS OF UKRAINE, ROMANIA, AND ARMENIA: A COMPARISON WITH THE GEORGIAN REALITY (Comparative Legal Analysis)

Guram Macharashvili

*Phd Student of the Faculty of Law and Social Sciences  
at East European University (Georgia)*

Email: [macharaguram@gmail.com](mailto:macharaguram@gmail.com)

## Abstract

This article concerns the legal state of microfinance organizations and their legal status in the legal systems of developing and some EU countries (Ukraine, Armenia, and Romania). Its characterization in relation to the Georgian reality, on the basis of comparative-legal methodology, allows for the disclosure of all positive and negative features in terms of the legal status of microfinance organizations.

The author pays special attention to the role of microfinance organizations in countries with non-prudential regulation (Ukraine, Romania, and Armenia), the origin and development process of their status, their comparative legal characterization based on the normative and functional methods and the determination of common and distinguishing legal features in relation to microfinance organizations operating in Georgia.

The author also does not neglect to show the strengths and weaknesses of microfinance organizations in terms of their licensing and liquidation on the basis of the legal means of non-prudential regulation.

The article analyzes, on the basis of comparative legal methodology, the normative and functional legal framework of the operation of microfinance organizations from the developing and some EU countries.

Concerning the status of microfinance organizations operating in Georgia, the distinguishing-similar, positive-strong and weak features have been highlighted.

**KEYWORDS:** Non-prudential regulation, Comparative legal characterization, Legal status, Regulatory legislation

*„ყველი ხალხი, რომელსაც კანონები ან ჩვეულებები მართავს, ნაწილობრივ თავის საკუთარ სამართალს იყენებს და ნაწილობრივ – ყველასათვის საერთო სამართალს.*

*ვინაიდან ის სამართალი, რომელსაც თითოეული ხალხი თავისთვის იდგენს, თავისი საკუთარია და მას ეწოდება ცივილური სამართალი, ე.ი. თითქოს თავად ან სახელმწიფოს საკუთარი სამართალი. ხოლო სამართალს, რომელიც ბუნების გონმა ყველა ადამიანს შორის დააწესა, თანაბრად იცავს ყველა ხალხი და მას ეწოდება ხალხთა სამართალი, ე.ი. (სამართალი), რომელსაც ყველა ხალხი იყენებს“<sup>1</sup>*

## შესავალი

წინამდებარე სტატიის მიზანია მკითხველს გავაცნოთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი განვითარებად და ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნების (უკრაინა, რუმინეთი და სომხეთი) სამართლის სისტემაში, არაპრუდენციული რეგულირების სამართლებრივი საშუალებების საფუძველზე შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიით გამოვავლინოთ საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან შედარებით საერთო და განმასხვავებელი, ფუნქციონალური და ნორმატიული სამართლებრივი ნიშნები. აღნიშნული დახასიათება კი შესაძლებელია შედარებით სამართლებრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე.

სწორედ შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგია არის ყველაზე მიზანშეწონილი ისეთი ფინანსური ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი ფუნქციური

და ნორმატიული სამართლებრივი ნიშნების გამოსავლენად, როგორც ეს ახასიათებთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს.

რაც შეეხება თვითონ შედარებას, როგორც სამართლებრივი შემეცნების პროცესის ერთ-ერთ სახეობას, მას წინ უნდა უძღოდეს თეორიული დასაბუთება, რომელიც განსაზღვრავს შემეცნების სიღრმეს, გამოტანილი დასკვნების დასაბუთებულობასა და ჭეშმარიტება-მცდარობას.<sup>2</sup>

სტატიაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მათი სამართლებრივი სტატუსის კვლევის მასშტაბიდან გამომდინარე, იგი შეიძლება დავყოთ კვლევის შემდეგ დონეებად:

1) მიკრო დონეზე კვლევა, რომელიც მოიცავს მხოლოდ ცალკეული სამართლის ნორმების შედარებას; 2) ინსტიტუციონალური კვლევის დონე, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტების კვლევაზე;

3) მაკრო შედარება, რომელიც მოიცავს ქვეყნების სამართლებრივი სისტემის დონეზე შედარებას.<sup>3</sup>

გარდა აღნიშნულისა, კვლევისას გამოყენებული იქნება შედარებით სამართალში მიღებული შემდეგი მეთოდოლოგიური პრინციპები:

1. კვლევის ობიექტის (იურიდიული პირის-მიკროსაფინანსო ფინანსური ინსტიტუტის) შერჩევა მისი ფუნქციებიდან გამომდინარე;

2. კვლევის ობიექტის (იურიდიული პირის-მიკროსაფინანსო ფინანსური ინსტიტუტის) სამართლებრივი შედარება სისტემური, ნორმატიული ფორმალურ-ლოგიკური და ფუნქციონალური მეთოდ-

1 რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები. 2011. თბილისი.

2 შეადარე. Сабо, И., 1969. Сравнительное правоведение. Сборник статей: Перевод с венгерского. Критика современной буржуазной теории права. Москва: Прогресс, გვ. 187.

3 შეადარე. Сырых, В. М., 2012. История и методология юридической науки. Учебник. М: Норма: ИНФРА-М, 464 с. გვ. 288.

დის საფუძველზე კონკრეტული ქვეყნის სამართლის სისტემის ჭრილში;

3. კვლევის ობიექტის (მიკროსაფინანსო იურიდიული პირის) მარეგულირებელი ნორმების ანალიზი მათი სამართლებრივი დანიშნულების, სახელწმიფოს მიერ მინიჭებული ფუნქციების ჭრილში;

4. კვლევის ობიექტის (იურიდიული პირის-მიკროსაფინანსო ფინანსური ინსტიტუტის) მსგავსი და განმასხვავებელი სამართლებრივი ნიშნების, ტერმინების გამოვლენა და დახასიათება;

5. კვლევის ობიექტის (მიკროსაფინანსო იურიდიული პირის) საერთო და განმასხვავებელი სამართლებრივი ნიშნების დამდგენი პრინციპების განსაზღვრა და მათი საქართველოს სამართლის სისტემისათვის გამოყენების შესაძლებლობების დადგენა.<sup>4</sup>

თუმცა კვლევისას გამოყენებული სამართლებრივი მეთოდოლოგიის მხრივ აქცენტი გაკეთდება კვლევის ობიექტის (იურიდიული პირის-მიკროსაფინანსო ფინანსური ინსტიტუტის) ნორმატიულ და ფუნქციონალურ შედარებაზე.<sup>5</sup>

ფუნქციურობის პრინციპის კი, პირველ რიგში, ნიშნავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შედარებით დახასიათებას შემდეგი სტადიების საფუძველზე: საკითხის დასმა, შეპირისპირებული მართწესრიგის შერჩევა, საკითხის ფუნქციური გადაწყვეტის ძიება, სისტემის ჩამოყალიბება, შედარების შედეგად გამოკვეთილი მსგავსებისა და განსხვავებების კრიტიკული ანალიზი.<sup>6</sup>

არ შეიძლება არ აღინიშნოს რომ ფუნქციონალური მეთოდი, თანამედრო-

ვე შედარებით სამართლებრივ მეთოდოლოგიაში დღესდღეობით ფართოდ გავრცელებული მეთოდია. სწორედ ეს მეთოდი იძლევა შესაძლებლობას კვლევის საგანი, ცალკეული სამართლის ინსტიტუტები „გარჩეულ“ იქნას საკუთარი სამართლის სისტემისაგან – სამართლის ოჯახისაგან (საერთო სამართლის, რომანულ-გერმანული, კონტინენტალური და ა.შ) დამოუკიდებლად. სწორედ ფუნქციონალური მეთოდი იძლევა შესაძლებლობას საკვლევი ობიექტი დანაწევრდეს ცალკეულ ელემენტებად და ყველა ისინი, შემდგომში მათ ერთიანობაში იქნას განხილულ-დახასიათებული.<sup>7</sup>

სტატიაში კვლევის ობიექტის – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის შედარებით სამართლებრივი დახასიათებისას ყურადღება გამახვილებულია მისი, როგორც ფინანსური ინსტიტუტის, ფუნქციებზე. ხოლო ინსტიტუტები როგორც იურიდიული, ასევე არაიურიდიული და ასევე სხვადასხვა დოქტრინალური თავისებურებებით, თუკი ისინი ფუნქციონალურად ეკვივალენტურია, თუკი ისინი ყველა მსგავს ფუნქციებს ასრულებენ სხვადასხვა ქვეყნების სამართლის სისტემაში, უნდა მივიჩნიოთ შედარებად სამართლებრივ ინსტიტუტად – რეალურ კატეგორიად.<sup>8</sup>

სტატიაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები განხილულია მათი არაპრულენციული სამართლებრივი რეგულირების სისტემის ჭრილში, თუმცა ცალკეულ ქვეყნებს (რუმინეთი, სომხეთი) აქვთ პრულენციული ზედამხედველობის ელემე-

4 შეადარე. Кожевников, В. В., 2008. Методология и история права. В 2-х частях. Ч.1. Омк: ОмГУ, გვ. 152-153.

5 შეადარე. იქვე. გვ. 155.

6 შეადარე. რუსიაშვილი, გ. და შალიკაშვილი, მ., 2020. აკადემიური წერა იურისტებისათვის. თბილისი: გვ. 225.

7 შეადარე. Geoffrey, S., 2014. "An Introduction to Comparative Law Theory and Method." OXFORD AND PORTLAND, OREGON: Published in the United Kingdom by Hart Publishing Ltd. გვ. 61.

8 შეადარე. იქვე. გვ. 39.

ნტებიც, რომლებიც მათ საქართველოს რეალობისაგან განსხვავებით მეტ ფუნქციონალურ და ნაკლებ ნორმატიულ – ინსტიტუციონალურ რეგულირებად შესაძლებლობებს აძლევს.

სტატიაში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, როგორც კვლევის ობიექტი, პირველ რიგში, განხილულია ქვეყნები სამართლის სისტემის ინსტიტუციონალურ ჭრილში.

აღნიშნული ინსტიტუციონალური სისტემა კი თავისთავად იწვევს კვლევის ობიექტის – მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სისტემატიზირებას, მათი ფუნქციების გამოკვეთას, მარეგულირებელი კანონების და ნორმატიული ფაქტების სამართლებრივ სისტემატიზირებას.<sup>9</sup>

ცხადია, სტატიის ფარგლებში შეუძლებელიცაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სრული სამართლებრივი და ნორმატიული ელემენტების, ყველა სამართლებრივი ნიშნების დახასიათება, ამიტომ ჩვენ მიერ განხილულია მხოლოდ მისი, როგორც იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი, შექმნის, ლიცენზირების, საქმიანობაში დაწესებული შეზღუდვებისა და იურიდიული პირის ლიკვიდაციის აუცილებელი სამართლებრივი ელემენტები, მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

## მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი უკრაინაში

უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი საქართველოსაგან განსხვავებით არაპრედენციული ზედამხედველობის სისტემით, წარმოადგენს სწრაფად ფორმირებადი ფინანსური ინსტიტუტების ერთიან სისტემას. მხოლოდ 2022 წლის მონაცემებით უკრაინაში მოქმედებს 971 ფინანსური კომპანია, 288 ლომბარდი და 146 სალიზინგო კომპანია. მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა აღემატება 200-ს.<sup>10</sup> 2020 წელს კი მათი რაოდენობა შეადგენდა 100-ს.<sup>11</sup> უკრაინის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა საქართველოსაგან განსხვავებით წლიდან წლამდე იზრდება. საქართველოში მათი რიცხვი 74-დან შემცირდა 34-მდე ბოლო 6 წელიწადში. აღნიშნული კი გამოწვეულია როგორც ქვეყნის, ასევე მისი ფინანსური სისტემის თანამედროვე მსოფლიოში და განვითარებულ ქვეყნებში მიღებული საფინანსო სისტემებისათვის დამახასიათებელი საკანონმდებლო და ტექნოლოგიური თუ ფინანსური სტანდარტების დანერგვით. საქართველოსაგან განსხვავებით უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არაპრედენციული ზედამხედველობის სისტემა და მათი საქმიანობის მარეგულირებელი არასპეციალიზირებული ნორმატიული აქტები სისტემატიზირებულ სახეს იღებს მხოლოდ 2019 წლის სექტემბრიდან, როდესაც მიღებული იქნა კანონი N79 – „უკრა-

9 შეადარე. იქვე. გვ. 141.

10 შეადარე. Все МФО Украины 2024. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://finstaff.com.ua/catalog/mfo-ukrainy.html>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

11 შეადარე. Анализ рынка микрокредитования в Украине. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://inventure.com.ua/analytics/investments/analiz-rynka-mikrokreditovaniya-ukraine>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

ინის ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილების შეტანის შესახებ ფინანსური მომსახურების ფუნქციების სახელმწიფო გაუმჯობესების შესახებ“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი და მისი ფუნქციები დაკონკრეტდა 2020 წლის 01 ივლისს. სწორედ ამ თარიღიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიცენზირებისა და საქმიანობაზე არაპრუდენციული ზედამხედველობის ფუნქციები კანონმდებლობაში შესული შესაბამისი ცვლილებებით დაეკისრა უკრაინის ეროვნულ ბანკს, რომლითაც ქართულ რეალობასთან მსგავსი სურათი შეიქმნა. ამ თარიღამდე აღნიშნულს ახორციელებდა უკრაინის ფინანსური მომსახურების ნაციონალური კომისია.<sup>12</sup> უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი, საქმიანობის პრინციპები და მოქმედების არეალი განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი საკანონმდებლო აქტებით:<sup>13</sup> „ფინანსური სერვისებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“, „სამომხმარებლო დაკრედიტების შესახებ“, „ელექტრონული კომერციის შესახებ“, უკრაინის სამოქალაქო კოდექსი, უკრაინის სამეურნეო კოდექსი და 2021 წლის დეკემბრიდან უკრაინის ნაციონალური ბანკის მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ხსენებული საკანონმდებლო აქტებით საქართველოსაგან განსხვავებით ზუსტად არაა გამიჯნული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და მიკროსაფინანსო დაწესებულებების, მიკროსაკრედიტო შუამავლების, ფონდების და სხვა მიკროდაკრედიტებით დაკავებული ფინანსური ინსტიტუტების სამართლებრივი სტატუსი.<sup>14</sup> უკრაინის 2019 წლის 12 სექტემბრის N 79-IX კანონის „ფინანსური მომსახურებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“ 1-ლი მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს ფინანსურ ინსტიტუტს და საკრედიტო დაწესებულებას. ხსენებული კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით ფინანსური ინსტიტუტი არის „იურიდიული პირი, რომელიც კანონის შესაბამისად ახორციელებს ერთ ან მეტ ფინანსურ მომსახურებას, აგრეთვე სხვა მომსახურებას (ოპერაციებს), რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური მომსახურების გაწევასთან, კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში და შეყვანილია – რეგისტრირებულია შესაბამის რეესტრში კანონით დადგენილი წესით. უკრაინაში საფინანსო ინსტიტუტები მოიცავს ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, ლომბარდებს, სალიზინგო კომპანიებს, სატრასტო კომპანიებს, სადაზღვევო კომპანიებს, დაგროვებით საპენსიო ინსტიტუტებს, საინვესტიციო ფონდებს და კომპანიებს და სხვა იურიდიულ პირებს, რომელთა ექსკლუზიური საქმიანობაა ფინანსური მომსახურების გაწევა კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში და ფინანსური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (ტრანზაქციები)“.<sup>15</sup> ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით

ინიზაციის და მიკროსაფინანსო დაწესებულებების, მიკროსაკრედიტო შუამავლების, ფონდების და სხვა მიკროდაკრედიტებით დაკავებული ფინანსური ინსტიტუტების სამართლებრივი სტატუსი.<sup>14</sup> უკრაინის 2019 წლის 12 სექტემბრის N 79-IX კანონის „ფინანსური მომსახურებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“ 1-ლი მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს ფინანსურ ინსტიტუტს და საკრედიტო დაწესებულებას. ხსენებული კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით ფინანსური ინსტიტუტი არის „იურიდიული პირი, რომელიც კანონის შესაბამისად ახორციელებს ერთ ან მეტ ფინანსურ მომსახურებას, აგრეთვე სხვა მომსახურებას (ოპერაციებს), რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური მომსახურების გაწევასთან, კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში და შეყვანილია – რეგისტრირებულია შესაბამის რეესტრში კანონით დადგენილი წესით. უკრაინაში საფინანსო ინსტიტუტები მოიცავს ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, ლომბარდებს, სალიზინგო კომპანიებს, სატრასტო კომპანიებს, სადაზღვევო კომპანიებს, დაგროვებით საპენსიო ინსტიტუტებს, საინვესტიციო ფონდებს და კომპანიებს და სხვა იურიდიულ პირებს, რომელთა ექსკლუზიური საქმიანობაა ფინანსური მომსახურების გაწევა კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში და ფინანსური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (ტრანზაქციები)“.<sup>15</sup> ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით

12 იქვე.

13 შეადარე. Что такое МФО?. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://mycredit.ua/ru/blog/что-такое-мфо/>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

14 საქართველოში უკრაინისაგან განსხვავებით ეროვნული ბანკის პრუდენციული ზედამხედველობის სისტემით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი მკაცრად და იმპერატიულადაა განსაზღვრული 2006 წლის 18 ივლისის №3482-რს საქართველოს კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“.

15 Law of Ukraine On Financial Services and State Regulation of Financial Services Markets. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/en/2664-14#Text>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

კი საკრედიტო დაწესებულებად მიიჩნევა „ფინანსური ინსტიტუტი, რომელსაც შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, უფლება აქვს გასცეს სესხი საკუთარი რისკით ნასესხები სახსრების გამოყენებით“.<sup>16</sup>

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივ სტატუსს მისი ფუნქციონალური დანიშნულების ქრილში იძლევა ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლითაც განსაზღვრულია საფინანსო ინსტიტუტის და მათ შორის ხსენებული მუხლის (1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი) განმარტებიდან გამომდინარე, კომპანიის-მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ფინანსური მომსახურების დაშვებული საქმიანობის სახეობები „სესხისთვის სახსრების გაცემა, მათ შორის ფინანსური სესხის პირობებით“. შესაბამისად საკანონმდებლო დონეზე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უკრაინაში არის საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც ახდენს „სესხისთვის სახსრების გაცემას, მათ შორის ფინანსური სესხის პირობებით“.

უკრაინის კანონის, „ფინანსური სერვისებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“, თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დასახელება კიდევ უფრო დაკონკრეტებულია, რომელსაც უკრაინაში წარმოადგენს „იურიდიული პირი – ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც გასცემს მოკლევადიან სესხებს უკრაინის მოქალაქეებზე როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე, ლიცენზიის საფუძველზე“ (კანონის მე-4 მუხლი). თუმცა უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გასაცემი სესხის გაცემის პირობები განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ტიპურად ითვლება შემდეგი:

- სესხის თანხა პირველ განაცხადზე არის საშუალოდ 1000-დან 10000 უკრაინულ გრივნამდე;

- ხელახლა განაცხადის შემთხვევაში საკრედიტო ლიმიტი შეიძლება გაიზარდოს;
- სესხის ვადა მერყეობს 30 დღიდან 18 კვირამდე;
- შეღავათიანი განაკვეთი ახალი მომხმარებლისთვის არის 0,01%-დან დღეში, განმეორებითი გამოყენების შემთხვევაში – 1,9%-მდე დღეში და მეტი;
- საპროცენტო განაკვეთი წელიწადში 200-დან 720%-მდე და ზემოთ მერყეობს.

უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ფინანსური ორგანიზაცია შეიძლება პირობითად დაიყოს მიკროსაფინანსო საკრედიტო დაწესებულების რამდენიმე ტიპად სესხის მიღების მეთოდისა და გირაოს მოთხოვნების მიხედვით:

- კომპანიები, რომლებიც მუშაობენ ექსკლუზიურად ონლაინ;
- კომპანიები, რომლებიც გასცემენ სესხებს ოფლაინ საკუთარ ფილიალებში;
- კომბინირებული კომპანიები, მაგალითად, ონლაინ განაცხადი ოფისში სესხის ხელშეკრულების გაფორმებით+მიკროსესხზე განაცხადის შესაძლებლობა ონლაინ/ოფლაინ ელექტრონული/სტანდარტული ხელშეკრულების გაფორმებით და საბანკო ბარათზე თანხის მიღებით;
- ორგანიზაციები, რომლებიც სესხს აძლევენ უზრუნველყოფის გარეშე და უზრუნველყოფის უზრუნველყოფით. ხოლო მეორე ტიპის მიკროსესხი გულისხმობს სტანდარტულზე მეტი თანხის აღების შესაძლებლობას და უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფის საშუალებით,

16 იქვე.

რომელსაც აქვს სესხის თანხაზე მაღალი ღირებულება.<sup>17</sup>

უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შექმნისა და რეგისტრაციის, მათთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის – საფინანსო მომსახურების გამწევი იურიდიული პირის სტატუსი განსაზღვრულია უკრაინის შემდეგი კანონებით: „ფინანსური სერვისებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“, „უკრაინის სამოქალაქო კოდექსი“, უკრაინის ეროვნული ბანკის 2021 წლის 24 დეკემბრის N153-ე დადგენილება „ფინანსური მომსახურების მიმწოდებელთა ლიცენზირებისა და რეგისტრაციის დებულებისა და ფინანსური მომსახურების გაწევის საქმიანობის განხორციელების პირობების დამტკიცების შესახებ“. საქართველოს შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ეროვნული ბანკის მიერ ზედამხედველობის წესი და ზოგადი ლიცენზირების სპეციალური წესები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის ბრძანების (№58/04) საფუძველზე დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დებულებით.

უკრაინის კანონის „ფინანსური სერვისებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“ მე-7 მუხლი განსაზღვრავს უკრაინაში იურიდიული პირისათვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის მიღების ზოგად წინაპირობებს, კერძოდ, ხსენებული მუხლით იურიდიული პირი, რომელიც აპირებს ფინანსური მომსახურების გაწევას,

ვალდებულია ფინანსური ინსტიტუტების სახელმწიფო რეესტრში შესატანად სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან ოცდაათი კალენდარული დღის ვადაში მიმართოს ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირებაზე პასუხისმგებელ შესაბამის ორგანოს, მოცემულ შემთხვევაში უკრაინის ეროვნულ ბანკს. ხოლო, რაც შეეხება სამართლებრივ ფორმას, რომლითაც იურიდიულ პირებს შეუძლიათ ფინანსური ინსტიტუტის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის მიღებამდე დარეგისტრირდნენ, აღნიშნულ ფორმებს განსაზღვრავს ხსენებული კანონის მე-8 მუხლი, რომლითაც ფინანსური ინსტიტუტები შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონები ფინანსური მომსახურების ცალკეული ბაზრების რეგულირების შესახებ არ შეიცავს სპეციალურ წესებსა და შეზღუდვებს.

რაც შეეხება იურიდიული პირის – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კორპორატიული მმართველობა ამავე მუხლის მე-3 პუნქტით ხორციელდება სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის შესახებ კანონების შესაბამისად, რაც გულისხმობს, პირველ რიგში, უკრაინის სამოქალაქო კოდექსს, რომლის მოთხოვნები (113-ე, 141-143-ე, 152-162-ე მუხლები) იურიდიული პირის რეგისტრაციასა და მართვის ორგანოების ფორმირებაზე ვრცელდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზეც. სწორედ უკრაინის სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 პუნქტით სამეწარმეო კომპანიები შეიძლება შეიქმნას სრული კომპანიის, შეზღუდული კომპანიის, შეზღუდული ან დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზო-

17 შეადარე. Что такое МФО в Украине. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://finx.com.ua/ru/news/chto-takoe-mfo-v-ukraine>> [წვდომის თარიღი 10.05.2024]. ანალოგიურ საკითხზე ინფორმაცია იხ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://mycredit.ua/ru/blog/chto-takoe-mfo>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

გადოების სახით.<sup>18</sup> უკრაინაში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმეტესობა კი სწორედ მუზლდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოების სახითაა რეგისტრირებული.<sup>19</sup>

რაც შეეხება იმ სპეციალურ წესებს, რომლებიც განსაზღვრავენ უკრაინის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებული იურიდიული პირების მიერ ფინანსური მომსახურების გაწევს, მათ შორის მიკრო სესხების გაცემის უფლების მიღებას, აღნიშნული დეტალურად გაწერილია უკრაინის ეროვნული ბანკის 2021 წლის 24 დეკემბრის N153-ე დადგენილებით დამტკიცებული „ფინანსური მომსახურების მიმწოდებელთა ლიცენზირებისა და რეგისტრაციის დებულებისა და ფინანსური მომსახურების გაწევს საქმიანობის განხორციელების პირობებში“.<sup>20</sup>

ხსენებული წესის მე-5 თავის 65-ე პუნქტით უკრაინის ეროვნული ბანკი ფინანსური მომსახურების განმახორციელებელ იურიდიულ პირებზე გასცემს შემდეგი სახის ლიცენზიებს: ფინანსური აქტივების მოზიდვაზე (შემდგომში მათი დაფარვის ვალდებულებით), ფინანსური ლიზინგის გაცემაზე, სესხისთვის სახსრების გაცემაზე (სესხის გაცემა), მათ შორის ფინანსური სესხის პირობებით, ფაქტორინგზე, გარანტიების გაცემაზე, მომსახურებაზე დაზღვევის სფეროში.

ამ მხრივ ჩვენთვის საყურადღებოა ხსენებული მუხლის მე-3 პუნქტი. საქართველოს შემთხვევაში მიკროსაფინანსო

ორგანიზაციების მიერ ერთი ლიცენზიის აღებით ისინი უკრაინისაგან განსხვავებით უკეთეს პირობებში არიან, რადგან ერთი ლიცენზიით იღებენ ხსენებული სახეებისაგან განსხვავებით შემდეგი სახის საქმიანობის წარმოების უფლებას:

ა) ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქალაქებში;

ბ) ფულადი გზავნილების განხორციელება;

დ) „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-

2 მუხლის „38“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აგენტის ფუნქციის შესრულება;

ე) ამ პუნქტის „ა“-„ვ1“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად ქონების იჯარით გაცემა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები: დერივატივის დადება, თამასუქებისა და ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია და გამოსყიდვა, აგრეთვე ამ ფინანსურ მომსახურებებსა და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.<sup>21</sup>

საკმაოდ ვრცელია ის წინაპირობებიც, რომელთა დაკმაყოფილებაც უწევს უკრაინაში ყველა დაინტერესებულ პირს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიცენზიის მისაღებად, რომლის მიღების შემდგომაც

18 შუადარე. Стаття 13 (2), Цивільний кодекс України. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/en/435-15#Text>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

19 შუადარე. Все МФО Украины – кредитные компании 2024. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://krediti-online.com.ua/ru/finance-company>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

20 Постанова Правління Національного банку України №153. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://bank.gov.ua/ua/legislation/Resolution\\_24122021\\_153](https://bank.gov.ua/ua/legislation/Resolution_24122021_153)> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

21 შუადარე. იხ. მუხლი 4, საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/24328?publication=23>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].



მათი მონაცემები უკრაინის ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირდება უკრაინის ფინანსური ორგანიზაციების ერთიან რეესტრში.<sup>22</sup> ამდენად ირკვევა, რომ მცირე შედარებითაც კი, საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ფუნქციონალური დატვირთვით გაცილებით მეტი სახის საქმიანობას ეწევიან, ვიდრე ეს უკრაინის შემთხვევაშია.

აღნიშნული საკითხის შესწავლაში დაგვეხმარება განსახილველი საკითხის შედარება სხვა ქვეყნებში არსებულ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან, რაც საშუალებას მოგვცემს ნათლად წარმოვაჩინოთ ქონების იძულებითი მართვის სამართლებრივი ანალიზი. სტატია მკითხველს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის სეკვესტრის, როგორც ინსტიტუტის მნიშვნელობაზე ქართულ სამართალში.

**საკვანძო სიტყვები:** სააღსრულებო წარმოება, უბრუნველყოფა, მმართველი, ქონების განკარგვა

# SEQUESTRATION AS A COERCIVE ENFORCEMENT MEASURE

Nana Rostomashvili

*PhD student of the School of Law at David Aghmashenebeli University of Georgia, Head of the legal department of the construction company „Decoline” (Georgia)*

Email: [Rostomashvili.nana@yahoo.com](mailto:Rostomashvili.nana@yahoo.com)

## Abstract

The present article discusses the grounds and procedures for forced property management (sequestration), focusing on the norms outlined in the Law of Georgia "On Enforcement Proceedings." The author presents practical problems and the ways to solve them.

This article, closely examines foreclosure measures, providing insights into the legal aspects, particularly the role and significance of sequestration in legislation. Despite its status as a benign alternative to auctions, sequestration remains underutilized in administration.

Through comparative analysis with international legislation and practices, the study aims to offer a comprehensive legal analysis of forced property management. By doing so, it sheds light on the importance of sequestration as an institution within Georgian law.

**KEYWORDS:** Enforcement proceedings, Provision, Ruler, Disposal of Property

## შესავალი

დღესდღეობით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყურადღება თითქმის არ ეთმობა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორცაა ქონების იძულებითი მართვა. აღნიშნული საკითხის მეცნიერული შესწავლა, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრის გზების მოძიება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა, ხელს შეუწყობს სეკვესტრის, როგორც ინსტიტუტის შემდგომ განვითარებასა და ეფექტიან ფუნქციონირებას.

წინამდებარე კვლევა სეკვესტრის იმ პრობლემური საკითხების წარმოჩენას ემსახურება, რომელიც დაკავშირებულია სააღსრულებო სამართალთან, შესაბამისად, სტატიის მიზანია, მკითხველს წარმოდგენა შეუქმნას, თუ როგორ რეგულირდება იძულებითი მართვა, ანუ სეკვესტრი საქართველოს კანონმდებლობით, როგორია მისი სამართლებრივი ბუნება, ამ კონტექსტში განხილული იქნება როგორც სეკვესტრის ცნება, ისე მხარეთა უფლება-მოვალეობები და გამოვლენილი იქნება პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ხარვეზები.

სამოქალაქო ბრუნვის მუდმივ განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის მომწესრიგებელი ნორმების სრულყოფა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუტის მეტად განვითარება, როგორცაა სეკვესტრი.

სეკვესტრი, ანუ ქონების იძულებითი მართვა, მიზნად ისახავს კრედიტორის

დაკმაყოფილებას მოვალის ქონებით, იმგვარად, რომ ქონება დარჩეს მოვალის საკუთრებაში. სეკვესტრის არსებობის პირობებში ძირითადად უძრავი ქონება გამოიყენება, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მმართველს სამართავად გადაეცეს ასევე მოძრავი ქონება. სწორედ ამას გვეუბნება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 78-ე მუხლი, თუმცა აქაც გვაქვს გარკვეული შეზღუდვები, რომელზედაც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის<sup>1</sup> ანალიზი ცხადყოფს, რომ იძულებითი მართვის მიზანი არის შემდეგი: რაც შეიძლება მცირე დროში კრედიტორმა მიიღოს სარგებელი მოვალის საკუთრებაში არსებული ქონების სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ხარჯზე, აღნიშნული თავის მხრივ მოვალის ინტერესიდან გამომდინარეობს, ვინაიდან ამ გზით თავიდან ვიცლებთ ქონებაზე ყადაღის გავრცელებას და შემდგომ მის იძულებით რეალიზაციას, აქედან გამომდინარე, სეკვესტრი ემსახურება მხარეთა ინტერესების სამართლიან დაბალანსებას.<sup>2</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია: იძულებითი მართვის – სეკვესტრის, როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საშუალების იურიდიული ბუნების სრულყოფილად შესწავლა როგორც კრედიტორის, ასევე მოვალის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მეცნიერული კვლევა, პრაქტიკაში მისი სწორად დანერგვა და აღნიშნული ინსტიტუტის უფრო მეტად პოპულარიზაცია.

1 მუხლი 78, საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ.“ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 16/04/1999, #1908.

2 მეფარიშვილი, ქ., 2024. სადოქტორო დისერტაცია: გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლება. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. გვ 56.

## 1. სეკვესტრის, როგორც ქონების იძულებითი მართვის მიზანი

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად კანონმდებელმა უზრუნველყო იძულებითი ღონისძიებები ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. მოცემულ შემთხვევაში ყველაზე ეფექტიანი გზა, კრედიტორისა და მოვალის უფლებების დაბალანსების კუთხით, გახლავთ სეკვესტრი – ქონების იძულებითი მართვა.<sup>3</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, სეკვესტრი მიზნად ისახავს კრედიტორის დაკმაყოფილებას მოვალის ქონებით სარგებლობის გზით. სეკვესტრით სარგებლობა და აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება შესაძლებელია იძულებითი აღსრულების ნებისმერ ეტაპზე, რაც მას კიდევ უფრო მეტად მოქნილს ხდის. ქონების იძულებითი მართვის საკითხს წყვეტს სასამართლო ან აღსრულების ეროვნული ბიურო, სასამართლო სეკვესტრის გამოყენების გადაწყვეტილებას იღებს და მმართველს ნიშნავს კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, ამ დროს მმართველს გადაეცემა ქონება სამართავად და მისგან შემოსულ სარგებელს ფულად აქცევს, მმართველს იძულებითი მართვიდან ამოღებული თანხა შეაქვს აღსრულების ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, რის შემდეგაც აღმასრულებელი ფულს უფლებამოსილ პირს გადასცემს კანონით დადგენილი წესითა და პირობებით, რის შესახებაც ეცნობება ასევე სასამართლოს. ხოლო, როდესაც საქმე აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია, მმართველს ნიშნავს თავად აღსრუ-

ლების ეროვნული ბიურო თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, აღნიშნულ პირობებში ბიურომ შესაძლოა თავად მოვალე დანიშნოს ქონების მმართველად. თუმცა რა ხდება მაშინ, როდესაც რომელიმე მხარე არ ეთანხმება ბიუროს გადაწყვეტილებას? მხარეს უფლება აქვს მისი დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოს სასამართლოს.

სეკვესტრი, ისევე, როგორც ყადაღა, ზღუდავს მოპასუხის ქონებრივ უფლებებს, თუმცა არ შეიძლება სეკვესტრი ყადაღასთან იყოს გაიგივებული, ვინაიდან ყადაღის დადება ემსახურება მოსარჩელის ინტერესების დაცვას, მაშინ, როდესაც სეკვესტრის განხორციელება შედის ორივე მხარის ინტერესში. ყადაღის დადება გულისხმობს გადაწყვეტილების მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანის შემთხვევაში მისი აღსრულების უზრუნველყოფას, რაც ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრე კარგავს საკუთრების უფლებას, ხოლო სეკვესტრის შემთხვევაში, პირიქით, მესაკუთრე მოპასუხისთვის საკუთრების შენარჩუნების შესაძლებლობის მიცემას გულისხმობს.<sup>4</sup>

ამრიგად, იძულებითი მართვა არის პროცესი, რომლის მიზანიც არის უძრავი ქონების იძულებითი მართვით შემოსავლის მიღება და კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

## 2. სეკვესტრის განხორციელება და მისი მოქმედების ფარგლები

იმისათვის, რომ სეკვესტრის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები არსებობდეს, სახეზე უნდა იყოს

3 ზოიძე, ბ., 2003. ქართული სანივთო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება, გვ. 335.

4 ქურდაძე, შ., ქურდაძე, გ., ხუნაშვილი, ნ. და ქყონია, ზ., 2018. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი. ნაწილი I. თბილისი: გამომცემლობა დანი, გვ. 22.

აღსრულების ზოგადი წინაპირობები. მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ აუცილებელი არ არის, უძრავი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრის მონაცემებით მოვალე იყოს რეგისტრირებული, სეკვესტრის არსებობის შემთხვევაში სრულიად საკმარისია ქონების ფლობაც კი.<sup>5</sup>

მოცემულ თავში განხილული იქნება უშუალოდ სეკვესტრის განხორციელების სამართლებრივი ბუნება.

სეკვესტრის დაწყება ნიშნავს ქონების მოვალისთვის ჩამორთმევას და მმართველისთვის გადაცემას კრედიტორის სასარგელოდ.<sup>6</sup> სეკვესტრის დადგენა შეიძლება განხორციელდეს მაშინ, როდესაც დადგინდება, რომ მოვალე თანახმაა ეს ქონება გამოყენებულ იქნეს იძულებით სამართავად. თუ რომელი ქონება შეიძლება იქნეს გამოყენებული იძულებით სამართავად, ამის ზუსტ ჩამონათვალს მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს, თუმცა კანონის შესაბამისად ქონების მართვა შესაძლოა განხორციელდეს სამეწარმეო საქმიანობისას, საწარმოს მართვა, თუ ის დაქვემდებარებულია სეკვესტრს დაქვემდებარებულ მიწის ნაკვეთზე, ამ შემთხვევაში მმართველს აქვს შესაძლებლობა, ქონება გააქირაოს ან სხვაგვარად მართოს, თუმცა ეს არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ მმართველი ჩაერიოს მოვალის ისეთ საქმიანობაში და იმ ნაწილში,<sup>7</sup> რომელიც არ არის დაქვემდებარებული იძულებით მართვას. ჩვენ ზე-

მოთ ასევე განვმარტეთ, რომ სეკვესტრის გამოყენება შესაძლებელია მოძრავ ქონებაზეც, თუმცა არსებობს გამონაკლისები, სეკვესტრი არ გამოიყენება საპაერო და საზღვაო ხომალდების მიმართ, ანუ ისეთი მოძრავი ნივთების მიმართ, რომელიც მიჩნეულია უძრავ ქონებად.<sup>8</sup>

მართალია, ქონების იძულებითი მართვის დროს ქონების იძულებითი გასხვიება არ ხდება, თუმცა ამ შემთხვევაში მოვალე ქონებას ვერ განკარავს და ამასთან არც ფლობისა და გამოყენების უფლება აქვს, თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც სეკვესტრს გამოარჩევს სხვა იძულებითი ღონისძიებებისაგან, თუ სეკვესტრის გამოყენების დროისთვის სეკვესტრს დაქვემდებარებულ ქონებაში ცხოვრობს მოვალე და მისი ოჯახი,<sup>9</sup> მას უნდა შეუნარჩუნდეს ფართი, თუმცა ეს არ გახლავთ აბსოლუტური უფლება, აღნიშნულ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, შუამდგომლობის შემთხვევაში დაადგინოს, რომ მოვალემ გაათავისუფლოს იძულებით მართვას დაქვემდებარებული ქონება.

სასამართლოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დანიშნული იძულებითი მართვის დროს გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 310-ე მუხლის ნორმები, იძულებითი მართვის გამოყენება დაუშვებელია, თუ იძულებითი მართვის განხორციელების პროცესში რაიმე ფორმით იზღუდება მესამე პირის ინტერესები. ამ შემთხვევაში იძუ-

5 უითდეჰააგი, ი., „რედ“, 2020. საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში. თბილისი: გვ. 125.

6 ქურდაძე, შ. ქურდაძე, გ. და ხუნაშვილი, ნ., 2017, სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი. თბილისი: ბონა კაუზა, გვ. 139.

7 შოთაძე, თ., 2014. სანივთო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 127.

8 Лушин, А.Н. и Чудецкая. К.А., 2014. Ипотека в римском праве. Юридическая наука и практика, 1. გვ. 34.

9 ჩაჩანიძე, ე., დარჯანია, თ. და თოთლაძე, ლ., „რედ.-ები“, 2014. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი. თბილისი: გვ. 236.

ლებითი მართვის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მესამე პირის წინასწარი თანხმობით. მესამე პირის ინტერესების შეზღუდვის თაობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე იძულებითი მართვა წყდება. ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ქონების მართვასთან და მიწის ნაკვეთის ჩვეულებრივ სამეურნეო გამოყენებასთან, მმართველმა უნდა აანაზღაუროს უშუალოდ შემოსავლებიდან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აღმასრულებელი ვალდებულია, გარდა კრედიტორისა, ზრუნავდეს და იცავდეს მოვალის ინტერესებსაც, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით ნიშნავს იმას, რომ აღსრულების პროცესის დასრულების შემდგომ, მოვალემ გააგრძელოს ნორმალური ფუნქციონირება, ამ შემთხვევაში კი სეკვესტრი განიხილება როგორც აღსრულების ყველაზე უწყინარი საშუალება, ვინაიდან ქონების რეალიზაცია კი არ ხდება, არამედ მისი იმგვარად გამოყენება, რომ არც მოვალე დაზარალდეს და კრედიტორის მოთხოვნაც დაკმაყოფილდეს.<sup>10</sup> გარდა ამ ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტისა, არსებობს მოვალის უფლებების დაცვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კანონით დადგენილი წესი, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 45-ე მუხლი, რომელიც ეხება ისეთ ქონებას, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება, ხოლო მოცემული მუხლის მე-2 ქვეპუნქტი განსაზღვრავს იმ საარსებო მინიმუმის ოდენობას, რომელიც აუცილებელია პირის ყოფითი საჭიროებისათვის, რაც ნიშნავს იმას, რომ კანონით დადგენილია მინიმალური შემოსავლის ის ოდენობა, რომელიც მოვალეს უნდა დარჩეს ქონების იძულებითი მართვის პირობებში. დაუ-

შვებელია შემოსავლის 100%-ის კრედიტორისთვის მიკუთვნება. ის ფაქტი, რომ სეკვესტრის მიზანია მოვალეს შეუნარჩუნდეს ქონება, ნათლად ჩანს კანონის 82(3)-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც რიგითობის მიხედვით ნაწილდება ამონაგები თანხა, ესე იგი, იმ შემთხვევაში, თუ იძულებით მართვას დაქვემდებარებული ქონება იპოთეკითაა დატვირთული, პირველ რიგში, კმაყოფილდება კრედიტორი.<sup>11</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქონების იძულებით მართვას არაერთი ხარვეზი გააჩნია, სეკვესტრის პროცესში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ქონების მფლობელის კონტროლის მექანიზმის დაკარგვა ქონებაზე, მაშინ, როდესაც სასამართლო აწესებს ქონების იძულებით მართვას, საკუთრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღოს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დანიშნულმა მმართველმა და არა თავად მესაკუთრემ.

გარდა ამისა, ქონების იძულებითი მართვა შეიძლება იყოს რთული და შრომატევადი პროცესი, რომელიც ხშირად მოიცავს სასამართლო პროცესებსა და ადმინისტრაციულ დაბრკოლებებს. ამან შეიძლება გამოიწვიოს შეფერხებები და გაურკვევლობა როგორც ქონების მფლობელისთვის, ასევე ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. სხვა საკითხია ინტერესთა კონფლიქტის ან უთანხმოების პოტენციური ქონების მფლობელსა და სასამართლოს მიერ დანიშნულ მმართველს შორის. მმართველს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული მიზნები და პრიორიტეტები, ვიდრე მესაკუთრეს, რაც იწვევს უთანხმოებას და კამათს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმართოს ქონება.

10 Аубакирова, Ю.Р., 2015. Гражданско-правовое регулирование института ипотеки в Российской Федерации. Экономика и социум, 5 (18), გვ. 22.

11 მუხლი 82, საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ.“ საქართველოს პარლამენტი, 16/04/1999, #1908.

მთლიანობაში,<sup>12</sup> ქონების იძულებითი მართვის პროცესში მთავარი პრობლემა არის, ერთი მხრივ, მესაკუთრის კონტროლისა და ავტონომიის დაკარგვა ქონებაზე და, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ მას, როგორც მესაკუთრეს, მოკლებული აქვს შესაძლებლობა საკუთარი ინიციატივით მიმართოს სასამართლოს ქონების იძულებითი მართვის განხორციელების მოთხოვნით.

ქონების მართვის პრობლემური საკითხები შეიძლება დარეგულირდეს სამართლებრივი ჩარჩოებისა და ზედამხედველობის მექანიზმების გაწერით. საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია მიიღოს კანონები და რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს ქონების მართვის პრაქტიკას. ეს რეგულაციები შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ასპექტს, როგორცაა მესაკუთრესა და მოქირავნეს შორის ურთიერთობა, კარგი იქნება, თუ მოხდება ქონების მოვლის სტანდარტების დადგენა, შემუშავდება იჯარის კონტროლის ზომები და დავების გადაწყვეტის მექანიზმები. მკაფიო და ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ჩარჩო ხელს შეუწყობს კრედიტორის, უძრავი ქონების მმართველისა და მესაკუთრის უფლებების თანაზომიერ დაცვას, რაც თავის მხრივ შეამცირებს პრობლემური საკითხების წარმოქმნას.

მნიშვნელოვანია მმართველის კვალიფიკაცია, ლიცენზირება და სერტიფიცირება, ლიცენზიების ან სერტიფიკატების მოპოვების მოთხოვნა უზრუნველყოფს მათი კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის გარკვეულ სტანდარტებს. მარეგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ ზე-

დამხედველობა გაუწიონ ლიცენზირების პროცესს და აღასრულონ დისციპლინური ზომები იმ მმართველების მიმართ, რომლებიც არ ან ვერ ასრულებენ მოვალეობას, აღნიშნული ხელს შეუწყობს ქონების მართვის მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას და დაიცავს როგორც ქონების მესაკუთრის, ასევე კრედიტორის უფლებებსა და ინტერესებს.

### 3. შედარებით სამართლებრივი ანალიზი

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაში სეკვესტრი არის სპეციალური ტიპის ხელშეკრულება, რომელიც განიშარტება როგორც კრედიტორის დაკმაყოფილება ქონების შენარჩუნების ხარჯზე, საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობდა ამ ტიპის აღსრულების ღონისძიებას, იგი პირველად დარეგულირდა რუსეთის ფედერაციის მოქმედი სამოქალაქო კოდექსით.<sup>13</sup> ამრიგად, იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს ერთმანეთის წინაშე ვალდებულებები გააჩნიათ და ერთმანეთს არ ენდობიან, სადავო ქონება გადაეცემა ნეიტრალურ პირს, რომელიც მართავს ქონებას დავის გადაწყვეტის დასრულებამდე.<sup>14</sup> რუსეთის კანონმდებლობით სეკვესტრს აქვს ასევე შემნახველის დატვირთვაც, მაგალითად, საარბიტრაჟო სასამართლომ განიხილა დავა ავტომანქანის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლომ მიიღო კანონით გათვალისწინებული ზომები, რის შესახებაც გამოიტანა განჩინება. ფედერაციის

12 Menkel-Meadow, C., 2004. From Legal Dispute to Conflict Resolution and Human Problem Solving. Association of American Law Schools, გვ.137.

13 Решетникова, И.В., 2001. Исполнительное производство за рубежом. Право и экономика, 3, გვ. 38.

14 Брагинский, М.И. и Витрянский, В.В., 2003. Договорное право. Книга третья. Договоры о выполнении работ и оказании услуг. გვ. 795.

საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ღონისძიება შეიძლება იყოს სადავო ქონების შესანახად გადაცემა მოსარჩელეზე ან სხვა პირზე, რაც განიხილება როგორც ყადაღის დადება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს განჩინებით სადავო მანქანის შესანახად გადაცემის თაობაზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით აღმასრულებელი სასამართლო აქტის საფუძველზე ქონებას გადასცემს საგზაო პოლიციას ავტოსადგომზე განსათავსებლად.

ამავდროულად, სეკვესტრს შეუძლია უზრუნველყოს ნებისმიერი სამოქალაქო ვალდებულება ნაკისრი საკრედიტო ხელშეკრულებით, სესხის ხელშეკრულებითა თუ სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე წარმომობილი ვალდებულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

რაც შეეხება სეკვესტრის შეწყვეტას, იგი წყდება მოვალის მხრიდან ყველა ვალდებულების შესრულებით ან, თუ იძულებითი მართვიდან შემოსული თანხა არ ყოფნის შესასრულებელ ვალდებულებებს და იმავდროულად, არ არსებობს იძულებითი მართვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი; დაირღვა იძულებითი მართვის პირობები ან/და იძულებითი მართვის პერიოდში გამოვლინდა სხვა გარემოება, რომელიც სამართლებრივი ან ფაქტობრივი თვალსაზრისით გამორიცხავს იძულებითი მართვის გამოყენებას.

გამომდინარე აქედან, იძულებითი მართვა გულისხმობს კრედიტორისათვის უძრავი ქონების რეალიზაციის გზით მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობის მიცემას.<sup>15</sup>

გერმანიაში ქონების იძულებითი მართვა, როგორც წესი, გულისხმობს იურიდიულ მექანიზმებს, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლებას შეუძლია ჩაერიოს ისეთ სიტუაციებში, როდესაც ქონების მესაკუთრეები ვერ ასრულებენ გარკვეულ ვალდებულებებს ან, როდესაც არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი კონკრეტული ქონების მართვაში და/ან გამოყენებაში. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი გახლავთ თანაზომიერების პრინციპის დაცვა, ჩართული მხარეების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა გერმანიაში ქონების სავალდებულო მართვის ფუნდამენტური ასპექტია, რაც გულისხმობს პრინციპს, რომ კონკრეტული მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს ამ მიზნის მნიშვნელობის პროპორციული და არ უნდა დაუწესოს მხარეს ზედმეტი ტვირთი ან შეზღუდვები.

გერმანიაში ქონების მესაკუთრეებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს საკუთარი ქონების იძულებით მართვის ქვეშ მოქცევისთვის.<sup>16</sup> სავალდებულო მართვა, ჩვეულებრივ ინიცირებულია კრედიტორების მიერ, გერმანიის კანონმდებლობით, ისევე, როგორც საქართველოში, ქონების იძულებითი მართვა შეიძლება დაწესდეს სასამართლოს მიერ, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს მმართველი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ქონების მართვას და უზრუნველყოს მის სათანადოდ მართვას კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

თუმცა, გერმანიაში ქონების მფლობელებს აქვთ შესაძლებლობა, ნებაყოფლობით დანიშნონ მმართველი, ეს შეიძლება გაკეთდეს სახელშეკრულებო შეთანხმებით ან იურიდიული პირის დაარსებით,

15 კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 237.

16 Von Prof, E. and Schunkh, Dr., 1983. Allgemeines Staatsrecht und Staatsrecht des Bundes und der Lander. გვ. 163.



როგორცაა სახლის მესაკუთრეთა ასოციაცია ან ქონების მართვის კომპანია, რომელიც მართავს მათ ქონებას.<sup>17</sup>

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, მიუხედავად იმისა, რომ მოვალის ინტერესებს რიგ შემთხვევებში იცავს, მაინც არ უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების სრულ ბალანსს, რაც გახლავთ საფუძველი იმისა, რომ სექსტრი – როგორც ქონების იძულებითი მართვა – პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში რთულად საპოვნელია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს ნივთის იძულებით მართვას. აღნიშნულის მიზეზი კი თავად კანონმდებლობაში უნდა ვეძიოთ.

ჩვენი კანონმდებლობა სექსტრის ინსტიტუტთან მიმართებით არ უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესის ბალანსირებას. სტატიის ანალიზი ცხადყოფს, რომ აუცილებელია კანონმდებლობამ გაითვალისწინოს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების მიცემა მოვალისათვის ნივთის იძულებით მართვასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში დაბალანსდება მოვალისა და კრედიტორის უფლებები, ვინაიდან არის შემთხვევები, როდესაც მოვალისთვის მეტად მნიშვნელოვანია ვალდებულების ამგვარად დაკმაყოფილება, ამ გზით იგი შეძლებს და შეინარჩუნებს იმ ქონებასაც, რომელიც შეიძლება მისთვის ერთადერთი თავშესაფარი იყოს.

ამასთან, აუცილებელია კანონი დაიხვეწოს იმგვარად, რომ აღმოიფხვრას ისეთი პრობლემური საკითხები, რომელზედაც სტატიის მე-2 თავში დაწვრილებით

ვისაუბრე, აღნიშნული უზრუნველყოფს სექსტრის ინსტიტუტის სრულყოფილ და გამართულ მუშაობას, რაც თავის მხრივ, ვფიქრობ, რომ მის პოპულარიზაციას მოახდენს და აღსრულების სამართალში ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი და მოთხოვნადი ინსტიტუტი იქნება. საჭიროა სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონში კანონმდებელთა მხრიდან მოხდეს ნორმათა სწორი დისპოზიციის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში ახლებურად ჩამოყალიბება.

წარმოდგენილი სტატიით შესაძლებელია იმ მიდგომების გარკვევა, თუ რა ბენეფიტებს იძლევა კანონმდებლობა ქონების იძულებით მართვის ნაწილში, რამდენად სასარგებლოა მისი გამოყენება პრაქტიკაში მხარეთა ინტერესების დაბალანსებისთვის, მოვალის ქონების შესანარჩუნებლად და ამავდროულად კრედიტორის დაკმაყოფილებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ არსებული პრობლემური საკითხები აღმოიფხვრება და შესაბამისი ცვლილებებიც განხორციელდება, შესაძლოა დარეგულირდეს სამოქალაქო ბრუნვისთვის მნიშვნელოვანი სამართალური ერთობები როგორც კრედიტორის, ისე მესაკუთრის(მოვალის) ინტერესების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულით კი, კიდევ უფრო მეტად იქნება დაცული როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესები.

17 Schuchke, W. and Walker, W., 1999. Vollstreckung und Vorläufiger Rechts Schutz. Koln: გვ. 135.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზოიძე, ბ., 2003, ქართული სანივთო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება.
2. კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.
3. მეფარიშვილი, ქ., 2024. სადოქტორო დისერტაცია: გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლება. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.
4. უითლენი, ი., „რედ.“, 2020. საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში.
5. ქურდაძე, შ., ქურდაძე, გ. და ხუნაშვილი, ნ., 2017. სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი. თბილისი: ბონა კაუზა.
6. ქურდაძე, შ., ქურდაძე, გ., ხუნაშვილი, ნ. და ჭყონია, ზ., 2018. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი. ნაწილი I. თბილისი: გამომცემლობა დანი.
7. შოთაძე, თ., 2014. სანივთო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის. თბილისი: მერიდიანი.
8. ჩაჩანიძე, ე., დარჯანია, თ. და თოთლაძე, ლ., „რედ.-ები“, 2014. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი. თბილისი.
9. Menkel-Meadow, C., 2004. From Legal Dispute

- to Conflict Resolution and Human Problem Solving: Association of American Law Schools.
10. Brox, H., und Walker, W.D, 2014, Zwangs-vollstreckungsrecht. Carl Heymanns Verlag.
  11. Schuchke, W. and Walker, W., 1999. Vollstreckung und Vorläufiger Rechtschutz. Koln.
  12. Von Prof, E. and Schunkh, Dr., 1983. Allgemeines Staatsrecht und Staatsrecht des Bundes und der Lander.
  13. Аубакирова, Ю.Р., 2015. Гражданско-правовое регулирование института ипотеки в Российской Федерации. Экономика и социум, 5 (18).
  14. Брагинский, М.И. и Витрянский, В.В., 2003. Договорное право. Книга третья. Договоры о выполнении работ и оказании услуг.
  15. Лушин, А.Н. и Чудецкая, К.А., 2014. Ипотека в римском праве. Юридическая наука и практика, 1.
  16. Решетникова, И.В., 2001. Исполнительное производство за рубежом. Право и экономика.

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, #786.
2. საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 16/04/1999, #1908.
3. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.garant.ru/files/9/2/343529/garant\\_grajdansky\\_kodeks\\_rf.pdf](https://www.garant.ru/files/9/2/343529/garant_grajdansky_kodeks_rf.pdf)> [წვდომის თარიღი 15.05.2024].

## BIBLIOGRAPHY:

### Used Literature:

1. Aubakirova, Yu.R., 2015. Civil regulation of the mortgage institution in the Russian Federation Economy and society, 5 (18). (in Russian)
2. Braginsky, M.I. and Vitryansky, V.V., 2003. Contract Law. Book three. Contracts for the perfor-

- mance of work and provision of services. (in Russian)
3. Brox, H., und Walker, W.D, 2014, Zwangs-vollstreckungsrecht. Carl Heymanns Verlag. (in German)
  4. Chachanidze, e., Darjania, T. and Totladze, L., “reds.” 2014. Commentary on the German Civil Code. (in Georgian)
  5. Kereselidze, D., 2009. General Systematic Con-

- cepts of Private Law. Tbilisi: Publishing House of the Institute of European and Comparative Law. (in Georgian)
6. Kurdadze, Sh., Kurdadze, G. and Khunashvili, N., 2017. civil enforcement law. Tbilisi: Bona Kausa. (in Georgian)
  7. Kurdadze, Sh., Kurdadze, G., Khunashvili, N. and Chkonia, Z., 2018. Commentary on the Law of Georgia on Enforcement Proceedings. Part I, Tbilisi: Dan Publishing House. (in Georgian)
  8. Lushin, A.N. and Chudetskaya, K.A., 2014. Mortgage in Roman law. Legal science and practice, 1. (in Russian)
  9. Mefarishvili, K., 2024. Doctoral Dissertation: Ensuring the enforcement of decisions as a right to a fair trial. International University of the Caucasus. (in Georgian)
  10. Menkel-Meadow, C., 2004. From Legal Dispute to Conflict Resolution and Human Problem Solving: Association of American Law Schools. (in English)
  11. Reshetnikova, I.V., 2001. Executive production abroad. Law and Economics. (In Russian)
  12. Schuchke, W. and Walker, W., 1999. Vollstreckung und Vorlauffiger Rechtschutz. Koln. (in English)
  13. Shotadze, T., 2014. Commercial law. a guide for law schools, Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
  14. Uitdehaag, I., "ed.", 2020. Review of the enforcement system of Georgia. The Georgian enforcement system in the national and international context. (in Georgian)
  15. Von Prof, E. and Schunkh, Dr., 1983. Allgemeines Staatsrecht und Staatsrecht des Bundes und der Lander. (in German)
  16. Zoidze, B., 2003. Georgian Civil Law. Tbilisi: Publishing House Science. (in Georgian)

#### Normative Materials:

1. Civil Code of Georgia. Parliamentary Gazette, 26/06/1997, #786. (in Georgian)
2. Law of Georgia on enforcement proceedings. Parliamentary Gazette, 16/04/1999, #1908. (in Georgian)
3. Civil Code of the Russian Federation. [Online] available at: [https://www.garant.ru/files/9/2/343529/garant\\_grajdansky\\_kodeks\\_rf.pdf](https://www.garant.ru/files/9/2/343529/garant_grajdansky_kodeks_rf.pdf) [Accessed 15.05.2024]. (in Russian)

# სავალდებულო წილი, როგორც სახელმწიფოს ჩარევა მემკვიდრეობის უფლებაში (შედარებითსამართლებრივი ანალიზი)

## მარიამ გინტური

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი,

ნოტარიუსის შემცვლელი პირი (საქართველო)

ელ.ფოსტა: [mginturi@gmail.com](mailto:mginturi@gmail.com)

### აბსტრაქტი

სავალდებულო წილი, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც სავალდებულო ნაწილს ან იძულებით მემკვიდრეობას, არის იურიდიული კონცეფცია ზოგიერთ იურისდიქციაში, რომელიც ზღუდავს ინდივიდის თავისუფლებას, განკარგოს თავისი აქტივები ანდერძის მეშვეობით.

სავალდებულო წილის სპეციფიკა ძალიან განსხვავდება ქვეყნებს შორის და თუნდაც, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ან შტატში. ზოგიერთ იურისდიქციაში სავალდებულო წილი შეიძლება იყოს ქონების ფიქსირებული პროცენტი, ზოგიერთში კი ეს შეიძლება იყოს დამოკიდებული ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: მემკვიდრეთა რაოდენობა და მათი ურთიერთობა გარდაცვლილთან.

აღნიშნულ სტატიაში განხილული იქნება სავალდებულო წილის განსაზღვრის პირობები, რეგულირების მასშტაბები და მისი ჩამორთმევის გზები შედარებითსამართლებრივ ჭრილში. საქართველოსა და რამდენიმე ქვეყნის სამართლის მაგალითზე გააზრებული იქნება სავალდებულო წილის არსი, როგორც მემკვიდრეობის უკანასკნელი ნების შემზღვეველი ბერკეტი სახელმწიფოს მხრიდან, მისი ჩარევის ფარგლები სხვადასხვა ქვეყნის სამართლის მაგალითზე. ის განსხვავებები, თუ როგორ სპეციფიკურად უდგება ყველა ქვეყანა მისი პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების შესაბამისად, მემკვიდრეობის უკანასკნელ სურვილს. აგრეთვე, გვერდს ვერ ავუვლით უღირსი მემკვიდრის ცნობის საკითხს, რომელიც უმთავრესი ფაქტორია სავალდებულო წილის ჩამორთმევისა და სწორედ, მისი დეფინიციის დროს იკვეთება კანონმდებლის ნება, თუ რამდენად შორს იხედება და იცავს მემკვიდრეობის მისი კონსტიტუციური უფლების აღსრულებაში. უღირსი მემკვიდრის სხვადასხვა განსაზღვრისა და რეგულირების მასშტაბს მოიცავს ყველა ქვეყანა. ძირითადი განსხვავება ქართულ კანონმდებლობასა და სხვა ქვეყნის სამართალს შორის იმ ძირითად მოტივზე მითითებაა, რამაც პირი შეიძლება აქციოს უღირს მემკვიდრედ.

**საკვანძო სიტყვები** ანდერძი, უღირსი მემკვიდრე, ნების თავისუფლება, საერთაშორისო გამოცდილება

# MANDATORY SHARE INSTITUTE, AS A STATE INTERVENTION IN THE RIGHT OF INHERITANCE (Comparative legal analysis)

**Mariam Ginturi**

*PhD student of the Law School at Davit Agmashenebeli University of Georgia,  
Substitute of Notary (Georgia)*

Email: [mginturi@gmail.com](mailto:mginturi@gmail.com)

## Abstract

Mandatory share, which is frequently referred to as the obligatory part of coercive inheritance is a legal concept for some jurisdictions, limiting freedom of the individual to manage own assets by his/her testaments.

The specifics of the mandatory share greatly varies between countries and even within different regions or states of the country. In some jurisdictions, the mandatory share may be a fixed percentage of the estate, while in others it may depend on factors such as the number of heirs and their relationship to the deceased.

This article will discuss the conditions for determining the mandatory share, the scope of regulation and ways of confiscating it from a comparative legal point of view. On the example of the law of Georgia and several countries, the essence of the Mandatory Share as a limiting lever of the last will of the successor will be understood from the side of the state, the scope of its intervention on the example of the law of different countries. The differences in how each country deals specifically with the last wish of the successor according to its political, social or economic development. Also, we cannot ignore the issue of recognition of an unworthy heir, which is the main factor in confiscation of a compulsory share, and it is during its definition that the legislator's will is revealed, how far he looks and protects the successor in the exercise of his constitutional right. Different definitions and scope of regulation of unworthy heirs are covered by all countries. The main difference between Georgian legislation and the law of other countries is the reference to the main motive that can make a person an unworthy heir.

KEYWORDS: will, An unworthy heir, freedom of will, International experience

## შესავალი

სავალდებულო წილი, როგორც მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების, აგრეთვე, საკუთრების უფლების შემზღუდველი ბერკეტი, დიდხნიან სამართლებრივ ისტორიას მოიცავს. ზღვარი მამკვიდრებლის ნების ავტონომიას, საკუთრების უფლების გარანტიასა და სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას შორის, რომელიც სავალდებულო ინსტრუმენტით ებრძვის მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების განხორციელებას, ყველა ქვეყნის სამართლებრივ ისტორიაში სხვადასხვანაირად რეგულირდება. ყურადსაღებია, სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1381-ე მუხლი,<sup>1</sup> რომელიც მხოლოდ საერთო წესით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევაზე მიუთითებს, ან მამკვიდრებლის მხრიდან სასამართლოში მიმართვის გზით არეგულირებს ამ საკითხს, რომელიც პრაქტიკაში შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ მუშაობს. მამკვიდრებლის უკანასკნელი ნება, ანდერძი, რომელიც ცალმხრივ გარეგნად მიიჩნევა, არ შეიძლება მოითხოვდეს პოტენციური მემკვიდრის ჩართულობას, რომელსაც უნდა ედაოს მამკვიდრებელი სიცოცხლეში იმაზე მითითებით, რომ მემკვიდრემ დაარღვია მამკვიდრებლის წინაშე ის ფუნდამენტური უფლებები, რომელიც მას მემკვიდრეობის უფლებას ანიჭებდა, მიჩნეულ იქნას უღირს მემკვიდრედ მისივე სიცოცხლეში და ამით მიიღოს მამკვიდრებელმა გარანტია მისი უკანასკნელი ნების სისრულეში მოყვანისა. ამით აბსოლუტურად ირღვე-

ვა ანდერძის მთავარი არსი და მნიშვნელობა, იყოს ის კონფიდენციალური და დაცული ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ იქნება საჯარო დაინტერესებული პირებისათვის. ნიშანდობლივია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1375-ე მუხლი, სადაც განხილულია მამკვიდრებლის მიერ მისი პოტენციური მემკვიდრისთვის იმ ქონების ნაწილის ჩათვლა სამკვიდრო მასაში, რომელიც იგი მიიღო მან, იმაზე აპელირებით, რომ აღნიშნული შევიდოდა სავალდებულო წილში.<sup>2</sup> ამ ჩანაწერთაც ვლინდება კანონმდებლის ნება, დაიცვას ყველა მემკვიდრე, რომელიც სავალდებულო წილის მიმღებია, თანაბრად მიიღოს და გაიზიაროს მამკვიდრებლის ქონება. აგრეთვე 1378-ე მუხლი, რომლითაც პირდაპირი ჩარევა ხდება მამკვიდრებლის უკანასკნელ ნებაში, მან მისივე სიცოცხლეში გადაწყვიტოს ვის აჩუქოს ქონება, იქნეს გათვალისწინებული სამკვიდრო მასის წილში თუ გაჩუქებული ნივთი შედის სამკვიდრო მასაში.<sup>3</sup> აქ მხოლოდ ერთი დათქმით აძლევს ნების გამოვლენის თავისუფლებას მამკვიდრებელს, რომ, თუ ჩუქების ხელშეკრულებიდან გასულია 10 წელზე მეტი, მაშინ აღნიშნულის გათვალისწინება აღარ მოხდეს სავალდებულო წილის მასაში. რაოდენ დიდია კანონმდებლის ჩარევის ფარგლები, ეს ცალსახად ჩანს ზემოთ განხილული მუხლების გათვალისწინებით, როდესაც მაქსიმალურად ცდილობს კანონმდებელი დაიცვას უშუალოდ კანონისმიერი მემკვიდრის უფლება, არ დაჩუქოს სამკვიდრო ქონების მიღმა, მიიღოს ყველა ის ქონებრივი უფლება, რომელიც

- 1 შეადარე. 1381-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.
- 2 შეადარე. 1375-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.
- 3 შეადარე. 1378-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.

მათ შორის მამკვიდრებელმა სიცოცხლე-შივე გაანაწილა, გააჩუქა მესამე პირზე. 1371-ე მუხლის შესაბამისად, სავალდებულო წილი განიმარტება შემდეგნაირად: მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა<sup>4</sup>. ამ განმარტებით, კანონმდებელი კი იბოჭება გარკვეულწილად, ცდილობს მაქსიმალურად არ შეზღუდოს მამკვიდრებლის საკუთრების უფლება, მისი უკანასკნელი ნების თავისუფლება და მხოლოდ პირველი რიგის მემკვიდრეთა წრიდან გვთავაზობს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელმაც უნდა მიიღოს სავალდებულო წილი და თან იმ დათქმით, რომ ეს უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რომელსაც ისინი მიიღებდნენ, რომ არ ყოფილიყო ანდერძი, მაგრამ აგრეთვე ითვალისწინებს სავალდებულო წილის მემკვიდრეობით გადასვლის უფლების შესაძლებლობას.<sup>5</sup> ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი საკანონმდებლო შინაარსის გათვალისწინებით, ვლინდება დარღვეული ბალანსის გამოხატულება კანონმემოქმედის მხრიდან, რომელიც თან ცდილობს, მემკვიდრეს მიუთითოს სავალდებულო წილში ჩათვალის ყველაფერი, რაც მან მამკვიდრებლისგან მიიღო იმაზე აქცენტით, რომ იგი შევიდოდა სავალდებულო წილში, თან ავალდებულებს თავად მამკვიდრებელს 10 წლამდე გაჩუქებული ნივთის სავალდებულო წილში შეყვანაზე, მაშინ, როდესაც პირველი რიგით გათვალისწინებული კანონისმიერი მემკვიდრეები, რომლებიც სავალდებულო წილის მიღების რიგში დგანან, ისედაც იღებენ იმ წილის ნახევარს, რომელსაც მიიღებდნენ ანდერძი მამკვიდრებლის უკანასკნელი ნება რომ არ ყოფილიყო.

4 შეადარე. იქვე. მუხლი 1371.

5 შეადარე. იქვე. მუხლი 1372.

მნიშვნელოვანია აგრეთვე იმ სხვაობის ხაზგასმა, რასაც უღირსი მემკვიდრის დეფინიცია იწვევს ქართული კანონმდებლობისა და უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების შეჯერების შემდეგ. იმდენად დავიწროვებული, მცირე მნიშვნელობით არის ქართულ კანონმდებლობაში უღირსი მემკვიდრის დეფინიცია წარმოდგენილი, რომ კითხვა ჩნდება, ხომ არ ხდება ამით მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების ფარგლების შევიწროვება და სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბის ზრდა იმ გაგებით, რომ რაც მწირია კანონმდებლის შემზღუდველი ბერკეტი, მით მეტია სავალდებულო წილის მქონე მემკვიდრის უფლების ზრდა.

ასე რომ, სავალდებულო წილის პროპორციებზე, მისი გადანაწილების წესზე, აღნიშნული უფლების ჩამორთმევასა თუ ზოგადად, მისი ბუნების დასადგენად, სტატიაში განხილული იქნება შვეიცარიის, აგრეთვე, ნიდერლანდების, საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსები, დადგინდება კანონმდებლის ზოგადი ნების გამოხატულება სავალდებულო წილთან მიმართებაში. კანონმდებლები მესაკუთრის ნების თავისუფლებისადმი პატივისცემის მიუხედავად, განკარგოს თავისი ქონება, საჭიროდ მიიჩნევენ თვითნებობისთვის გარკვეული ფარგლების დადგენას, რათა ზღვარგადასული უფლება არ გახდეს ამ უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველი. ყველა ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით, ამ ნების რეგულირება სხვადასხვანაირად ხდება. განხილული იქნება შემთხვევითი ქვეყნების მაგალითზე ვინ არიან სავალდებულო წილის მიმღები პირები, რა წილს ითვალისწინებს კანონმდებლობა მათთვის დანაშთი ქონებიდან, რა შემთხვევაში ერთმევათ სავალდებულო წილის უფლება და ასე შემდეგ.

მემკვიდრეობის ცნება უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ სახელმწიფოსა და სამართლის საბოლოო ჩამოყალიბებამდე გაჩნდა.<sup>6</sup> წარმოუდგენელია ვისაუბროთ მემკვიდრეობის უფლებაზე და არ შევხვით რომის სამართალს, რომლის მიხედვითაც ანდერძს „ტესტამენტუმი“ ეწოდება და იგი ნების, მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების დამოწმებას ნიშნავს.<sup>7</sup> რომაელი ისტორიკოსები მემკვიდრეობის უფლებას შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „ არავინ არ ტოვებს იმაზე მეტ სიკეთეს თავის შემდეგ, ვიდრე მას ჰქონდა“. <sup>8</sup> ამ ჩანაწერთაც მარტივი მისახვედრია, თუ როგორი იყო ისტორიკოსების დამოკიდებულება საანდერძო უკანასკნელ ნებაზე, რომელიც უპირატეს უფლებად წარმოედგინათ და ამაზე მეტი სიკეთის დატოვების შესაძლებლობას ამ სამყაროში სხვას ვერაფერს უტოლებდნენ.

იუსტინიანეს ინსტიტუციების (ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I-ის (526-565 წწ.) დროს შედგენილი სამართლებრივი ძეგლი, რომელშიც მოცემულია ცნებები მემკვიდრეობის მიხედვით, ანდერძი შეიძლება ყოფილიყო ორი სახით: პირობით ან პირობის გარეშე. წილები მემკვიდრეებს შორის თანაბრად ნაწილდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოანდერძე წილებს თავად მიუთითებდა, თუ რომელიმე მემკვიდრე წილის მიუთითებლად იყო დასახელებული, იგი იმ წილს მიიღებდა, რომელიც სამკვიდროდან გაყოფის შემდეგ რაიმე წილი დარჩებოდა. თუ სამკვიდრო მთლიანად განაწილებული იყო, წილის მიუთითებლად

დასახელებული პირები სამკვიდროს ნახევარს ღებულობდნენ, წილის მიუთითებლად დასახელებული პირები კი – მეორე ნახევარს და მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რომელი მემკვიდრე იყო დასახელებული წილის მიუთითებლად. თუ სამკვიდროს რაღაც ნაწილი თავისუფალი რჩებოდა, მას თითოეული მემკვიდრე ანდერძში მიუთითებულ სამკვიდრო წილის პროპორციულად ღებულობდა, ხოლო, თუ პირიქით – მემკვიდრე უფრო მეტი იყო, ვიდრე ნაანდერძევი ქონება, თითოეულ დანიშნულ მემკვიდრეს წილი შეუმცირდება, მაგალითად, თუ სამ ნაწილად გაყოფილ სამკვიდროზე იყო ოთხი მემკვიდრე, მაშინ ითვლებოდა, რომ თითოეული მემკვიდრე სამკვიდროს ერთ მეოთხედს მიიღებდა.<sup>9</sup>

სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა წრეს ჯერ კიდევ რომის სამართალი ადგენდა. რომის სამართალი ასევე განსაზღვრავდა მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის ოდენობას. ამ შემთხვევაში იგი უდრიდა იმ წილის მეოთხედს, რაც უნდა მიეღო კანონით მემკვიდრეობისას. ისტორიული სამართლის ძეგლებით დასტურდება, რომ კანონმდებელი ადგენდა რა საანდერძო განკარგულების თავისუფლებას, აქვე ზღუდავდა მას სავალდებულო წილის დაწესებით.<sup>10</sup> როგორც ჩანს, მამკვიდრებლის ნების შეზღუდვა ძველი რომიდან მომდინარეობს და სულაც არ არის ახალი ინსტიტუტი, რომელიც განსხვავებულ წესს მოიაზრებს. თუმცა, განსხვავებულია დროთა განმავლობაში, სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარე-

- 6 შეადარე. ნადარეიშვილი, გ., 2008. რომის სამოქალაქო სამართალი. თბილისი: გვ. 148.
- 7 შეადარე. ბერიკაშვილი, დ., 2010. სადოქტორო დისერტაცია: სავალდებულო წილი მემკვიდრეობით სამართალში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 10-11.
- 8 შეადარე. ლობჯანიძე, გ., 2009. რომის სახელმწიფო და სამართალი. საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, გვ. 97.
- 9 შეადარე. სურგულაძე, ნ., 2002. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. თბილისი: გვ. 98.
- 10 შეადარე. მეტრეველი, ვ., 2009. რომის სამართალი. თბილისი: გვ. 108.



ბის შესაბამისად სავალდებულო წილის მქონე მემკვიდრეების პირთა ჩამონათვალი, მათი წილის პროპორცია, ჩამორთმევის საფუძველი და სხვა.<sup>11</sup>

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის სამემკვიდრეო სამართლის მიხედვით ქმედუნარიანი პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, უფლებამოსილია, კანონისმიერი შეზღუდვებისა და ფორმების გათვალისწინებით მოახდინოს თავისი ქონების ანდერძით განკარგვა.<sup>12</sup> რაც შეეხება 470-ე მუხლის ჩანაწერს, ის განმარტავს სავალდებულო წილს შემდეგნაირად: პირს, რომელიც ტოვებს შთამომავლებს, მშობლებს, მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს, შეუძლია ანდერძით განკარგოს თავისი ქონება იმ ფარგლებში, რაც აღემატება ამ პირთა კუთვნილ სავალდებულო წილის ოდენობას. ანუ, აქ პირდაპირ უზღუდავს კანონმდებელი ნების ავტონომიას და მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ გათვალისწინებული უნდა იყოს სავალდებულო წილის ოდენობა და რაც დარჩება ამ ქონების მიღმა, მხოლოდ მისი ავტონომიური ნების საფუძველზე განკარგვა შეუძლია მემკვიდრეებს. საინტერესოა, აგრეთვე, სავალდებულო წილთა განსაზღვრა შვეიცარიის კანონმდებლობის შესაბამისად. შვეიცარიის 471-ე მუხლის შესაბამისად სავალდებულო წილი შეადგენს: 1. შთამომავლისათვის – კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მისაღები სამკვიდროს სამ მეოთხედ ნაწილს; 2. თითოეული მშობლისათვის – ნახევარს; 3. ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის, რეგისტრირებული პარტნიორისათვის – ნახევარს. ამ ჩანაწერით დგინდება, რომ მშობელი და ცოცხლად დარჩენილი მეუღლე/პარტნიორი არიან პრიორიტეტული

მემკვიდრეები, მათთვის წილის ნახევარი განისაზღვრა, ხოლო შთამომავლებისთვის, რომლებიც შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 457-ე მუხლის მიხედვით მემკვიდრეობის უახლოეს მემკვიდრეებს წარმოადგენენ, სამკვიდრო წილის მეოთხედს იღებენ. უახლოესი შთამომავლის ცნება ცალკე განხილვის საკითხია, თუმცა და ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებული, რადგან პირველი რიგის მემკვიდრე მხოლოდ მშობლები, მეუღლე და შვილები არიან, აქ მსგავსი ჩანაწერი არ მოიპოვება, მხოლოდ უახლოეს ნათესავზეა ხაზგასმული კანონის ჩანაწერი.

რაც შეეხება ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსს, იგი ცნობს სავალდებულო წილს და ამბობს, რომ სავალდებულო მემკვიდრის სავალდებულო წილი წარმოადგენს მოანდერძის სამკვიდროს ღირებულების იმ ნაწილს, რომლის მიმართაც სავალდებულო მემკვიდრეს შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია, მიუხედავად მოანდერძის მიერ ანდერძით გაკეთებული საანდერძო განკარგულებისა და თავისი სიცოცხლის მანძილზე განხორციელებული ნაჩუქრობებისა. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებით გამოარჩევს ნაჩუქარი ქონების წილის გამოყოფას სამემკვიდრეო მასიდან, ასევე სავალდებულო წილიდან. საყურადღებოა, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად უღირსი მემკვიდრის განმარტება, რომელიც მოიცავს იმ პირს, რომელიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გასამართლებულ იქნა გარდაცვლილის სიცოცხლის ხელყოფისათვის, მკვლელობის მცდელობისათვის ან ასეთი დანაშაულის მომზადებისა თუ მასში თანამონაწილეობისათვის, აგრეთვე, იმ პირს, რომელიც

11 Malaurie, Ph., 2008. Aynés L. Droit civil. Les successions. Les libéralités. 3e éd. Defrénois, გვ. 138.

12 ქეჭელაშვილი, ზ., „რედ.“, 2018. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: შპს სვეტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://notary.ge/res/docs/gare/Swiss\\_Civil\\_%20Code.pdf](https://notary.ge/res/docs/gare/Swiss_Civil_%20Code.pdf)> [წვდომის თარიღი 27.04.2024].

კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გასამართლებულ იქნა გარდაცვლილის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის, მისი მცდელობისათვის ან ასეთი დანაშაულის მომზადებისა თუ მასში თანამონაწილეობისათვის, რომლისათვისაც ჰოლანდიური სამართლის თანახმად მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სულ ცოტა, ოთხი წლის ვადით. ასევე, იმ პირს, რომლის მიმართაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მან გარდაცვლილ პირს ცილისმწამებლურად დასდო ბრალი იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისათვისაც ჰოლანდიური სამართლის თანახმად მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სულ ცოტა, ოთხი წლის ვადით და კიდევ მრავალი.<sup>13</sup> აქ გასათვალისწინებელია, როგორც უღირსი მემკვიდრის სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესაძლებლობა, თუ როგორ ფართოდაა განმარტებული ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. ეს ჩანაწერები მაქსიმალურად იცავს მამკვიდრებლის ნებას, რომ, თუ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილთაგან მოხდა მემკვიდრის მხრიდან, ის სამუდამოდ დაკარგავს მემკვიდრეობის უფლებას. რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ საანდერძო დანაკისრთან, მამკვიდრებლის უკანასკნელ ნებასთან შეუსაბამობაში მოსვლას გულისხმობს, საკმაოდ ფართო

და ყოვლისმომცველ დანაწესებს ითვალისწინებს და ამით მაქსიმალურად იცავს მამკვიდრებლის ინტერესს.<sup>14</sup>

სავალდებულო წილის ჩამორთმევას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1381-ე მუხლი,<sup>15</sup> რომელიც ამბობს, რომ მხოლოდ საერთოდ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას რაც იწვევს, ის შეიძლება გახდეს სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლებაც. ანუ, კანონმდებელი მიანიშნებს უღირსი მემკვიდრის ინსტიტუტზე, რომელიც სსკ-ს 1310-ე მუხლის<sup>16</sup> შესაბამისად არის პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიღინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ.<sup>17</sup> აქ ცალსახად ჩანს კანონმდებლის ნება, თუ რა კრიტერიუმები შეიძლება არსებობდეს იმისათვის, რომ პირი უღირს მემკვიდრედ იქნეს ცნობილი. ესაა ისეთი ქმედებები, რომლებიც უშუალოდ მოანდერძის ნების საწინააღმდეგო ქმედებაზე უნდა იყოს მიმართული, რათა არ აღსრულდეს მისი უკანასკნელი ნება.

საყურადღებოა, ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად უღი-

13 შეადარე. ქეჭელაშვილი, ზ., „რედ., 2021. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: შპს სვეტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch\\_Civil\\_%20Code.pdf](https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch_Civil_%20Code.pdf)> [წვდომის თარიღი 27.04.2024].

14 ქანტურია, ლ., 2009. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. წიგნი მეხუთე. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_1\\_Book.pdf](https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_1_Book.pdf)> [წვდომის თარიღი 27.04.2024].

15 შეადარე. მუხლი 1381, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.

16 შეადარე. იქვე. მუხლი 1310.

17 Hovasse-Banget, S., 1990. La Propriété littéraire et artistique en droit des successions, thèse. Rennes I. გვ. 91.

რსი მემკვიდრის განმარტება, რომელიც მოიცავს იმ პირს, რომელიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გასამართლებულ იქნა გარდაცვლილის სიცოცხლის ხელყოფისათვის, მკვლელობის მცდელობისათვის ან ასეთი დანაშაულის მომზადებისა თუ მასში თანამონაწილეობისათვის, აგრეთვე, იმ პირს, რომელიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გასამართლებულ იქნა გარდაცვლილის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის, მისი მცდელობისათვის ან ასეთი დანაშაულის მომზადებისა თუ მასში თანამონაწილეობისათვის, რომლისათვისაც ჰოლანდიური სამართლის თანახმად მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სულ ცოტა, ოთხი წლის ვადით. ასევე, იმ პირს, რომლის მიმართაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მან გარდაცვლილ პირს ცილისმწამებლურად დასდო ბრალი იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისათვისაც ჰოლანდიური სამართლის თანახმად მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სულ ცოტა, ოთხი წლის ვადით და კიდევ მრავალი. აქ გასათვალისწინებელია, როგორც უღირსი მემკვიდრის სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესაძლებლობა, თუ როგორ ფართოდაა განმარტებული ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. ეს ჩანაწერები მაქსიმალურად იცავს მამკვიდრებლის ნებას, რომ, თუ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილიდან მოხდა მემკვიდრის მხრიდან, ის სამუდამოდ დაკარგავს მემკვიდრეობის უფლებას. რაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ძალიან მწირედ

და არასაკმარისად გამოიყურება. მით უფრო, ქართული სასამართლო პრაქტიკაც არსებობს იმაზე, რომ მამის მკვლელი შვილი არ იქნა უღირს მემკვიდრედ ცნობილი იმ მიზეზით, რომ სამოქალაქო კოდექსის უღირსი მემკვიდრის ჩანაწერი მამკვიდრებლის უკანაცხელი ნების გამოხატვას უნდა ეწინააღმდეგებოდეს და ეს მკვლელობა თუ ამ მიზნისკენ არ იყო მიმართული, შესაბამისად, იგი არ იქნება უღირს მემკვიდრედ ცნობილი და მიიღებს გარდაცვლილი მამის სამკვიდრო წილს.<sup>18</sup> რაც შეეხება ბერძნულ კანონმდებლობას, უღირსი მემკვიდრე, რომელიც სავალდებულო წილის მიღების უფლებას კარგავს ამ პროცესში, ითვლება ის პირი, რომელმაც განზრახ მოკლა ან ჰქონდა მცდელობა მოეკლა გარდაცვლილი ან მისი შვილები, დედა, მამა ან მეუღლე. პირი, რომელმაც უსამართლოდ დააბრალა გარდაცვლილს დანაშაული და მისჯილი ჰქონდა ამისათვის სასჯელი. პირი, რომელმაც უკანონოდ განზრახ ხელი შეუშალა გარდაცვლილს, დაეწერა ან გამოეთხოვა საკუთარი ანდერძი. პირი, რომელმაც უკანონოდ და ამორალურად, მოტყუებით უბიძგა ან მუქარით აიძულა გარდაცვლილი დაეწერა ან შეეცვალა ანდერძი და ის პირი, რომელმაც შეცვალა ან მოშალა გარდაცვლილის მიერ დაწერილი ანდერძი.<sup>19</sup> როგორც ჩანს, აქაც ცალსახაა კანონმდებლის ნება, თუ როგორი მრავალმხრივი და ფართო ჩანაწერით იცავს მამკვიდრებლის უკანაცხელ ნებას.

საინტერესოა, რატომ არის ქართული საკანონმდებლო სისტემისთვის ასეთი მწირი განსაზღვრება უღირსი მემკვიდრისა, რომელიც ავტომატურად სავალდებულო წილის მიღების შესაძლებლობასაც

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №#ას-1101-1021-2017).

19 საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)> [წვდომის თარიღი 27.04.2024].

იძლევა.<sup>20</sup> სტატიის მიზანია სამი ქვეყნის სამემკვიდრეო სამართალი და ყველა მოიცავს საკმაოდ ვრცელ და ამომწურავ ჩამონათვალს. მსგავსი განმარტება ითვალისწინებს მამკვიდრებლის ინტერესის დაცვას, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1381-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონმდებელი მამკვიდრებელს მის სიცოცხლეშივე სასარჩელო წარმოებას ურჩევს სასამართლოში, ედავოს მის პოტენციურ მემკვიდრესა და მამკვიდრო მასაში შემავალი ქონების მომავალ მესაკუთრეს, თუ რატომ გადაწყვიტა მისთვის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული უფლების შეზღუდვა. ანდერძი, რომელიც თავისი შინაარსით არის ცალმხრივი გარიგება, მისი შედეგის და დამოწმების წესიც ამაზე მიგვანიშნებს, რომ იგი შეიცავს კონფიდენციალურ, სენსიტიურ და გაუმჟღავნებელ ინფორმაციას<sup>21</sup>, როგორც წარმოსადგენია მისი საჯარო განხილვა და სადავო საკითხად სასამართლოში სიცოცხლეშივე წარმოება.

## დასკვნა

სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც მამკვიდრებლის სიცოცხლეში წარმოიშობა მისი სიკვდილის შემდგომაც არ ქრება უშედეგოდ. მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, და მას დაბადებიდან გააჩნია. თუ საკუთრება და საკუთრების განკარგვა წარმოადგენს ბუნებითი სამართლის ნაწილს, მაშინ როგორ რეგულირდება მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების განხორციელება და აღსრულება, დაიცვას მის მიერ შექმნილი, შეგროვებული ქონება გარდა-

ცვალების შემდეგაც და მხოლოდ თავად, დამოუკიდებლად განსაზღვროს იმ პირთა წრე, რომელსაც იგი მოისურვებს მემკვიდრეობად. ცალსახაა, რომ სავალდებულო წილი არ არის როგორც ანდერძისმიერი, აგრეთვე კანონისმიერი მემკვიდრეობის ფორმა. იგი ცალკე მდგომი, განსაკუთრებული მემკვიდრეობის ფორმას წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, მოთხოვოს მამკვიდრებლის ერთსულოვანი ნება, რომელსაც საპირწონედ უყენებს ოჯახური ფასეულობების და ღირსების საკითხს, არ დარჩენს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პირველი რიგის მემკვიდრეები ყველანაირი მემკვიდრეობის გარეშე.

სტატიის წერის პროცესში გამოვლინდა უღირსი მემკვიდრის განსაზღვრის პრობლემა, რომლის საერთაშორისო სოსამართლებრივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სხვა ქვეყნის კანონმდებელი ბევრად ფართოდ და ამომწურავად განიხილავს უღირსი მემკვიდრის ჩამონათვალს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სავალდებულო წილის უფლების ჩამორთმევასთან და საერთოდ ცვლის მემკვიდრეთა წრეს, წილთა გადანაწილებასა და სხვას. აღნიშნული ინსტიტუტით მაქსიმალურად დაცულია მამკვიდრებლის უკანასკნელი ნება, რომელიც ქართული კანონმდებლობის შესაბამისად მაქსიმალურად შეკვეცილი და ერთხაზოვანი განმარტებით გამოირჩევა (მხოლოდ მამკვიდრებლისთვის საანდერძო დანაკისრთან დაკავშირებულ ხელისშეშლასა და უკანასკნელი ნების ვერ აღსრულების მიზანთან იგივდება). სავალდებულო წილი თავისი არსით არის სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა, ბალანსისა და ოჯახური ღირებულებების

20 შენგელია, რ. და შენგელია, ე., 2019. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი.

21 Bertrand-Mirkovic, A., 2003. La notion de personne (Étude visant à clarifier le statut juridique de l'enfant à naître). Presses universitaires d'Aix-Marseille.

შენარჩუნების გზა, მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული მამკვიდრებლის ნება და სურვილი. იმის მიუხედავად, რომ ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, მამკვიდრებელმა ანდერძში, მის უკანასკნელ ნებაში მკაფიოდ გამოხატოს მემკვიდრეების შესახებ წყენა, ზუსტი მითითება, რომ არ უნდა კონკრეტული პირები რომ გახდნენ მისი მემკვიდრეები, ამის მიუხედავად, თუ სასამართლოს მიერ აღნიშნული პირები არ იქნებიან უღირს მემკვიდრეებად ცნობილები, ნოტარიუსს არ აქვს უფლება მათ ჩამოართვას სავალდებულო წილის მიღების შესაძლებლობა. აბსურდულია სავალდებულო წილის ჩამორთმევის პირობებში იმის გათვალისწინება, რომ მამკვიდრებელმა სიცოცხლეშივე წამოიწყოს დავა პოტენციური მემკვიდრეების უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ, რადგან მათ მომავალში არ მიიღონ კანონით გათვალისწინებული ქონება. მსგავსი ჩანაწერი გვხვდება სამოქალაქო კოდექსში, სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლების განხორციელებისას. ამ ჩანაწერით კანონმდებელი უარყოფს მთავარს, მამკვიდრებელმა შეინახოს მისი უკანასკნელი ნება საიღუმლოდ. ამ დანაწესით ჩნდება ლოგიკური კითხვა ანდერძის მთავარი შინაარსისა და არსებობის მიზანთან. თუ მოანდერძემ სასამართლოში მის სიცოცხლეშივე იღავა პირის უღირს მემკვიდრედ ცნობაზე, შესაბამისად მიიჩნევა, რომ ანდერძის მთავარი ღირებულება იკარგება და აზრს კარგავს.

როგორც ძველი რომის სამართლიდან მოყოლებული, აგრეთვე, შვეიცარიის, საბერძნეთისა და ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სავალდებულო წილი უამრავ საუკუნეს ითვლის. ეს ინსტიტუცია იმდენადვე ძველია, როგორც მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლება, რათა სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებაში

ნეიტრალიტეტისა და ზოგადად, ზნეობრივი ნორმების შემანარჩუნებელს, არ დაეტოვებინა მამკვიდრებლის უახლოესი ხაზის ნათესავები მინიმალური წილის გარეშე. მნიშვნელოვანია სავალდებულო წილთა გადანაწილების, მიმღებ პირთა სტატისტიკის შესწავლაც. რაც უფრო მეტია საზოგადოებრივი კულტურა, სახელმწიფოს ჩართულობა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში, მით უფრო მეტადაა დაცული ყველა მოქალაქის უფლება და ინტერესი. ამიტომ, სავალდებულო წილი, როგორც სახელმწიფოს შემზღუდველი ბერკეტი, გარკვეულწილად გამართლებული ინსტიტუტია, მიუხედავად მამკვიდრებლის საკუთრების უფლების, ნების თავისუფალი გამოვლენის და მისი აღსრულების პრობლემისა. თუ დაიხვეწება კანონმდებლის ნება უღირსი მემკვიდრის დეფინიციასთან დაკავშირებით, აგრეთვე დაკონკრეტდება სავალდებულო წილის ჩამორთმევის პირობები, ამით მეტად გამყარდება მამკვიდრებლის უკანასკნელი სურვილის აღსრულება და ის სახელმწიფოებრივი ჩარევა, რაც სავალდებულო წილის სახით არსებობს მემკვიდრეობით უფლებაში, იქნება პროპორციული და მიზანშეწონილი.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერეკაშვილი, დ., 2010. სადოქტორო დისერტაცია: სავალდებულო წილი მემკვიდრეობით სამართალში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ლობჯანიძე, გ., 2009. რომის სახელმწიფო და სამართალი. საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი.
3. ნადარეიშვილი, გ., 2008. რომის სამოქალაქო სამართალი. თბილისი.
4. სურგულაძე, ნ., 2002. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები. თბილისი.
5. შენგელია, რ. და შენგელია, ე., 2019. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი.
6. ჭანტურია, ლ., 2009. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_1\\_Book.pdf](https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_1_Book.pdf)> [წვდომის თარიღი 27.04.2024].
7. ჭაჭელაშვილი, ზ., 2018. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: შპს სვეტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://notary.ge/res/docs/gare/Swiss\\_Civil\\_%20Code.pdf](https://notary.ge/res/docs/gare/Swiss_Civil_%20Code.pdf)> [წვდომის თარიღი: 27.04.2024].
8. ჭაჭელაშვილი, ზ., 2017. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: შპს სვეტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch\\_Civil\\_%20Code.pdf](https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch_Civil_%20Code.pdf)> [წვდომის თარიღი: 27.04.2024].
9. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)> [წვდომის თარიღი: 27.04.2024].
10. Bertrand-Mirkovic, A., 2003. La notion de personne (Étude visant à clarifier le statut juridique de l'enfant à naître), Presses universitaires d'Aix-Marseille.
11. Klingelhöffer, Hans, Dr., Pflichtteilsrecht, 2. 2003. Aufl., 1952 – IV ZR 74/52, BGHZ, 7.
12. MünchKomm-BGB/Lange., 2012. §2311 Rn.2, §2313 Rn.Juris PraxisKommentar BGB, 6. Aufl. 2311.
13. Malaurie, Ph. and Aynés, L., 2012. Droit civil. Les successions. Les libéralités. 3e éd. Defrénois.
14. Hovasse-Banget, S., 2012. La Propriété littéraire et artistique en droit des successions, thèse. Rennes I.

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. პარლამენტის უწყებანი, 24/08/1995, #786.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.

### სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1101-1021-2017).

## BIBLIOGRAPHY:

### Used Literature:

1. Berekashvili, D., 2010. Doctoral Dissertation: Mandatory Share in Inheritance Law. Tbilisi state university. (in Georgian).
2. Lobzhanidze, G., 2009. Roman state and law. Publishing house Kutaisi. (in Georgian)
3. Nadareishvili, G., 2008. Roman Civil Law. Tbilisi. (in Georgian)
4. Surguladze, N., 2002. Monuments of Roman Law, Institutions of Justinian. Tbilisi. (in Georgian)
5. Shengelia, R. and Shengelia, E., 2019. Family and inheritance law. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
6. Chanturia, I., 2009. Comment of the civil code of Georgia. Book 5<sup>th</sup>. Georgia. [Online] available at: <[https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_1\\_Book.pdf](https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_1_Book.pdf)> [Accessed 27.04.2024] (in Georgian)

7. Chechelashvili, Z., 2018. Civil Code of Switzerland. Tbilisi. Ltd Sveti. [Online] available at: <[https://notary.ge/res/docs/gare/Swiss\\_Civil\\_%20Code.pdf](https://notary.ge/res/docs/gare/Swiss_Civil_%20Code.pdf)> [Accessed 27.04.2024] (in Georgian)
  8. Chechelashvili, Z., 2021. Civil Code of the Netherlands. Tbilisi. Ltd Sveti. [Online] available at: <[https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch\\_Civil\\_%20Code.pdf](https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch_Civil_%20Code.pdf)> [Accessed 27.04.2024] (in Georgian)
  9. Proceedings of the Inheritance of Greece. [Online] available at: <[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)> [Accessed: 27.04.2024] (in Georgian)
  10. Bertrand-Mirkovic, A., 2003. La notion de personne (Étude visant à clarifier le statut juridique de l'enfant à naître), Presses universitaires d'Aix-Marseille. (in French)
  11. Klingelhöffer, Hans, Dr., Pflichtteilsrecht, 2. 2003. Aufl., 1952 – IV ZR 74/52, BGHZ, 7. (in German)
  12. MünchKomm-BGB/Lange., 2012. §2311 Rn.2, §2313 Rn.Juris PraxisKommentar BGB, 6. Aufl. 2311. (in German)
  13. Malaurie, Ph., Aynés, L., 2012. Droit civil. Les successions. Les libéralités. 3e éd. Defrénois. (in French)
  14. Hovasse-Banget, S., La Propriété littéraire et artistique en droit des successions, thèse. 2012. Rennes I. (in French)
- Normative Materials:**
1. Constitution of Georgia., Parliamentary Gazette, 24/08/1995, #768. (in Georgian)
  2. Civil Code of Georgia. Parliamentary Gazette, 26/06/1997, # 786. (in Georgian)
- Judicial Practice:**
1. Decision of the Supreme Court of Georgia 15 February 2018 (Case No. AS-1101-1021-2017). (in Georgian)

# უძრავი ნივთის ქირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი გამოსახლების პრობლემები საქართველოში

## ანა ტერაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი (საქართველო)

ელ.ფოსტა: [ana.tseradze@ciu.edu.ge](mailto:ana.tseradze@ciu.edu.ge)

### აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეძღვნება სამოქალაქო სამართალში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს – გამოსახლებას, როგორც უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლებას. პარლამენტის გადამწყვეტილებით გაუქმდა „საპოლიციო გამოსახლება“, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იყო უძრავი ნივთის უკანონო/არამართლზომიერი მფლობელების გამოსახლება სასამართლო მიმართვის გარეშე. ამ ფაქტმა გამოიწვია დღესდღეობით არსებული სავალალო ვითარება და სახეზე გვყავს უამრავი დაზარალებული მესაკუთრე.

საკუთრების უფლება ადამიანის ძირითადი უფლებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა. საკუთრების უფლება პირს ანიჭებს მფლობელობის, განკარგვისა და სარგებლობის უფლებას, რაც გულისხმობს ნივთზე ყოვლისმომცველ იურიდიულ ბატონობას. არამართლზომიერი მფლობელის მიერ საცხოვრებელი ფართის უკანონოდ დაკავებისას კი ირღვევა მესაკუთრის საკუთრების უფლება. შესაბამისად, მესაკუთრეს უნდა შეეძლოს უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა სწრაფი და ეფექტიანი მექანიზმის საშუალებით.

ზემოთ აღნიშნულმა გამოიწვია სასამართლოში მიმართვიანობის გაზრდა და პირის გამოსახლების გაჭიანურება. გარდა ამისა, საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვა არაკონსტიტუციურ და დაუსაბუთებელ საკუთრების უფლების შეზღუდვად მიგვაჩნია.

**საკვანძო სიტყვები:** მესაკუთრე, გამქირავებელი, დამქირავებელი, არამართლზომიერი მფლობელი



# EVICTIION PROBLEMS ARISING FROM TENANCY AGREEMENT IN GEORGIA

Ana Tseradze

*PhD student of the Faculty of Law at Caucasus International University (Georgia)*

E-mail: [ana.tseradze@ciu.edu.ge](mailto:ana.tseradze@ciu.edu.ge)

Ana Tseradze

## ABSTRACT

This article is devoted to one of the most actual issues in civil law- eviction, – the right to withdraw a thing from illegal possession. The decision of the parliament has abolished "police eviction", through which it was possible to evict illegal/illegal owners of immovable property without a court appeal. This fact has led to the current deplorable situation and we have a lot of affected owners.

The right to property is one of the most important human rights. The right of ownership grants a person the right to own, dispose and use, which implies a comprehensive legal domination over the thing. The owner's property rights are violated when illegally occupying the living space by an unlawful owner. Accordingly, the owner must be able to recover the immovable property from illegal possession through quick and effective mechanism.

The above has led to increased appeal to the court and delaying the eviction of the person. In addition, we consider such restriction of property rights as unconstitutional and unjustified restriction of property rights.

**KEYWORDS:** Landlord, Lessor, Tenant, Unlawful owner

## შესავალი

სამოქალაქო სამართალში საკუთრების ინსტიტუტი ერთ-ერთი ძირეული და ძველი ინსტიტუტია, რომლის კვლევა ძველი დროიდან დღემდე მეცნიერების ინტერესს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება ადამიანის ძირითადი უფლებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, ის მაინც არ არის აბსოლუტური. პირის კონსტიტუციური უფლებაა სანივთო ან ვალდებულებითი უფლების დარღვევისას საკუთრების უფლების დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს. მაგრამ რიგ შემთხვევაში სასამართლოში დავა წიანურდება და მესაკუთრის უფლება მაინც იზღუდება, რადგან ის ვერც ფლობს, ვერც სარგებლობს და ვერც განკარგავს უძრავ ქონებას.

არამართლობიერი მფლობელის გამოსახლების გაუქმება ნეგატიურად აისახა არა მხოლოდ კერძო პირებს შორის კერძოსამართლებრივ ურთიერთობაზე, არამედ სამოქალაქო ბრუნვის ეფექტურობასა და ბიზნესის განვითარებას შეუშალა ხელი. მესაკუთრეებს, რომლებსაც იპოთეკური სესხით აქვს შეძენილი უძრავი ქონება და შემდგომ გაქირავებული, რომ დაფარონ აღნიშნული ვალდებულება, აღმოჩნდნენ დილემის წინაშე. ასეთი პირები ორმაგად არიან დაზარალებულები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული გარემოება უარყოფითად აისახა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაზე.

## უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის სამართლებრივი მექანიზმი

საკუთრების დაცვის საშუალებები ჯერ კიდევ რომის სამართლიდან იღებს სათავეს. სავინდიკაციო სარჩელი მიზნად ისახავდა მესაკუთრის დაცვას. Actio rei vindicatio – ვინდიკაციური სარჩელი იცავდა მესაკუთრეს საკუთრების უფლების სრული დარღვევისაგან. მისი საშუალებით ხდებოდა მესაკუთრის დაცვა სხვა პირისაგან, რომელიც უკანონოდ ფლობდა ამა თუ იმ უძრავ ქონებას და არ აბრუნებდა მას. აღნიშნული სარჩელი მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ნივთის დაბრუნებას, არამედ მასთან დაკავშირებული სარგებლის, შემოსავლის მიღებას, რომელსაც მიიღებდა მესაკუთრე. ნივთის განადგურებისა და დაზიანებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მოპასუხეს, იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იყო გამოწვეული დაუძლეველი ძალით ან უბედური შემთხვევით. საინტერესოა ის გარემოება, რომ მოპასუხე არ თავისუფლდებოდა ნივთის დაბრუნების ან მისი საფასურის გადახდისაგან, მაშინაც კი, როცა საკუთრების უფლება ნივთზე შეძენილი ჰქონდა ხანდაზმულობით.<sup>1</sup>

ფრანგული სამართალი განიცდის რომის სამართლის ზეგავლენას, თუმცა actio rei vindicatio და action negatoria ძირითადად ვრცელდებოდა მიწის მესაკუთრეებზე. რაც შეეხება გერმანიის სამოქალაქო კოდექსს, ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და ნივთით სარგებლობის ხელის შეშლის აკვეთის მოთხოვნის უფლებებს ცალკე თავი ეთმობა.<sup>2</sup>

1 Бесецкая, Н.А., 2008. Римское гражданское право. Учебно-методический комплекс для студентов юридических специальностей, Новополюцк: Полоцкий государственный университет, გვ. 112-113.

2 შეადარე. ქეჭელაშვილი, ზ., 2016. სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა). მეოთხე გადაამუშავებული გამოცემა 2016 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით, თბილისი: გვ. 335-336.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სავინდიკაციო სარჩელი ცნობილია, როგორც უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის სანივთო-სამართლებრივი საშუალება. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით მესაკუთრეს შეუძლია მოსთხოვოს მფლობელს ნივთის დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს აქვს ფლობის უფლება.<sup>3</sup> ნორმა მოიცავს სამ ელემენტს:

- „მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე;
- მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი;
- მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება“.<sup>4</sup>

მესაკუთრეს შეუძლია აღძრას ვინდიკაციური სარჩელი. თეორიულად ვინდიკაციური სარჩელის განმარტება და შემადგენელი ელემენტები გასაგებია, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით სარჩელის გამოყენებას, პრაქტიკაში შეიძლება წავაწყდეთ მთელ რიგ სირთულეებს. არ შეიძლება, რომ არ დავეთანხმოთ მეცნიერ ბიოლინგს და ლუტრინგჰაუსს, რომლებსაც ნორმის აღწერილობითი შემადგენელი ნაწილი „მოპასუხე, რომელიც არის ნივთის მფლობელი“ ე.წ. უარყოფით მხარედ მიაჩნიათ, აღნიშნული იწვევს დისკუსიას იურიდიულ მეცნიერებაში.

ქართული სამართალი იცნობს მფლობელობის რამდენიმე სახეს, კერძოდ:

- მართლზომიერი და არამართლზომიერი მფლობელი;
- პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელი;

- კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელი;
- მფლობელობა თავისთვის და მფლობელობა სხვისთვის;
- ერთი პირის მფლობელობას და თანამფლობელობას;
- მთლიანი ნივთის მფლობელს და ნივთის ნაწილების მფლობელობას.<sup>5</sup>

ჩვენთვის საინტერესო და გამოსაკვლევ თემას წარმოადგენს უძრავი საკუთრების დამქირავებელი, რომელიც გვევლინება მართლზომიერ, პირდაპირ მფლობელად, რომელსაც ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული აქვს უძრავი ქონება და აქვს მისი ფლობის სამართლებრივი საფუძველები, კერძოდ, ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრემ მიანიჭა მას აღნიშნული უფლებამოსილება. თუ აღნიშნული პირი დაარღვევს ქირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ბუნებრივია, ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის საფუძველი მას აღარ ექნება, შესაბამისად, იგი მოგვევლინება არამართლზომიერ მფლობელად. ქირავნობის ვადის გასვლის შემდგომ მფლობელი ვალდებულია მესაკუთრეს დაუბრუნოს უძრავი ნივთი. იმ შემთხვევაში, თუ მფლობელი არ აბრუნებს ნივთს და აგრძელებს ნივთის ფლობას, ის მიიჩნევა არამართლზომიერად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მფლობელობა არის პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირია მფლობელობა, როდესაც პირი უშუალოდ ახორციელებს პირდაპირ ბატონობას ნივთზე, რაც სამოქალაქო

3 მუხლი 172, საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.

4 ბიოლინგი, პ. და ლუტრინგჰაუსი, პ., 2004-2009. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი. ბრემენი-თბილისი: გვ. 62.

5 შეადარე. ქეჭელაშვილი, ზ., 2016. სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა). მეოთხე გადამუშავებული გამოცემა 2016 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით. თბილისი: გვ. 78-79.

კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილით არის დადგენილი. მაგრამ არსებობს შემთხვევები, სადაც პირი მფლობელად აღიარებულია მესაკუთრესთან ერთად. ასეთები შეიძლება იყვნენ: მოგირავნე, დამქირავებელი, მეაღნაგე და სხვა პირები, რომლებიც ნივთს ფლობენ სანივთო ან ვალდებულებით – სამართლებრივი გარიგების საფუძველზე. აქ ნათლად გვაქვს საქმე მფლობელობის „გაორმაგებასთან“, აღნიშნული გულისხმობს პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობის ინსტიტუტს. არაპირდაპირი მფლობელია პირი, რომელიც არ ახორციელებს ნივთის ფაქტობრივ ბატონობას და არ ფლობს ნივთს, მაგრამ მას აქვს ნივთის განკარგვის უფლებამოსილება, შესაბამისად, ასეთად გვევლინება უძრავი ქონების მესაკუთრე. არაპირდაპირი მფლობელობისას აუცილებელია არსებობდეს ორი პირობა:

- მხარეთა შორის უნდა არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობა (სანივთო ან ვალდებულებით სამართლებრივი ხელშეკრულება);
- ურთიერთობა, გარიგება განსაზღვრულია ვადით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უფრო შორს მიდის და პირდაპირ მფლობელს ანიჭებს უფლებამოსილებას, გადაიქცეს არაპირდაპირ მფლობელად. მაგალითად, უძრავი ქონების დამქირავებელს, ანუ პირდაპირ მფლობელს, აქვს უფლება გაქირავებული უძრავი ნივთი ქვექირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს სხვა პირს, ამ უკანასკნელს ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი დაიკავებს პირდაპირი მფლობელის ადგილს, ხოლო დამქირავებელს ექნება მეორე – არაპირდაპირი მფლობელის სტატუსი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არაპირდაპირი მფლობელობა შეიძლება იყოს მრავალსაფეხურიანი. რაც

შეეხება პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების უფლების დაცვის საშუალებას, მათაც იცავს მფლობელობითი დაცვის სარჩელები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის მიხედვით, არაპირდაპირ მფლობელს არ შეუძლია პირდაპირ მფლობელს მოსთხოვოს ნივთის დაბრუნება, თუ ის მართლზომიერად ახორციელებს ნივთზე მფლობელობას. მაგრამ სხვაგვარად არის საქმე, როდესაც პირდაპირი მფლობელი არამართლზომიერად ფლობს უძრავ ქონებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლის თანახმად, დამქირავებელი უფლებამოსილია საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეწყვიტოს, თუ დამქირავებელმა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან არ იხდის ბინის ქირავნობის საფასურს. ამ შემთხვევაშიც კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კრძალავს მფლობელობის ჩამორთმევას. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 858-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც მფლობელს ამ უკანასკნელის ნების გარეშე ართმევს მფლობელობას ან ხელს უშლის მფლობელობის განხორციელებაში, მოქმედებს უკანონოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი უშვებს ნივთის ჩამორთმევას ან ხელის შეშლას. ამ ნორმას გერმანიის სამოქალაქო კოდექსი განმარტავს, როგორც აკრძალულ თვითნებობას, რომელიც არის მფლობელობის დაცვის ძირითადი ცნება. აკრძალული თვითნებობა მიმართულია ძირითადად პირდაპირი მფლობელის წინააღმდეგ. აკრძალული თვითნებობა წინაპირობად აყენებს იმას, რომ მფლობელს ხელი უნდა ეშლებოდეს მის მიერ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებაში.<sup>6</sup>

6 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 2014. მე-13 გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: © GIZ, IRZ, გვ. 663-664.

## გამოსახლება, როგორც მესაკუთრის საკუთრების უფლების დაცვის მექანიზმი

2015 წლის 11 დეკემბერს პარლამენტის გადაწყვეტილებით გაუქმდა „საპოლიციო გამოსახლება“, რომელიც მესაკუთრეს უფლებას აძლევდა, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე მიემართა პოლიციისათვის დაკანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე მოეთხოვა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთა, გარდა მართლზომიერი მფლობელობის დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა. მეცნიერი ლევან თოთლაძე და ასევე სამართლის მეცნიერთა სხვა ნაწილი ეთანხმებიან განხორციელებულ რეფორმებს. უფრო მეტიც, მათი აზრით, საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლს, რომლის მიხედვით არავის არ აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინასა და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლო გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.<sup>7</sup> ზემო აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ფიქრობს მეცნიერების მეორე ნაწილი: უძრავი ქონების მესაკუთრის საკუთრების უფლებაში ჩარევამ და უფლების დაცვის არაეფექტიანმა მექანიზმმა პრობლემები შეუქმნა არა მხოლოდ კერძო პირებს/მესაკუთრეებს, არამედ სახელმწიფოსაც.<sup>8</sup> მაგალითისთვის მო-

ვიხმობთ უძრავი ქონების ეროვნულ ასოციაციას, რომელმაც 2022 წელს მიმართა საქართველოს პარლამენტს წერილით და მოითხოვა საპოლიციო გამოსახლების აღდგენა იმ მოტივით, რომ უძრავი ქონების მესაკუთრეებს შეექმნათ სერიოზული პრობლემები და გახშირდა ქირის გადაუხდელობის ფაქტები. ამის გარდა, ე.წ. პირდაპირი მფლობელი იკავებს საცხოვრებელ სადგომს არამართლზომიერად. ამ შემთხვევაში უძრავი ქონების მესაკუთრეების კონსტიტუციით მინიჭებული უფლება საგრძნობლად ირღვევა და ისინი ვერ განკარგავენ თავის საკუთრებას.<sup>9</sup> ამის გარდა, საქართველოში ბოლოს იმატა მიგრანტების რაოდენობამ, რომლებიც ქირაობენ უძრავ ქონებას, შემდგომ არ ასრულებენ ქირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და არც ტოვებენ საცხოვრებელს. ამ დროს კანონიერი მესაკუთრე რჩება დაცვის გარეშე, რადგან საპოლიციო გამოსახლება გაუქმებულია, ხოლო სასამართლოს გზით კუთვნილი ქონების დაბრუნება საპროცესო მოქმედებათა გამო დროში ჭიანურდება. ვფიქრობთ, ამ დროს ირღვევა მესაკუთრის უფლება – ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთარ ქონებას. აქედან გამომდინარე, ირღვევა პირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება, რომელიც ხდის მას ეკონომიკურად დამოუკიდებელ, რეალიზებულ საზოგადოების წევრად, ღიან, საკუთრების უფლება სწორედ აღნიშნული ტრიადისაგან შედგება.

ზემოთ განხილული შემთხვევების დროს მესაკუთრის ხელიდან ნივთი გადის

7 შეადარე. თოთლაძე, ლ., 2018. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი. თბილისი: გვ. 80.

8 შეადარე. კორკელია, კ., რედ., 2018. ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა სატატიათა კრებული. თბილისი: გვ. 141.

9 გასაქირავებელი ბინების მესაკუთრეებს პრობლემები შეექმნათ – ასოციაცია საპოლიციო გამოსახლების აღდგენას ითხოვს. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bpn.ge/article/102240-gasakiravebeli-binebis-mesakutreebs-problemebi-sheekmnat-associacia-sapolicio-gamosaxlebis-agdgenas-itxovs/>> [წვდომის თარიღი 05.05.204].

მისი ნებით, მხედველობაშია სახელმწიფო ურთიერთობის საფუძველზე ნივთის სხვა პირისათვის გადაცემა.<sup>10</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულებით გამჭირავებელი ვალდებულია გადასცეს დამჭირავებელს დროებით სარგებლობაში განსაზღვრული ნივთი და მისცეს გამჭირავებელს საშუალება, ისარგებლოს ამ ნივთით ხელშეკრულების ვადის განმავლობაში; ხოლო დამჭირავებელი ვალდებულია, გადაუხადოს დამჭირავებელს ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ქირა. ქირავნობის ხელშეკრულების არსებითი პირობა სწორედ რომ ქირაა. სამოქალაქო კოდექსი სპეციალური წესებით არეგულირებს საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხს. 562-ე მუხლი ასახელებს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობებს:

- დამჭირავებელმა თავისი სახელმწიფო ვალდებულებები ბრალულად მნიშვნელოვნად დაარღვია;
- დამჭირავებელს საცხოვრებელი ბინა სჭირდება თვითონ ან ახლო ნათესავისთვის;
- დამჭირავებელი უარს ამბობს გამჭირავებლის მიერ გაზრდილი ქირის გადახდაზე;
- დამჭირავებელმა დამჭირავებლის მიმართ ჩაიდინა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შემდგომ ურთიერთობას.<sup>11</sup>

ბუნებრივია, რომ ამ დროს ქირავნობის ხელშეკრულება უნდა შეწყდეს, მაგრამ ამავე მუხლის მე-3 ნაწილში ნათვამია, რომ, თუ ქირავნობის საგანს შეადგენს

ავჯით გაწყობილი ბინა, მაშინ გამჭირავებელს ვადის დაცვით ყოველთვის აქვს ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობა. არ შეგვიძლია, რომ არ დავეთანხმეთ პროფესორ ზურაბ ჭეჭელაშვილს, ამ ნაწილის გაკრიტიკებაში, უფრო მეტიც ალოგიურად მიგვაჩნია მისი არსებობა და უმჯობესი იქნებოდა საკანონმდებლო სივრციდან მისი ამოღება. საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა არ უნდა იყოს დამოკიდებული ავეჯიან ან უავეჯო ბინაზე. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებელი სცდება სამართლებრივ ჩარჩოს და კონკრეტულ შემთხვევაში მესაკუთრის კი არა, მფლობელის უფლება იქნება დარღვეული.<sup>12</sup> ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია 575-ე მუხლის დანაწესის გამოყენებაც და დამჭირავებელს, ამ შემთხვევაში პირდაპირ მფლობელს, აქვს უფლება დაიცვას თავისი მფლობელობა თვით მესაკუთრისგანაც. რაც შეეხება მესაკუთრისთვის კუთვნილი ბინის გაქირავებით და შემდგომ არამართლზომიერი ფლობით, კერძოდ, საცხოვრებელი ფართით სარგებლობითა და დაუბრუნებლობით, ირღვევა არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი, არამედ 531-ე მუხლის დანაწესიც და საგრძნობლად ილახება მესაკუთრის – არაპირდაპირი მფლობელის – უფლებები.

## გამოსახლების ლეგიტიმურობა

გამოსახლების საკითხთან საერთაშორისო სტანდერტებისა და სახელმწიფოთა გამოცდილების მიმოხილვისას,

- 10 შეადარე. ზოიძე, ბ., 2003. ქართული სანივთო სამართალი. მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა. მერიდიანი, გვ. 97.
- 11 მუხლი 562, ნაწილი 2, საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.
- 12 შეადარე. ჭეჭელაშვილი, ზ., 2020. სახელმწიფო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე). მესამე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: გვ.234.

აუცილებელია გამოსახლების ლეგიტიმურობის განსაზღვრა. გაეროს კომიტეტის კვლევები და სამართლებრივი პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ გამოსახლების მიზეზები სხვადასხვაგვარია და შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით, ეს შეიძლება იყოს: სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე ( განვითარებისა და ინფრასტრუქტურის პროექტები, ურბანული განსახლება და ქალაქის განსახლების პროგრამები),<sup>13</sup> ბინის ქირის ან იპოთეკის დავალიანების გადაუხდელობა, საცხოვრისზე ან მიწაზე მფლობელობის სამართლებრივი გარანტიების არარსებობა და ა.შ.<sup>14</sup> მიუხედავად სხვადასხვაგვარი მიზეზებისა, ადამიანის იძულებით გამოსახლება საერთაშორისო სტანდარტების დაუცველობის გარეშე, ადამიანის უფლებების დარღვევად კვალიფიცირება.<sup>15</sup> გამოსახლების საერთაშორისო სამართალი აღიარებს ადეკვატური საცხოვრებლის უფლებას როგორც სიცოცხლისთვის საჭირო აუცილებელ კომპონენტს და მოიცავს არა მარტო თავშესაფრის უფლებას, არამედ მშვიდობიანი, უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრების უფლებას.<sup>16</sup>

კანონიერი გამოსახლების პრინციპის თანახმად, გამოსახლება უნდა განხორციელდეს სამართლებრივ სტანდარტებზე დაყრდნობით. სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით უნდა გამოსახლდეს ისე, რომ

ეს შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და არ იყოს მხოლოდ ფორმალობა. ამის გარდა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის შემთხვევები, როდესაც გამოსახლება დასაშვებია.<sup>17</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს იმას, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება შეუფერხებლად ისარგებლოს თავისი საკუთრებით.<sup>18</sup> შესაბამისად, მესაკუთრეს საკუთრების უფლებით სარგებლობა და განკარგვა უნდა შეეძლოს შეუფერხებლად და არამართლზომიერი მფლობელის ქმედებამ ამაში ხელი არ უნდა შეუშალოს.

საინტერესოა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის, ნიკოლოზ ფხაკაძის, მოსაზრება გამოსახლების საკითხთან დაკავშირებით. ის იზიარებს საფრანგეთის პრაქტიკას და ამბობს, რომ მესაკუთრე მეტად დაზღვეული იქნება, თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გაიზიარებს გარანტიის ინსტიტუტის არსებობას. გარანტი არის თავდები (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელიც თავდების სახით გვევლინება ქირავნობის ხელშეკრულების დროს, გარდა მასში მონაწილე სუბიექტებისა, კერძოდ, დამქირავებლისა და დამქირავებლის. დამქირავებელი

13 ჯანიაშვილი, მ., 2019. გამოსახლების პრობლემები და საუკეთესო გამოცდილება. სერია 3, დეკემბერი, თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://droa.ge/wp-content/uploads/2019/12/pdf>> [წვდომის თარიღი 05.05.2024].

14 Forced Evictions, 2014, Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations, გვ. 3-4.

15 The Right to Adequate Housing, 2009. Fact Sheet No. 21/ Rev. 1., United Nations, გვ. 5.

16 გამოსახლების საერთაშორისო სტანდარტები უფრო ვრცლად იხ. ნაშრომში Respecting International Standards on Home Eviction. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.housingrightswatch.org/content/respecting-international-standards-home-evictions>> [წვდომის თარიღი 01.02.2024].

17 General Comment No. 7, 1997. The Right to Adequate Housing; Forced Evictions (art 11(1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, para. 8-9; Concluding Observations of the Committee on Economic, Social and Culture Right, Poland, 1997, para.13.

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N2ას-1399-2023).

უფლებამოსილია მოითხოვოს გარანტი, რომ დაცული იყოს დამქირავებლის გადაუხდელობისაგან. საფრანგეთში ბოლო დროს უფრო მოთხოვნადი გახდა გარანტის მონაწილეობა ქირავნობის ხელშეკრულებაში. აუცილებელია თავდებობის აქტში მითითებული იყოს მისი მოქმედების ვადა, რადგან გარანტის ვალდებულებები დამოკიდებულია ქირავნობის ხელშეკრულების დასრულებაზე. გარდა ამისა, თავდების გარეშე დამქირავებელს და დამქირავებელს არ აქვთ უფლება გააგრძელონ ხელშეკრულების ვადა, აღნიშნული ქმედება არ იწვევს გარანტის პასუხისმგებლობას ვალდებულების ნაწილში. მეცნიერის აზრით, მესაკუთრის თავდაცვის მექანიზმი არის აღსრულების ეროვნულ ბიუროში ქირავნობის ხელშეკრულებისა და გარანტისთვის გაგზავნილი წერილი დამქირავებლის დავალიანების შესახებ, რის შედეგადაც აღმასრულებელი მოახდენს გარანტორისგან შემოსავლების დაკავებას და გადაურიცხავს თანხას მესაკუთრე-დამქირავებელს.<sup>19</sup> იმ საკითხში, რომ დღესდღეობით მესაკუთრის ინტერესი არასათანადოდ არის დაცული და საჭიროებს მეტ გარანტიას, რა თქმა უნდა, ვეთანხმები სტატიის ავტორს, მაგრამ, ვფიქრობ, აღნიშნული არ არის ეფექტური, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ კი ვიცავთ მესაკუთრე – დამქირავებლის ინტერესს, მაგრამ გარანტის უფლებები ირღვევა, ისევე, როგორც თავდებობისას სასესხო და საბანკო ურთიერთობებში ქართულ სამართალში. ჩვენი აზრით, არ შეიძლება სამართალმა განასხვავოს მესაკუთრის უფლებები და პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენოს დამქირავებელი, მესამე პირთან, ამ შემთხვევაში თავდებთან მიმართებით. ამის გარდა,

მეცნიერი ავითარებს აზრს, რომ ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას, პრევენციის მიზნით, დამქირავებელს შეეძლოს გადაამოწმოს დამქირავებლის წინა ქირავნობის ისტორია, გადახდისუნარიანობა და ამით შეიქმნას წარმოდგენა დამქირავებელზე. ამ შემთხვევაშიც მიგვაჩნია, რომ დამქირავებელი არ იქნება ბოლომდე დაცული, რადგან როდის გახდება დამქირავებელი გადახდისუნარიანი, ამის პროგნოზირება შეუძლებელია. ამის გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არის იმპერატიულად განსაზღვრული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების დადების წერილობითი ფორმა. ზემოთ განხილული პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია, რომ, პირველ რიგში, ქირავნობის ხელშეკრულება დაიდოს წერილობითი ფორმით და შემდგომ მოხდეს აღნიშნული ხელშეკრულების რეესტრში დარეგისტრირება, სადაც მითითებული იქნება, რომ, თუ დამქირავებელი არ შეასრულებს ვალდებულებას (ქირის გადახდას), მოხდება მისი ბინიდან გამოსახლება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ამით დამქირავებელი მოიგებს როგორც დროს, ასევე მიუღებელ შემოსავალსაც. ამის გარდა, გამოსახლების პრევენციის მიზნით, კარგი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს რესურსი, დამქირავებლის ნაცვლად იკისროს ქირის გადახდა და შემდგომ, როდესაც დამქირავებელი გადახდისუნარიანი გახდება, სახელმწიფოს ვალდებულება დაფაროს. ისეთ მოწინავე ქვეყნებში, როგორებიცაა: ბელგია, ავსტრია და გერმანია, დამქირავებლებს ეკისრებათ ვალდებულება, ინფორმაცია გამოსახლების შესახებ გადასცენ ადგილობრივ მუ-

19 შეადარე. ფხალაძე, ნ., 2023. უძრავი ნივთის ქირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი გამოსახლების პრობლემები საქართველოში, არსებული რეალობა და გამომწვევები (გარანტის ინსტიტუტის დანერგვის საჭიროება ფრანგული სამართლის მიხედვით). სამართალი და მსოფლიო, 9 (26), გვ.115.



ნიციპალიტეტებს/სოციალურ სამსახურს, რათა უზრუნველყონ აღნიშნული პირების დახმარება გამოსახლების პრევენციაში ან სწრაფ განსახლებაში (რაც ცალკეულ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს).<sup>20</sup>

შედარებისათვის, კვებეკის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს საცხოვრებელი ფართის უკან დაბრუნებას და მის გათავისუფლებას. 1957-1970 მუხლებში მოცემულია გამქირავებლის ვალდებულებები დამქირავებლის გამოსახლების შემთხვევაში. კვებეკის კანონმდებლობით შესაძლებელია დამქირავებლის გამოსახლება ფართის დანაწილების, მისი გაზრდის ან დანიშნულების შეცვლისას. სასამართლოს მიერ გამოსახლების ნებართვის შემთხვევაში შეუძლია დამქირავებლისთვის ზიანის ანაზღაურების დაწესებაც, თუ საჭიროდ ჩათვლის. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თავის მხრივ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, თუ სამ კვირაზე მეტი დროა გასული, რაც დამქირავებელი არ ასრულებს ფულად ვალდებულებას. თუ მოვალე არ ასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებას, სასამართლო წყვეტს ქირავნობის ხელშეკრულებას კრედიტორის განცხადების საფუძველზე.<sup>21</sup>

## დასკვნა

სტატიაში განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც არის არამართლზომიერი მფლობელის და მესაკუთრის ინტერესების დაცვა. გამოიკვე-

თა მესაკუთრის უფლების დაცვის საჭიროება, შესაბამისად საკუთრების უფლების ეფექტიანი დაცვისთვის საჭიროა იმ მესაკუთრეთა ინტერესების გამარტივებულად და ეფექტიანად, სწრაფად დაცვა, რომელთაც მათსა და მფლობელს შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაცია განახორციელებს საჯარო რეესტრში. ასეთმა პირებმა უნდა შეძლონ არამართლზომიერი მფლობელის სასამართლოს გარეშე გამოსახლება საცხოვრებელი ფართიდან. ვფიქრობთ, მხოლოდ ამის შემდგომ მესაკუთრის უფლება იქნება დაცული ეფექტიანი მექანიზმით და შეძლებს ისარგებლოს სრულყოფილად თავისი უფლებით, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. გარდა ამისა, სწორედ უძრავი ქონების დაცულობა განაპირობებს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას და სახელმწიფო ეკონომიკის შეუფერხებელ განვითარებას.

20 შეადარე. ჯანიაშვილი, მ., 2019. გამოსახლების პრობლემები და საუკეთესო გამოცდილება. სერია #3, დეკემბერი, თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://droa.ge/wp-content/uploads/2019/12/pdf>> [წვდომის თარიღი 05.05.2024].

21 შეადარე. ქეჭელაშვილი, ზ., „რედ.“, 2017. კვებეკის სამოქალაქო კოდექსი (2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით). სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. თბილისი: გვ. 386-389.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიოლინგი, ჰ. და ლუტრინგჰაუსი პ., 2004-2009. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი. ბრემენი-თბილისი.
2. გამოსახლების საერთაშორისო სტანდარტები დეტალურად იხილეთ ნაშრომში Respecting International Standards on Home Eviction. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.housingrightswatch.org/content/respecting-international-standards-home-evictions>> [წვდომის თარიღი 05.05.2024].
3. ზოიძე, ბ., 2003. ქართული სანივთო სამართალი. მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა. მერიდიანი.
4. თოთლაძე, ლ., 2018. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი. თბილისი.
5. კორკელია, კ., 2018. ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, სატატიათა კრებული. თბილისი.
6. ფხაკაძე, ნ., 2023. უძრავი ნივთის ქირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი გამოსახლების პრობლემები საქართველოში, არსებული რეალობა და გამოწვევები (გარანტის ინსტიტუტის დანერგვის საჭიროება ფრანგული სამართლის მიხედვით). სამართალი და მსოფლიო, 9 (26).
7. ჩაჩანიძე, ე., დარჯანია, თ. და თოთლაძე, ლ., „რედ.-ები“, 2014. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი. მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი.
8. ჭაჭელაშვილი, ზ., 2016. სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა). მეოთხე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი.
9. ჭაჭელაშვილი, ზ., 2020. სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძვლზე). მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი.
10. ჭაჭელაშვილი, ზ., „რედ.“, 2017. კვებეკის სამოქალაქო კოდექსი (2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით). თბილისი: სვეტი.
11. ჯანიაშვილი, მ., 2019. გამოსახლების პრო-

- ბლემები და საუკეთესო გამოცდილება. სერია #3, დეკემბერი, თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://droa.ge/wp-content/uploads/2019/12/pdf>> [წვდომის თარიღი 05.05.2024].
12. General Comment No. 7 (1997), The Right to Adequate Housing; Forced Evictions (art 11(1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, para. 8-9; Concluding Observations of the Committee on Economic, Social and Culture Right, Poland.
  13. Forced Evictions (2014), Fact Sheet No. 25/ Rev.1, United Nations.
  14. The Right to Adequate Housing (2009), Fact Sheet No. 21/ Rev. 1., United Nations.
  15. Бесецкая, Н.А., 2008. Римское гражданское право. Учебно-методический комплекс для студентов юридических специальностей. Новополюк: Полоцкий государственный университет.

### ინტერნეტ რესურსები:

1. გასაქირავებელი ბინების მესაკუთრეებს პრობლემები შეექმნათ – ასოციაცია საპოლიციო გამოსახლების აღდგენას ითხოვს. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bpn.ge/article/102240-gasakiravebeli-binebis-mesakutreebs-problemebi-sheekmnat-associacia-sapolicio-gamosaxlebis-agdgenas-itxovs/>> [წვდომის თარიღი 5.05.2024].

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.

### სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1399-2023).

## BIBLIOGRAPHY:

### Used Literature:

1. Besetskaya, N.A., 2008. Roman civil Law, Educational and methodological complex for law students, Novopolotsk, Polotsk State University. (in Russian)
2. Bioling, H. and Luttringhaus, P., 2004-2009. Systemic analysis of the grounds for individual requirements of the Civil Code of Georgia. Bremen-Tbilisi. (in Georgian)
3. Chechelashvili, Z., 2016. Property law (comparative-legal research). fourth revised edition, Tbilisi. (in Georgian)
4. Chechelashvili, Z., 2020. Contract law (comparative-legal research based mainly on Georgian law), third revised edition. Tbilisi. (in Georgian)
5. Chachanidze, E., darjania, T. and Totladze, L., "reds", 2014. German civil code study commentary. 13th revised edition, Tbilisi. (in Georgian)
6. Chechelashvili, Z., 2017. Civil Code of Quebec. Tbilisi: Sveti. (in Georgian)
7. Forced Evictions 2014. Fact Sheet No. 25/Rev.1, United Nations. (in English)
8. General Comment No. 7 1997. The Right to Adequate Housing; Forced Evictions (art 11(1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, para. 8-9; Concluding Observations of the Committee on Economic, Social and Culture Right, Poland. (in English)
9. International standards for eviction see the paper respecting International standards on Home Eviction <<https://www.housingrightswatch.org/content/respecting-international-standards-home-evictions>> [Accessed 5.05.2024]. (in English)
10. Janiashvili, M., 2019. Eviction problems and best experiences. Series 3, December, Tbilisi. [Online] available at: <<https://droa.ge/wp-content/uploads/2019/12/pdf>> [Accessed 5.05.2024]. (in Georgian)
11. Korkelia, K., 2018. Human Rights Protection: Legislation and practice collection of articles. Tbilisi. (in Georgian)
12. Pkhakadze, N., 2023. Eviction problems arising from the real estate rental agreement in Georgia, current realities and challenges (the need to implement the guarantor Institute according to French Law) Law and international scientific peer-reviewed journal of the world ISSN 2346-7916, European University Law Institute. (in Georgian)
13. Totladze, L., 2018. Commentary on the Civil Code. Book II, Property Law, Tbilisi. (in Georgian)
14. The Right to Adequate Housing 2009. Fact Sheet No. 21/ Rev. 1., United Nations (in English)
15. Zoidze, B., 2003. Georgian property law. second revised and Complete Edition, Meridiani. (in Georgian)

### Internet Resources:

1. Owners of apartments for rent faced problems – association demands restoration of police eviction [Online] available at: <<https://www.bpn.ge/article/102240-gasakiravebeli-binebis-mesakutreebs-problemebi-sheekmnat-asociacia-sapolicio-gamosaxlebis-agdgenas-itxovs/>> [Accessed 5.05.2024]. (in Georgian)

### Normative Materials:

1. Civil Code of Georgia. Parliamentary Gazette, 26/06/1997, # 786. (in Georgian)

### Judicial Practice:

1. Decision of the Supreme Court of Georgia of December 14, 2023 (Case No. AS-1399-2023). (in Georgian)

სამართლის მაცნე  
HERALD OF LAW

07/2024

#9

სამართლის მეცნიერთა კავშირის  
საერთაშორისო სამეცნიერო  
რეფერირებადი და რეცენზირებადი  
ჟურნალი

---

International refereed and  
peer-reviewed Scientific Journal  
of The Union of Law Scientists

E ISSN 2667-9434

[www.heraldoflaw.com](http://www.heraldoflaw.com)

Email: [info@heraldoflaw.com](mailto:info@heraldoflaw.com)